თამაზ ნატროშვილი

ახსოვდა თუ არა საქართველო



„დამანი“

თბილისი

1994

წინათქმა

„არაფერია მზის ქვეშ ახალი“, — ამბობს ეკლესიასტე.

რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდებაო.

გაუთავებლად მეორდება ისტორია. ქვეყნის მბრძანებელთა ხვედრია უზომო ხოტბა და განდიდება, ხოლო სიკვდილის შემდეგ, არცთუ იშვიათად, გმობა და დაკნინება.

სტალინის შესახებ შეთხზულ ცილისწამებათა ნაკადმა ლამის წალეკოს სიმართლის უკანასკნელი ჯებირები. გუშინდელი ჰიპერბოლების ადგილი დაიჭირა უხამსობამ და წყევლა-კრულვამ.

სტალინზე უნდა ვწეროთ „მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე“ (ტაციტუსის გამოთქმაა), ვინაიდან სტალინი უკვე ისტორიას ეკუთვნის. უტყუარი ფაქტების დადგენა და ათასგვარ სიცრუეში ჩაკარგული ჭეშმარიტების მარცვლების მიგნება — აი, ესაა ღირსეული მიზანი მკვლევარ-ისტორიკოსისა თუ მწერლისა. XX საუკუნის ისტორია ხომ წარმოუდგენელია, თუკი ობიექტურად არ შევისწავლით იმ პიროვნების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ვინც, წლების მანძილზე, რკინის ხელით წარმართავდა უზარმაზარი იმპერიისა და თითქმის მთელი პლანეტის ბედს.

წინამდებარე წიგნი მხოლოდ მოკრძალებული ნაბიჯი გახლავთ იმ გზაზე, რომელსაც, ვგონებ, დასასრული არ უწერია.

დამჭკნარი კოკორი

1895 წლის 14 ივნისს გაზეთ „ივერიაში“, ილია ჭავჭავაძე რომ რედაქტორობდა, პირველსავე გვერდზე დაიბეჭდა მკითხველი საზოგადოებისათვის უცნობი პიროვნების უსათაურო ლექსი ამგვარი ხელმოწერით: ი. ჯ-შვილი. არც ილია ჭავჭავაძემ იცოდა და ათას გულთმისანსაც ვერ დაესიზმრებოდა, რომ ამ თექვსმეტი წლის ყრმის სახელი ოცდაათი წლის შემდეგ მთელ მსოფლიოს მოეფინებოდა, როგორც დედამიწის ერთი მეექვსედის მბრძანებლისა.

იოსებ ჯუღაშვილის პირველი და ყველაზე პოპულარული ლექსი შემდგომში იაკობ გოგებაშვილმა შეიტანა თავის „დედა-ენაში“ და ქართველ ყმაწვილთა თაობანი ბეჯითად იზეპირებდნენ ამ მართლაც მშვენიერ ლექსს:

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადაპხვეოდა იასა,
ზამბახსაც გაჰღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.
ტოროლა მაღალს ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით ჰგალობდა,
ბულბულიც, გრძნობით აღვსილი,
ნაზის ხმით ამას ამბობდა:
„აჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
„ილხინე, ივერთ მხარეო,
„და შენც, ქართველო, სწავლითა
„სამშობლო გაახარეო!“

იმავე 1895 წელს, იმავე „ივერიის“ ფურცლებზე კიდევ დაიბეჭდა მისი რამდენიმე ლექსი, ამჯერად — „სოსელოს“ ხელმოწერით. ურიგო ლექსები არ ყოფილა, მაგრამ მაინც ჩამოუვარდებოდნენ იმ პირველს — ნათელსა და უბრალოს, საოცრად მომხიბვლელსა და დილასავით ხალისიანს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოსელოს ლექსი მართლაც ამშვენებდა გაზეთის მორიგ ნომერს. აბა სხვა რა გაახარებდა მკითხველის სულსა და გულს? საკმაოდ ვრცლად იყო გაშუქებული უცხოეთის ამბები; ფულის მოსაგებად ადგილი ეთმობოდა სხვადასხვა ჯურის ექიმთა სარეკლამო განცხადებებს; შინაურ ამბებსაც უხვად გაეცნობოდით: საქართველოს მთავარმართებელი გენერალ-ადიუტანტი შერემეტევი სამკურნალო წყლებზე მიემგზავრებოდა პიატიგორსკსა და კისლოვოდსკში, ხოლო რუსეთის ფინანსთა მინისტრის ვიტეს ჩამოსვლას ბორჯომში დასასვენებლად აგტოხტოს თვეში მოელოდნენ.

უწმინდესი სინოდი საჭიროდ მიიჩნევდა, რომ აეკრძალათ იერუსალიმიდან ჩამოსულ პირთა მიერ ხატებითა ან წმინდანთა ნაწილებით ვაჭრობა, რადგანაც სასტუმროებსა თუ დაქირავებულ ბინებში სათანადო წესითა და რიგით ვერ ინახავდნენ. და ამის მაყურებელ ქრისტიანებს წმინდა ნივთების სასოება ეკარგებოდათ.

პროვინციიდან მოსული კორესპონდენციებიც ვერ ანუგეშებდა მკითხველს. განსაკუთრებით შემაძრწუნებელი იყო ი. იანეთელის წერილი სოფელ იანეთიდან (ქუთაისის მაზრა). იანეთელი იუწყებოდა შემდეგს: ყვავილი და წითელა ისე დაერია ხალხს, რომ მუსრს ავლებსო. მგონი ოჯახი არ დარჩენილა, სადაც ერთი ბავშვი მაინც არ ემსხვერპლა, ბევრგან კი მთელი ოჯახები ამოწყდაო. ავადმყოფთა მომვლელებს სამუშაოდან მოცდენა უწევდათ და ყანები სანახევროდ დაუთესავი დარჩენილიყო. მოსალოდნელი იყო შიმშილი და უარესი გაღატაკება.

კორესპონდენტი გულისტკივილით წერდა: „ორი თვეა, რაც ეს ხალხის გამანადგურებელი სენი მძვინვარებს და მომხედავი კი არავინ არის: არც ექიმი და არც უბრალო დამრიგებელი, რომელმაც მაინც აუხსნას ხალხს, თუ ყვავილიანს როგორ მოუარონ“.

მოვლა კი საუცხოო სცოდნიათ!

გაოგნებული იანეთელი აგვიწერს ავადმყოფის ოთახში გამეფებულ ანტისანიტარიას: ოცი დღის დაგროვილი ხორაგი თავისი სუნით იქაურობას წამლავდაო. მომვლელმა დაუკრა ჩონგური და „ბატონებს“ ნანა დაუმღერაო. „საშინელი სანახავი იყო ერთის მხრით ძალზე მწუხარე დაბრმავებული ავადმყოფი და მეორეს მხრით ჩონგური და მაზედ სიმღერა“, — აღნიშნავს კორესპონდენტი. იგი ატირებულა და გარეთ გავარდნილა.

საქმე ვერც სხვაგან იყო რიგიანად.

კორესპონდენცია ქვემო მაჩხაანიდან (სიღნაღის მაზრა) გადმოგვცემდა ჩარჩვაჭართა ბასრ ბრჭყალებში ჩავარდნილი გლეხების უნუგეშო მდგომარეობას. ცხინვალში გამუდმებულ წვიმებსა და სიცივეს ახალი უბედურება დაერთო — ავაზაკთა ხუთკაციანი რაზმი ვინმე ილიკო ფუხაშვილის მეთაურობით იქაურობას იკლებდა. ახალ-სენაკსა და ჭალადიდს შორის მატარებლის მიმოსვლა შეეჩერებინათ, რადგანაც რიონი ადიდებულიყო და თექვსმეტი ვერსით წაელეკა მიდამო.

სამაგიეროდ, კულტურის დარგს არ ეთქმოდა აუგი.

სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშად გაზეთში იბეჭდებოდა „მადამ სენენ“ (მოურიდებელი ქალბატონი) — ოთხმოქმედებიანი კომედია სარდუსი და მოროსი, თარგმანი კოტე მესხიშა.

ალ. ხასანაშვილი დადებითად გამოეხმაურა მოსე ჯანაშვილის მიერ ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიის“ მე-2 წიგნის (ქართლი) გამოცემას. „სუფთად და იაფად გამოცემული ახლად

გეოგრაფია ვახუშტისა ბევრს მკითხველს მოიპოვებს“, — ასკვნიდა რეცენზენტი.

ბოლო გვერდზე — ისევ სარეკლამო განცხადებანი სიცოცხლის დამზღვევი საზოგადოებისა, აგრეთვე: დუხები „საფო“ (საუცხოოა და სასიამოვნოა) და საპონი „საფო“ (მშვენიერი სუნი აქვს და მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს).

ვატყობ, ძალიან გამიგრძელდა გაზეთის რიგითი ნომრის განხილვა, მაგრამ რიგითს როგორღა დაარქმევ, როდესაც მომავალი ხალხთა ბელადის ლექსია გამოქვეყნებული.

თავდაპირველად, როგორც ჭეშმარიტმა ქართველმა, პოეტობა სცადა. ეგებ გაგონილი ჰქონდა დოსტოევსკის პარადოქსული ფორმულა: კაცობრიობას მშვენიერება გადაარჩენსო.

ლექსს მოუსინჯა კბილი და, როგორც ვხედავთ, საკმაოდ იღბლიანად. არც ილია ჭავჭავაძე დაუბეჭდავდა პროტექციით და არც იაკობ გოგებაშვილი განიზრახავდა ქართველ ყმაწვილთათვის განკუთვნილ ცოდნის საგანძურში მიეჩინა ადგილი უცნობი ჭაბუკის უხეირო ლექსისათვის.

ბავშვობისას, ამ ლექსს რომ გვასწავლიდნენ სკოლაში, არავინ გვაფრთხილებდა, ეს პატარა ლექსი დიდი სტალინისა არისო (ისედაც ვიცოდით) და არავინ გვემუქრებოდა, ერთი სიტყვაც არ შეგეშალოთ, თორემ ციმბირი უკან დაგრჩებათო. ლექსი წითელი ფერის, მსხვილი შრიფტით არ იყო დაბეჭდილი და სხვებს როდი ჩაგრავდა თავისი გაღმერთკაცებული ავტორის წყალობით. არავითარ განსაკუთრებულ აღფრთოვანებას და საზეიმო განწყობილებას არც განვიცდიდით და არც გამოვხატავდით გაკვეთილზე ბელადის ლექსის წარმოთქმისას.

ცხონებული ხრუშჩოვის დროს, საყმაწვილო სახელმძღვანელოდან ამოიღეს ეს მშვენიერი ლექსი, რადგანაც სტალინის კალამს ეკუთვნოდა. ხრუშჩოვს, რასაკვირველია, არც ეცოდინებოდა, რომ ათასგზის წყეული სტალინის ლექსს ასწავლიდნენ ბავშვებს და საფიქრებელია, რომ „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ ადგილობრივ ინიციატივას შეეწირა. ოღონდ დააეწყდათ, რომ „რეპრესირებული“ ლექსის ავტორი გახლდათ არა გენერალისიმუსი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, არამედ — თექვსმეტი წლის სოსელო.

სტალინის ყმაწვილობის დროინდელი მეგობარი იყო სოსო ირემაშვილი. ერთად უსწავლიათ გორის სასულიერო სასწავლებელში და თბილისის სასულიერო სემინარიაშიც. იგი 1922 წელს გადაასახლეს საქართველოდან, როგორც მენშევიკი და ათი წლის შემდეგ გერმანულ ენაზე გამოსცა წიგნი „სტალინი და საქართველოს ტრაგედია“, სადაც წერს: „ჩვენ და ჩვენს მშობლებს სამშობლო და ქართული ენა ძალიან გვიყვარდა. მშობლების მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდით. რუსი მასწავლებლებისადმი ზიზღი კი იმდენად დიდი იყო, რომ

მათზე შურისძიება ერთადერთ მოთხოვნილებად გვექცა“ ხოლო ქართული ენის მოძულე მასწავლებლებზე შურისძიების წამქეზებელი და მოთავე სოსო ჯუღაშვილი ყოფილა — ერთდროულად საუკეთესო და უწესო მოწაფე.

სოსო ირემაშვილი იგონებს სტალინის შესახებ: „ მე და სოსო ხშირად ვსაუბრობდით საქართველოს ტრაგიკულ ბედზე, აღფრთოვანებული ვიყავით „ეეფხისტყაოსნით“, სოსოს იდეალი იყო ალ. ყაზბეგის ნაწარმოების „ნუნუს“ გმირი კობა. კობა დამონებული მთის ხალხის მეთაური იყო, ვინც რუსებმა თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეიპყრეს და დაატყვევეს. კობა სოსოს ცხოვრების არსად და იდეალად იქცა. მას უნდოდა მეორე „კობად“ ქცეულიყო... სახე სიამაყით და სიხარულით უბრწყინავდა, როდესაც „კობათი“ მივმართავდით“.

მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა, რამდენი ვაება იხილა ქვეყნიერებამ, რამდენი უმანკო სისხლი დაიღვარა... სტალინად გადაქცეულ სოსელოს კი, ალბათ, აღარც ახსოვდა თავისი ყრმობის დროინდელი ლექსები.

მაინც შეახსენეს მლიქვნელებმა.

რუსი კრიტიკოსი ლევ ოურუცკი იმოწმებს ცნობილ პოეტს არსენი ტარკოვსკის: 1949 წლის ერთ მშვენიერ ღამეს თურმე უცნობი სტუმრები ეწვივნენ. მაშინ სწორედ ლუბიანკის პირდაპირ ცხოვრობდა და რატომღაც იფიქრა, იქ წამაბრძანებენო. მაგრამ ავტომანქანა დიდი თეატრის მიმართულებით დაიძრა. ბუტირკის ციხეში მივდივართო, დაასკვნა პოეტმა. ეს ვარაუდიც არ გამართლდა. მანეჟს შემოუარეს და ავტომანქანა შესრიალდა... კრემლში. რომელიღაც ტალანებით, კიბეებით, აღმართ-დაღმართ ატარეს და ბოლოს შეიყვანეს კაბინეტში, სადაც ორნი იყვნენ: მალენკოვი (პორტრეტებზე ნახულს ადვილად იცნობდი) და ვიღაც მეორე — ჩაფსკვნილი და მელოტი (როგორც გამოირკვა — პოსკრებიშევი). ტარკოვსკის შესთავაზეს ქართულიდან რუსულ ენაზე ეთარგმნა იოსებ ბესარიონის ძის ყრმობის დროინდელი ლექსები — ახლოვდებოდა ბელადის დაბადების სამოცდაათი წლისთავი და მეგობრებს სურდათ, მისთვის სიურპრიზი მიერთმიათ. ტარკოვსკიმ რამდენიმე კვირა შესწირა ამ დავალებას, რამდენადაც საინტერესოს, იმდენადვე სახიფათოს. ამბავი კი ისევე მოულოდნელად დამთავრდა, როგორც დაიწყო. კელავ მშვენიერ ღამით შეიყვანეს პოეტი იმავე კაბინეტში და მალენკოვმა უთხრა შემდეგი: „ამხანაგმა სტალინმა შეიტყო ჩვენი განზრახვის შესახებ და მისთვის ჩვეული ბოლშევიკური თავმდაბლობით გვთხოვა — ხელი აგვეღო ამ საქმეზე“. მერე პორტფელები გაცვალეს. ტარკოვსკისათვის გადაცემულ პორტფელში აღმოჩნდა ჰონორარი, რომელიც საგრძნობლად აღემატებოდა პოეტის ჩვეულებრივ გასამრჯელოს.

ოურუცკი ეკითხება ტარკოვსკის, ლექსები რაზე იყო დაწერილიო.

— მთებზე, ბუნებაზეო, უთქვამს ტარკოვსკის, — ჩვეულებრივი ჭაბუკური ლექსებიო. ორუცკი ჩასციებია: სატრფიალო ლექსები თუ შეგხვდაო? მაშინღა გაოცებულა ტარკოვსკი: უცნაურია, მაგრამ არ შემხვედრიაო.

ჩემი აზრით, უცნაური ის კი არ გახლავთ, რომ სოსელოს სატრფიალო ლექსები არ შეუქმნია (ყოველ შემთხვევაში — არ დაუბეჭდავს); უცნაური სწორედ ის იქნებოდა, რომ დაეწერა.

ცარსკოე სელოს ლიცეისტად ხომ არ წარმოუდგენიათ თექვსმეტი წლის უპოვარი ქართველი ჭაბუკი, დამონებული და დაჩაგრული ქვეყნის შვილი?

სოსო ირემაშვილის მოგონებით, „სოსო ჯუღაშვილი დაწყებითი სკოლის წარჩინებით დამთავრების გამო სემინარიაში უფასოდ ჩარიცხეს. იგი უფასოდ იღებდა სამჯერად კვებას, თეთრეულს, ფეხსაცმელსა და სასწავლო ნივთებს“.

მადლობა ღმერთს, ‘ქშიერ-მწყურვალი არ ყოფილა, მაგრამ სოფელ იანეთიდან მიღებულ კორესპონდენციას ხომ წაიკითხავდა ანდა თავის პირისახეზე სამუდამოდ აღბეჭდილ ნაყვავილარს ვერა ხედავდა?

სატრფიალო ლექსები მოსთხოვეთ სამშობლოსა და მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ გულანთებულ თექვსმეტი წლის ჭაბუკს!

მაგრამ ახლა ყური ვათხოვოთ ჰარისონ სოლზბერის — გამოჩენილ ამერიკელ ჟურნალისტს, მინესოტას უნივერსიტეტის ბაკალავრს ხელოვნების დარგში, მრავალი წიგნის ავტორს რუსეთზე, პულიცერის პრემიის ლაურეატს, რომელიც 1949-1954 წლებში გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტად მუშაობდა მოსკოვში და, როგორც ჩანს, საიდანღაც ხელთ ჩავარდნია ტარკოვსკის მიერ თარგმნილი ლექსები სტალინისა.

დადგა 1953 წლის მარტი. სტალინის სიცოცხლე უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ თავისი კორესპონდენტისაგან დაჟინებით მოითხოვდა ცინცხალ ინფორმაციას მოსკოვში შექმნილი ვითარების შესახებ. სოლზბერი დაიარებოდა ქალაქში, ესაუბრებოდა ნაცნობებს, აკვირდებოდა გამვლელთა სახეებს, დაუოკებელი ინტერესით გაჰყურებდა კრემლს, სადაც უკვე ფეთქავდა დიდი ვნებათა ღელვა უნიჭო მემკვიდრეებისა — დაცარიელებული ტახტის ხელში ჩასაგდებად. და ამერიკელი ჟურნალისტი წერდა უღიმღამო და არაფრისმთქმელ რეპორტაჟს, ვინაიდან ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმალებოდა კრემლში, სადაც ამერიკელ კორესპონდენტებს არ შეესვლებოდათ.

ჰარისონ სოლზბერი გულმოდგინედ ასრულებდა გაზეთის დავალებას. „მე დავწერე სხვა ამბავიც — მოგონებანი თბილისში‘ სტუმრობაზე 1951 წელს, სტალინის ადრინდელ ლიტერატურულ კარიერაზე, მის რომანტიკულ ლექსებზე და დავიმოწმე ჩემი საყვარელი ლექსი

„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი...“

სოლზბერი განაგრძობს: „მოწყალეო უფალო, ვფიქრობდი მე, როდესაც ამ სტრიქონებს ვაკაკუნებდი საბეჭდ მანქანაზე, რა დაემართა ამ გულუბრყვილო ჭაბუკს განელილ წლებში! რა ძალამ გარდაქმნა ჯუღაშვილი სტალინად, თავისი სახელმწიფო სასაკლაოს რომ დაამსგავსა? რომელი ავსულები დაეპატრონენ ამ ქართველი ჭაბუკის სულს, შავგვრემანი სახე რომ ჰქონდა, აგზნებული თვალები და რომანტიკული განწყობილება?“

გამოჩენილი ამერიკელი ჟურნალისტი ამბობს: ჩემი საყვარელი ლექსი არისო (თითქოსდა უკეთესი არაფერი წაეკითხოს!); იგი არც კომუნისტი ყოფილა და არც საბჭოთა კავშირის „პროგრესული“ გულშემატკივარი. ობიექტური კორესპონდენტი გახლდათ საქვეყნოდ სახელგანთქმული ამერიკული გაზეთისა. „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ — ჩემი საყვარელი ლექსი არისო!

მაშ რატომღა წაართვეს ეს მშვენიერი ლექსი ქართველ ყმაწვილებს? ანდა რატომ ჩამოჰგლიჯეს თბილისის ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობის კედლიდან პატარა დაფა, სადაც ეწერა — სტალინი აქ სწავლობდაო. ეს ხომ ისტორიაა! ნუ ჩამოხსნიდნენ და შეეწორებინათ — სტალინს აქ არ უსწავლიაო. ბარემ სახლ-მუზეუმიც მიწასთან გაასწორონ გორში — აქ არ დაბადებულაო, საერთოდ ქართველი არ ყოფილაო. ბარემ ამოძირკვონ გორის ციხის ახლოს მდგარი ჭადრები, წლების მანძილზე ერთიმეორეს რომ ეკითხებოდნენ: აქ რომ ბიჭი თამაშობდა, ნეტავ ახლა სად არისო?

სხვათა მიბაძვით ვლამობთ სტალინის განქიქებას და გაცამტვერებას ათასგვარი სიცრუითა და ცილისწამებით, ანდა — ხალხის მეხსიერებიდან სამარადისოდ ამოშლას. მაგრამ თვით რუსეთში მკვლრეთით აღადგინეს სახელები მათთვის არანაკლებ ოდიოზური ფიგურებისა, ტროცკი იქნება, თუ გენერალი ვლასოვი. ჩვენ კი მაინცდამაინც იმავე რუსეთიდან ჩამოტანილი უხამსი და დასაგმობი გაკვეთილები დაგვიზუთხავს გულდასმით... ჭურს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო — გვამცნობს ქართული ანდაზა. ნუთუ მართლა ჭურებს დაევმსგავსეთ?

მკვდარი ლომი

ეს ფანტასტიკური აქცია რომ განხორციელებულიყო, ალბათ, გაუტოლდებოდა და ეგებაც დაეჩრდილა XX საუკუნის ყველაზე სახელგანთქმული სენსაციები: ატომური ბომბის აფეთქება თუ ადამიანის გასეირნება მთვარეზე, მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის ევერესტისა თუ სამხრეთ პოლუსის დაპყრობა, ჰიტლერზე უიღბლო თავდასხმა თუ პრეზიდენტ კენედის მკვლელობა, სოლჟენიცინის „არქიპელაგი გულაგი“ ანდა შესაძლებელი აღმოჩენა კიბოს მოსარჩენი წამლისა (სახელდახელოდ ჩამოვთვალე ეს სენსაციები და ვაითუ რომელიმე უფრო მნიშვნელოვანი გამომრჩა!).

1939 წლის 7 ნოემბერს, მოსკოვში, სახალხო დემონსტრაციას ჩვეულებრივად მიედინებოდა წითელ მოედანზე. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე ჩამწკრივებულიყვნენ საბჭოთა კავშირის ე. წ. „წვრილფეხა“ ბელადები — თვით უპირველესი ბელადის მეთაურობით.

დემონსტრაციის მსვლელობის იდეალური წესრიგი ანაზდად დაირღვა, რამდენიმე ახალგაზრდა გამოეყო მწყობრს, გაიჭრა მავზოლეუმისაკენ და რევოლვერებიდან სროლა აუტეხა სტალინს, ესროლეს ხელყუმბარებიც. მაგრამ მავზოლეუმის ტრიბუნაზე მდგომთაგან არავინ დაღუპულა, არავინ დაჭრილა, ფრჩხილიც არავის სტკენია, ვინაიდან ტყვიებისა და ხელყუმბარათა სროლა თავზე ხელაღებულ თავდამსხმელთა გონებას არ გასცდენია.

დიახ, ასეთი იყო ახალგაზრდათა ტერორისტული ჯგუფის ჩანაფიქრი და თუკი მიზანი მიუღწეველი დარჩებოდა, ერთ-ერთი მათგანი, ტანსაცმელს ქვეშ უხვად შემოჭდობილი ასაფეთქებელი ნივთიერებებით, რაც შეიძლება ახლოს უნდა მივარდნილიყო ტრიბუნასთან და თავი აეფეთქებინა, რათა განხორციელებულიყო ესოდენ იშვიათი გამბედაობით ჩაფიქრებული აქცია.

მაგრამ, როგორც ითქვა, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მაშინდელ დროში იარაღის შოვნა არც ისე იოლი საქმე გახლდათ და ტერორისტთა მიერ განზრახული მკვლელობა ჩაიფუშა. იარაღი ვერ იშოვეს და სტალინზე თავდასხმა გადადეს მომდევნო წლის გაზაფხულისათვის, როდესაც საპირველმაისო დემონსტრაცია გაიმართებოდა.

წარმოგიდგენიათ, რაოდენ ქიმერული წადილი ამოძრავებდათ ამ ახალგაზრდებს? დაუჯერებელიც კი არის. რა გული ერჩოდათ, რომ იმდროინდელ ვითარებაში, საყოველთაო-სახალხო ენთუზიაზმის ფონზე სრულიად საწინააღმდეგო იდეები მოსვლოდათ თავში, ესოდენ თავისუფალი აზროვნების გამოვლინებით შეემკოთ პირქუში და მა-

სობრივი ჰიპნოზის ქვეშ მოქცეული ცხოვრება.

ეგებ ის შთააგონებდათ, რომ თუ ღმერთი არ არის (ეს ხომ უკვე დაკანონებულ და ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად ითვლებოდა), მაშინ ყველაფერი დასაშვებიაო. ხელმეორედ მოკლული ღმერთი პასუხს როგორღა მოსთხოვდათ, ცოცხალ ღმერთზე ხელის აღმართვას რომ ბედავდნენ? (სადღაც წამიკითხავს, რომ აცახცახებული, ფერდაკარგული და გაოგნებული დოსტოევსკი აღშფოთებით გაჰყვიროდა, რუსეთის იმპერატორს მოსაკლავად თავს დაესხნენო).

ახლა ის წარმოიდგინეთ, რა ბედი ელოდათ ამ საბრალო ჭაბუკებს, განგებას რომ არ ჩაეშალა მათი ჩანაფიქრი. მუდამ ფხიზელი ჩეკისტებიც კი ვერ მოახერხებდნენ ეხსნათ ისინი სიკვდილისაგან. გააფთრებული დემონსტრანტები, ალბათ, ლუკმა-ლუკმად აქცევდნენ თეითეულ მათგანს.

ზემოთქმული ამბავი, არ გეგონოთ ანეკდოტი იყოს ანდა გვიან გამოღვიძებულ „გმირთა“ ლაღ ფანტაზიებში დაბადებული „მოგონება“.

ყოველივე ამას გადმოგვცემს ცნობილი რუსი ფილოსოფოსი და მწერალი ალექსანდრე ზინოვიევი, რომელიც ბრეჟნევის დროს საბჭოთა კავშირიდან გააძევეს, როგორც გამოუსწორებელი დისიდენტი და ე. წ. ანტისაბჭოთა რომანების ავტორი. ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს დასავლეთში.

გაუგებრობის თავიდან ასაცდენად უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ ზინოვიევს არავითარი ნათესაობრივ-ტომობრივი კავშირი არ გააჩნია ჩვენში გაცილებით პოპულარულ გრიგორი ზინოვიევთან (ნამდვილი გვარი - აპფელბაუმი), რომელიც ოციან წლებში ლენინურ-სტალინური პოლიტბიუროს წევრი იყო, შემდგომში ოპოზიციას ჩაუდგა სათავეში და ბოლოს კი, როგორც „ხალხის მტერი“, დახვრეტილ იქნა 1936 წელს.

რაც შეეხება ალექსანდრე ზინოვიევს, სწორედ ის გახლდათ ტერორისტული ჯგუფის უკანასკნელი იმედი, თავი რომ უნდა აეფეთქებინა მავზოლეუმის ტრიბუნასთან ერთად.

1939 წელს ჩაშლილმა ტერორისტულმა აქციამ ვეღარც მომდევნო წლის გაზაფხულზე შეისხა ფრთები. სტუდენტმა ზინოვიევმა ინსტიტუტში ჩატარებულ კრებაზე გაილაშქრა კოლექტივიზაციისა და სტალინის კულტის წინააღმდეგ. რასაკვირველია, უმალვე გარიცხეს როგორც ინსტიტუტიდან, ასევე კომკავშირიდან და ჯანმრთელობის შესამოწმებლად ფსიქიატრიულ დისპანსერში გაისტუმრეს. იქ კი უყოყმანოდ დაადასტურეს მისი ნორმალური ფსიქიკა (ცხადია, სამედიცინო თვალსაზრისით). ბუნებრივია, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ წააბრძანეს ავადსახსენებელ ლუბიანკაზე.

ალექსანდრე ზინოვიევს უკვე მაშინ სწამდა, რომ კომუნიზმი არ

სპობდა იმ უთანასწორობას, უსამართლობას, ძალმომრეობას, რასაც წინარე ფორმაციებს მიაწერდნენ. იგი მხოლოდ ფორმას უცვლიდა ჩამოთვლილ „წყლულებს“. შინსახკომის გამომძიებელმა ვერაფრით ვერ დაიჯერა, რომ ეს ყველაფერი ჩვიდმეტი წლის ყმაწვილის დამოუკიდებელი ნააზრევი იყო და გადაწყვიტა ხელთ ეგდო უწვერული პატიმრის „მასწავლებლები“. ამ მიზნით შინსახკომელები ქალაქში დაასეირნებდნენ ზინოვიევს, სადმე შემთხვევით რომ გადაჰყროდა თავის თანამზრახველებსა თუ „მოძღვრებს“. ერთხელაც ქუჩაში რაღაც არეულობა ატყდა, მეთვალყურეებმა წუთით მოადუნეს ყურადღება, ამით ისარგებლა ზინოვიევმა და თვალსა და ხელს შუა მოჩვენებასავით დაუსხლტა ხელიდან ჩეკისტებს.

იგი მთელი წელიწადი დაეხეტებოდა უზარმაზარი ქვეყნის ტერიტორიაზე. გამოცხადდა საკავშირო ძიება, რადგანაც უიშვიათესი მოვლენა იყო, რომ პატიმარი გაქცეოდა უშიშროების ორგანოებს. ზინოვიევმა კი მოიარა ციმბირი, მთელი ჩრდილოეთი, ხელთ ჰქონდა ყალბი პასპორტი და არხეინად შრომობდა სხვადასხვა მშენებლობებზე. ამასობაში დადგა 1941 წლის ივნისი, და ზინოვიევსაც ფრონტზე უკრეს თავი. ჯერ კავალერიაში მსახურობდა, მერე — სატანკო ჯარებში, ბოლოს ავიატორთა სკოლა დაამთავრა და „სტალინურ შევარდენთა“ რიგები დაამშვენა. ხან მფრინავ-გამანადგურებელი იყო, ხანაც — მფრინავ-მოიერიშე. მრავალი საბრძოლო გაფრენა ჰქონდა. ეტყობა, მტრის ერთი-ორი თვითმფრინავიც ჩამოუგდია, ვინაიდან ორდენებითა და მედლებით ტყუილუბრალოდ არავინ დააჯილდოებდა. თვითონაც რამდენჯერმე ჩამოაგდეს, მაგრამ გადაურჩა ტყვეობასაც და სიკვდილსაც.

აი ასე, ვაჟკაცურად იცავდა სამშობლოს სტალინზე დაგეგმილი თავდასხმის მონაწილე, რომელსაც თვითმკვლელობის ფასად უნდა განეხორციელებინა გაუგონარი ჩანაფიქრი.

ომის შემდეგ ზინოვიევი ერთხანს სამოქალაქო ავიაციაში მსახურობდა, მერე მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი დაამთავრა და, იმაყდროულად, თავი რომ ერჩინა (სტიპენდიის ამარა როგორ იარსებებდა!), დაუღალავად მუშაობდა ხან მტვირთავად, ხან მიწისმთხრელად, ხან მეეზოვედ.

მალე დიდ წარმატებებს მიაღწია ფილოსოფიის ასპარეზზე. მის ნაშრომებს აქვეყნებდნენ დასავლეთში, რეგულარულად იწვევდნენ საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, წარადგინეს სახელმწიფო პრემიაზე, წამოაყენეს მისი კანდიდატურა მეცნიერებათა აკადემიის წევრთა არჩევნებში, მაგრამ ბედი ჯიუტად არა სწყალობდა (როგორც ჩანს, კომპეტენტურ ორგანოებს კარგად ახსოვდათ მისი ახალგაზრდობის ცოდვები!).

და აი, ეშმაკეულმა ისევ არევ-დარევა შეიტანა ალექსანდრე ზი-

ნოვიევის სულში. სიტყვაკაზმულმა მწერლობამ გაიტაცა და ანტისაბჭოთა რომანების წერას მოჰკიდა ხელი, რათა გულახდილად გამოეთქვა თავისი გულისნადები.

„მე მსურდა პირდაპირ სიფათში გამერტყა ხელისუფლებისა და მთელი საზოგადოებისათვის, — წერს ზინოვიევი, — ჩვიდმეტი წლის უმაწვილი სტალინზე თავდასხმას ვაპირებდი, ახლა ორმოცდათოთხმეტი წლის ასაკში ჩემი თავდასხმა სხვაგვარი და უფრო სერიოზული უნდა ყოფილიყო. მე გამოვამჟღავნე ამ საზოგადოების მთელი არსი, მისი შინაგანი მექანიზმი. ეს საზოგადოება თავის ბატონ-პატრონებიანად სამასხარაოდ ავსახე".

ადამიანის აზროვნება და მრწამსი ერთ წერტილზე რომ იყინებოდეს, ამგვარი მოვლენა, ალბათ, კაცობრიობის ყველაზე დიდი უბედურება იქნებოდა. ისტორიამ იცის ათასნაირი მეტამორფოზები ცალკეული ადამიანის, საზოგადოებისა და ზოგჯერაც მთელი ქვეყნის ფიზიკურ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში. ამა თუ იმ მეტამორფოზას მომხიბლავი პერსპექტივები დაუსახავს ოცნებად, მაგრამ ვერ მიუღწევია მიზნისათვის, თუმცა ყოველი ღონე უხმარია და არც სისხლის ღვრას მორიდებია. მაგრამ დასახული მიზნის მიუღწეველობა სრულიადაც არ ნიშნავს მიზნის უაზრობას. არჩეულ გზაზე სვლისას განცდილი მარცხის გარკვეული წილი თავად ადამიანებს ეკუთვნით, ვინაიდან „ჰომო საპიენსად" წოდებული ქმნილება ჯერჯერობით სრულყოფილად ვერ ამართლებს ამ საპატიო ტიტულს. მაცხოვრის უზადო ცხოვრება და თითქოსდა საყოველთაოდ აღიარებული მისი მცნებანი, არცთუ იშვიათად, რჩება ხმად მღაღადებელისა ამქვეყნიური ჯოჯოხეთის ალით გავარვარებულ უდაბნოსა ზედა.

რაკიღა მეტამორფოზებზე ჩამოვარდა სიტყვა, სწორედ ზემოხსენებული ალექსანდრე ზინოვიევის მსოფლმხედველობა მეჩვენება ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და ლამის აუხსნელ მეტამორფოზად.

ზინოვიევი წერს: „სიყმაწვილიდანვე ანტისტალინისტი ვიყავი. სტალინის სიკვდილამდე ჩემს მთავარ საქმიანობას შეადგენდა ანტისტალინიზმის პროპაგანდა. საბჭოთა კავშირში ჯერაც ცოცხლები არიან ადამიანები, რომლებიც დამემოწმებიან და დაადასტურებენ ჩემს ნათქვამს. სტალინის სიკვდილის შემდეგ ჩემმა ანტისტალინიზმმა აზრი დაკარგა. რატომ დაკარგა? იმიტომ, რომ ყველანი დაუყოვნებლივ ანტისტალინისტებად გადაიქცნენ. მე კი აღარა ვარ ანტისტალინისტი, რადგანაც მშვენივრად მახსოვს, რომ მკვდარი ლომის ჩაწიხვლა ვირსაც კი ძალუძს. ეს ფრაზა წარმოეთქვი, როდესაც ერთი ყოფილი თავდადებული სტალინისტი დაუზოგავად თათხაედა და ამცირებდა სტალინს.

სტალინური ეპოქა, სტალინიზმი — რთული მოვლენებია. და მათს

მიმართ ადამიანური დამოკიდებულება სხვადასხვანაირი არის. არ შეიძლება ყველაფრის დაყვანა რაღაც ერთ ფორმულამდე. მე მქონდა პირადი დამოკიდებულება სტალინისადმი, ერთხანს იმ ტერორისტული ჯგუფის წევრიც კი ვიყავი, რომელიც აპირებდა მის მკვლელობას. მაგრამ ომში ჩემგან, როგორც სამხედრო მოსამსახურისაგან, რომ მოეთხოვათ — საკუთარი სიცოცხლის ფასად მეხსნა მისი სიცოცხლე, ბრძანებას უყოყმანოდ შევასრულებდი, ოღონდ სტალინის სიყვარულით როდი ჩავიდენდი ამას. არსებობს, მე ასე ვიტყოდი, კაცური დამოკიდებულება ისტორიისადმი და მიმდინარე მოვლენებისადმი. მიცვალებული არ შეიძლება ჩემი მტერი იყოს. მე შემიძლია ვებრძოლო მხოლოდ იმას, რასაც სასიკვდილო საფრთხედ მივიჩნევ, რაც მოცემულ მომენტში მართლაც მემუქრება არა მარტო მე, არამედ გარშემო მყოფ ადამიანებსაც“.

სტალინისა და სტალინური ეპოქის შეფასებას ზინოვიევი ახდენს ისტორიული და სოციოლოგიური თვალსაზრისით, უკუაგდებს ყველა თავის სიმპათია-ანტიპათიებს. მისი შეხედულებით, სტალინური ეპოქა იყო საშინელი ეპოქა, მაგრამ ამავდროულად — დიდებული ეპოქა, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე დიდებული ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში.

ალექსანდრე ზინოვიევი წერს; „სტალინი იყო ავკაცი და ა. შ., მაგრამ, ამასთან ერთად, ის იყო დიდი პოლიტიკური მოღვაწე, ჩემი აზრით — XX საუკუნის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე“.

ავტორი მოუწოდებს მკითხველს, საკუთარი თავი წარმოიდგინოს იმდროინდელ ვითარებაში და სცადოს ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრა. სხვა სხვისა ომსა ბრძენიაო, ირონიულად დასძენს იგი.

ალექსანდრე ზინოვიევის მტკიცებით, იმ ისტორიულ ვითარებაში ქვეყნის გადარჩენის სტალინური პოლიტიკა იმსახურებს არა დაძრახვას, არამედ ზოგჯერ — აღტაცებასაც კი.

ზინოვიევი წერს: „მე არ ვიწონებ სტალინს, მაგრამ მივუზღავ საკადრისს. მე არ ვიცავ სტალინს, მე ვიცავ სიმართლეს იმ ეპოქაზე, სიმართლეს სტალინიზმზე“.

ავტორი შემდეგ იხსენებს ჩინგიზ-ხანსა და პეტრე პირველს (საკმაოდ გამჭვირვალე პარალელებია!). ზინოვიევის აზრით, ლენინს რომ მეტხანს ეცოცხლა, უარესი დღე დაგვადგებოდა, რადგანაც ქვეყნის ავკარგი სტალინს ლენინზე უკეთესად გაეგებოდაო. ზინოვიევი აღნიშნავს, რომ „ადამიანური იერის სოციალიზმი“ არ არსებობს, სისულელე არისო. სტალინის ნაცვლად ტროცკი, ბუხარინი ანდა სხვა ვინმე რომ ჩასდგომოდა სათავეში ქვეყანას, უეჭველად დავიღუპებოდითო, ვინაიდან მეორე მსოფლიო ომი მაინც გარდუვალი იყო და ასევე გარდუვალი იქნებოდა საბჭოთა კავშირის დამარცხება ამ ომში.

და კიდევ ერთი ციტატა ალექსანდრე ზინოვიევის ნაწერებიდან: „მე ხაზგასმით ვამბობ, რომ ანტისტალინისტი ვიყავი და ჩემი ცხოვრების უმთავრეს მიზნად მისი მოკვლა მედო გულში, საკუთარი სიცოცხლე უნდა გამეწირა ამ მიზნის მისაღწევად. მაგრამ როგორც მეცნიერი, როგორც ადამიანი, რომელიც სამართლიანობას ელტვის, მე მოგიწოდებთ, რომ სამართლიანად შევაფასოთ წარსული“.

ალექსანდრე ზინოვიევის დასკვნით, სტალინი ყველაზე მეტად შეეფერებოდა იმდროინდელ ვითარებას და ქვეყნის წინაშე წამოჭრილ ამოცანებს.

ასე ფიქრობს დღეს ცნობილი რუსი ფილოსოფოსი და მწერალი, სიჭაბუკეში სტალინის მოკვლას რომ აპირებდა.

როდესაც დასავლეთში დაიბეჭდა ზინოვიევის რომანი „ხახადაღებული სიმაღლეები“, იგი მაშინვე გააგდეს სამსახურიდან, ჩამოართვეს ყველა სამეცნიერო ხარისხი და წოდება (სამხედრო წოდებაც კი!), ჩამოართვეს ომში სისხლით მოხვეჭილი ჯილდოებიც.

მწერალი შეუნილბავად აკრიტიკებდა ბრეჟნევს, დასცინოდა კიდეც ამგვარი გამოთქმებით: „მხედართმთავარი, რომელსაც ერთი ბრძოლაც არ მოუგია... თეორეტიკოსი, რომელსაც არაფერი აღმოუჩენია... მარაზმატიკი“ და ა. შ.

ზინოვიევი მეორედ აპირებდა თვითმკვლელობას. საბედნიეროდ, არ დაუპატიმრებიათ და სამშობლოდან გაძევება აკმარეს.

ზინოვიევი გახლავთ სიმბოლო თავისუფალი აზროვნების ნიჭით უხვად დაჯილდოებული ადამიანისა, მუდმივი დისიდენტის განსახიერება. და განა შეიძლება ნამდვილი მწერალი ხელისუფლების მეხოტბეთა რიგებში აწკრიალებდეს ჩანგს? ერნესტ ჰემინგუეი წერდა: „კარგი მწერალი არასოდეს ეტრფის იმ მთავრობას, რომლის ქვეშევრდომიც არის. ის ხმას იმაღლებს მთავრობის წინააღმდეგ, ხოლო მთავრობა თრგუნავს მას“.

„ხახადაღებული სიმაღლეები“ პირველად გამოქვეყნდა 1976 წელს, შვეიცარიაში და მას უწოდეს XX საუკუნის უპირველესი წიგნი. ზინოვიევის ნაწარმოები არაფრით არა ჰგავს ტრადიციულ რომანს. როდესაც ეკითხებიან, თქვენი წიგნი რომელ ჟანრს ეკუთვნისო, ავტორი მოკლედ პასუხობს: უბრალოდ, წიგნი არისო. „ხახადაღებულ სიმაღლეებში“ არის იდეების აღწერა და იდეების თავგადასავალი. რომანის გმირები არიან არა ადამიანები, არამედ — იდეები.

განა ბუნებრივი და გასაგები არ იქნებოდა, რომ ზინოვიევი გვეხილა იმათ მრავალრიცხოვან ბანაკში, რომლებმაც ლამის თავიანთ ხელობად აქციეს წარსულის შეცდომათა და ბოროტებათა მხილება და ყოველგვარი უკეთურების მთავარ შემოქმედად გამოაცხადეს სატანური სულის ამქვეყნიური გამოვლინება — სტალინი? კაცი იფიქრებდა, რომ სწორედ ზინოვიევი უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი გავლე-

ნიანი და უფლებამოსილი მედროშე „პიროვნების კულტის“ გმობისა. ყველაფერი ხომ ხელს უწყობდა — ბიოგრაფია, მსოფლმხედველობა, სულისკვეთება. მაგრამ ასე არ მომხდარა. ხელი შეუშალა ინტელექტის შესაშურმა დონემ, ხელი შეუშალა ჭეშმარიტების ერთგულებამ.

აკადემიკოს დიმიტრი ლიხაჩოვის გამოთქმით, ზოგიერთმა მჯღაბნელმა ჩვენი ისტორია გაღააქცია „დილეტანტიზმის პოლიგონად“. რუსულ პრესაში აღინიშნა კიდეც ზოგიერთი კურიოზი, რომელიც ბუნებრივად თან სდევს დილეტანტურ ვარჯიშებს. ფილოსოფიის რომელიღაც დოქტორს თურმე დაუწერია, რომ სტალინი უკვე 1898 წელს მენშევიკი ბრძანდებოდაო. კიდევ კარგი, გაბედეს და შეუსწორეს, რომ 1898 წელს სტალინმა, შესაძლოა, უკვე მიჰყიდა თავისი სული ეშმაკს, მაგრამ მენშევიკი ვერანაირად ვერ იქნებოდა, რადგანაც მენშევიზმისა და ბოლშევიზმის ცნებანი გაჩნდა 1903 წელს (ე. ი. ხუთი წლის შემდეგ). ამ შენიშვნის ავტორის აზრით, ეს ფაქტი დიდი ხანია ცნობილია უფროსი კლასების მოსწავლეთა და სტუდენტთა უმრავლესობისათვის. სტალინი რომ ცოცხალი ყოფილიყო, უეჭველად იხუმრებდა, რაოდენ კეთილია ეს რუსი ხალხი, „უსწავლელ სწავლულს“ ფილოსოფიის დოქტორობა რომ უწყალობაო (სტალინის ერთ-ერთი ოხუნჯობის პერიფრაზი გახლავთ).

ისტორიულ დილეტანტიზმს, ყველაზე ხშირად, აელენს ისტორიზმის პრინციპთა რღვევა.

წარსულის მოვლენათა განხილვისას და შეფასებისას მეცნიერი, რასაკვირველია, თანამედროვე ცოდნის დონეს უნდა დაეყრდნოს, მაგრამ უფლება არა აქვს, წარსულში მცხოვრები ადამიანები დღევანდელი კრიტერიუმით გაზომოს. ვგონებ, სავალდებულოა გაგება და გათვალისწინება ისტორიული ვითარებისა, ადამიანის მაშინდელი ცნობიერებისა და შესაძლებლობათა საზღვრისა, ანუ, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, ისტორიკოსი ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცაო.

როდესაც ისტორიკოსის ცხოვრება მიმდინარეობს აღწერილი მოვლენებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, ძალზე იოლია, შენს პერსონაჟებზე გაცილებით ჭკვიანი და გამჭრიახი გამოჩნდე გულუბრყვილო მკითხველის თვალში. არაფერია იმაზე უბრალო და მარტივი, ვიდრე განსჯა და განკითხვა წარსულისა დღევანდელი დღის პოზიციიდან, მით უმეტეს, რომ ეს პოზიცია ინდივიდუალური შემოქმედებითი ძალისხმევის ნაყოფი როდია, არამედ — საზოგადოებრივი განვითარების ერთობლივი სულიერ-ზნეობრივი პროდუქტი.

ამბობენ ხოლმე, სტალინი მოკვდა და სტალინიზმი ცოცხლობსო. საეჭვო დებულებაა. სტალინი მოკვდა და მასთან ერთად, ფაქტობრივად, მოკვდა მისი ხელით შექმნილი იმპერია, რომელიც ერთხანს ინერციით განაგრძობდა სვლას, ინერციით აშენებდა რაღაცას, ინერ-

ციით მღეროდა და ცეკვავდა, ინერციით ფახიფუხობდა და კვლავინდებურად აშინებდა სტალინისაგან დაშინებულ დასავლეთს.

სტალინის სიკვდილიდან განვლილი ორმოცი წლის მანძილზე კრემლის მბრძანებლის ტახტს წარმატებით ეპოტინებოდნენ და ეუფლებოდნენ კიდეც სხვადასხვა ჯურის მანეკენები. ზოგი უწმაწური იმპროვიზაციებით ართობდა მსმენელს, ზოგი დაზეპირებულ ტექსტებს აბულბულებდა. ჟესტებს და მიმიკას სესხულობდნენ, გულმკერდს ბრჭყვიალა ორდენებით ივსებდნენ და გარაჟებს — უცხოური ავტომანქანების კოლექციით. უსინათლო კატის კნუტებო, უჩემოდ რა გეშველებათ, მტერსა და მოყვარეს ერთიმეორისაგან ვერ არჩევთო, სარკასტულად ეცინებოდა ულვაშებში სტალინს და მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ ათეული წლების მანძილზე, ავად თუ კარგად, აურაცხელი ოფლითა და სისხლით ნაგები შენობა ჯერ აგურ-აგურ დაიტაცეს და ბოლოს, საძირკველიც გამოუთხარეს.

ფიქრობენ, რომ სტალინიზმი, როგორც ასეთი, არ არსებობს. აშენდა რუსეთის სახეცვლილი იმპერია, შედუღაბებული ახალი იდეოლოგიითა და მიმზიდველი ლოზუნგებით. და იმპერიას სათავეში ჩაუდგა ბრძენი და სასტიკი იმპერატორი. რა შუაშია აქ მარქსიზმ-ლენინიზმი, სტალინიზმი და სხვა „იზმები"? ისინი მხოლოდ ბუტაფორული ხმლების როლს ასრულებდნენ. ერთხანს თითქოსდა განსაზღვრავდნენ კიდეც მოვლენათა მსვლელობას, მაგრამ ესეც სანახევროდ კამუფლაჟი იყო და, ალბათ, ერთადერთი კაცი ხვდებოდა მათს ჭეშმარიტ არსსა და არსებობის საჭიროებას.

ვის ებრძვის ახლა ზინოვიევი? მოდი და ნუ გაგეცინება, რომ დღევანდელი კატაკლიზმების ფონზე მსჯელობის საგნად იქცეს სტალინის ცოდვათა და შეცდომათა განხილვა.

ზინოვიევი, როგორც ჩანს, ებრძვის არნახული შურისძიების გრანდიოზულ ლაშქრობას, რომლის მედროშეობა იკისრა „პერესტროიკის" დროინდელმა პრესამ. ზინოვიევის ამგვარი მოღვაწეობა შეიძლება მოგვაგონებდეს ნეტარხსენებული დონ-კიხოტის თავგადასაელებს, მაგრამ არა მგონია, რომ სახელოვანი ესპანელი იდალგო უარყოფით ტიპად ითვლებოდეს მსოფლიო ლიტერატურაში.

ზინოვიევის ერთ-ერთ პოპულარულ ოპონენტად უნდა ვიგულოთ ვინმე ანტონოვ-ოვსეენკო, ავტორი ყველაზე ბინძური და ცილისმწამებლური წიგნისა სტალინზე. ადვილი დასაშეებია, რომ ისინი ერთმანეთს არ იცნობენ და არც ისაა გამორიცხული, რომ ერთიმეორის ნაშრომებიც არ წაუკითხავთ.

ორიოდე სიტყვით უნდა გაგაცნოთ ანტონოვ-ოვსეენკოს სოციალური წარმომავლობა. მისი მამა ვლადიმერ ალექსანდროვიჩი (პარტიული ფსევდონიმი — „შტიკ". მომხიბლავად ჟღერს, არა?) გახლდათ გამოჩენილი საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ოქტომბრის

რევოლუციის ერთ-ერთი აქტიური წინამძღოლი (ზამთრის სასახლის აღება და დროებითი მთავრობის დაპატიმრება), სამოქალაქო ომში — სხვადასხვა ფრონტების სარდალი.

გამოჩენილი რუსი მწერალი ალექსანდრე სოლჟენიცინი თავის „არქიპელაგ გულაგში“ ხსენებულ პიროვნებას მოიხსენიებს რევოლუციისა და სამოქალაქო ომის იმ „გმირთა“ შორის, რომლებმაც, მრავალი უდანაშაულო ადამიანისაგან განსხვავებით, სამართლიანად დაიმსახურეს სიკვდილი იმ წყეულ ოცდაჩვიდმეტში, ვინაიდან ხელები თავადაც სისხლის მდინარეებით ჰქონდათ შესვრილი.

რა თქმა უნდა, ცნობილი გამოთქმის თანახმად, შვილი არ აგებს პასუხს მამის ცოდვებზე, მაგრამ წუთით წარმოვიდგინოთ, მისი მამა რომ არ ჩამხრჩვალიყო სტალინური რეპრესიების ზღვაში, მაშინ როგორ იჭიკჭიკებდა ამჟამად მამხილებლისა და მგმობელის მანტიით შემოსილი პასკვილანტი — ავტორი.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ ფუფუნებაში იზრდებოდა გამოჩენილი რევოლუციონერის ვაჟი. საპირისპირო ცხოვრებისეულ პოლუსზე კი იმყოფებოდა ალექსანდრე ზინოვიევი.

იგი დაბადებულა რუსეთის ერთ მიყრუებულ სოფელში. კოლექტივიზაციის შედეგად მისი ოჯახი ნელ-ნელა გადაბარგებულა მოსკოვში. კოშმარულ პირობებში ვცხოვრობდითო, იგონებს ზინოვიევი და გვაუწყებს საოცარ ფაქტს: „საკმარისია ითქვას, რომ ჩემს სიცოცხლეში პირველად მეღირსა ცალკე საწოლი და სამჯერადი კვება ცალკე ჭურჭლიდან მხოლოდ მაშინ, როდესაც ციხეში მოვხვდი 1939 წელს“. ხოლო მანამდეც და მერეც ირგვლივ სიცივე, შიმშილი და სიბინძურე სუფევდაო. ზინოვიევის სიტყვით, საკუთარი და სხვისი ცხოვრების აუტანელი პირობების შემყურე უკვე თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ასაკში გამხდარა ურყევი ანტისტალინისტი.

ანტონოვ-ოვსეენკოც ურყევ ანტისტალინისტთა რიგებს მიეკუთვნება. ოღონდ შეიმჩნევა ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება: ზინოვიევი სტალინის სიცოცხლეშივე იყო ანტისტალინისტი, ანტონოვ-ოვსეენკოს კი მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ აეხილა თვალები.

ზინოვიევი ყმაწვილური მიამიტობით აპირებდა პრაქტიკულად შეუძლებელი აქციის განხორციელებას. მილიონიდან, ალბათ, ერთი შანსი ექნებოდა და მისი გამართლება უქადდა მარტოოდენ სიკვდილს.

ანტონოვ-ოვსეენკო ყმაწვილი არ გახლავთ და მშვენივრად მოეხსენება, რომ „მკვდარი ლომის“ ჩაწიხლა მხოლოდ და მხოლოდ ჩინმენდლებით გაამდიდრებს. ხოლო დღევანდელი ჯილდო სრულიადაც აღარ წარმოადგენს იმ სახიფათო პატივს, მრისხანე ოცდაათიან წლებში, ერთი ფანქრის მოსმით, უპატიობად რომ გადასხვაფერდებოდა ხოლმე.

ახლა თვალი გადავავლოთ ანტონოვ-ოვსეენკოს ნაწერებს და სა-

ნიმუშოდ ერთი ფრაგმენტი დავიმოწმოთ. შესაძლოა, უტაქტობადაც კი ჩამეთვალოს ამ ბინძური ეპიზოდის ქართულ ენაზე გადმოთარგმნა, მაგრამ ის მანუგეშებს, რომ ქუჩაში გაგონილს როდი მოგახსენებთ, წიგნშია დაბეჭდილი და, რაც მთავარია, ანტონოვ-ოვსეენკოს მიერ გადმოცემული ეპიზოდის ავტორი (თუ მთქმელი) გახლავთ ქართველი კაცი. ერთი სიტყვით, ბინძური სიცრუე ქართული წყაროდან მომდინარეობს. ანტონოვ-ოვსეენკო, ცხადია, არ მალავს იმ კაცის არც სახელს, არც მამის სახელს, არც გვარსა და არც ბიოგრაფიას. მაგრამ მე დავმალავ თუნდაც იმიტომ, რომ მისი პოპულარობა ნათესავ-მეგობართა წრეს არ გასცდენია და, ამასთან, ერთად, მას შეიძლება გაუგო. აწ განსვენებული პიროვნება, რომელიც თავის დროზე მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი გამხდარა, რა თქმა უნდა, უამრავ გაჭირვებას და ვაებას გადაიტანდა და სავსებით ბუნებრივია მისი სიძულვილი იმ ადამიანისადმი, დღეს გაბატონებული შეხედულებით, სახელმწიფოს მიერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღებული ტერორის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი რომ იყო. ეს სიძულვილი იმ კაცს, ალბათ, კუბოს ფიცრამდე გაჰყვებოდა და ენა ვერ მოგიბრუნდება, რომ დასძრახო. მაგრამ სიძულვილმა, რაოდენ მძვინვარე და დაუოკებელიც არ უნდა იყოს, არ შეიძლება გაიძულოს გამოიგონო ბინძური სიცრუე და მერე ასენიზატორის ფუნქციებით აღჭურვილი ვაი-ჟურნალისტის ვეებერთელა ცისტერნაში მიუჩინო ბინა ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ანტონოვ-ოვსეენკოს სიცრუით ისედაც მდიდარ თხზულებას კიდევ ერთი „მარგალიტი“ შესძინო. ერთი სიტყვით, ცხონებული მეზღაპრის გაგება ძალზე იოლია, მაგრამ გამართლება, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდება.

ანტონოვ-ოვსეენკო წერს, რომ 1927 წელს, როდესაც სტალინი თბილისში ჩავიდა, სადგურზე დამხვედრთა შორის თვალი მოჰკრა თავის დედას და ხმამაღლა წამოიძახა: „შენც აქა ხარ, შე ბებერო ბოზო!“ (ეკატერინე ანუ კეკე გელაძე მაშინ სამოცდათორმეტი წლისა იქნებოდა).

მაგრამ ზემოთქმული მოგეჩვენებათ მოსიყვარულე შვილის უწყინარ ხუმრობად იმასთან შედარებით, რასაც კვლავ აღნიშნული ქართველი მთქმელის დამოწმებით, რომ გვიამბობს ანტონოვ-ოვსეენკო.

იმავე წლის ზაფხულში, სტალინი დედასთან ერთად კოჯორში წაუყვანიათ დასასვენებლად და მოსიყვარულე შვილს კიდევ ერთხელ გაუთახსირებია მშობელი დედა. ანტონოვ-ოვსეენკოს სიტყვით, სტალინი (დედის თანდასწრებით) ეუბნება ფილიპე მახარაძეს: „რაო, ფილიპე, შენ ისევ ხმარობ ამ ბებერ ბოზს?“ აღშფოთებულ ფილიპეს გადაუფურთხებია, სკამი გადაუყირავებია და გველნაკბენივით გავარდნილა კაბინეტიდან. მეორე ოთახი სტუმრებით ყოფილა სავსე. ფილიპეს თავი ვერ შეუკავებია და უთქვამს: „ეს სადაური გენსეკია,

ეს ხომ უზრდელი კინტოა და მეტი არაფერი!“

მაგრამ ანტონოვ-ოვსეენკო ამით არ კმაყოფილდება და ღრმააზროვნად დასძენს, რომ მხიარული კინტო, ოხუნჯი და თავნება ლაზღანდარა, ქართული ანეკდოტებისა და ვოდევილურ წარმოდგენათა გმირი ანგელოზად წარმოგვესახებათ, გვერდით რომ დაუყენოთ კობა-სტალინს (ეს საფუძვლიანი დასკვნაც, ეტყობა, ავტორის ქართველ ინფორმატორს ეკუთვნის. ანტონოვ-ოვსეენკომ აბა საიდან უნდა იცოდეს ქართველი კინტოების ასავალ-დასავალი?).

ნეტავი თუ ოდესმე სმენია ვინმეს, რომ ბატონი თავისი ყურმოჭრილი ყმის დასაცინად (თუ გასაცინებლად?) მშობელ დედას ასე ათახსირებდეს?!

ანტონოვ-ოვსეენკო თავდაჯერებით შენიშნავს, რომ სვეტლანა ალილუევას ნაამბობს იმის თაობაზე, თუ როგორ უყვარდა სტალინს თავისი დედა, არავითარი საფუძველი არ გააჩნია. რატომ არ გააჩნია? არ გააჩნიაო, მორჩა და გათავდა, რა საჭიროა არგუმენტები? ანტონოვ-ოვსეენკოს აზრით, საფუძველი გააჩნია მხოლოდ რეპრესირებული პიროვნების მიერ შეთხზულ (თუ ყურმოკრულ) ბინძურ სიცრუეს.

რადგან სვეტლანა ალილუევა ვახსენეთ, ბარემ იმასაც ნუღარ დავინდობთ. ანტონოვ-ოვსეენკო მოგვითხრობს, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას ზეიმობდნენ კრემლში. სტალინს სტუმრად ჰყავდა თორმეტი მარშალი. შეუსვამთ იქ მყოფი სვეტლანას სადღეგრძელოც. და მოსიყვარულე მამა ასე, მიმართავს თავის სახელოვან, ორდენებით მკერდმოჭედილ მხედართმთავრებს: „იცით, ახლა ვინა ხმარობს ამ კახპას?“. აწითლებულ სვეტლანას თვალის დახამხამებაში მიუტოვებია იქაურობა, სტალინს კი უხამსი სიცილი დაუდევნებია უკან.

სტალინი ამჯერად ათახსირებს თავის ერთადერთ, საყვარელ ქალიშვილს იმ მარშლების საამებლად (?!), რომლებიც, სანდო მოწმეთა ჩვენებით, მუდამ თვალებში შესციცინებდნენ ხოლმე გენერალისიმუსს. ანტონოვ-ოვსეენკო, ალბათ, ფიქრობს, რომ ომების მოყვარული სტალინი, ოღონდ თორმეტი ძლევამოსილი მარშალი გაემხიარულებინა, თავისი ქალიშვილის ღირსების შელახვასაც კი არ მოერიდებოდა. ასეთი მხეცი იყო და რას გააწყობ! თურმე 162 სანტიმეტრი სიმაღლისა ყოფილა (ჩვენ კი გიგანტი გვეგონა შენობებზე გამოფენილი ვეება პორტრეტების მიხედვით). კიდევ გნებავთ რაიმე სტალინის დასაკნინებლად? ინებეთ საუცხოო „დელიკატესები“ ანტონოვ-ოვსეენკოს სამზარეულოდან: ბავშვობაში დასახიჩრებული მარცხენა ხელი, ნაყვავილარი სახე, ჩაშავებული და დამპალი კბილები, პირიდან — მყრალი სუნი.

ეს არის ქარის წისქვილები?

ამას ხომ ისტორიაზე მიფურთხება ჰქვია.

ქმნიან პიროვნების ყალბ პორტრეტს, ჩვეულებრივ ადამიანურ გრძნო-

ბებსაც — დედისა და შვილის სიყვარულს — უკარგავენ, რომ უკანასკნელ არაკაცად დაგვიხატონ, რათა უფრო დამაჯერებელი გახადონ დანარჩენი, გაცილებით მძიმე ბრალდებანი და ოჯახური თუ ტომობრივი ანგარიშები გაუსწორონ „მკვდარ ლომს“.

დასასრულ, დავიმოწმებდი ორიოდე საოცარ ფაქტს, ერთი შეხედვით, არაფრით რომ არ უკავშირდება ანტონოვ-ოვსეენკოს ხელით აგებულ ხუხულებს, მაგრამ ეფექტური კორექტივი შეაქვს მის მონაჩმახში.

როგორც წერენ, 1953 წელს სტალინის მოულოდნელი სიკვდილით გამოწვეულმა შოკმა მოიცვა მთელი ქვეყანა და დემოგრაფთა მტკიცებით, მოსახლეობაში შობადობის შესამჩნევი დაცემა 1954 წელს, შესაძლოა, აიხსნას თავისებური რეაქციით სტალინის სიკვდილზე.

1937 წელს რეპრესირებული ევგენია გინზბურგი (დედა ცნობილი რუსი მწერლის ვასილი აქსიონოვისა) იგონებს, რომ როდესაც 1953 წლის მარტის პირველ რიცხვებში რადიოდან მოესმა ბიულეტენი სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, უჩვეულო გაკვირვებამ შეიპყრო — თურმე სტალინს ჰქონია შარდი!

ბევრი რამ ჩვენი უცოდინარობის ბრალიცაა. ასე მაგალითად, ყოველთვის ვფიქრობდით, რომ სტალინის თაოსნობით იყო აკრძალული რაიმე ინფორმაციის გამოქვეყნება საბჭოთა კავშირში მომხდარ სტიქიურ უბედურებათა და კატასტროფათა შესახებ. და მართლაც, აშხაბადის კოლოსალურ მიწისძვრაზე (1948 წ.) გაზეთებს კრინტი არ დაუძრავთ.

მაგრამ ვინ იცის, ეგებ სტალინი პატივს სცემდა ქვეყნის ტრადიციებს?

ამას მიგვანიშნებს XIX საუკუნის ფრანგი მოგზაური მარკიზ დე კიუსტინი. იგი აღწერს ნიკოლოზ პირველის დროინდელ რუსეთს და უსაზღვრო გაოცებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ ცენზურის მიერ აკრძალულია სტიქიურ უბედურებათა თუ კატასტროფათა შესახებ რაიმე ცნობის გაყონვა პრესაში.

იუგოსლავიის კომპარტიის გამოჩენილი მოღვაწე მილოვან ჯილასი, რომელიც სტალინის სიცოცხლეშივე არ ერიდებოდა მის კრიტიკას და უარყოფით დახასიათებას, დღესაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სტალინი იყო „მონსტრი“, უდიდესი ავკაცი, წარსულისა თუ მომავლის ყველა ავკაცს რომ აღემატება, მაგრამ იგივე ჯილასი მოგვიწოდებს „ვიყოთ სამართლიანნი“ სტალინისადმი. მისი მოსაზრებით, მხოლოდ ამგვარად, სტალინურად, შეიძლებოდა გადაჭრილიყო ქვეყნის წინაშე აღმართული ამოცანები, მხოლოდ ასე შეიძლებოდა ამ ქვეყნის გაძღოლა. მხოლოდ სტალინს შეეძლო მოეგვარებინა 1917 წელს დაწყებული ექსპერიმენტი. ჯილასის დასკვნით, სტალინი, უდავოდ, უნდა ჩაითვალოს თავისი დროის უბადლო სახელმწიფო მოღ-

ვაწედ.

ხედავთ, რა ხდება! თავგამოდებული მოწინააღმდეგე სტალინისა მეტყველებს ლამის მისი თავგამოდებული ადვოკატების ენით!

ანტონოვ-ოვსეენკო და ძმანი მისნი დაჟინებით გვარწმუნებენ, რომ სტალინს იუმორის გრძნობაც კი არ გააჩნდაო. თითქოსდა ესეც მის გაუგონარ ავკაცობას ასაბუთებდეს.

მაგრამ ჰქონდა ეს ოხერი იუმორის გრძნობა და რას იზამ! უამრავი მაგალითი არსებობს, ოღონდ მათი ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანდა.

ერთი ეპიზოდის გახსენება ვიკმაროთ.

მოსკოვის სამხატვრო თეატრში („მხატი") გადის მორიგი სპექტაკლი — მიხეილ ბულგაკოვის „ტურბინთა დღეები" (ძალიან მოსწონდა სტალინს). მთავრობის ლოჟაში, თავისი ამალის თანხლებით, იმყოფება სტალინი. „მხატის" სამხატვრო ხელმძღვანელი სტანისლავსკი რატომღაც უზომოდ ღელავს, თითქოსდა პირველად მოსულა თეატრში ყველაზე საპატიო სტუმარი. სტანისლავსკი იმდენად ღელავს, რომ შიშისაგან გაფითრებული ასე წარუდგენს თავს: „ალექსეევი" (ეს იყო მისი ნამდვილი გვარი. სტანისლავსკი ფსევდონიმად ჰქონდა). როგორც გადმოგვცემენ, სტალინმა დაკვირვებით (იქნებ გაკვირვებითაც) შეხედა სტანისლავსკის, ფეხზე არ წამომდგარა, ისე ჩამოართვა გამოწვდილი ხელი და პასუხად მიუგო: „ჯუღაშვილი"...

შეწყვეტილი დიალოგი

გრიგოლ რობაქიძის რომანის „ჩაკლული სულის“ პირველსავე თავში გვხვდება ერთი ეპიზოდი, რომელიც თითქოს არაფრით უკავშირდება ნაწარმოების სიუჟეტს და შემდგომ მოვლენათა დაძაბული მსვლელობის ფონზე შეიძლება მეორეხარისხოვან ეპიზოდად ჩაგვეთვალა. მაგრამ რომანის მთავარი გმირი საკმაოდ მძაფრად განიცდის მისთვის შორეულ ამბავს, ხოლო მკითხველის ცნობისმოყვარეობას ისიც აღვივებს, რომ მწერლის მიერ მოხსენიებულ პირთა ვინაობა დაშიფრულია და ამოხსნას მოითხოვს.

გავიხსენოთ ამ ეპიზოდის შინაარსი:

შესვენების შემდეგ თამაზ ენგური ბრუნდება სამსახურში და კიდევ ერთხელ გადაათვალიერებს გაზეთის ახალ ნომერს. თვალში მოხვდება ინფორმაცია, საიდანაც შეიტყობს, რომ ცნობილ მოსკოველ მწერლებს ერთი დიდი კომუნისტისთვის სამძიმრის დეპეშა გაუგზავნიათ ვაჟის გარდაცვალების გამო. ხოლო ერთ სახელგანთქმულ პოეტს, რომელიც იმხანად მოსკოვში არ ყოფილა, მოგვიანებით გაუგია კოლექტიური დეპეშის შესახებ და შემდეგი განცხადება დაუწერია: „ვუერთდები იმ გრძნობებს, რომლებიც ჩემმა ამხანაგებმა გამოხატეს. იმ დღის წინა საღამოს დიდხანს დაყინებით ვფიქრობდი №-ზე, როგორც ხელოვანი პირველად. დილით კი ცნობა წავიკითხე. ისე ვარ შეძრული, თითქოს პირადად განმეცადოს და მენახოს“.

აი, ამ განცხადებამ შეაცბუნა რომანის მთავარი გმირი, რომელიც პირადად იცნობდა სახელგანთქმულ მოსკოველ პოეტს და მის ლირიკას დიდად აფასებდა. ისიც მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ თუმცა მის პოეზიაში ჩვეული, რევოლუციური სახეები იყო შეჭრილი, ისინი უფრო სამყაროს აღსასრულის მისტიკურ წინათგრძნობას გამოხატავდნენ — კომუნისტები მას თავიანთ პოეტად არც თვლიდნენო. თამაზი გაკვირვებით აშტერდება გაზეთს და განცხადების გამომწვევი მიზეზის ძებნაში სხვადასხვა ვარაუდები უჩნდება, რომელთაც მყისვე უარყოფს, როგორც უსაფუძვლოსა და წარმოუდგენელს: იქნებ პოეტს შეეშინდა, რომ მწერალთა სიაში მისი გვარის გამოტოვება ყურადღებას მიიპყრობდა? მაგრამ ამისთვის ხომ არავინ დასჯიდაო! სურდა ესიამოვნებინა დიდი კომუნისტისათვის? მაგრამ, ვინ იცის, იქნებ უხერხულ მდგომარეობაში ჩაეგდო ჭირისუფალიო! ამით რაიმეს მიღწევა ხომ არ სურდა? მაგრამ ამგვარი ვარაუდის დაშვებაც კი შეუძლებელი იყო, ვინაიდან უმწიკვლო პიროვნებად იცნობდნენ. მაშ, რამ აიძულაო, ფიქრობს თამაზი და პასუხისთვის ვერ მიუგნია. კიდევ ერთხელ წაიკითხავს ცნობას. პოეტის სიტყვები დახვეწილი და წრფე-

ლი ეჩეენება. მაინც ეჭვის თვალით შეჰყურებს: „თამაზი უფრო ჩაფიქრდა: რაღაც უცხო ძალა იგრძნობოდა, რომელსაც შეუმჩნეველად, მაგრამ ერთიანად განემსჭვალა პოეტის არსება. რა იყო ეს უცხო, თამაზს ვერ გაეგო. ეს თვით პოეტისთვისაც არ უნდა ყოფილიყო ნათელი. უეცრად თავისი დღევანდელი დათმობა გაახსენდა: ესეც იმ უცხოს შეიცავდა. თამაზი უჩვეულოდ მოიღუშა, პირში მწარე გემო იგრძნო".

როგორც ირკვევა, ზემოხსენებულ ეპიზოდში რობაქიძეს აუსახავს ნამდვილად მომხდარი ამბავი და დადგენა იმისა, თუ სახელდობრ ვინ იმალება „დიდი კომუნისტისა" და „სახელგანთქმული პოეტის" ნიღაბქვეშ, ამოუხსნელ გამოცანას არ წარმოადგენს.

უპირველეს ყოვლისა, დავუკვირდეთ ქრონოლოგიურ მონაცემებს: „ჩაკლული სული" თარგმნილი გერმანულ ენაზე, გამოქვეყნდა 1933 წელს, ქალაქ იენაში. რომანის ზოგიერთი დეტალის გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ რობაქიძემ თავისი ნაწარმოები დაასრულა 1932 წლის მეორე ნახევარში (როგორც ცნობილია, იგი გადაიხვეწა გერმანიაში 1931 წელს).

ახლა დავიმოწმოთ იმდროინდელი დოკუმენტური მასალა, რომელიც შუქს მოჰფენს აღძრულ საკითხს.

1932 წლის 17 ნოემბერს, „ლიტერატურნაია გაზეტაში" დაიბეჭდა სტალინის მეულლის, ნადეჟდა ალილუევას ნეკროლოგი (ფოტოსურათთან ერთად) და იქვე — მოსკოველ მწერალთა სამძიმრის დეპეშა სტალინის სახელზე, ოცდაცამეტი კაცის ხელმოწერით. სამძიმარს ერთობ პოლიტიკური იერი დაჰკრავდა („... ალილუევა, რომელიც მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარდა კაცობრიობის ჩაგრულ მილიონთა განთავისუფლების საქმეს, რომელსაც თქვენ თაყვაცობთ და რომელსაც მზად ვართ შევწიროთ ჩვენი სიცოცხლე, როგორც დასტური ამ საქმის ურყევი სიცოცხლისუნარიანობისა").

მწერალთა კოლექტიური დეპეშის ქვემოთ მოთავსებული იყო ბორის პასტერნაკის განცხადება: „ვუერთდები ამხანაგთა გრძნობებს. წინა საღამოს ღრმად და დაჟინებით ვფიქრობდი სტალინზე; როგორც ხელოვანი — პირველად. დილით ცნობა წავიკითხე. ისე ვარ შეძრული, თითქოს გვერდით მყოფს განმეცადოს და მენახოს".

ამგვარად, პასტერნაკის განცხადება თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა რობაქიძის რომანში დამოწმებულ ტექსტს. სრული იდენტურობის თავიდან ასაცდენად, მწერალს საგაზეთო ცნობაში შეუცვლია გარდაცვლილის ვინაობა.

მაშასადამე, ეჭვმიუტანლად შეიძლება ითქვას, რომ რობაქიძის მიერ მოხსენიებული „დიდი კომუნისტი" გახლავთ სტალინი, ხოლო „სახელგანთქმული პოეტი" — პასტერნაკი.

მინიშნება პასტერნაკის შემოქმედების ხასიათზე, რომანის მთავა-

რი გმირის ფიქრებში რომ გვხვდება, უთუოდ, შეესაბამება სინამდვილეს. ისიც მართალია, რომ თამაზ ენგურის მიახლოებითი პროტოტიპი — თვით რობაქიძე პირადად იცნობდა პასტერნაკს. ამას გვიდასტურებს ის გარემოება, რომ 1932 წლის 30 ივლისს პასტერნაკი სწერდა პაოლო იაშვილს: „საკვირველია, რომ შარშანდელ ზაფხულს ჩემს გრძნობებში თავი იჩინა ისეთმა მხარემ, რასაც იოლად გამიგებდა კაცი, ვინც მაშინ მანდ უკვე აღარ იმყოფებოდა. ეს კაცი რობაქიძეა“ (პასტერნაკმა, ეტყობა, საქართველოში ჩამოსვლამდე გაიცნო რობაქიძე).

პასტერნაკის კეთილგანწყობას რობაქიძისადმი თვალნათლივ ამჟღავნებს მისი წერილი, ხოლო რობაქიძისას — ფრაზა რომანიდან: „პირადად იცნობდა ამ პოეტს, დიდად აფასებდა მის ლირიკას“.

აი, ასე მოხვდა პასტერნაკის სამძიმარი სტალინისადმი ქართველი მწერლის რომანში. ხოლო თვით ამბავი, რომანისგან დამოუკიდებლად, ძალზე საინტერესო ისტორიის პრელუდიად იქცა. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ პასტერნაკს, რომელიც თავის ფრიად გახმაურებულ ლექსში სარკმლიდან ეკითხებოდა ეზოში მოთამაშე ბავშვებს: ერთი მითხარით, ქვეყნად რომელი ათასწლეული დგასო, ცხოვრება მაინც ჩაითრევდა თავის დახლართულსა და არაპოეტურ ლაბირინთებში.

... 1933 წელს, ოსიპ მანდელშტამმა დაწერა ლექსი-ეპიგრამა სტალინზე, სადაც მკაფიო სახეებით იყო გადმოცემული საბჭოეთში გამეფებული შემაძრწუნებელი ატმოსფერო. ამასთან ერთად, პოეტი თავს ვერ იკავებდა, ცოტა არ იყოს, უხამსი შტრიხებისაგან „კრემლის მთიელის“ (როგორც ეძახდა სტალინს) პორტრეტის დასახატად: „მსუყე მატლივით კოტიტა თითები... მსხვილი ულვაში ტარაკანისა“.

ერთხელაც, მოსკოვის ქუჩებში სეირნობისას მანდელშტამმა ეს ლექსი წაუკითხა პასტერნაკს, რომელმაც უთხრა: „მაგას, რაც თქვენ წამიკითხეთ, არაფერი აქვს საერთო ლიტერატურასთან, პოეზიასთან. ეს ლიტერატურული ფაქტი როდია, არამედ თვითმკვლელობის აქტი, რომელსაც არ ვიწონებ და რომელშიც მონაწილეობა არ მსურს. თქვენ არაფერი წაგიკითხავთ ჩემთვის, მე არაფერი მომისმენია, და გთხოვთ, რომ აღარავის წაუკითხოთ“.

მაგრამ მანდელშტამმა ყური არ ათხოვა მეგობრულ შეგონებას, სხვადასხვა ოჯახებში სტუმრობისას კითხულობდა ეპიგრამას „კრემლის მთიელზე“ და სრულიად ბუნებრივია, რომ მისი საქციელი დიდხანს ვერ დარჩებოდა საიდუმლოებად.

1934 წლის მაისში მანდელშტამი დააპატიმრეს. მისმა მეუღლემ დაურეკა პასტერნაკს და შეევედრა, გვიშველეო. პასტერნაკმა მიმართა ბუხარინს, ხოლო ბუხარინმა წერილობით მიმართა სტალინს და ისიც შეატყობინა, პასტერნაკი ძალზე ღელავსო.

შუამდგომლობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. გამოძიების მსვლელო-

ბაში გარდატეხა მოხდა. მანდელშტამს აკმარეს სამწლიანი გადასახლება, რომელიც მალე შეუცვალეს ქალაქ ვორონეჟში გამწესებით.

ივნისის შუა რიცხვებში სტალინმა ტელეფონით დაურეკა პასტერნაკს.

არსებობს ამ საუბრის რამდენიმე ვერსია და ყოველი მათგანი ეყრდნობა თვით პასტერნაკის ნაამბობს.

მისი შინაარსი ჯერ დავიმოწმოთ იმ ტექსტის მიხედვით, რომელსაც გადმოგვცემენ ევგენი პასტერნაკი (პოეტის უფროსი ვაჟი) და ევგენია პასტერნაკი (პოეტის პირველი მეუღლე).

სტალინმა მაშინვე აუწყა პასტერნაკს, რომ მანდელშტამის საქმე გადაისინჯა და ყველაფერი რიგზე იქნებაო. მერე უთხრა, მანდელშტამს რატომ არ გამოექომაგე, მწერალთა ორგანიზაციებისათვის ან ჩემთვის უნდა მოგემართაო. დასძინა: „მე კედელზე გავიდოდი, ჩემი მეგობარი პოეტის დაპატიმრება რომ გამეგო“. პასტერნაკმა მიუგო: „მწერალთა ორგანიზაციებს, ოცდაშვიდი წლის შემდეგ, ამგვარი საქმეები აღარ ეკითხებათ. ხოლო მე რომ არ მეხლაფორთა, თქვენ არაფერი გეცოდინებოდათ“. სტალინმა ჯიქურ ჰკითხა: „მაგრამ იგი ხომ თქვენი მეგობარია?“ პასტერნაკი შეეცადა, თანამოსაუბრის გათვალისწინებით, დაეზუსტებინა მანდელშტამთან თავისი ურთიერთობის ხასიათი და თქვა: პოეტები, ქალებისა არ იყოს, ერთიმეორეზე ეჭვიანობენო. „მაგრამ იგი ხომ ოსტატია, ოსტატი“, — განაგრძობდა სტალინი. „ეგ არაფერ შუაშია“, — უპასუხა პასტერნაკმა. იგი გრძნობდა საუბრის უაზრობასა და საშიშროებას. მისთვის მთავარი იყო, რომ მანდელშტამის საქმე მოგვარდა. მაშ რაღა აზრი ჰქონდა გაჭიანურებელ გამოკითხვას? საუბრის გეზის შესაცვლელად პასტერნაკმა თქვა: „რად ვლაპარაკობთ სულ მანდელშტამზე და მანდელშტამზე? მე დიდიხანია მსურდა თქვენთან შეხვედრა, რათა სერიოზულად გვებაასა“. სტალინმა ჰკითხა: „რაზე უნდა გვებაასა?“ პასტერნაკმა მიუგო: „სიცოცხლესა და სიკვდილზე“. სტალინმა ყურმილი ჩამოკიდა.

საუბრის მოულოდნელმა შეწყვეტამ ააღელვა და შეაშინა პასტერნაკი. ანაზდად ეჭვმა გაუელვა თავში: ეგებ სტალინი ცდილობდა იმის გარკვევას, იცოდა თუ არა მან მანდელშტამის ლექსი-ეპიგრამა?

გადავხედოთ სხვა ვერსიებსაც.

მოქანდაკე ზოია მასლენიკოვას ჩანაწერის (1958 წ.) მიხედვით, სტალინს ყურმილი არ დაუგდია, „სიცოცხლესა და სიკვდილზე“ საუბრის სურვილი რომ მოისმინა, ასე მიუგო პასტერნაკს: „კეთილი. როდესაც თავისუფალი დრო მექნება, ჩემთან მოგიწვევეთ ჩაიზე და ვიბაასოთ. ნახვამდის!“ (პასტერნაკს უთქვამს, რომ სტალინი მეტყველებდა მეტისმეტად გამართული და მეტისმეტად მწიგნობრული რუსულით, ხოლო ქართული აქცენტი გაცილებით ნაკლებად იგრძნობოდა, ვიდრე შემდგომ ხანებში... საინტერესო დაკვირვებაა!).

რასაკვირველია, საუბრის ამგვარი დასასრულიც არაა გამორიცხული. ოთხი წლით ადრე, სტალინმა, ასევე ტელეფონით საუბრისას, მიხეილ ბულგაკოვს თვითონ შესთავაზა შეხვედრა (როცა მოვიცლიო) და გულთბილად დაემშვიდობა. მაგრამ პასტერნაკის აფორიაქება საუბრის უეცარ შეწყვეტას უფრო მიესადაგება და მასლენიკოვას ვერსიას ეჭვქვეშ აყენებს.

ინგლისელი მეცნიერის ესაია ბერლინის ჩანაწერში (1945 წ.) ვკითხულობთ, რომ სტალინი საუბრის დასაწყისშივე ეკითხება პასტერნაკს: იმ საღამოს თუ ესწრებოდი, სადაც მანდელშტამმა თავისი „სატირა“ წაიკითხაო? პასტერნაკი პასუხობს, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ძალზე მოხარული ვარ, რომ ეს უნდა მომხდარიყო, ჩვენ უნდა შევხვედეთ ერთმანეთს და უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე ვისაუბროთო. სტალინი: „მანდელშტამი მართლა დიდი ოსტატია?“ პასტერნაკი: „როგორც პოეტები„ ჩვენ განვსხვავდებით ერთმანეთისაგან. აღტაცებული ვარ მისი ლექსებით, მაგრამ მასთან ორგანულ ნათესაობას ვერა ვგრძნობ. თუმცა ამასაც არა აქვს მნიშვნელობა“. შემდეგ — „სიცოცხლესა და სიკვდილზე“ საუბრის სურვილი და პასუხად სტალინის სიტყვები: „მე რომ მანდელშტამის მეგობარი ვიყო, უკეთესად გამოვექომაგებოდი“. და აქაც — ყურმილის ჩამოკიდება.

სტალინთან საუბრის შემდეგ პასტერნაკი თურმე დიდხანს იყო სასოწარკვეთილი. საკუთარ თავს გაუთავებლად საყვედურობდა, რომ ვერ მოახერხა ეთქვა რაიმე საფუძვლიანი მანდელშტამის ხვედრის შესამსუბუქებლად და თანაც, უადგილო ფამილარობით გააჯავრა ბელადი. მაგრამ ანა ახმატოვა და ნადეჟდა მანდელშტამი თვლიდნენ, რომ პასტერნაკმა ესოდენ რთული გამოცდა ჩააბარა „ოთხიანზე“. მანდელშტამის მეუღლის სიტყვით, პასტერნაკი ელაპარაკა სტალინს ისევე გულწრფელად და უშუალოდ, როგორც ჩვეულებრივ ნაცნობს და ასეთი ქცევა საქმეს სასიკეთოდ წაადგაო. ამ უჩვეულო და მოულოდნელ დიალოგში პასტერნაკმა მართლაც არ უღალატა თავის ბუნებას. საჭირო იყო ლაკონიური პასუხები (როგორც დაკითხვაზე!), იგი კი მსჯელობდა, როგორც ლიტერატურულ დისპუტზე, მანდელშტამის პოეზიის თავისებურებათა შესახებ.

ის სათქმელი, რაც ვერ მოასწრო თუ ვერ ჩამოაყალიბა ექსპრომტად, როგორც ჩანს, შემდგომში იქნა ხორცშესხმული და პოეტის მეხსიერებაში შეერწყა საუბრის ტექსტს. ასე მაგალითად, მასლენიკოვას ჩანაწერის თანახმად, სტალინის საყვედურზე — მანდელშტამს რატომ არ გამოექომაგეო, პასტერნაკს შემდეგი პასუხი გაუცია:

„რას ბრძანებთ, იოსიფ ვისარიონოვიჩ! თქვენ რომ მირეკავთ, ალბათ, იმით არის გამოწვეული, რომ ჩარევა გთხოვეთ და კვლავაც გთხოვთ. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთვისაც ასევე მძიმეა, რო-

დესაც ამგვარი ამბები ხდება და თქვენ ხელიდან არ უშვებთ შესაძლებლობას — გამოასწოროთ ბოროტება. მაგრამ თუკი ჩემგან გნებავთ დარწმუნება, რომ მანდელშტამი ნამდვილად საბჭოთა ადამიანია, მე თქვენ გარწმუნებთ ამაში“ (ეს უკანასკნელი სიტყვები პასტერნაკს, ეტყობა, სინამდვილეში არ უთქვამს, თორემ საქმე უეჭველად წაუხდებოდა, ვინაიდან სტალინს არწმუნებდა. — სტალინზე ეპიგრამის ავტორი ნამდვილად საბჭოთა ადამიანი არისო! პასტერნაკის ამგვარი მტკიცება გაცილებით წამგებიანი იქნებოდა, ვიდრე მისი კანონზომიერი დაბნეულობა თუ ჩვეული უშუალობა — სწორედ ის, რაც მოუწონეს ახმატოვამ და მანდელშტამებმა).

ამერიკელი მკვლევარი ლაზარ ფლეიშმანი, ვგონებ, ყველაზე დამაჯერებლად ხსნის კრემლიდან დარეკვის იდუმალ არსსა და მიზანს. მისი დასკვნით, სტალინის დიალოგი გამოჩენილ საბჭოთა პოეტთან ნიშნავდა უდავო ნდობისა და სიმპათიის გამოვლინებას; ამასთან ერთად, ადასტურებდა გაერცელებულ ხმებს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ლიბერალური გეზის დამკვიდრების პერსპექტივაზე.

მოყვასის სიყვარული, დაჩაგრული ადამიანის გამოსარჩლება, მორალური მხარდაჭერა თუ მატერიალური შემწეობა აბსტრაქტულ ცნებებს არ წარმოადგენდა პასტერნაკისათვის. მისი კეთილშობილება მარტო ლექსებში როდი ჟღერდა, იმდროინდელი რთული ცხოვრების ყოველდღიურობაშიც ვლინდებოდა, რასაც მუდამ ახლდა გარკვეული რისკი.

1935 წლის შემოდგომაზე მოსკოვში ჩასულმა ახმატოვამ ამცნო პასტერნაკს, რომ დააპატიმრეს მისი ქმარი და ვაჟიშვილი. პასტერნაკმა დაუყოვნებლივ მიაწვდინა სტალინს წერილი, რომელშიც ორიოდე სიტყვით აღწერდა ახმატოვას მოკრძალებულ ცხოვრებას: „იგი არასოდეს უჩივის თავის ბედს, თავის მდგომარეობას. არავისთვის არაფერი უთხოვია, მაგრამ ახლა საშინელ დღეშია“.

მეორე დღეს ახმატოვას ქმარ-შვილი გაათავისუფლეს.

ამ მოგონების ავტორი, ახმატოვას მეგობარი ემა გერშტეინი წერდა: „პასტერნაკის კეთილშობილური ჩარევა ახმატოვას ბედ-იღბალში თითქმის არავის სმენია“.

ცოტა ხნის შემდეგ, პასტერნაკს სტალინისათვის გაუგზავნია მოსკოვში გამოცემული წიგნი „ქართველი ლირიკოსები“ (1935 წ.), რომელიც შეიცავდა პასტერნაკის მიერ თარგმნილ ქართველ პოეტთა ლექსებს; მათ შორის იყო პაოლო იაშვილის ლექსი „სტალინი“ და ნიკოლო მიწიშვილის ლექსი ამავე სათაურით (პასტერნაკს რატომღაც არ უთარგმნია ტიციან ტაბიძის „სტალინი“, დათარიღებული 1926 წლით).

წიგნს ახლდა პასტერნაკის წერილი სტალინის სახელზე (ინახება სტალინის პირად არქივში), სადაც ეკითხულობთ შემდეგს:

„ძვირფასო იოსიფ ვისარიონოვიჩ!

მაწვალებს იმის განცდა, რომ არ ავყევი ჩემს თავდაპირველ წადილს და მადლობაც არ გადაგიხადეთ ახმატოვას ახლობლების სასწაულებრივი, ელვისებური სისწრაფით განთავისუფლების გამო; მაგრამ მომერიდა ხელმეორედ თქვენი შეწუხება და გადავწყვიტე, სულში ჩამემალა თქვენდამი მხურვალე მადლიერების გრძნობა; მჯეროდა, რომ სულ ერთია, რაღაც შეუცნობელი გზით, იგი თქვენამდე მოაღწევდა.

და კიდევ ერთი მძიმე განცდა დამეუფლა — თავდაპირველად მოგწერეთ ჩემებურად, წიაღსვლებითა და უხვსიტყვაობით, ვემორჩილებოდი რაღაც იდუმალს, ყველასთვის გასაგებისა და ყველასგან გაზიარებულის გარდა რომ მიზიდავს თქვენკენ. მაგრამ მირჩიეს წერილის შემოკლება და გაუბრალოება, და დამრჩა საშინელი შეგრძნება, თითქოს გამოგიგზავნეთ რაღაც სხვისი, უცხო.

დიდიხანია ვოცნებობდი, მომერთმია თქვენთვის მოკრძალებული ნაყოფი ჩემი შრომისა, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად უფერულია, რომ ოცნება, ჩანს, არასოდეს ამისრულდება. ეგებ მეტი გამბედაობაა საჭირო, რომ ბევრი ფიქრის გარეშე, მაშინვე განახორციელო განზრახვა?

„ქართველი ლირიკოსები“ სუსტი და არადამოუკიდებელი ნამუშევარია, რომლის ღირსება და დამსახურება მთლიანად ეკუთვნით თვით ავტორებს, მნიშვნელოვანწილად, შესანიშნავ პოეტებს. ვაჟა-ფშაველას თარგმნისას შეგნებულად გადავუხვიე დედნისეული ფორმის ერთგულებას გარკვეული მოსაზრებებით, რითაც ვერ ვბედავ თავი შეგაწყინოთ. მსურდა, რომ უფრო ლაღად გადმომეცა თავისი მშვენიერებითა და აზრით უძირო, გრგვინვანაირი სული დედნისა.

დასასრულ, მხურვალე მადლობას მოგახსენებთ მაიაკოვსკიზე ამასწინანდელი თქვენი ნათქვამის გამო, ჩემს საკუთარ გრძნობებს რომ ეხმიანება. მე მიყვარდა იგი და ამაზე მთელი წიგნი დავწერე. თქვენი სიტყვები კი უნებლიე მხსნელად მომევლინა, რადგანაც ამ ბოლო ხანებში, დასავლეთის გავლენით, ჩემს სახელს საშინლად ბერავდნენ, აზვიადებდნენ (ამის გამო ავადაც კი გავხდი). ეჩვენებოდათ, რომ წარმოვადგენ სერიოზულ მხატვრულ ძალას, მაგრამ ეს ეჭვი გაქარწყლდა მას შემდეგ, რაც მაიაკოვსკი თქვენ პირველ ადგილზე დააყენეთ. და ახლა გულდამშვიდებით შემიძლია ვიცხოვრო და ვიმუშაო წინანდებურად, მოკრძალებულ სიწყნარეში, მოულოდნელობათა და იდუმალებათა თანხლებით, და უამისოდ კი სიცოცხლე არ მეყვარებოდა.

ამ იდუმალების სახელით
მხურვალედ თქვენი მოსიყვარულე და თქვენი ერთგული
ბ. პასტერნაკი“

ეს წერილი ერთადერთ განმარტებას მოითხოვს — მაიაკოვსკისთან დაკავშირებით. იგულისხმება სტალინის სიტყვები, წარმოთქმული 1935 წლის დეკემბერში („მაიაკოვსკი იყო და რჩება საბჭოთა ეპოქის უნიჭიერეს პოეტად").

... 1936 წლის პირველ იანვარს, გაზეთ „იზვესტიას" ფურცლებზე გამოქვეყნდა პასტერნაკის ორი ლექსი (ოთხწლიანი დუმილის შემდეგ!). განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „ხელოვანი", სადაც პოეტი, ვისი ალალმართლობა არავის აეჭვებდა, საოცარ პარალელს ავლებდა. ლექსის პირველი ნაწილი ეხებოდა თავად პოეტს, ხოლო მეორე ნაწილი — სტალინს. (იმავე წელს, ლექსი დაიბეჭდა აგრეთვე ჟურნალ „ზნამიას" მეოთხე ნომერში, ქართულ მოტივებზე შექმნილი სამი ლექსის გვერდით, რომლებიც ეძღვნებოდა გიორგი ლეონიძეს).

პასტერნაკი გადმოგვცემს შემოქმედებითი ეჭვით შეპყრობილი პოეტის განცდებს. ეამება მისი „ჭირვეული ზნე". მყვირალა ფრაზებს გადაჩვეული ემალება ცნობისმოყვარეთა მზერას და ერცხვინება საკუთარი წიგნები... ვისთან გაუმართავს პოეტს ჭიდილი? მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავთან.

პასტერნაკის ლექსის ნაცვლად მკითხველისათვის პწკარედის წარდგენა, რა თქმა უნდა, უხერხულია, მაგრამ დედნის ენაზე სჯობს დავიმოწმოთ ლექსის მეორე ნაწილი, რომელიც 1936 წლის შემდეგ აღარსად გაჭაჭანებულა და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ვფიქრობ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა, ფაქტიურად, გაუქმებულ სტროფებს:

"А в те же дни на расстояньи,
За древней каменной стеной
Живет не человек, -дьянье:
Поступок ростом с шар земной.
Судьба дала ему уделом
Предшествующего пробел.
Он - то, что снилось самым смелым,
но до него никто не смел".

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პასტერნაკის სამძიმარმა უზომოდ გააოცა რობაქიძე. მაგრამ სამძიმარი რა მოსატანია ამ ლექსთან, ხოტბას რომ ასხამდა სტალინს, რომელიც რობაქიძეს თავშეუკავებელი სიძულვილით ჰყავს დახატული „ჩაკლული სულის" ფურცლებზე. ემიგრანტ ქართველ მწერალს თუკი ხელთ ჩაუვარდა პასტერნაკის „ხელოვანი", ამჯერად გაოცებაზე მეტად, ალბათ, აღშფოთება შეიპყრობდა და ვინ იცის, ეგებ ძველი კეთილგანწყობაც აღმოეფხვრა გულიდან.

მართლაც ძნელია თვალს დაუჯერო, როდესაც კითხულობ პასტერნაკის სტრიქონებს სტალინზე! თუმცა, ერთი რამ თამამად შეიძლება

ითქვას. ლექსს დიდოსტატის ბეჭედი აზის და მკაფიოდ გამოირჩევა ტრადიციული დითირამბების კონვეიერში. გავყვეთ მომდევნოსტროფებს:

"В собраньи сказок и реликвий
Кремлем плывущих над Москвой,
Столетья так к нему привыкли,
Как к бою башни часовой.
И этим гением поступка
Так поглощен другой, поэт,
Что тяжелеет, словно губка,
Любою из его примет".

რაოდენ აუხსნელიც გვეჩვენება დღეს პასტერნაკის აღტაცება, როდესაც გვიმუღავნებს: ამ სიმარჯვის გენიოსმა ისე გაიტაცა პოეტი, რომ მის ყოველ ნიშან-თვისებას ღრუბელივით შეიწოვსო, ალბათ, ამდენადვე ბუნებრივად აღიქვამდნენ ამგვარ განწყობილებას იმდროინდელ საბჭოეთში.

ლექსის ბოლო სტროფში ვკითხულობთ, რომ მიუხედავად პოეტის კნინობისა ამ ორხმიან ფუგაში, მას სჯერა — უკიდურესად დაშორებული ორი საწყისი მშვენივრად იცნობს ერთიმეორეს:

"Как в этой двухголосой фуге
Он сам ни бесконечно мал,
Он верит в знанье друг о друге
Предельно крайних двух начал".

ლექსი დაიწერა „იზვესტიას" რედაქტორის ბუხარინის თხოვნით. ფლეიშმანი აღნიშნავს, რომ პოეტური ნაწარმოებნი სტალინზე უკვე გამოჩნდა იმ ხანებში, მაგრამ ეს იყო თარგმანები აღმოსავლური ენებიდან; აშუღთა და აკინთა ოდები, შექმნილი აღმოსავლეთის პოეტური ტრადიციების მიხედვით, არ აკმაყოფილებდა ბუხარინს, რომელიც პოლიტიკური ასპარეზიდან გაძევების შემდეგ საკავშირო კულტურტრეგერის როლს თამაშობდა. მისი თაოსნობა მიზნად ისახავდა, რომ აღმოსავლური მაღალფარდოვნებისა და ჭრელფეროვნებისათვის დაეპირისპირებინა კულტურული, თავშეკავებული, ჭეშმარიტად პოეტური ფორმა ბელადთან საუბრისა. პასტერნაკის ჩართვა სტალინის ჰიმნოგრაფიაში მკვეთრად ცვლიდა ახალწარმოქმნილი ჟანრის კულტურულ სტატუსსა და რეზონანსს. ერთი მხრივ, დახვეწილ გეზს აძლევდა და, მეორე მხრივ, საექსპორტო რეკლამადაც გამოდგებოდა, ვინაიდან საბჭოთა პოეტთაგან დასავლეთში უველაზე მეტად, მაიაკოვსკისთან ერთად, სწორედ პასტერნაკი იყო პოპულარული.

ფლეიშმანის აზრით, ზემოხსენებულ ლექსში ხაზგასმა ბელადის ადამიანური ბუნებისა დაუპირისპირდა აღმოსავლური პოეზიის გავრცელებულ შტამპებს, სადაც სუფევდა ზეადამიანური, სოლარულ-ღვთაებრივი ბუნების ატრიბუტები. ჯამბულისა თუ სულეიმან სტალ-

სკის ოდებთან შედარებისას პასტერნაკის ლექსის უპირატესობა ცხადზე ცხადია, მაგრამ ფლეიშმანის მოსაზრება მაინც უდავო არ უნდა იყოს. ეგონებ, პასტერნაკის ლექსიც ყარაა დაზღვეული ტრადიციული ხოტბის კანონთაგან. როდესაც ვკითხულობთ, რომ ძველი, ქვის კედლის მიღმა (ე. ი. კრემლში) ადამიანი როდი ცხოვრობს, არამედ საქმე, დედამიწის ხელა სიმარჯვე და საუკუნეები მიეჩვივნენ მას, როგორც გუშაგი — კრემლის საათის რეკვას, ანდა როდესაც პოეტი გვარწმუნებს: იგი ისაა, რაც ყველაზე მამაცთ დასიზმრებიათო, ძნელია დაიჯერო, რომ აქ ბელადის ადამიანური ბუნება არის ხაზგასმული. სხვას რომ თავი დავანებოთ, საუკუნეებს არასოდეს სჩვევიათ გაშინაურება უბრალო მოკვდავთან.

ამრიგად, თანამედროვე რუსულ პოეზიაში „სტალინიანას" სათავე დაუდო იმავე რუსული პოეზიის „სინდისად" წოდებულმა პასტერნაკმა. დიახ, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ იგი ითვლებოდა პოეტად, ვისი ცხოვრებისეული თუ შემოქმედებითი სიწრფელე საქვეყნოდ იყო აღიარებული („უმწიკვლო პიროვნება", როგორც მოიხსენიებს რობაქიძე). ამიტომაც საბედისწეროდ მიაჩნიათ პასტერნაკის ლექსის ზეგავლენა ლიტერატურულ პროცესზე. სხვათა შორის, ფიქრობენ, რომ სწორედ ამ ლექსმა უბიძგა ბულგაკოვს შეექმნა პიესა სტალინზე („ბათუმი").

1984 წელს ფლეიშმანი შენიშნავდა, რომ ამჟამად ზოგიერთი მკითხველი თუ კრიტიკოსი პასტერნაკს დანაშაულად უთვლის სტალინზე დაწერილ ლექსს, რომელშიც პოეტი თანაუგრძნობდა საბჭოთა სინამდვილეს და უგალობდა სტალინს. დასახელებულ ლექსში ხედავენ ორპირობას, გამცემლობას, მორალურ დაცემას, სერვილიზმს და ა. შ.

როგორც ჩანს, პასტერნაკმა ერთგვარად განჭვრიტა მომავალი გაკიცხვა. ზემოხსენებული ინგლისელი მეცნიერის სიტყვით, პასტერნაკს საშინლად ეშინოდა, რომ დასწამებდნენ პარტიისა თუ სახელმწიფოს მოთხოვნებისადმი შემგუებლობას, რომ თუნდაც მისი გადარჩენის ფაქტს ახსნიდნენ მისივე უღირსი ცდებით — ეამებინა ხელისუფლებისათვის, რეპრესიებისაგან თავის დასახსნელად დაეშვა რაიმე სულმდაბალი გარიგება საკუთარ ღირსებასა და სინდისთან. თურმე პასტერნაკი ხშირად უბრუნდებოდა ამ თემას და ხარჯავდა „სიტყვების უაზრო სიმრავლეს" თავისი სიმართლის დასამტკიცებლად. მემუარისტი დასძენს, რომ პასტერნაკის ნაცნობთაგან გულშიც არავის გაუვლია ამგვარი საყვედური.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არც ყოფილა არ ორპირობა და არც მორალური დაცემა. იყო გულწრფელი ლექსი თავისი გულწრფელობით საყოველთაოდ ცნობილი პოეტისა.

ოლგა ივინსკაიას ჩანაწერის მიხედვით, 1956 წელს პასტერნაკს უთქვამს, რომ მისი ლექსი სტალინზე იყო „გულწრფელი, ერთი

უძლიერესთაგანი (უკანასკნელი იმ პერიოდში) ცდა, მეცხოვრა დროჟამის ფიქრებით და ხმა შემეწყო მისთვის".

1935 წლის მიწურული, როდესაც დაიწერა „ხელოვანი", აღინიშნება საბჭოთა სინამდვილეში მომხდარი თვალსაჩინო ცვლილებებით. მთლიანად გაუქმდა სასურსათო პროდუქტების განაწილების საბარათო სისტემა (შემოღებული 1929 წელს) და ადრინდელი სოციალური შეზღუდვები, დაკავშირებული არაპროლეტარულ წარმოშობასთან; გამოცხადდა კაზაკობის რეაბილიტაცია; აღდგენილ იქნა ახალი წლის დღესასწაული (აკრძალული 1929 წლიდან, როგორც რელიგიური ცრურწმენა) და ნებადართულ იქნა მისი განუყრელი ატრიბუტი — საახალწლო ნაძვის ხე; „რეაბილიტაცია" დაიმსახურეს აგრეთვე ყვავილებმა, ფოქსტროტმა და ტანგომ. ქალაქებში იხსნებოდა კულტურისა და დასვენების პარკები. ამ წვრილმან თუ მსხვილმან ფაქტებს მოჰ ქონდათ იმედი მოახლოებული დემოკრატიზაციისა. დასავლეთის პრესაში წერდნენ, რომ მომავალი საბჭოთა კონსტიტუცია დააკანონებდა ევროპული ნიმუშის საპარლამენტო სისტემის ჩამოყალიბებას. მართალია, მომხიბლავ ილუზიებს ძალზე მალე გაეთხარათ სამარე, მაგრამ იმედი ერთხანს სძლევდა გონებას ხმას და თავის მოტყუების ბურანში ახვევდა ადამიანებს.

ასეთი იყო დროის კონტექსტი და პასტერნაკის ზემოთ განხილული ლექსის მისგან ამოგლეჯა გაუმართლებელი იქნებოდა.

როდესაც მანდელშტამსა და ახმატოვას შეეწია მისი შუამდგომლობა, შეუძლებელია არ გასჩენოდა მადლიერების გრძნობა. დღევანდელი გადასახედიდან გულუბრყვილობად გვეჩვენება, მაგრამ თანამედროვეთა მოწმობით, ასეთი სურათი იყო მაშინ: ბოროტება მიეწერებოდათ იაგოდა-ეყოვ-ბერიას, ხოლო სიკეთე — სტალინს. ილია ერენბურგის სიტყვით, 1937 წლის დამლეგს, პასტერნაკი ქუჩაში ღამით გაიძახოდა: „აი, ვინმემ ყველაფერი რომ უამბოს სტალინს!"; საზოგადოების გარკვეული ნაწილის მსგავსად, ჩანს, მასაც სჯეროდა სტალინის უდანაშაულობა ე. წ. „დიდ ტერორში".

ოცი წლის შემდეგ პასტერნაკი დაწერს, რომ იმ ხანებში, როდესაც მაიაკოვსკი ჯერ კიდევ არ გაეღმერთებინათ, მას თავს ევლებოდნენ და ანებივრებდნენ. 1935 წელს, სტალინის პირადი ბრძანებით, პასტერნაკი წარგზავნეს პარიზში, მწერალთა საერთაშორისო კონგრესზე. რაგინდ სისაძაგლე ან მონაჩმახი რომ მეთქვა და დამეწერა, ყველაფერს მიბეჭდავდნენო. „უსაშველოდ უბედური ვიყავი და ვიღუპებოდი, როგორც ზღაპარში — ბოროტი სულის მიერ მოჯადოებული". პოეტს ეწადა, სუფთა ხერხებითა და გულწრფელად გაეკეთებინა რაღაც იმ გარემოცვის სადიდებლად, რომელიც ელოლიაევებოდა მას. ამასთან ერთად, პასტერნაკი მტკივნეულად განიცდიდა მოარულ შეხედულებას, ვითომდა იგი მოწყვეტილი იყო ცხოვრებას, ხალხს. ავი

ენები უწოდებდნენ „საბჭოთა პოეზიის კუტკალიას... ქედმაღალ .განდეგილს... გენიალურ მოაგარაკეს“, და თითქოს პასუხად, პასტერნაკი ლამობდა — „ხუთწლედით გაზომილიყო“, და ამტკიცებდა: განა ჩემთვის ასი ათასთა ბედნიერება უფრო ახლობელი არაა, ვიდრე ფუჭი ბედნიერება ასისაო?

მხოლოდ რჩეულთა კუთვნილებად განწირული პოეტი ოცნებობდა, რომ თავისი შემოქმედება მიეტანა მკითხველთა ფართო მასებამდე.

აი, ასე გამოიყურება რაციონალური ახსნა-განმარტება იმ იმპულსებისა, რომელთაც შთააგონეს პასტერნაკს ლექსი სტალინზე. მაგრამ ამგვარ ინტერპრეტაციას გაუბრალოების ელფერი დაჰკრავს და სიმართლის მარტო ერთ ნაწილს შეიცავს. არაა გამორიცხული ირაციონალური ზემოქმედება პოეტზე. თუ რობაქიძეს დავესესხებით სათქმელს, უნდა დავასკვნათ, რომ „უცხო ძალას“, დემონურ ძალას ერთიანად განემსჭვალა პოეტის არსება და ამ უცხო ძალის იდუმალ არსს თვითონაც ვერა ხვდებოდა.

სტალინთან ტელეფონით საუბრის შემდეგ, ჩრავალი წლის მანძილზე, პასტერნაკს, თურმე „ავადმყოფურად“ აინტერესებდა კულტად ქცეული პიროვნება, ვისაც მიიჩნევდა „მსოფლიო-ისტორიული ენერგიის“ განსახიერებად.

ზემოხსენებული ბერლინის გადმოცემით, პასტერნაკი თვლიდა, რომ ბევრი რამ აქვს სათქმელი რუსეთის მმართველთათვის, რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მხოლოდ მას ხელეწიფება ამგვარი მისია. ბერლინი წერს, პასტერნაკი ხშირად იმეორებდა ამ სიტყვებს, მაგრამ სახელდობრ რას გულისხმობდა, ჩემთვის ბუნდოვანი და გაუგებარი დარჩაო.

არ ასვენებდა წყურვილი შეწყვეტილი დიალოგის განახლებისა? ეტყობა, არ ასვენებდა, გულითადი ბარათი მისწერა, მშვენიერი ლექსი მიუძღვნა და ჯერჯერობით დიალოგის ნაცვლად მაინც მიმდინარეობდა მხოლოდ მონოლოგი.

ნეტავი რას ეტყოდა პასტერნაკი „რუსეთის მმართველებს?“

ეგებ იმას, რომ ერთ ადამიანს არ შეიძლება მივანიჭოთ შეუზღუდავი უფლება სხვა ადამიანთა სიცოცხლესა და სიკვდილზე; ეგებ იმას, რომ პიროვნების თავისუფლება იმდენად დიდი საუნჯეა, რომ დღენიადაგ, სულმოუთქმელად უნდა იბრძოლო მის მოსაპოვებლად და დასამკვიდრებლად; ეგებ იმას, რომ იგი, მაიაკოვსკის დარად, მხარს უჭერდა ახალი სამყაროს შექმნას, მაგრამ ძველი სამყარო, მისთვის წარმოადგენდა უზარმაზარ სულიერ სამშობლოს...

მაგრამ დიალოგს სტალინთან არ ეწერა განხორციელება. პასტერნაკის წერილსა თუ ლექსზე პასუხად მხოლოდ დუმილი ისმოდა კრემლიდან. ბელადმა არ ინება შეწყვეტილი დიალოგის გაგრძელება პოეტთან.

მასლენიკოვას ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ პასტერნაკი ლაპარაკობდა სტალინთან დაკავშირებულ ჰიპნოზზე („უცხო ძალა?") და გულახდილად აღიარა, მის ზემოქმედებას ვერც მე ავცდიო. შემდეგ უამბია, თუ რაოდენ მძიმედ განიცადა სტალინის სიკვდილი.

ახლა ბუნებრივია, ისიც ვიკითხოთ: რას ფიქრობდა სტალინი პასტერნაკზე. ანუ რამდენად გასაგები იყო მისთვის ის პოეზია, რომელიც აბნეულდა ლიტერატურის იმდროინდელ აღიარებულ ექსპერტებს: გორკის, ლუნაჩარსკის, ტროცკის... ოცდაათიან წლებში ჯერ კიდევ შორს იყო ის „გაუგონარი უბრალოება", მსგავსი მწვალებლობისა, რასაც უკვე ელტვოდა პოეტი და რასაც მიაღწია თავისი შემოქმედების ბოლო ეტაპზე. მაგრამ თუ ვენდობით კონსტანტინე სიმონოვისა ან ანდრეი სინიავსკის დასაბუთებულ მტკიცებას სტალინის სათანადო ლიტერატურული გემოვნების შესახებ, აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მას ღირსეულად დაეფასებინა პასტერნაკის პოეზია.

მაგრამ შეწყვეტილი დიალოგი მაინც - აღარ განახლებულა. როგორც ჩანს, ქვეყნის მბრძანებელს არაფრად ეპიტნავებოდა ფილოსოფიური ბაასი პოეტთან „სიცოცხლესა და სიკვდილზე".

პასტერნაკიც მალე გამოფხიზლდა „უცხო ძალის" ტყვეობიდან. ოცი წლის შემდეგ გაიხსენებს: „სწორედ 36-ში, როდესაც დაიწყო ეს საზარელი პროცესები — ნაცვლად სისასტიკის შეწყვეტისა, როგორც 35-ში გვეგონა, ყველაფერი დაიმსხვრა ჩემს სულში და ერთიანობა ჟამთან გადაიქცა მისდამი წინააღმდეგობად, რასაც არასოდეს ვმალავდი".

1936 წლის შემოდგომიდან პრესაში შესამჩნევად უარესდება დამოკიდებულება პასტერნაკის მიმართ...

1937 წელს, როდესაც პასტერნაკმა ხელი არ მოაწერა მწერალთა განცხადებას, სადაც ისინი გმობდნენ „ხალხის მტრების" რომელიღაც ჯგუფს და იწონებდნენ ულმობელ განაჩენს, ეს უპრეცედენტო ფაქტი მყისვე მოახსენეს სტალინს.

გავრცელებული ლეგენდის თანახმად, სტალინმა სწორედ მაშინ წარმოთქვა პასტერნაკზე: თავი დაანებეთ მაგ ზეცის ბინადარსო.

ამ საკრამენტულ ფრაზას მართლაც რომ ბაჯაღლო ოქროს ფასი ჰქონდა.

დიქტატორმა ინდულგენცია უბოძა პოეტს და თუმცა შემდგომში ხშირად ატყდებოდა თავზე უსამართლო კრიტიკა და გაქირდვა, მის სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებია. ეტყობა, გადაარჩინა სტალინის მიერ გულმოწყალე ირონიით ნათქვამმა სიტყვებმა. ეგებ იმანაც გადაარჩინა, რომ გაურბოდა მწერლობის ავანსცენაზე ყოფნას და გარკვეულ დრომდე ჩრდილში იყო მიყუჟული. ეგებ იმასაც უნდა უმადლოდეს, რომ ზოგიერთი ცნობილი თანამოკალმისაგან (ბაბელი, პილნიაკი) განსხვავებით, არ ეტანებოდა შინსახკომის დიდმოხელეებ-

თან ძმაკაცობას და დროსტარებას.

რაც შეეხება პასტერნაკის აღნიშნულ ლექსს, არავინ უწყის, მოეწონა თუ არა სტალინს. მაგრამ ფაქტია, რომ იგი ვერ მოხვდა იმ ხანებში დაბეჭდილ ანთოლოგიაში, სადაც თავმოყრილი იყო სტალინისადმი მიძღვნილი საუკეთესო ლექსები. გარდა ამისა, „ხელოვანი“ სრული სახით აღარასოდეს გამოქვეყნებულა. სტროფები სტალინზე ამოღებულ იქნა. როგორც ვარაუდობენ, ამაში ბრალი მიუძღოდა ორივე მხარეს — ავტორსაც და ცენზურასაც.

თავდასხმა

1937 წელს, გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა თავდაცვის სახკომის ვოროშილოვის ბრძანება. მასში აღნიშნული იყო მაღალი რანგის საბჭოთა მხედართმთავართა დაპატიმრება და ისიც, რომ მათ აღიარეს თავიანთი „ღალატი, მავნებლობა და ჯაშუშობა“. საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო აუწყებდა მოსახლეობას, რომ სამხედრო სასამართლოს განაჩენით ყველა ბრალდებული დახვრიტეს. მათ შორის იყვნენ თავდაცვის სახკომის მოადგილე ტუხაჩევსკი, კიევის სამხედრო ოლქის სარდალი იაკირი, ბელორუსიის სამხედრო ოლქის სარდალი უბორევიჩი, ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე პრიმაკოვი, საბჭოთა კავშირის სამხედრო ატაშე ლონდონში პუტნა, კორპუსის მეთაურები ეიდემანი და ფელდმანი, არმიის სარდალი კორკი. მოღალატეთა შორის დასახელებული იყო თავდაცვის სახკომის მოადგილე, წითელი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი გამარნიკი, რომელმაც დაპატიმრებამდე თავი მოიკლა.

ბუნებრივია ჩნდება კითხვა: მოსალოდნელი და მოახლოებული ომის წინ რამ აიძულა სტალინი ასე სასტიკად გასწორებოდა წითელი არმიის „ნაღებს“? წუთით მაინც დავივიწყოთ ახლად შეთხზული მითები მისი „კაციჭამიობის“ შესახებ და რეალური მსჯელობის გზას გაეყვეთ. აბა, მაშინ აკრძალულ სიმართლეს ვინ გამოიტანდა დღის სინათლეზე და ახლა კი, ვგრნებ, მეორდება ისტორია და „ძველი სიმართლე“ ეჭვმიუტანლად იცვლება „ახალი სიმართლით“.

მაგრამ ისტორიას არ ეკადრება ასეთი მანიპულაციები.

და მაინც, როგორ დაიბადა „ტუხაჩევსკის საქმე?“

ამ ქვეყნად, ალბათ, არაფერი არ იმალება და საიდუმლოებამაც წვეთ-წვეთად დაიწყო გამოჟონვა. საბჭოთა ჩეკისტმა ვალტერ კრივიცკიმ, რომელიც ევროპაში მოღვაწეობდა, ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებით დაშინებულმა სამშობლოს ზურგი აქცია და უცხოეთში ჰპოვა თავშესაფარი. მაგრამ ვიდრე საბჭოთა აგენტები ბოლოს მოუღებდნენ, მოასწრო სტალინის ზოგიერთი, მისთვის ცნობილი, საიდუმლოების გათქმა. სხვათა შორის, მან განაცხადა რომ თვით სტალინის დავალებით შინსახკომმა, გესტაპოსთან თანამშრომლობით, შეადგინა ნაყალბევი დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად დაედო ტუხაჩევსკისა და მისი კოლეგების სიკვდილით დასჯას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გესტაპოს თანამშრომელმა ალფრედ ნაუექსმა, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა დოკუმენტების გაყალბებას, დაადასტურა კრივიცკის ცნობათა სიზუსტე. ოღონდ

ნაუქსი თვლიდა, რომ ნაყალბევი დოკუმენტების იდეა ეკუთვნოდა ნაცისტური გერმანიის უშიშროების სამმართველოს შეფს ჰაიდრიხს, რომელიც ამტკიცებდა: „თუკი საქმე მოვაგვარეთ, რევოლუციის შემდეგ ეს იქნება უდიდესი კატასტროფა რუსეთისათვის“. ნაუქსის აზრით, არც ჰაიდრიხმა და არც ჰიტლერმა არ იცოდნენ, რომ ჩანაფიქრის ავტორი იყო თვით სტალინი.

ხრუშჩოვი იგონებს, — როდესაც გააცნეს ტუხაჩევსკის, იაკირისა და სხვათა ჩვენებანი, იოტისოდენა ეჭვიც არ შეპარვია მათი აღიარების გულწრფელობაში (იდგა 1937 წელი და სტალინიც ცოცხალი იყო).

სოლჟენიცინი არ ელოლიავება დახვრეტილ მხედართმთავართა ხსოვნას და მკაცრი თვალით აფასებს სამოქალაქო ომში მათი „საგმირო საქმეების“ ნუსხას. იგი წერს, რომ სწორედ ტუხაჩევსკის უშუალო სარდლობით 1921 წელს სისხლში ჩაახრჩვეს ტამბოვის გლეხთა აჯანყება, და ცოტა ხნით ადრე იგივე ტუხაჩევსკი მეთაურობდა კრონშტადტის ამბოხებულ მეზღვაურთა განადგურებას. „რაც დათესეს, ის მოიმკესო“, — თითქოსდა ნიშნის მოგებით აღნიშნავს ხელგანთქმული რუსი მწერალი.

ნაცისტური გერმანიის უშიშროების სამმართველოს ერთ-ერთი წამყვანი დიდმოხელე, 1941 წლის ივნისიდან საგარეო დაზვერვის უფროსი ვალტერ შელენბერგი, თავის წიგნში „ლაბირინთი“, ასე მოგვითხრობს ამ ისტორიას:

1937 წლის დამდეგს შელენბერგს დაავალეს ჰაიდრიხისათვის მოემზადებინა მასალა რაიხსვერსა და წითელ არმიას შორის ურთიერთობის თაობაზე. შელენბერგმა კეთილსინდისიერად შეასრულა დავალება და ზეპირად მოახსენა უშიშროების შეფს — ჰაიდრიხს. მოხსენება ეხებოდა ერთადერთ საკითხს: რომელი ორიენტაცია უნდა აერჩია მომავლისათვის გერმანიას — დასავლეთ ევროპისა, თუ რუსეთისა?

შელენბერგს ერთობ ეუცხოვა, რომ საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის თანამშრომლობას ყველაზე მტკიცედ და სერიოზულად მხარს უჭერდნენ გერმანიის გენერალური შტაბის ოფიცრები.

როგორც ცნობილია, 1923 წლიდან წითელსა და გერმანიის არმიას შორის ხორციელდებოდა თანამშრომლობა ოფიცრების სწავლებაში და ტექნიკური ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლაში. ხოლო გერმანული პატენტების საზღაურად გერმანიას ნება ეძლეოდა განევითარებინა თავისი შეიარაღება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

1929 წლიდან სტალინმა მითითება მისცა გერმანიის კომპარტიას, რომ ამიერიდან თავის მტრად ჩაეთვალა არა ნაციონალ-სოციალისტური პარტია ჰიტლერისა, არამედ სოციალ-დემოკრატები, რათა ამ გზით მხარში ამოსდგომოდა გერმანულ ნაციონალიზმს და დაეპირის-

პირებინა იგი დასავლეთის ბურჟუაზიისადმი.

გერმანიის გენშტაბის პროგრესულად განწყობილი წრეების მთავარ ოპოზიციას შეადგენდნენ გერმანელი მრეწველები. ისინი აპირებდნენ შეექმნათ ცივილიზებულ სახელმწიფოთა კავშირი — ბოლშევიზმის საფრთხის წინააღმდეგ. გენერალ ჰოფმანისა და ერთ-ერთი გაელენიანი გერმანელი მრეწველის არნოლდ რეხბერგის თაოსნობით მრავალი ღონისძიება განხორციელდა ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო და სამრეწველო ძალების შესაკავშირებლად საერთო მტრის წინააღმდეგ. ამ გეგმას ერთხანს მხარს უჭერდა გენერალი ლიუდენდორფიც, მაგრამ ჰოფმანის სიკვდილის (1927 წ.) შემდეგ ლიუდენდორფმა დაკარგა დასავლეთის მოკავშირეთა იმედი, რამაც შეუძლებელი გახადა ამ პოლიტიკის განხორციელება გერმანიის გენშტაბთან დასაპირისპირებლად.

ასეთი იყო მასალა იმ მოხსენებისა, რომელზეც თვითონ შელენბერგი ირონიულად შენიშნავს: ისტორიის თემაზე ლექციას უფრო წააგავდაო. მაგრამ მან ჯერჯერობით არ იცოდა, რაოდენ ავბედით გადაწყვეტილებებს მოამწიფებდა მისი ერთგვარად აკადემიური კვლევა-ძიება.

როგორც გამოირკვა, ერთმა თეთრგვარდიელმა ემიგრანტმა, გენერალმა სკობლინმა ჰაიდრიხს მიაწოდა ცნობები — რომ საბჭოთა კავშირის მარშალი ტუხაჩევსკი გერმანიის გენერალურ შტაბთან ერთად მონაწილეობდა შეთქმულებაში, რომელიც მიზნად ისახავდა სტალინური რეჟიმის დამხობას.

შელენბერგის სიტყვით, ჰაიდრიხი მაშინვე მიხვდა ამ. დასმენის უდიდეს მნიშვნელობას. რიგიანად თუ გამოიყენებდნენ მასალას, წითელი არმიის ხელმძღვანელობას ეეღარაფერი გადაარჩენდა და მიყენებული ჭრილობა მრავალი წლის მანძილზეც ვერ მოშუშდებოდა.

ჰაიდრიხის თანაშემწემ იანკემ სრულიად სხვა თვალსაზრისი გამოთქვა. მან გააფრთხილა ჰაიდრიხი, რომ სკობლინი შესაძლოა ორმაგ თამაშს მისდევდა. სკობლინის ინფორმაცია თვით რუსების შეთხზული არისო. იანკე უმტკიცებდა ჰაიდრიხს, რომ სტალინი ორ კურდღელს კლავდა: გერმანიის გენერალურ შტაბს დაასუსტებდა და, ამავე დროს, ენერგიულად შეუტევდა საბჭოთა სამხედრო ფრაქციას, რომელსაც ტუხაჩევსკი ედგა სათავეში. იანკეს აზრით, სტალინი ითვალისწინებდა საბჭოთა მთავრობაში შექმნილ ვითარებას და არ სურდა, რომ თავისი ხელით წამოეწყო პროცესი გენერლების წინააღმდეგ. ერჩიენა საბრალდებო მასალის შემოღწევა საზღვარგარეთიდან.

სხვათა შორის, მ. ჰელერი ამტკიცებს, რომ სახელგანთქმული თეთრგვარდიელი გენერალი სკობლინი იყო შინსახკომის აგენტი. ოფიციალურად სკობლინს ეჭირა „როვსის" (რუსეთის საყოველთაო-

სამხედრო კავშირი) თავმჯდომარის მოადგილის პოსტი. როგორც ამბობენ, სწორედ მისი მეთხებით ჩეკისტებმა 1930 წელს პარიზში მოიტაცეს „როვსის“ თავმჯდომარე გენერალი კუტეპოვი, ხოლო 1937 წელს, იმავე პარიზში — ახალი თავმჯდომარე გენერალი მილერი. მაშინღა მიიტანეს ეჭვი სკობლინზე, მაგრამ მან მოახერხა მიმალვა (ალბათ, საბჭოთა კავშირში). საფრანგეთის პოლიციამ დააპატიმრა მისი მეუღლე, სახელმოხვეჭილი რუსი მომღერალი, რომელიც ციხეში გარდაიცვალა.

ასეა თუ ისე, ჰაიდრიხი ვერ დაარწმუნა იანკეს ღრმააზროვანმა მსჯელობამ. იგი უფრო მარტივად მიუდგა საქმეს, ბევრი არ უჭოჭმანია და სკობლინის დასმენა უშუალოდ ჰიტლერს მიართვა. ხოლო იანკეს სამთვიანი შინაპატიმრობა მიუსაჯა, რადგანაც ეჭვობდა, რომ მისი არგუმენტები ნაკარნახევი იყო გენერალური შტაბის ერთგულებით.

სკობლინის მასალას სრულყოფილება აკლდა. არ მოიპოვებოდა არავითარი დოკუმენტური დადასტურება გერმანიის არმიის ხელმძღვანელთა აქტიური მონაწილეობისა ტუხაჩევსკის შეთქმულებაში. ჰაიდრიხმა ალღო აუღო ამ გარემოებას და მასალა შეავსო ნაყალბევი ცნობებით გერმანელ გენერალთა სახელის გასატეხად. იგი თავს აძლევდა ამის ნებას, ვინაიდან ამგვარი ნაბიჯით შეეძლო შეესუსტებინა წითელი არმიის მზარდი გაძლიერება, რაც საფრთხეს უქმნიდა რაიხსვერის უპირატესობას.

შელენბერგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჰაიდრიხი სავსებით ენდობოდა სკობლინის ცნობას. შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ის მართალი აღმოჩნდა. ნაყალბევი დოკუმენტები მხოლოდ ამაგრებდა და უფრო დამაჯერებელს ხდიდა იმ ინფორმაციას, რომელიც თავისთავად ფასდაუდებელი იყო.

იმჟამად ჰიტლერს მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადაწყვიტა — დამდგარიყო დასავლეთის სახელმწიფოთა მხარეზე თუ მათ წინააღმდეგ ემოქმედა? ამ რთული გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელი იყო იმის გათვალისწინებაც, რანაირად გამოეყენებინა ჰაიდრიხის მიერ მიწოდებული მასალა. ტუხაჩევსკისათვის მხარდაჭერა ნიშნავდა რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს, დასასრულს. ხოლო შეთქმულთა მარცხის შემთხვევაში გერმანია ომში ჩათრეული აღმოჩნდებოდა. მაგრამ ტუხაჩევსკის მხილება სტალინის ძალებს გაამაგრებდა, ანდა თავისი გენერალური შტაბის მნიშვნელოვანი ნაწილის მოსპობას აიძულებდა. ბოლოს და ბოლოს, ჰიტლერმა გადაწყვიტა ტუხაჩევსკის განწირვა და საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში ჩარევა სტალინის მხარეზე.

შელენბერგი: „ამ გადაწყვეტილებამ, რომ ტუხაჩევსკის ნაცვლად მხარი დაეჭირათ სტალინისათვის, განსაზღვრა გერმანიის პოლიტი-

კის მთელი კურსი ლამის 1941 წლამდე და სამართლიანად უნდა ჩაითვალოს, როგორც ჩვენი დროის ერთ-ერთი საბედისწერო გადაწყვეტილება. საბოლოო ჯამში, ამან გერმანია ჩააბა დროებით ალიანსში საბჭოთა კავშირთან და უბიძგა ჰიტლერს, წამოეწყო სამხედრო მოქმედებანი დასავლეთში, ვიდრე რუსეთისაკენ დაიძრებოდა, მაგრამ რაკი ჰიტლერმა გადაწყვიტა, ჰაიდრიხმაც, რა თქმა უნდა მხარი დაუჭირა მას".

შემდეგ შელენბერგი განაგრძობს: — ჰიტლერმა მაშინვე გასცა ბრძანება, რათა გერმანიის გენერალური შტაბის ოფიცრებს არაფერი სცოდნოდათ იმ ნაბიჯის შესახებ, რომელიც უნდა გადადგმულიყო ტუხაჩევსკის წინააღმდეგ. ჰიტლერი შიშობდა, რომ ისინი გააფრთხილებდნენ საბჭოთა მარშალს.

და აი, ერთ მშვენიერ ღამეს ჰაიდრიხმა გაგზავნა ორი სპეციალური რაზმი, რათა შეემტვრიათ არქივები გენერალური შტაბისა და აბვერისა.

ეს ბრძანება წარმატებით შესრულდა, მიაკვლიეს და ამოიღეს მასალები, რომლებიც ეხებოდა გერმანიის გენერალური შტაბის თანამშრომლობას წითელი არმიის ხელმძღვანელობასთან. საყურადღებო მასალა აღმოჩნდა ადმირალ კანარისის საქმეებშიც.

კვალის დასაფარავად რამდენიმე ალაგას გააჩაღეს ხანძარი, რამაც საკმაოდ მალე მოსპო თავდასხმის ყოველგვარი ნიშანი: სპეციალურმა რაზმებმა ისარგებლეს არეულობით და ისე გაუჩინარდნენ, რომ თვალი არავის მოუკრავს.

თავის დროზე ირწმუნებოდნენ, რომ ტუხაჩევსკის მახეში გასაბმელად ჰაიდრიხის მიერ შეკრებილი მასალა მეტწილად ნაყალბევი იყო. მაგრამ სინამდვილეში, მხოლოდ და მხოლოდ არსებული ხარვეზების შესავსებად ძალზე მცირე რამ იყო ნაყალბევიო. შელენბერგი მასალის აუთენტიკურობას ამტკიცებენ იმ ფაქტითაც, რომ საკმაოდ დიდი მოცულობის დოსიე, სულ რაღაც ოთხ დღეში მოამზადეს ჰიტლერისათვის წარსადგენად.

გონივრული აწონ-დაწონის შედეგად გადაწყდა, რომ სტალინთან კონტაქტი დაემყარებინათ შემდეგი არხების მეშვეობით: ესესის შტანდარტენფიურერ ბემეს ერთ-ერთი დიპლომატიური აგენტი იყო პრაღაში მცხოვრები გერმანელი ემიგრანტი. მისი დახმარებით ბემე შეხვდა ჩეხოსლოვაკიის მაშინდელი პრეზიდენტის ბენეშის სანდო მეგობარს. ყველაფერი კარგად აეწყო. ბენეშმა პირადი წერილი გაუგზავნა სტალინს. მოსკოვიდან ჰაიდრიხს იმავე არხებით გასცეს პასუხი, სადაც სთავაზობდნენ კონტაქტის დამყარებას ბერლინში საბჭოთა საელჩოს ერთ-ერთ თანამშრომელთან. გერმანელები ასეც მოიქცნენ და დასახელებული რუსი დიპლომატი დაუყოვნებლივ გაფრინდა მოსკოვს, საიდანაც დაბრუნდა სტალინის პირადი დესპანის თანხლებით, მან ჰ

აიდრიხს წარუდგინა სპეციალური რწმუნებანი ეჟოვისაგან, რომელიც იმხანად „გეპეუს“ თავკაცობდა.

სტალინს აინტერესებდა, რა თანხას ითხოვდნენ გერმანელები შეკრებილი მასალების საფასურად. არც ჰიტლერს და არც ჰაიდრიხს თავში არ მოსვლიათ, რომ წამოიჭრებოდა საქმის ფინანსური მხარე. მაგრამ ჰაიდრიხი არ დაბნეულა და მოითხოვა სამი მილიონი ოქროთი. სტალინის ემისარმა თვალი გადააყოლო დოკუმენტებს და თანხაც მაშინვე გადაიხადა.

უდიდესი ნაწილი სამმილიონიანი თანხისა, რუსებმა რომ გადაიხადეს, თვით შელენბერგს მოუსპია საკუთარი ხელით, ვინაიდან მთელი თანხა შედგებოდა მსხვილი კუპიურებისაგან, მათი ნომრები, რასაკვირველია, გადაწერილი ექნებოდათ „გეპეუში“. ყოველთვის, როდესაც რომელიმე გერმანელი აგენტი ცდილობდა ამ ფულის გამოყენებას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მას საოცრად მოკლე ხანში აპატიმრებდნენ.

შელენბერგი ასკვნის: „ამგვარად, ტუხაჩევსკის საქმე გახდა მოსამზადებელი ნაბიჯი ჰიტლერისა და სტალინის დაახლოებისათვის. ეს იყო მობრუნების პუნქტი, რომელიც მოასწავებდა ჰიტლერის გადაწყვეტილებას — რუსეთთან კავშირით აღმოსავლეთის ფრონტზე ზურგი გაემაგრებინა, რათა თამამად თავს დასხმოდა დასავლეთს“.

ზემოთ მოთხრობილი ამბავი მოხსენიებული აქვს უინსტონ ჩერჩილსაც წიგნში „მეორე მსოფლიო ომი“: — 1935 წელს ჰიტლერმა წინადადება წამოუყენა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ ბენეშს (ჩერჩილი ეყრდნობა თვით ბენეშის ნაამბობს), რომ ჰიტლერი ანგარიშს გაუწევდა ჩეხოსლოვაკიის ერთიანობას იმ შემთხვევაში, თუკი ბენეში დაივალებდა ნეიტრალიტეტის გარანტიას საფრანგეთ-გერმანიის ომის წარმოქმნისას. ბენეშმა მოიშველია საფრანგეთთან ხელშეკრულების ვალდებულება, მაგრამ გერმანიის ელჩმა უპასუხა, რომ ხელშეკრულების დენონსირება არ იყო აუცილებელი. საკმარისი იქნებოდა მისი დარღვევა განსაზღვრულ მომენტში (თუ ეს მომენტი დადგებოდა) მობილიზაციაზე უარის თქმით. პატარა რესპუბლიკას არ ძალუძდა აღშფოთება გამოეხატა ამგვარი წინადადების გამო. ისედაც ეშინოდა გერმანიისა, რომელსაც შეეძლო ნებისმიერ დროს შეექმნა განსაკუთრებული სირთულეები და სერიოზული საფრთხე ჩეხოსლოვაკიისათვის, თუკი სუდეტელი გერმანელების საკითხს წამოჭრიდა. ჰიტლერის წინადადება ჩეხებმა უკომენტაროდ დატოვეს, არაფერს დაჰპირებიან და წელიწადზე მეტი ისე გავიდა, რომ ამის გარშემო აღარაფერი თქმულა.

1936 წლის შემოდგომაზე გერმანიის მაღალი თანამდებობის სამხედრო პირმა აუწყა პრეზიდენტ ბენეშს: — თუკი მას სწადია ისარგებლოს ფიურერის წინადადებით, მაშინ უნდა აჩქარდეს, ვინა-

იდან უახლოეს ჟამს რუსეთში მოხდება მოვლენები. რომლებიც ბენეშის ნებისმიერ კეთილგანწყობას გერმანიისადმი სავსებით გააუფასურებს.

ბენეში ჩაუფიქრდა ამ საგანგაშო წერილს. ამასობაში შეიტყო, რომ პრაღაში საბჭოთა საელჩოს მეშვეობით დამყარებულია ურთიერთობა რუსეთისა და გერმანიის მთავრობის დიდმოხელეთა შორის. ეს იყო ერთ-ერთი ელემენტი სამხედროთა და კომუნისტების ძველი გვარდიის ეგრეთწოდებული შეთქმულებისა. ისინი მიისწრაფოდნენ ჩამოეგდოთ სტალინი და დაემყარებინათ ახალი რეჟიმი პროგერმანული ორიენტაციის საფუძველზე. ბენეშს დრო არ დაუკარგავს და მყისვე აცნობა სტალინს ყველაფერი. ჩერჩილის შენიშვნით, მოიპოვება ცნობები, რომ ბენეშის მიერ მიღებული ინფორმაცია ჩეხოსლოვაკიის პოლიციას ამცნო გეპეუმ, ამით სურდა, რომ სტალინს ბრალდებანი შეეტყო მეგობრული უცხოური წყაროდან.

ჩერჩილი: „ამას მოჰყვა დაუნდობელი, მაგრამ, შესაძლოა, არცთუ უსარგებლო წმენდა სამხედრო და პოლიტიკური აპარატისა საბჭოთა კავშირში და მთელი რიგი პროცესები 1937 წლის იანვარში, სადაც ვიშინსკი ბრწყინვალედ გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებლის როლში“.

ჩერჩილის აზრით, ძალზე საეჭვოა, რომ ძველი გვარდიის კომუნისტები მიმხრობოდნენ სამხედროებს ანდა, — პირიქით. მაგრამ ისინი, უდავოდ, შურით იყვნენ აღვსილი სტალინის მიმართ, რომელსაც უმადლოდნენ გამოდევნას ხელისუფლების ბირთვიდან. ჩერჩილის მონაცემებით, მთლიანად „ლიკვიდირებულ“ იქნა არანაკლებ ხუთი ათასი ოფიცრისა (კაპიტნის ჩინს ზევით). რუსეთის არმია გაიწმინდა პროგერმანული ელემენტებისაგან, თუმცა ამან მძიმე ზიანი მიაყენა მის ბრძოლისუნარიანობას. ასეთია ჩერჩილის დასკვნა.

რაც შეეხება „ტუხაჩევსკის საქმეს“, ვალტერ შელენბერგის ვერსია უფრო ლოგიკური და დამაჯერებელი ჩანს.

ლევ ტროცკი თავის წიგნში „სტალინი“ წერს: „იყო თუ არა სინამდვილეში სამხედრო შეთქმულება? ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას დავარქმევთ შეთქმულებას. ყოველგვარი უკმაყოფილება, ყოველგვარი დაახლოება უკმაყოფილოთა ერთიმეორესთან, კრიტიკა და მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა უნდა მოიმოქმედო, როგორ შეაჩერო დამაქცევარი პოლიტიკა მთავრობისა — ეს გახლავთ, სტალინის თვალსაზრისით, შეთქმულება. და ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, უეჭველია, ყველანაირი ოპოზიცია შეთქმულების ჩანასახს წარმოადგენს. მაგრამ საკითხავია, რაოდენ შორს იყო წასული წითელი არმიის ბელადთა საუბრები, შეთანხმებანი, გეგმები? ისინი მაინც თანაუგრძნობდნენ მემარჯვენე ოპოზიციას, რამდენადაც გლეხთა უკმაყოფილება უშუალო გამომახილს ჰპოულობდა სწორედ არმი-

აში“.

ცნობილი რუსი მწერალი კონსტანტინე სიმონოვი, ვისი შემოქმედებაც თითქმის მთლიანად სამხედრო თემატიკას ეძღვნება, 1965 წელს გასაუბრებია მარშალ კონევს იმ უაღრესად უარყოფითი როლის თაობაზე, რომელიც ითამაშა 1941 წელს დატრიალებულ კატასტროფაში წითელი არმიის სახელმოხვეჭილი სარდლების დახვრეტამ 37-38 წლებში. კონევის აზრით, ამ საკითხს დანაწევრებულად იხილავენ და იმგვარად წარმოაჩენენ სურათს, თითქოსდა ეს ხუთი თუ შვიდი კაცი ცილისწამების შედეგად რომ არ დაღუპულიყო და ომის დაწყებისას არმიას ჩასდგომოდა სათავეში, ომის დასაწყისი მარცხიანად არ წარიმართებოდა. კონევი ინდივიდუალურ მიდგომას ამჯობინებს და ზემოხსენებულ სარდლებს სათითაოდ ახასიათებს მათი სამხედრო გამოცდილებისა და პერსპექტივების მიხედვით.

კონევის სიტყვით, მარშალი ბლიუხერი ოცდაჩვიდმეტ წელს ჯერ ისევ წარსულის „ბაგაჟით“ ცხოვრობდა. მას აღარ გააჩნდა მომავალი. თავისი ცოდნის დონით იგი შორს ვერ გასცდა სამოქალაქო ომს და მიეკუთვნებოდა იმ კატეგორიას, რომელსაც ომის დასაწყისში წარმოადგენდნენ ვოროშილოვი, ბუდიონი და სხვანი. ისინი აზროვნებდნენ წარსულის შეხედულებებით და ანგარიშს არ უწევდნენ თანამედროვე მოთხოვნებს. წარმოსახვა იმისა, რომ ბლიუხერი თანამედროვე ომში თავს გაართმევდა ფრონტის სარდლობას, შეუძლებელიაო. კონევის შენიშვნით, ალბათ, ვერც ავჯობებდა ვოროშილოვსა და ბუდიონის. ასე, თუ ისე, ესოდენ მცირე ოპერაცია, როგორიც იყო ბრძოლა ხასანის ტბასთან (შორეულ აღმოსავლეთში) ბლიუხერმა „ჩააფლავა“. გარდა ამისა, ბოლო ხანებში იგი საერთოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაღაცნაირად მოეშვა, ბლომად სვამდაო.

მარშალი ტუხაჩევსკი, კონევის აზრით, იყო უდავოდ ნიჭიერი, ძლიერი, ნებისყოფიანი პიროვნება და თეორიულადაც კარგად მომზადებული. ყოველივე ეს მისი შესამჩნევი ღირსებანი არისო. მაგრამ კონევი მედლის მეორე მხარესაც უგულისყუროდ არ ტოვებს — ერთგვარი მიდრეკილება ავანტიურიზმისაკენ, რამაც თავი იჩინა ჯერ კიდევ პოლონეთის კამპანიის (1920 წ.) დროს, ვარშავის მისადგომებთან ბრძოლაში. კონევი ამბობს, რომ ძალზე დაწვრილებით შეისწავლა ეს კამპანია და ასკვნის, რა შეცდომებიც არ უნდა დაეშვათ ეგოროვსა და სტალინს სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე. მთლიანად მათ რომ დავდოთ ბრალი ვარშავასთან ტუხაჩევსკის მარცხის გამო, საამისოდ არავითარი საფუძველი არ არსებობსო. თავად ტუხაჩევსკის ვარშავაზე შეტევა გაშიშვლებული ფლანგებით, გაწელილი კომუნიკაციებით და მთელი მისი მოქმედება იმხანად არ ტოვებდა სოლიდურსა და დადებით შთაბეჭდილებას.

კონევის დაკვირვებით, ტუხაჩევსკის ბონაპარტისტული იერის ზო-

გიერთი თვალსაჩინო ნიშანიც დაჰყვებოდა. მაგრამ მთავარი ნაკლი ტუხაჩევსკისა ის ყოფილა, რომ მან საფეხურების გამოტოვებით განვლო სამხედრო კარიერის კიბე და თუმცა ერთხანს ოლქის სარდალიც იყო, სამოქალაქო ომის შემდეგ უშუალოდ აღარ ხელმძღვანელობდა ხოლმე ჯარს და მეთაურის გამოცდილება მოაკლდაო. კონევის საბოლოო დასკვნა ისაა, რომ ტუხაჩევსკი შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთ-ერთ უმაღლეს სამხედრო პოსტზე დიდ სამამულო ომში, სადაც უეჭველად მოიტანდა სარგებლობას.

იაკირი, კონევის სიტყვით, ჭკვიანი და ენერგიული კაცი იყო, მაგრამ ნამდვილი სამხედრო სკოლა არ ჰქონდა გავლილი და არც ნამდვილი სამხედრო განათლება მიუღია. მას შეეძლო შთაბეჭდილება მოეხდინა, მაგრამ არ გააჩნდა რაიმე საფუძვლიანი სამხედრო გამოცდილება მსხვილი მასშტაბის ოპერაციების ხელმძღვანელობისათვის. კონევს უჭირს მისი წარმოდგენა რომელიმე ფრონტის სარდლად დიდ სამამულო ომში.

კონევი ამბობს, რომ ეგოროვი და კორკი საშუალო ნიჭის ადამიანები იყვნენ, განათლებულნი, მცოდნენი, თავდაჭერილნი. მაგრამ სამხედრო საქმეში დიდად არ გამოირჩეოდნენ. ხოლო დიბენკოსა და ბელოვს კონევი მიაკუთვნებს ადამიანთა იმ კატეგორიას, მთლიანად წარსულში რომ იმყოფებოდნენ, სამოქალაქო ომში (როგორც ვოროშილოვი და ბუდიონი). ხსენებული დიბენკოც და ბელოვიც რომ გადარჩენოდნენ რეპრესიებს, იმისათვის იქნებოდნენ განწირულნი, რომ თავისი სამხედრო ჩამორჩენილობა და უსუსურობა გამოემჟღავნებინათ დიდი ომის ვითარებაში.

ოცდაჩვიდმეტში დაღუპულთაგან კონევი ყველაზე მოწინავე სამხედრო მოღვაწედ თვლის უბორევიჩს. დიდად აფასებს მის გამოცდილებას სამოქალაქო ომში. დიდად აფასებს, როგორც ოლქის სარდალს, რომელიც კარგად იცნობდა ჯარს, გულდასმით და საქმიანად ატარებდა სამხედრო მომზადებას, გამოირჩეოდა შორსმჭვრეტელობით და ემარჯვებოდა კადრების აღზრდა.

და რაც მთავარია, კონევის აზრით, უბორევიჩი იყო იშვიათი სამხედრო ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი და მისი დაკარგვა ყველაზე მძიმე იყო წითელი არმიისათვის, რადგანაც უბორევიჩს ხელეწიფებოდა არა მარტო ფრონტის წარმატებით სარდლობა, არამედ ერთ-ერთი წამყვანი როლი არმიაში მომავალი ომის დროს.

მარშალ კონევის პროფესიული დახასიათებანი საინტერესო შტრიხებით ჭვიხატავს კარგა ხნის მანძილზე აკრძალული სახელების პატრონთა პორტრეტებს. რა თქმა უნდა, ძნელი მისახვედრია, გაამართლებდნენ თუ არა ისინი კონევისეულ დადებითსა ან უარყოფით შეფასებებს, ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებს რომ არ ემსხვერპლათ.

ეპიგრამიდან ოდამდე

ძალზე ძნელია, ერთხელ და სამუდამოდ ამოარჩიო პოეტის საუკეთესო ლექსი, შენი დაწერილი რომ გეგონება, და სიკვდილამდე არ უღალატო.

მაგრამ განა სინამდვილეში შეიძლება არსებობდეს ამგვარი ფენომენი?

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ დიდებული რუსი პოეტის ოსიპ მანდელშტამის საუკეთესო ლექსად უნდა მივიჩნიოთ „მგელი“ (შინაურობაში ასე ეძახდნენ ამ უსათაურო ქმნილებას).

„მგელი“ დაწერილია 1931 წელს (გადამუშავებულია 1935 წელს), მაგრამ შეიძლება დაწერილიყო უფრო ადრეც და უფრო გვიანაც.

პოეტს დაუხატავს შემაძრწუნებელი და აბსურდული სურათი, კაფკას „პროცესს“ რომ ეხმიანება, გარდასულ ჟამთათვის უცხო ტრაგედია, პირმშო აპოკალიფსური მეოცე საუკუნისა. უდანაშაულოთა გამოცხადება ურჩხულებად ახალი ხილი არ გახლავთ, მაგრამ გრანდიოზული მასშტაბები განუკითხაობისა მხოლოდ ჩვენი საუკუნის ნიშანია.

„მხრებზე მახტება საუკუნე მგელთამხუთავი, მაგრამ მოდგმით რომ მგელი არა ვარ?“ — გაოცებით წარმოთქვამს მანდელშტამი. მგელზე დაგეშილ ნაგაზს გზაკვალი აუბნიეს და მგელთამხუთავი ნაგაზი ახტება მხრებზე, მისი აყროლებული სუნთქვა აბრუებს, გულს უწამლავს ამგვარი ამაზრზენი აღსასრული და განგებას ევედრება, გადაისროლოს ციმბირის სტეპებში, სადაც მიედინება ენისეი, სადაც ფიჭვის კენწეროები ვარსკვლავეთს სწვდება და ძვირფასბეწვიანი ცისფერი ყარსაღი, ბინადარი ტუნდრებისა, თავისი პირველყოფილი მშვენებით გაუნათებს კუნაპეტ ღამეს. პოეტი ელტვის იმ მხარეს, სადაც არ იქნება სულმოკლეობა, სიმდაბლე და ავკაცობა, სადაც ვერ გაიგონებს ულმობელ ბორბლებში მოქცეული სისხლიანი ძვლების მსხვრევის ხმაურს.

მთელი შენი ცხოვრების არსი და მთელი უზარმაზარი ქვეყნის ცხოვრება, გაქელილ-წაბილწული, სისხლის მდინარეებში განბანილი მიწა-წყლით, რომ ჩაეტიოს პოეტის ოთხსტროფიან ლექსში, ასეთი ძალისხმევა უდავოდ აღემატება იმ ჭიის ენერგიას, რომელსაც ფეხს აჭერენ. ეს მეტაფორა ნიკოლო მიწიშვილს ეკუთვნის საქართველოს დასახასიათებლად, მაგრამ ადამიანზე რომ ითქვას, ვინ იცის, ეგებ უფრო უპრიანიც იყოს.

მგლის მოდგმისა არა ვარო, ამტკიცებდა პოეტი. მგლისა კი არა, უვნებელი მწერის ძალ-ღონე არ გააჩნდა, გიგანტურ სამშობლოს თუ

შეადარებდა თავს.

მაგრამ ვინ ამოიცნობს მგელზე შეუპოვარ არსებას ფიზიკურად უმწეო პოეტის სულში? ერთხელაც ირაციონალურმა ძალამ იფეთქა და მანდელშტამის ლექსი ვარსკვლავივით აციმციმდა დიდი ღამის უკუნეთში. ცხვრის დარად არ უვარდებოდა პირში მგელთამხუთავ ნაგაზს, ხმას იმაღლებდა და მართლაც მგელს ემსგავსებოდა, დევნილსა და განწირულს.

უკვე 1924 წლის 1 იანვარს მანდელშტამი ასე მიმართავდა „მგელთამხუთავ საუკუნეს": „კიდევ ვის მოკლავ? ვის განადიდებ? რომელ სიცრუეს შემოგვატყუებ?"

„მგელი" პირველად გამოქვეყნდა 1954 წელს, ნიუ-იორკში (1965 წელს — ალმა-ატაში). ოცი წლის მანძილზე აკრძალული პოეზია მანდელშტამისა იატაკქვეშეთში სულდგმულობდა და ელოდა სანატრელ აღდგომას დავიწყების ბნელეთიდან. და აღსდგა კიდეც! ზღაპრული აღდგომა დაიწყო 50-იან წლებში, შეერთებულ შტატებში. დიდი ნაწილი მისი გამოუქვეყნებელი მემკვიდრეობისა გადარჩენილ იქნა მისი მეუღლისა და ერთი მუჭა უშიშარი მეგობრების წყალობით. საქვეყნოდ აღიარებულ მკვლევართა მიერ უკვე დაწერილია ოცამდე მონოგრაფია და ასობით სტატიები ოსიპ მანდელშტამის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე).

1964-66 წლებში, ვაშინგტონში გამოქვეყნდა მანდელშტამის თხზულებათა ორტომეული. 1967-71 წლებში ნიუ-იორკში — თხზულებათა სამტომეული და ათიოდე წლის შემდეგ — დამატებითი, მეოთხე ტომი. დღის სინათლე იხილა აგრეთვე პოეტის მეუღლის ნადეჟდა მანდელშტამის მოგონებებმა (სამ წიგნად, პარიზში).

საბჭოთა კავშირში უფრო მორცხვად მოეკიდნენ საქმეს. მხოლოდ 1990 წელს დაიბეჭდა პოეტის ორტომეული და სტატიების რაოდენობითაც ვერ გაეჯიბრებიან დასავლეთს.

საქართველომაც შეიტანა თავისი წვლილი და იმავე 1990 წელს გამომცემლობა „მერანმა" გამოაქვეყნა ოსიპ მანდელშტამის ლექსების, თარგმანების, ნარკვევებისა და სტატიების საკმაოდ მოზრდილი კრებული (გია მარგველაშვილის შესავალი წერილით).

მანდელშტამმა, ისევე როგორც თითქმის ყველა ცნობილმა რუსმა პოეტმა, საკმაოდ ახლოს გაიცნო საქართველო. მაგრამ სხვებთან შედარებით, ცოტა არ იყოს, უიღბლო გამოდგა მისი პირველი ნაბიჯები უცხო მიწა-წყალზე. პეტერბურგში გაცნობილ მშვენიერ ქართველ თავადის ქალზე ლექსიც ჰქონდა დაწერილი და, ალბათ, ასევე მომხიბლავად წარმოედგინა წინამორბედთა კალმით მრავალგზის ნაქები ქვეყანა, რომელიც ზემოხსენებული სალომე ანდრონიკაშვილის სათნო ღიმილით შეეგებებოდა და გულღიად მიიღებდა სტუმარს. მაგრამ უკვე სხვა ჟამი დამდგარიყო, უკვე ფრთებს შლიდა ის ეპოქა,

მგელთამხუთავი საუკუნე რომ უწოდა პოეტმა. მართალია, საქართველოში სამოქალაქო ომი არ მძვინვარებდა, მაგრამ, რასაკვირველია, აქაც აღარ სუფევდა ძველებური მყუდროება. ქვეყანა საერთაშორისო ვეშაპების ინტერესთა სფეროში იყო გახლართული და სასოწარკვეთით ლამობდა ყველაზე სწორი და უვნებელი გზის მიგნებას იმპერიალისტური პროექტების ლაბირინთიდან თავდასაძვრენად.

ნიკოლო მიწიშვილის მოგონებით, ოსიპ მანდელშტამი 1919 წლის (უნდა იყოს: 1920 წ. — თ. ნ.) ზაფხულში ყირიმიდან პატარა ხომალდით ჩამოსულა ბათუმს, ათიოდე საეჭვო პიროვნებასთან ერთად, და ნავსადგურშივე დაუპატიმრებიათ.

ნიკოლო მიწიშვილს და ტიციან ტაბიძეს ქუჩაში სეირნობისას წამოეწია ვიღაც მოხუცი ებრაელი, შეაჩერა ქართველი პოეტები, აუწყა: ადგილობრივ ებრაელთა მამასახლისი ვარო, და ჰკითხა: პოეტ მანდელშტამს თუ იცნობთო?

ვიცნობთო, მიუგეს.

მოხუცმა ებრაელმა განუცხადა: თუ იცნობთ, მაშინ საჭიროა, რომ პოეტები მიეშველოთ პოეტს. მანდელშტამი დაჭერილია და განსაკუთრებულ რაზმში იმყოფებაო.

ნიკოლო და ტიციანი დაუყოვნებლივ გაეშურნენ განსაკუთრებულ რაზმში, სადაც შეიტყვეს, რომ ვიღაც მანდელშტამი დაჭერილთა რიცხვში მართლაც არის და მოისმინეს თავდაჯერებული განმარტება: „შეუძლებელია ის თქვენი ნაცნობი იყოს; ერთი წვერიანი ურიაა და რა სცხია მას პოეტისო“.

მანდელშტამთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. მაშინ ქართველი პოეტები მიადგნენ ბენია ჩხიკვიშვილს, რომელიც ბათუმის ოლქს განაგებდა.

თავს ნებას მივცემ, ვრცელი ციტატა დავიმოწმო ნიკოლო მიწიშვილის წიგნიდან „ეპოპეა“.

„შემოვიდა კბილებ ჩაცვენილი, მელოტი, დაბალი და ჩამომხმარი ურია, რომელსაც ფეხზე დახეული წუღები ეცვა, ტანზე წვირიანი ბლუზა და მუხლებ მოგრეხილი შარვალი. სანახაობა უწვერ-ულვაშო და ბიბლიური.

ახედ-დახედა ჩხიკვიშვილმა, მოგვიბრუნდა ჩვენ და გვითხრა ქართულად.

— მე მართლა კაცი მეგონა და ეს რა საშინელება ყოფილა, ეს ახლკარ დასაქცევი. სული რომ შეუბერო — გაქრება და ვის რა უნდა დააკლოს ამ ჩხირივით კაცმაო.

შემდეგ დააჯინა თავაზიანად. დიპლომატიურად გამოარკვია, რომ ის მართლაც პოეტია და ბოდიში მოიხადა.

ჩიტივით შემოჯდა მანდელშტამი სკამზე და მოყვა თავის ამბავს.

წითლებს გავექეცი ყირიმისკენ. ყირიმში კი თეთრებმა დამიჭი-

რეს: ბოლშევიკი ხარო. ყირიმიდან გამოვიპარე საქართველოში — აქ მიმტკიცებენ, რომ თეთრი ხარო! რა ვქნა? აღარ ვიცი რაღა ვარ — თეთრი, წითელი თუ სხვა რაიმე ფერის. არავითარი ფერის მე არა ვარ. მე პოეტი ვარ, ვწერ ლექსებს და ყოველ ფერზე უფრო მეტად მაინტერესებს ტიბულლი, კატულლი, რომაული დეკადანსი"...

მართლაცდა რა ესაქმებოდა უნატიფესი სტილის პოეტს სისხლმოწყურებულ წითლებთან თუ თეთრებთან? რით იყვნენ ისინი ერთიმეორეზე უკეთესნი? თავდაუზოგავად იბრძოდნენ ძალაუფლებისათვის, რომელიც იოტის ოდენაც არ იზიდავდა მანდელშტამს და მოწონებით შეეძლო გაემეორებინა მონტეგებისა და კაპულეტების შუღლის შედეგად სასიკვდილოდ დაჭრილი მერკუციოს უკანასკნელი სიტყვები: „ჭირსა გასწყევიტოს ეგ ორივე საგვარეულო!"

ოსიპ მანდელშტამს ახალგაცნობილი ქართველი პოეტებისათვის უამბია ყირიმში გადატანილი გაჭირვებანი და არც ის დავიწყებია ეთქვა, რომ იუმორის გრძნობა არასოდეს ღალატობდა.

ყირიმში მრავლად ყოფილან მდიდარი ებრაელები. მოშივებული პოეტი ხან ერთს მიადგებოდა შემწეობის სათხოვნელად, ხან მეორეს — და ა. შ. როდესაც რომელიმე მათგანს უარს ეტყოდა, მანდელშტამი განუცხადებდა მას:

„ — კეთილი! მე წავალ. შესაძლებელია ეხლავე, აი ამ ქუჩაში, მე წავიქცე და შიმშილისგან მოვკვდე. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ერთ დროს თქვენც მოკვდებით. რასაკვირველია, ღმერთი სულგრძელია და საიქიოში თქვენ გეპატიებათ მრავალი შეცოდებანი, მაგრამ ერთი რამ არასოდეს არ გეპატიებათ. თქვენ გკითხავენ:

— იცნობდით თუ არა პოეტ მანდელშტამს იმ ქვეყანაზე?

თქვენ სიხარულით უპასუხებთ: — ოო, როგორ არა, მე ძალიან კარგად ვიცნობდი პოეტ მანდელშტამს! შემდეგ ისევ მოგცემენ კითხვას: — ეხმარებოდით თქვენ პოეტ მანდელშტამს გაჭირვების დროს?

თქვენ აქ ვერაფერს უპასუხებთ და გეტყვის მაშინ მრისხანე მცველი ბჭეთა სამოთხისათა:

— კმარა! თქვენი სული არ არის ღირსი განისვენებდეს წიაღსა შინა აბრაამისასა. და სამარადისოდ დაიხურება თქვენთვის სანეტარო ბჭენი სამოთხისა, და ვერასოდეს ვერ იხილავს თქვენი წარწყმედილი სული ნეტარებას".

ბენია ჩხიკვიშვილმა (ღმერთმა აცხონოს!) მაშინვე გაათავისუფლა პატიმრობიდან მანდელშტამი, მანამდე კი მოლარესთან გაგზავნა. გულუხვად უბოძეს ფული, რომელიც შემოსავდა ნახევრადშიშველ პოეტს და ერთი თვის განმავლობაში წესიერად გამოკვებავდა.

ნიკოლო მიწიშვილის ნაამბობს ერთგვარად ავსებს ილია ერენბურგის მემუარები. მისი სიტყვით, ბათუმში ჩასულ მანდელშტამს ციხეში უკრეს თავი, ამბობდა, მანდელშტამი ვარო, მაგრამ მისი სახელი ვის

ეცოდინებოდა. გამომძიებლები უმტკიცებდნენ პოეტს, რომ იგი იყო ორმაგი აგენტი (ვრანგელისა და ბოლშევიკებისა).

შემთხვევით ბათუმში აღმოჩნდნენ ქართველი პოეტები და გაზეთში წაიკითხეს, რომ „ორმაგი აგენტი ოსიპ მანდელშტამი“ პოეტობას იჩემებსო...

ერენბურგი თბილისში ჩამოვიდა ფოთიდან, მანდელშტამი — ბათუმიდან და ერთ მშვენიერ დღეს ისინი ერთმანეთს შეეჩეხნენ მაშინდელ გოლოვინის პროსპექტზე. მანდელშტამმა საქმიანად უთხრა ერენბურგს: „ჩვენ ახლა წავალთ ტიციან ტაბიძესთან და ის წაგვიყვანს შესანიშნავ დუქანში“.

ორი კვირა გაუტარებიათ თბილისში.

ყოველდღე ვსადილობდითო, წერს ერენბურგი. უფრო მეტიც — ყოველდღე ვვახშმობდითო. ტიციან ტაბიძეს .და პაოლო იაშვილს ფული არ გააჩნდათ, მაგრამ შუა საუკუნეთა თავადების დარად გვიმასპინძლდებოდნენ, ყველაზე ცნობილ დუქნებს არჩევდნენ და რჩეული კერძებით გვანებივრებდნენო. ლექსის სტრიქონებივით აყრებული სახელები ქართული კერძებისა დიდი ხნით შერჩენია ერენბურგის მეხსიერებას: სულგუნი, ცოცხალი, საცივი, ლობიო... შეექცეოდნენ კალმახს, ცხარე წვნიანებს, ნიგვზიანსა და კოწახურიან სოუსებს, ქათმის ღვიძლსა და შამფურზე წამოცმულ ღორის ჭიპს, სხვადასხვა ჯურის მწვანილს. სპარსულ დუქნებში მიირთმევდნენ ფლავს და ქოთანში ჩაშუშულ ხორცს. გურმანთა დიეტა შესაფერ სასმელს მოითხოვდა და ისინიც ჭაშნიკს უსინჯავდნენ ქართულ ღვინოებს და დაობდნენ, რომელი იყო უკეთესი — „თელიანი“ თუ „ყვარელი“.

მაგრამ მარტოოდენ „გასტრონომიული სამოთხე“ როდი იგემეს სამოქალაქო ომის წლებში დამშეულმა რუსმა პოეტებმა თბილისში, რომელიც გადაურჩა რუსეთის ტრამალებზე გაჩაღებულ სისხლისღვრასა თუ გაპარტახებას.

ისინი ხშირად სეირნობდნენ ძველ თბილისში. მოინახულეს გოგირდის აბანოები, ათვალიერებდნენ ძველ ტაძრებსა და დუქნებში. დაბინავებულ ფიროსმანის მხატვრობას.

ერენბურგის მემუარების ერთი თავი ეძღვნება ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილს. ავტორი გულთბილად და აღტაცებით იგონებს უდროოდ დაღუპულ ქართველ პოეტებს.

ერენბურგის სიტყვით, ალპები საფრანგეთში ესაა სპორტი, ტურიზმი, სანატორიუმები, თხილამურები, სასტუმროები, რუკზაკები, ღია ბარათები. კავკასიის გარეშე კი ძნელია წარმოიდგინო რუსული პოეზია. იგი იქ ითქვამდა სულს, იქ იდგა მისი სასტარტო ბაქანი.

თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაუმართავთ ერენბურგისა და მანდელშტამის ლიტერატურული საღამო. შესავალი სიტ-

ყვა ახალი რუსული პოეზიის თაობაზე წარმოუთქვამს გრიგოლ რობაქიძეს.

1921 წლის ზაფხულსა და შემდგომაზე მანდელშტამი მეორედ ეწვია საქართველოს. რუსულად თარგმნა ვაჟა-ფშაველას, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, ნიკოლო მიწიშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსები და წიგნად გამოსცა თბილისშივე.

1922 წელს მანდელშტამი წერდა, რომ რუსული პოეზიისათვის საქართველო იქცა „პოეზიის აღთქმულ ქვეყნად“, რომ საქართველო იზიდავდა რუს პოეტებს თავისი მოსიყვარულე გულით. მისი ძველი ხელოვნება, ხუროთმოძღვართა, მხატვართა და პოეტთა ოსტატობა გამსჭვალულია უნატიფესი სიყვარულითა და გმირული სინაზით.

კოლაუ ნადირაძის მოგონებით, მანდელშტამი ქართულ ლექსებს მუსიკასავით ისმენდა და ყოველთვის როდი დაგიდევდათ შინაარსს. ყველაზე დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას პოეზიას. სწორედ მაშინ გადათარგმნა „გოგოთურ და აფშინა“ (ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის პწკარედის მიხედვით).

ისევ ვათხოვოთ ყური მანდელშტამს: „თანამედროვე ქართული ხელოვნების კიდევ ერთი მოვლენა (ფიროსმანის გვერდით — თ. ნ.), რომელიც ევროპულ ფასეულობათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ, ეს გახლავთ პოეტი ვაჟა-ფშაველა... ახალ საქართველოში უკვე იქმნება კიდეც ვაჟა-ფშაველას თავისებური კულტი... ეს იყო ნამდვილი გრიგალი სიტყვისა, საქართველოზე გადაგრიალებული, ფესვებიანად რომ ამოძირკვავს ხეებს მიწიდან“.

1920 წელს დაიწერა მანდელშტამის მშვენიერი ლექსი თბილისზე და 1937 წელს ისევ გაახსენდება ახალ ლექსში მთაწმინდის ძირას მდებარე მრავალხმიანი, შავთმიანი ქალაქი თავისი აივნებით, ჭადრებით, ხუჭუჭ ასოთა ნარნარი ჯაჭვით და ისიც გაახსენდება, როგორ შემოეცვითა ფეხსაცმელი დაუსრულებელი ხეტიალისაგან ხალიჩასავით აფერადებულ საქართველოს დედაქალაქში.

ვინ იცის, ეგებ კიდევ ერთხელ გაახსენდა იდილიური თბილისი (ტკბილ სიზმარში ნანახივით) იმ საბედისწერო ღამეს, როდესაც მისი ისედაც აწეწილი ცხოვრება ტანჯვა-წამებათა გზას გაუდგა.

1934 წლის 13 მაისს, მოსკოვში ოსიპ მანდელშტამს ლენინგრადიდან სტუმრად ეწვია ანა ახმატოვა. საუბარს შეჰყვნენ და მერეღა გაახსენდათ, რომ მგზავრობით დაღლილი ქალი მოშივებული იქნებოდა და მანდელშტამები ვახშმობის სამზადისს შეუდგნენ. მაგრამ არაფერი გააჩნდათ შინ და სტუმრის გასამასპინძლებლად მეზობლისაგან ერთი ცალი კვერცხი ისესხეს. ვაი რომ, იმ ერთადერთ კვერცხსაც არ ეწერა მოხარშვა თუ შეწვა. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა შუაღამისას, როგორც სჩვეოდათ, მოულოდნელად დაარღვიეს ორი

დიდებული პოეტის შეხვედრის სიამე და მანდელშტამს უჩვენეს მისი დაპატიმრების ორდერი, რომელსაც თავზარდამცემი გეპეუს თავად მრისხანე შეფი ჰენრიხ იაგოდა აწერდა ხელს. ეს, ალბათ, დიდ პატივად ითვლებოდა. იაგოდა ყველასთვის როდი გაიმეტებდა თავის ხელმოწერას.

ერთი სიტყვით, მანდელშტამი წააბრძანეს, სადაც ჯერ არს. მთელი ღამე გრძელდებოდა დაპატიმრებული პოეტის ხელნაწერთა ჩხრეკა, ხოლო ნადეჟდა მანდელშტამი და ანა ახმატოვა, მშივრები და უძინარნი, ხმაგაკმენდილნი უდრტვინველად ადევნებდნენ თვალს, თუ როგორი ინტერესითა და გულმოდგინებით იკვლევდნენ მანდელშტამის შემოქმედებას „რკინის ჩეკისტები". ავტორი დააპატიმრეს და ახლა დასაპატიმრებელ ლექსებს ეძებდნენ.

პლანეტის ერთ მეექვსედზე უკვე აღარ არსებობდნენ ლუმპენ-პროლეტარები და სამაგიეროდ სულს ღაფავდა ლუმპენ-პოეტი ოსიპ მანდელშტამი.

ღმერთო ჩემო, ლექსის გულისათვის დაპატიმრებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რაღაც დაუჯერებელ ზღაპარს წააგავს ზემოთქმული ამბავი სტუმარ-მასპინძლობისა. დიდებული რუსი პოეტი სტუმრად ჩამოსულ დიდებულ თანამოკალმეს უნდა გაუმასპინძლდეს მეზობლისაგან ნასესხები ერთადერთი კვერცხით! ასეთი ფანტასმაგორია ვერც გოგოლს მოელანდებოდა და ვერც ბულგაკოვს. ცხოვრებისეულმა სინამდვილემ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამჯერად დაჯაბნა მწერლური ფანტაზია.

თანამედროვეთა სიტყვით, მანდელშტამი ყოველთვის უპოვარი იყო. ყოველთვის შიოდა. ძველი მეგობრები: შკლოვსკი, ერენბურგი, პასტერნაკი, კატაევი შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ მას.

მანდელშტამები დასახლდნენ ახალ ბინაში, სადაც მხოლოდ ტანსაცმლის კარადა იდგა ეულად. პოეტმა ძირს გადმოაყირავა კარადა, ჩამოხსნა თაროები და ზედ ქვეშაგები დაალაგა, უმალვე გავრცელდა ჭორი: მანდელშტამებს კარადაში ძინავთო.

ერთხელაც ლიტფონდში შეიტანა განცხადება, სადაც აღნიშნავდა, რომ თავისი ოჯახის სახელით უარს ამბობდა იმ ფულად დახმარებაზე, რომელიც ერგებათ პოეტ მანდელშტამის სიკვდილის შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯებად. დაჟინებით მოითხოვდა, რომ საამისოდ დაწესებული თანხა სიცოცხლეშივე მიეცათ მისთვის (თითქოს გული უგრძნობდა, რომ მისი დაკრძალვა კაპიკიც არ დაუჯდებოდა სახელმწიფოს).

ლუმპენ-პოეტს ხასიათიც შესაბამისი ჰქონდა. ისესხებდა ფულს და მერე მადლობის მაგივრად (ვალის გადახდაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო!) თხზავდა სუსხიან ეპიგრამებს თავის გულკეთილ კრედიტორებზე.

უანგარიშო აფეთქებანი პოეტისა, ისეეე როგორც მისი ენაკვიმატობა მითქმა-მოთქმის საგნად იყო ქცეული. ერთი ეპიზოდი მისი ბიოგრაფიიდან თვალსაჩინოდ გვიხატავს ამ ტანმორჩილი, სუსტი აღნაგობის ადამიანის იშვიათ გამბედაობას და ვაჟკაცობას:

1918 წელს, ჩეკას თანამშრომელს, მემარცხენე ესერთა პარტიის წევრს იაკობ ბლუმკინს (რომელმაც სახელი გაითქვა გერმანიის ელჩის გრაფ მირბახის მკვლელობით) მანდელშტამმა ხელიდან გამოგლიჯა დასახვრეტად განწირულ მძევალთა სია და იქვე დახია.

არავის და არაფერს ეპუებოდა. ბორის პასტერნაკმა თავის ბინაში მცირე ლიტერატურული საღამო რომ მოაწყო მეგობარი ქართველი პოეტების პატივსაცემად, მანდელშტამიც იქ ბრძანდებოდა. მასპინძლის პოეზია გააკრიტიკა და საკუთარი ლექსების კითხვას შეუდგა.

ანდრეი ბელიც კი, რომელიც ძალზე შორს იდგა კომუნისტებისაგან, თავის კერძო წერილში აღშფოთებას გამოთქვამდა მანდელშტამის „მოსაბეზრებელ" ანტისაბჭოთა გამონათქვამებზე.

ენერბურგი და მანდელშტამი ასაკით ტოლები იყვნენ. მაგრამ ერენბურგი წერს: როდესაც ვუსმენდი მანდელშტამის ლექსებს, ვფიქრობდი, რომ იგი ბევრად უფროსია ჩემზე და დაბრძენებული. ყოველდღიურ ცხოვრებაში კი გამოიყურებოდა როგორც თავნება, ჭირვეული და ბუტია ბავშვი, ზოგჯერ — აუტანელი და ზოგჯერაც — უზომოდ ძვირფასი.

უცნაურობანი პოეტისა, არცთუ იშვიათად, სულიერი სნეულების სიმპტომებად ეჩვენებოდათ. ერენბურგის სიტყვით, როდესაც ყირიმში თეთრებმა დააპატიმრეს მანდელშტამი, მაქს ვოლოშინი წასულა ფეოდოსიაში საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ შეწუხებული დაბრუნებულა. უთქვამს: თეთრები მიიჩნევენ მანდელშტამს სახიფათო დამნაშავედ და ირწმუნებიან, სიგიჟის სიმულაციას ეწევაო. ცალკე საკანში რომ ჩაკეტეს, კარზე ბრახუნი ატეხა და ზედამხედველის შეკითხვაზე — რა გინდაო? ასე უპასუხა: თქვენ უნდა გამიშვათ, მე არა ვარ გაჩენილი ციხეში ჯდომისათვის.

დაკითხვაზე სიტყვა გააწყვეტინა გამომძიებელს და ჯიქურ ჰკითხა: უმჯობესია გამაგებინოთ, უდანაშაულო ადამიანს უშვებთ ხოლმე ციხიდან?

ერენბურგი ირონიულად დასძენს: 1919 წელს, ამგვარი სიტყვები კონტრდაზვერვაში ფანტასტიკურად ეღერდა და თეთრების ოფიცერი, რა თქმა უნდა, შეშლილობის სიმულაციად ჩაუთვლიდაო.

ამრიგად, მანდელშტამი დააპატიმრეს ჯერ თეთრებმა, მერე — ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა. ბოლოს დადგა წითლების ჯერი.

დავუბრუნდეთ 1934 წლის ამბავს. მაინც რატომ დააპატიმრეს მანდელშტამი?

დააპატიმრეს, ძირითადად, იმ ლექსისათვის, რომელიც სატირულ

ეპიგრამას უფრო წააგავდა ანდა უხამს კარიკატურას... სტალინზე.

აი, ამ ლექსის დასაწყისი:

„ვცხოვრობთ და ფეხქვეშ ვერა ვგრძნობთ მიწას, სიტყვა არ ისმის ათ ნაბიჯს იქით, და კუდმოკვეცილ ბაასის დროსაც უნდა გვახსოვდეს კრემლის მთიელი“.

ამ სტრიქონებს მოსდევს „კრემლის მთიელის“ ორიგინალური დახასიათება: „მსუქე მატლივით კოტიტა თითები... მსხვილი ულვაში ტარაკანისა... ფუთიანი საწონივით ზუსტი სიტყვები... და გარს არტყია წვრილკისერა ბელადთა გუნდი“.

1933 წლის ნოემბერი იდგა.

იმავე წლის იმავე თვეში იბეჭდებოდა 400-გვერდიანი ძვირფასი ალბომი, რომელიც მთლიანად ემსახურებოდა სტალინის, იაგოდას და ყველა იმ ჩეკისტის განდიდებას, რომლებმაც ათასობით პატიმართა კატორღული შრომის წყალობით სარეკორდო ვადებში დაამთავრეს ბელომორკანალის გათხრა. ამ კოლექტიური ნაშრომის მრავალ ავტორთა შორის იყვნენ ისეთი ფიგურები, როგორც მაქსიმ გორკი, ალექსეი ტოლსტოი, მიხეილ ზოშჩენკო, ვიქტორ შკლოვსკი, ვსევოლოდ ივანოვი, ვალენტინ კატაევი... ერთი სიტყვით, იმდროინდელი საბჭოთა ლიტერატურის თითქმის მთელი „ნაღები“.

ხოლო მანდელშტამმა, ვითომც არაფერიო, სატირული ეპიგრამა გამოუთქვა სტალინს.

ეს იყო გაუგონარი სენსაცია საბჭოთა კავშირის პირობებში.

ჯერ კიდევ 1925 წელს, მაიაკოვსკი თავის ერთ ლექსში მოითხოვდა, რომ პოლიტბიუროს სახელით ამხ. სტალინს მოხსენება წაეკითხა პოეზიის შესახებ (თუჯისა და ფოლადის გამოდნობის ტოლფარდად).

1926 წელს, საქართველოში დაიწერა, ვგონებ, პირველი ლექსი სტალინზე.

ათი წლის შემდეგ ბორის პასტერნაკი ბრწყინვალე ლექსს მიუძღვნის სტალინს (პირველი — რუს პოეტთაგან).

მანდელშტამი კი „თეთრი ყვავი“ იყო და დამცინავი ეპიგრამით უტიფრად გაქირდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი.

დიახ, ამ „წვირიანმა ურიამ“ (როგორც უწოდეს ბათუმის კონტრდაზვერვაში), ამ ლუმპენ-პოეტმა თამამი და დაუფიქრებელი გამოწვევა ესროლა კრემლში აღზევებულ მბრძანებელს („კრემლის მთიელს“ — მისი გამოთქმით), რომელსაც უკვე ემორჩილებოდა პლანეტის ერთი მეექვსედი და საზღვარგარეთაც ურიგოდ როდი ჰქონდა საქმე. დასავლეთის კულტურის გამოჩენილი დემოკრატ-ლიბერალი მოღვაწენი სტალინის მეხოტბეთა რიგში დგებოდნენ. მოყვარეს მოყვრულად ხვდებოდა, მტერს მტრულად უსწორებდა ანგარიშს. მისი სასტიკი ხელი, ადრე თუ გვიან, დაუნდობლად სწვდებოდა ყველა მოღალატესა და ორგულს, სადაც არ უნდა შეეფარებინათ თავი —

რუსული ემიგრაციის ციტადელად ქცეულ პარიზში, ნეიტრალურ და მყუდრო შვეიცარიაში, ნიუ-იორკის რომელიმე ღვთისგან მივიწყებულ ოტელში თუ შორეული მეხიკოს გარეუბანში აგებულ „ციხესიმაგრეში“.

მანდალშტამს არ შეეშინდა, თუმცა მშვენივრად იცოდა, რაოდენ სარისკო თამაშში ჩაება და დღითიდღე იზრდებოდა მოლოდინი „კრემლის მთიელის“ ულმობელი განაჩენისა.

მანდელშტამს არ ეშინოდა არც ცოცხალი და არც მკვდარი „ღმერთისა“ ნიკიტა სტრუვეს დაკვირვებით, მანდელშტამის ლექსში ლენინზე ორაზროვნად არის ნათქვამი: „... შენი ქვანახშიროვანი ტვინი“. მკვლევარის აზრით, აქ შეინიშნება ფარული ირონია. როგორც ცნობილია, დასძენს სტრუვე, გვამის გაკვეთისას აღმოჩნდა, რომ სკლეროზით მოცული ტვინი ლენინისა ქვასავით მაგარი იყო. „ქვანახშიროვანი ტვინი“ ჟღერს, როგორც შენიღბული აბუჩად აგდება.

მაგრამ ეპიგრამა სტალინზე გმირობას უდრიდა.

ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ მანდელშტამი როდი მალავდა თავის სატირულ ეპიგრამას, პირიქით, რამდენადაც შეეძლო, პროპაგანდას უწევდა, ნაცნობ-მეგობართა ოჯახებში ათიოდე სტუმრის გასაგონად კითხულობდა და ყველას აფიცებდა, არსად არაფერი წამოსცდენოდათ ეპიგრამის თაობაზე!

ურჩევდნენ (მათ შორის — პასტერნაკიც) დაეხია, დაეწვა ეს საშიში ტექსტი, მაგრამ მანდელშტამი ყურსაც არ იბერტყავდა. როგორც ჩანს, გაუტკბა ფრონდიორის როლში ყოფნა. საჯაროდ დასცინოდა და თათხავდა მსოფლიოს ერთი მეექვსედის შეუზღუდველ მბრძანებელს. ეგებ მისი არაოფიციალური სტატუსი ლუმპენ-პოეტისა უბიძგებდა გმირობაზე. ამქვეყნიურ საუნჯეთაგან არაფერი ჰქონდა დასაკარგავი, გარდა... სიცოცხლისა.

ცეცხლს ეთამაშებოდა.

კიდევ უფრო გასაოცარი ის გახლავთ, რომ ფხიზელმა ორგანოებმა ამდენ ხანს აცალეს თავშექცევა. ეპიგრამა დაიწერა 1933 წლის ნოემბერში, ხოლო ეპიგრამის ავტორი დააპატიმრეს მომდევნო წლის მაისში, თუმცა საკავშირო ძიება სავსებით ზედმეტი იყო. „თეთრი ყვავი“ თვალნათლივ ჩანდა ჩაშავებულ მოსკოვში.

თხუთმეტი დღე აყურყუტეს ლუბიანკაზე. მართალია, არ უწამებიათ და არც უცემიათ, მაგრამ დაუსრულებელმა დაკითხვებმა და დახვრეტის მუქარით გაჩენილმა შიშმა საგრძნობლად შეურყია ფსიქიკა.

სტალინმა მიუსაჯა მას მხოლოდ იზოლირება და შეუნარჩუნა სიცოცხლე (შედარებით „ვეგეტარიანული“ დრო იყოო, — ენამწარედ შენიშნავს ახმატოვა).

მაშინდელი ადათ-წესების თანახმად, სასჯელი აშკარად მსუბუქი

იყო ესოდენ მძიმე დანაშაულისათვის. თითქოსდა ცელქი მოწაფე გაკვეთილიდან გააგდეს, მაგრამ სკოლიდან არ გაურიცხავთ, ჭკუაზე მოვა და მალე გამოსწორდებაო.

მანდელშტამი, ერთგული მეუღლის თანხლებით, გადაასახლეს ჩრდილოეთის დაბა ჩერდინში. იქ, სულიერი დეპრესიით შეპყრობილმა თავის მოკვლა სცადა, მაგრამ უშედეგოდ.

მისი მფარველი და თაყვანისმცემელი ბუხარინი უკანასკნელად ჩაერია პოეტის ბედ-იღბალში. მან მისწერა სტალინს: „პოეტები ყოველთვის მართლები არიან. ისტორია მათ უჭერს მხარს".

შესაძლოა, ყველაზე გადამწყვეტი აღმოჩნდა პასტერნაკის გარჯა მანდელშტამის ხვედრის შესამსუბუქებლად. სწორედ პასტერნაკისა და სტალინის სატელეფონო საუბრის შემდეგ მანდელშტამი ჩერდინს მოაშორეს და ცხოვრების ნება დართეს ნებისმიერ ადგილას, ქვეყნის თორმეტი დიდი ქალაქის გარდა („მინუს თორმეტი" — ასე ეძახდნენ ამ სასჯელს). მანდელშტამმა ალალბედზე ვორონეჟი არჩია. ვორონეჟში ნაკლებად მკაცრი პირობები იყო და უფრო იოლად გაიტანდა თავს ლიტერატურული შრომით.

მანდელშტამის ეპიგრამა განაგრძობდა არსებობას და ზოგჯერ საფრთხეშიც აგდებდა ადამიანებს. ხოლო გადასახლებას ეპიგრამის ავტორის მსოფლმხედველობაში თავისებური კორექტივები შეჰქონდა.

ჯერ კიდევ გზაში, გემით რომ მიცურავდნენ მდინარე კამაზე ჩერდინისაკენ, პოეტი, რომელიც ცოტა ხნის წინათ შექმნილ ლექსში აღწერდა, თუ როგორ იჯდა გამოკეტილი თავის ცარიელ ბინაში, უსმენდა წყლის ბუყბუყს ცენტრალური გათბობის ბატარეის მილებში, შეჰყურებდა ბაყაყივით გაშეშებულ ტელეფონს და ვერ პოულობდა გასაქცევ გზას, რათა აეცდინა გადახდა ბინის საზღაურისა — ეგალობა მძლავრთა სადიდებლად და სკოლის მერხზე ჩამომსხდარი ჯალათებისათვის ჭიკჭიკი ესწავლებინა, მოულოდნელ სიმპათიას იგრძნობს წითელარმიელის კოჭებამდე ჩამოფენილი ფარაჯისადმი, და რათა პუშკინის საუცხოო ქმნილებანი მუქთახორებს არ ჩაუვარდეთ ხელთ, თავის მებადრაგეებს უკითხავს პუშკინის ლექსებს, რათა პუშკინოლოგთა ახალი თაობა, ფარაჯიანი და იარაღასხმული, განათლებას დაეწაფოს.

ისინი ვორონეჟშიც ახსენდება და ლექსით შეეხმიანება იმ სამ მებადრაგეს, მოსკოვიდან ჩერდინს რომ ჩააცილეს მანდელშტამი: ახლა ნეტავი სადა ხართ, ყოჩაღო და სანდომიანო ბიჭებო, გეპუეს რკინის ალაყაფიდანო.

გაფაციცებით უსმენს რადიოში „აიდას" და შუაღამით — წითელი მოედნიდან კრემლის კურანტების რეკვას. და უეცრად ჩნდება მანდელშტამის ლექსში მაიაკოვსკისეული „ამხანაგი მდინარეები და ტყეები... ამხანაგი ქალაქები".

მფრინავებისა და მთიბავების შრომით დაინტერესდა. მუშაობს ნარკვევზე ვორონეჟის ოლქის საბჭოთა მეურნეობის შესახებ.

1937 წლის იანვარში წერს: „და მასთან, მის გულში, საშვის გარეშე შევედი კრემლში, შორი გზა გამოვიარე დამძიმებული ცოდვილი თავით“.

იმავე წლის თებერვალში წერს: „უძლეველია კრემლის სიტყვები, მათში ჩამჯდარა თავდაცვა თავდაცვისა და საომარი ჯავშანი — წარბები, და თავი, თვალებთან ერთად, სიამტკბილობით შემოკრებილა“.

ვორონეჟში გადასახლებული მანდელშტამი, რომელმაც უკვე გამოთქვა მთელი თავისი უთანხმოება ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი სინამდვილის მსვლელობასთან, ახლა განიცდიდა ლტოლვას მისივე დამსჯელი რევოლუციისაკენ და პოეტს თავზარს სცემდა ის ვარაუდი, რომ თუკი ზურგს შეაქცევდა მშობელ ქვეყანას, გამორჩებოდა ის დიადი და ზესაქებარი, რაც ხდებოდა მის ირგვლივ.

არ შეეშინდა დაეწერა ეპიგრამა სტალინზე, მაგრამ ეშინოდა ხალხიდან მოკვეთისა. ცხოვრებამ გარიყა და სწყუროდა უკან დაბრუნება. ცხოვრება ხომ უმისოდაც არხეინად გრძელდებოდა და ვიღას ახსოვდა დასჯილი პოეტი? ადამიანები შრომობდნენ, ისვენებდნენ, იცინოდნენ, ტიროდნენ, ეძებდნენ სიყვარულს და პოულობდნენ. მოსკოვში აშენებდნენ მეტროს. მოსახლეობა მიესალმებოდა პაპანინელებს, სტახანოველთა მორიგ რეკორდს, „სტალინური შევარდნების“ მორიგ, არნახულ გადაფრენას.

ნადეჟდა მანდელშტამი იგონებს: „მგზავრებით გაჭედილ ვაგონებში, ახმაურებულ სადგურებსა თუ გემზე, ერთი სიტყვით — ყველგან, არავის ყურადღებას არ იქცევდა ესოდენ ეგზოტიკური სანახაობა: ქალი და კაცი, სამი შეიარაღებული მებადრაგის თანხლებით. არავის გამოუყოლებია თვალი ჩვენთვის, კარგად რომ დაგვკვირვებოდა. მიეჩვივნენ ამგვარ სანახაობას თუ „გადამდები სენის“ ეშინოდათ?“

გულგრილობა ბრბოსი თურმე ძალზე აღელვებდა პოეტს: „წინათ ისინი პატიმრებს მოწყალებას უწვდიდნენ, ახლა კი ზედაც არ აფურთხებენ“.

ხალხის მიერ აღიარებული იდეალური პორტრეტი ბელადისა, ეტყობა, მანდელშტამის სულშიც ჩასახლდა. ძალაუნებურად უჩნდებოდა დანაშაულის შეგრძნება. ხალხის შრომითი ენთუზიაზმი აიძულებდა სხვა თვალით დაენახა ხუროთმოძღვარი ახალი ცხოვრებისა. ხალხის წიაღში ინტელიგენტი პოეტის მოხვედრამ თავისებური შოკი არგუნა წილად და ვინ იცის, ეგებ რეტროგრადობაც დასწამა თავის ჯიუტ ბუნებას. კოშმარულ ზმანებათაგან გამოფხიზლებას ცდილობდა, რათა შეერთებოდა მილიონებს.

1937 წლის იანვარ-თებერვალში მანდელშტამმა შეთხზა ოდა სტა-

ლინზე. სამი წლის წინ გალაღებული მეამბოხის როლს თამაშობდა, ახლა ქედმოდრეკილი მეხოტბის კალმით შეამკო უწინდელი ობიექტი დაცინვისა. ეპიგრამიდან სამი წელიწადი იარა პოეტის მუზამ ოდამდე! როგორ დაიბადა ესოდენ თავბრუდამხვევი მეტამორფოზა?

„ოდაში“ ნათქვამია, რომ უფრო და უფრო ახალგაზრდულ იერს იძენს მისი ათასწლეული, ბელადის გულადობა შერწყმულა ღიმილთან და როდესაც მის გამომეტყველებას კარგად დააკვირდები, მამად შეიცნობ და არ ეგების წყენა მიაყენო. თუ მე არ დავწერ ამას, თუ სხვაც არ დაწერს, მთელი ხალხი ჰომეროსს გაუტოლდება და ქებას გაასაკეცებსო. დევნილი პოეტის პირით მხოლოდ პიეტეტი ღაღადებს.

И я хочу благодарить холмы
Что эту кость и эту кисть развили:
Он родился в горах и горечь знал тюрьмы
хочу назвать его - не Сталин, - Джугашвили!

თითქოს სწადია, შინაურულად გაესაუბროს, ნამდვილი გვარით იხსენიებს, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც თავისი მკაცრი ფსევდონიმით არის განთქმული მთელს მსოფლიოში.

მე მისგან ვსწავლობ — საკუთარი თავი არ დავინდოო...

ძნელია ამ ლექსიდან ყველაზე მოხდენილი სტრიქონები ამოგლიჯო ანდა პწკარედით გადმოსცე. ოდენ კონგენიალური თარგმანი არ გააფერმკრთალებდა შთაბეჭდილებას.

კიდევ ერთი სტროფი მინდა დავიმოწმო — ბოლო სტროფი.

Правдивей правды нет, чем искренность бойца;
Для чести и любви, для доблести и стали,
Есть имя славное для сжатых губ чтеца -
Его мы слышали и мы его застали.

მოსალოდნელი იყო, რომ აღმოცენებული ტრადიციისამებრ გაეგრითმა „ფოლადი“ და „სტალინი“, მაგრამ მანდელშტამმა არც აქ უღალატა თავის მაღალ პროფესიულ დონეს და პოეტური შრომის გაიოლებამ არ აცდუნა. თუნდაც ეს, ერთი შეხედვით, წვრილმანი ფაქტი ადასტურებს პოეტის გულწრფელ შთაგონებას.

თავის მოგონებებში ნადეჟდა მანდელშტამი წერს: „როდესაც ვორონეჟიდან გამოვემგზავრეთ, ოსიპ მანდელშტამმა სთხოვა ნატაშა შტემპელს (ვორონეჟელი მასწავლებელი, მანდელშტამთა ოჯახის მეგობარი — თ. ნ.), რომ მოესპო „ოდა“. ახლაც მრავალნი მირჩევენ, გადავმალო იგი, თითქოსდა ამის მსგავსი არასოდეს მომხდარაო. მაგრამ ამას არ ვიზამ, ვინაიდან სიმართლე არასრული იქნებოდა; გაორებული ყოფიერება — ჩვენი ეპოქის აბსოლუტური ფაქტია და ვერავინ გაექცა მას. ოღონდ ესაა, რომ სხვები ამგვარ ოდებს თხზავდნენ თავიანთ ბინებში თუ აგარაკებზე და ამისათვის ჯილდო-

საც იმსახურებდნენ, ხოლო ოსიპ მანდელშტამმა დაწერა ყველშეთოკილმა... ახმატოვამ — როდესაც მის შვილს ყელში თოკს უჭერდნენ (1949 წელს — თ. ნ.). ვინ შერისხავს მათ ამ ლექსების გამო?!"

შერისხვით, ვგონებ, არავის შეურისხავს (გონებააბნეულ ადამიანებს თუ არ ჩავთვლით), მაგრამ სხვადასხვაგვარად ლამობენ აღნიშნული მოვლენის გაშუქებას, ზოგჯერაც ექცევიან უკიდურესად სუბიექტური განწყობილების მარწუხებში და აშკარა მიკერძოებას ამჟღავნებენ.

ოსიპ მანდელშტამის პოეტური „რეაბილიტაციისათვის" მისი ნახელავის დაკნინებასაც არ ერიდებიან. ასე მაგალითად, სერგეი ავერინცევი შენიშნავს: „ფრიად სანუგეშოა, რომ ორივე ცდა მარცხით დამთავრდა" (იგულისხმება პასტერნაკისა და მანდელშტამის ლექსები სტალინზე — თ. ნ.).

პასტერნაკის ბრწყინვალე ლექსთან შედარებით „ოდა", ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებს და ჩამოუვარდება თვით მანდელშტამის შედევრებსაც, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ მეტყველებს იმას, თითქოსდა პოეზიამ ნება არ მისცა პოეტს — შეექმნა სრულყოფილი ლექსი ძალდატანებულ თემაზე.

რაც შეეხება ნ. მანდელშტამის მიერ დამოწმებულ ცნობას, სხვა რომ არაფერი ვიცოდეთ, უთუოდ ვიფიქრებდით, დასახელებული ნატაშა შტემპელის ხელთ იყო „ოდის" ერთადერთი ეგზემპლარი და მისი გაქრობა გააქრობდა „შავ ლაქას" მანდელშტამის შემოქმედებაში. მაგრამ საქმე ისაა, რომ ვორონეჟიდან მოსკოვს დაბრუნებული პოეტი ცდილობდა ამ ლექსის დაბეჭდვას პრესაში.

შემონახულია თავისებური რეცენზია მანდელშტამის „ოდაზე", რომელიც თან ახლავს საბჭოთა მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელის ვ. სტავსკის წერილს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ნ. ეჟოვისადმი (1938 წლის 16 მარტი), სადაც ვკითხულობთ, რომ „ოდაში" მოიძებნება ჩინებული სტრიქონები და იგი გამსჭვალულია დიდი გრძნობით, რითაც გაჰოირჩევა სხვა, ახალი ლექსებიდან. მაგრამ იმავე რეცენზიაში ისიც აღნიშნულია, რომ „ოდაში" მრავლად არის ენაბრგვილობა, რაც არ შეეფერება თემას სტალინზე.

მაინც რამ დააწერინა მანდელშტამს „ოდა"? (ეპიგრამის შემდეგ!). ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრებანი არსებობს და მათგან ყველაზე მარტივი გვაუწყებს, რომ პოეტი ამ ლექსით სიცოცხლეს ითხოვდა.

ერთი ვარაუდის მიხედვით, სტალინს ეწადა, რომ მანდელშტამს, ნიჭიერსა და ცნობილ პოეტს დაეწერა მისი სახოტბო ლექსი. ათას პირმოთნე მჯღაბნელს ერთი ურჩი მანდელშტამი ერჩივნაო. სტალინმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რაოდენ ანგარიშგასაწევ ოსტატად ითვლებოდა თავის ამქარში მანდელშტამი და მისი პოეზიის ღირსებებს,

შესაძლოა, თვითონაც ხვდებოდაო. მაგრამ, მეორე მხრივ, განა საჩოთირო არ იქნებოდა, რომ ეპიგრამის ავტორი სამწლიანი გადასახლების შემდეგ და შედეგად ხოტბას შეასხამდა ბელადს? (თუმცა, ვინ იცის, სტალინს ეგებ პირიქით ეფიქრა. ამგვარი მოვლენა ხომ კიდევ ერთხელ დაამტკიცებდა სოციალისტური წყობილების ძლევამოსილებას, რომელმაც ანტისაბჭოთა პოეტი მანდელშტამი გარდაქმნა საბჭოთა პოეტად).

მანდელშტამმა ვეღარ მოასწრო გადაებიჯებინა „ოდაზე" და დაბრუნებოდა „მგელს", თუმცა სამწლიანი გადასახლების შემდეგ მთელი წელიწადი ხელს არავინ უშლიდა, რომ გალილეის მსგავსად მოქცეულიყო.

ფიქრობენ, რომ სტალინმა შესანიშნავად იძია შური მანდელშტამზე — ეპიგრამის შემდეგ სახოტბო ლექსი დააწერინა და მერე სასიკვდილოდ გასწირაო. გენიოსებსაც არ აკლიათ ადამიანური სისუსტენი და შეურაცხყოფილ სულში გაჩენილი წყურვილი შურისძიებისა არ უნდა გაგვიკვირდეს. ეგებ აჯობებდა, რომ დიდსულოვნება გამოეჩინა? გიგანტური ქვეყნის მბრძანებელი ნუთუ თავს უყადრებდა ერთ, თუნდაც უაღრესად ნიჭიერ პოეტს? მაგრამ პოლიტიკოსი სძლევდა ადამიანს. ეპიგრამა ხომ ვრცელდებოდა და ვრცელდებოდა არალეგალურად. სტალინს მშვენივრად მოეხსენებოდა ლექსის ფასი და ძალა. მანდელშტამის ეპიგრამა ჩრდილს აყენებდა დიქტატორის პრესტიჟს. გალექსილი დაცინვა ათასჯერ აღემატებოდა მისი შემოქმედის ძალ-ღონეს და სოციალურ წონას. სტალინის რწმენით, დანაშაული იმსახურებდა სასტიკ სასჯელს, მაგრამ თავდაპირველად გამოტანილი მსუბუქი განაჩენი ავალდებულებდა მანდელშტამს გამოესყიდა ჩადენილი ცოდვა და ეპიგრამა შეეცვალა ხოტბით. სტალინმა ზუსტად ამოიცნო პოეტის ფსიქოლოგია და მოვლენათა მსვლელობამ ჩანაფიქრი გაუმართლაო.

მთელი ამბავი იქნებ უფრო მარტივად აიხსნას? იქნებ ეპიგრამა აღარაფერ შუაში იყო? ღმერთმა უწყის, 1938 წელს ახსოვდა თუ არა სტალინს ოთხი წლის წინათ დაპატიმრებული პოეტი. ვერავინ დაამტკიცებს, ახსოვდაო. შესაძლოა, იმოქმედა იმ ხანებში გაბატონებულმა წესმა: მასობრივი რეპრესიების ჟამს მყისვე გაახსენდებოდათ უკვე ერთხელ დაპატიმრებული და გადასახლებული, და ხელახლა იმეორებდნენ სასჯელს, ამჯერად — არაფრის გულისათვის.

ჩემი აზრით, მანდელშტამის მონანიება გულწრფელი იყო და მისი „ოდა" საბჭოთა ხალხის უმრავლესობის გავლენით არის შექმნილი. თუმცა პოეტზეც იმოქმედებდა დღემდე ამოუხსნელი ჰიპნოზი სტალინისა, ვისი ვეება სურათებიდან თითქოს სწორედ მეამბოხე პოეტის მისამართით იყო ნასროლი მამობრივი დამტუქსველი მზერა ან გულღია ღიმილი გამოკრთებოდა და პატიებას ჰპირდებოდა.

ცხოვრება გაორებული იყო, როგორც ბრძანებს მანდელშტამის ქვრივი და თავისთავად ცვალებადი ბუნების დიდებული პოეტიც ვერ ასცდებოდა გაორებას. გულწრფელი იყო მაშინაც, როდესაც წერდა მომაკვდინებელ ეპიგრამას და, ალბათ, ამგვარივე გულწრფელობით თხზავდა საქმაოდ ვრცელსა და იშვიათი მხატვრული სახეებით დამშვენებულ „ოდას“.

თანამედროვე უკრაინელი მწერალი იჟან ძიუბა წერს: „და აქ გამოისახება კიდევ ერთი ტრაგიკული პარადოქსი. კაცობრიობის ისტორიაში არავინ შეუმკიათ ამდენი სიყვარულითა და მადლიერებით, როგორც ეს უდიდესი დესპოტი და ჯალათი. არასოდეს არავისზე არ შექმნილა და აღარც შეიქმნება ამდენი მშვენიერი ლექსი და პოემა, სიმღერები, რომანები, სპექტაკლები, კინოფილმები. და სიცრუეა, თითქოსდა ყოველივე ეს ხალტურას წარმოადგენდეს...“

ოსიპ მანდელშტამი 1937 წლის მაისამდე ცხოვრობდა ვორონეჟში. დაუმთავრდა სამწლიანი გადასახლების ვადა და მოსკოვს გაეშურა. ამაოდ ლამობდა, აღედგინა დედაქალაქში ცხოვრების უფლება. დადიოდა რედაქციებში, მიჰქონდა თავისი ახალი, „მორჯულებული“ ლექსები. მაგრამ, დაშინებული რედაქტორები სათოფეზე არ იკარებდნენ გადასახლებიდან დაბრუნებულ პოეტს. მასთან საუბარსაც კი გაურბოდნენ.

1932 წლიდან ჟურნალ-გაზეთებში მისი ერთი ლექსიც არ გაჭაჭანებულა და ვეღარც საკუთარი თავის გარდაქმნამ უშველა. დაღდასმული პოეტისაგან აღარც სტალინის ხოტბა სურდათ და აღარც წითელი მოედნისა.

1938 წლის 2 მაისს ხელმეორედ დააპატიმრეს, ხუთწლიანი კატორღა მიუსაჯეს და ციმბირისაკენ უკრეს თავი. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, როგორც აცნობეს მის ქვრივს, ოსიპ მანდელშტამი გარდაცვლილა 1938 წლის 27 დეკემბერს.

ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, ავადმყოფი პოეტი კოცონთან თბებოდა და ზეპირად კითხულობდა პეტრარკას სონეტებს.

კაცი, რომელსაც არასოდეს დაულევია აუდუღარი წყალი, ვლადივოსტოკთან ახლოს მდებარე სატრანზიტო კონცლაგერში შიმშილისაგან ღონემიხდილი სამზარეულოდან გადაყრილი ნარჩენების ბინძურ გროვაში იქექებოდა, კარტოფილის ნაფცქვენს მაინც წავაწყდეო. სიკვდილის პირას მისულს მხოლოდ ლუკმა პურიღა ახსოვდა.

მის ცნობიერებაში, ალბათ, უკვე ქრებოდა პოეზიის სამყარო.

თბილისელი მხატვარი შუხაევი იმავე ხანებში, იმავე მიდამოებში იმყოფებოდა, მაგრამ ვერ შეხვედრია მანდელშტამს. მხოლოდ ის აგონდება, რომ პატიმრებმა ერთხელ გაუწოდეს მოსაწევი თამბაქო, რომელიც გახვეული იყო... მანდელშტამის ლექსის ავტოგრაფში.

ულვაშიანი კაცის ასი ათასობით პორტრეტი

1937 წელს მოსკოვს სტუმრად ეწვია გამოჩენილი გერმანელი მწერალი ლიონ ფოიხტვანგერი. მას ეწადა თავისი თვალით ეხილა XX საუკუნის უცნაური ქმნილება — საბჭოთა კავშირი, რომელსაც დასავლეთში ზოგი გმობდა და წყეველიდა, ზოგიც ხოტბას ასხამდა და მომავალი საზოგადოების ნიმუშად მიიჩნევდა.

საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისას ფოიხტვანგერი ვარდისფერი სათვალით არ შეიარაღებულა. შესაძლოა, ტენდენციურად განწყობილმა მკითხველმა გერმანელი მწერლის ჩანაწერებში უფრო მეტი აღმოაჩინოს დადებითი, ვიდრე უარყოფითი ანდა საბჭოეთის აპოლოგეტმა წიგნში უხვად გაფანტულ კრიტიკულ შენიშვნებზე გაამახვილოს ყურადღება, მაგრამ დააკმაყოფილო განსხვავებულად მოაზროვნენი, ალბათ, გადაუჭრელი ამოცანაა და ფოიხტვანგერი იმეორებს დიდებული გოეთეს ნათქვამს: „მნიშვნელოვანი მოვლენა ყოველთვის გეხიბლავს ჩვენ; მის ღირსებებს რომ შევიცნობთ, მერე უყურადღებოდ ვტოვებთ იმას, რაც მასში საეჭვო გვეჩვენება“. ფოიხტვანგერი ერთ ლიტერატურულ კურიოზსაც შეგვახსენებს. თურმე ერთი კრიტიკოსი გენიალურ პოემაში ამჩნევდა მხოლოდ არასწორად განლაგებულ სასვენ ნიშნებს, და თავის გამოხმაურებაში შექსპირის შესახებ დაუწერია: „ცოტაოდენი გაეგებოდა ლათინურისა და სრულიად არ იცოდა ბერძნული“.

თავისუფლება რომ არ ბატონობდა საბჭოთა კავშირში — აი, რა აწუხებდათ და აწვალებდათ დასავლეთის თაეგამოდებულ დემოკრატებს. ფოიხტვანგერი იმოწმებს სტალინის პასუხს, წარმოთქმულს სტახანოველთა თათბირზე; „... სამწუხაროდ, მარტოოდენ თავისუფლება არაა საკმარისი. თუკი გვაკლია პური, თუკი გვაკლია კარაქი და ცხიმი, გვაკლია მანუფაქტურა და საცხოვრებელი ბინებიც გვეჭირს, მარტოოდენ თავისუფლებით შორს ვერ წახვალ. ძალზე ძნელია, ამხანაგებო, ისუნთქო მხოლოდ თავისუფლებით. რათა ვიცხოვროთ კარგად და ხალისიანად, აუცილებელია, რომ პოლიტიკური თავისუფლების სიკეთეს ემატებოდეს მატერიალური კეთილდღეობა“.

„ნეტავი თქვენ რა გნებავთ? — ფოიხტვანგერთან საუბრისას ხუმრობით უკითხავს ერთ ფილოლოგს, — დემოკრატია ეს არის ბატონობა ხალხისა, დიქტატურა — ბატონობა ერთი კაცისა. მაგრამ თუკი ეს კაცი ესოდენ იდეალურად გამოხატავს ხალხის ნებას, როგორც ჩვენში, განა დემოკრატია და დიქტატურა ერთი და იგივე არ არის?“

ფოიხტვანგერის სიტყვით, ეს ხუმრობა სერიოზულ ნიადაგზეა აღმოცენებული. თაყვანისცემა და უზომო კულტი, რომლითაც გარშემორტყმულია სტალინი — ესაა პირველი ნიშანი, უმალვე თვალში რომ ხვდება საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ ჩამოსულ უცხოელს. ყოველ კუთხესა თუ გზაჯვარედინზე, შესაფერ თუ შეუფერებელ ადგილებში მოჩანს სტალინის გიგანტური ბიუსტები და პორტრეტები. მოხსენებანი, რომელთაც ისმენ, არა მარტო პოლიტიკური მოხსენებანი, არამედ — ნებისმიერ სამეცნიერო თუ მხატვრულ თემებზე, დახუნძლულია სტალინის ქება-დიდებით და ხშირად ამგვარი გაღმერთება უგემოვნო ფორმით მჟღავნდებაო.

ფოიხტვანგერს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი. მისი აზრით, როდესაც სამშენებლო გამოფენის სხვადასხვა დარბაზებში დადგმულია სტალინის ბიუსტები, ამას გარკვეული გამართლება მოეპოვება, ვინაიდან სტალინი მოსკოვის სრული რეკონსტრუქციის პროექტის ერთერთი ინიციატორია. მაგრამ ფოიხტვანგერისათვის საკვირველია, რა ესაქმება სტალინის კოლოსალურ, თანაც ულაზათო, ბიუსტს რემბრანდტის სურათების გამოფენაზე, საერთოდ გემოვნებით რომ გაუფორმებიათ.

„მე ძალზე შევცბუნდი, — წერს ფოიხტვანგერი, — როდესაც ერთ მოხსენებაში, რომელიც საბჭოთა დრამის ტექნიკას ეხებოდა, მომხსენებელმა, მანამდე ზომიერების გრძნობა რომ არ ღალატობდა, მოულოდნელად წარმოთქვა აღტაცებული ჰიმნი სტალინის დამსახურებათა შესახებ".

ფოიხტვანგერის აზრით, უეჭველია, რომ ეს გაზვიადებული თაყვანისცემა, უმეტესწილად, გულწრფელია, ვინაიდან საბჭოთა ადამიანებს უჩნდებათ მოთხოვნილება, რომ გამოხატონ თავიანთი მადლიერება, თავიანთი უსაზღვრო აღტაცება. ესინი მართლაც ფიქრობენ, რომ ყველაფერი, რაც მოეპოვებათ და რასაც თვითონ მიაღწიეს — სტალინის ღვაწლის ნაყოფია. სტალინის ამგვარი გაღმერთება დასავლეთიდან ჩამოსულ კაცს უცნაურობად და აუტანლადაც კი მოეჩვენება, მაგრამ როგორც ფოიხტვანგერი გვარწმუნებს, იგი არსად წაწყდომია იმგვარ ნიშანს, რომ ეს გრძნობა ხელოვნური ყოფილა.

ხალხიო, ამტკიცებს ფოიხტვანგერი, მადლობელია სტალინისა იმის გამო, რომ იშოვება პური, ხორცი, სუფევს წესრიგი, ჯეროვნადაა დაყენებული განათლების საქმე და დიდი მზრუნველობით უვლიან არმიას, რომელმაც უნდა დაიცვას ეს კეთილდღეობა. ფოიხტვანგერი შენიშნავს, რომ ხალხს უნდა ჰყავდეს ვინმე, რომელსაც მიაგებს მადლიერებას თავისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გამო და ამ მიზნით იგი ირჩევს არა განყენებულ ცნებებს, არა აბსტრაქტულ „კომუნიზმს", არამედ კონკრეტულ ადამიანს — სტალინს.

ფოიხტვანგერის დასკვნით, სტალინი ხალხის თვალში განასახიე-

რებს მზარდ აყვავებას, განათლების წინსვლას, და ნდობას სოციალიზმის მიმართ.

გერმანელი მწერლის დაკვირვებით, სტალინი მართლაც არის „ხორცი ხორცთაგანი“ ხალხისა. იგი ელაპარაკება ხალხს მისსავე ენაზე. სტალინი არ გახლავთ დიდი ორატორი, შეტყველებს ნელა, ყოველგვარი ბრჭყვიალების გარეშე და ოდნავ მიყრუებული ხმით. ის აუჩქარებლად ანვითარებს თავის არგუმენტებს, რომლებიც მიმართულია ადამიანთა საღი აზროვნებისადმი. ფოიხტვანგერის სიტყვით, მთავარი, რაც ახასიათებს სტალინს, ეს გახლავთ იუმორი — ეშმაკური, მშვიდი, ზოგჯერაც დაუნდობელი გლეხური იუმორი. ის ძალზე სწრაფად ამყარებს კავშირს აუდიტორიასთან. ფოიხტვანგერი წერს, რომ სტალინის სიტყვები ძალზე დაწვრილებითია და ერთგვარად პრიმიტიულიც კი. მაგრამ მოსკოვში უნდა ილაპარაკო ხმამაღლა და მკაფიოდ, თუკი გწადია, რომ შენმა ნათქვამმა ვლადივოსტოკამდეც მიაღწიოსო.

შემდეგ აღნიშნულია სტალინის განსაკუთრებული თავმდაბლობა. არავითარი ტიტული არ მიუთვისებია და მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის მდივნად თვლის თავს. საზოგადოებრივ ადგილებში იშვიათად გამოჩნდება ხოლმე და ისიც მაშინ, როდესაც ეს ძალზე აუცილებელია. მისი პირადი ცხოვრებიდან ძალზე ცოტა რამ ხდება ცნობილი საზოგადოებისათვის.

ფოიხტვანგერის სიტყვით, სტალინს, ეტყობა, ძალზე ბეზრდება უსაზღვრო გაღმერთება საკუთარი პერსონისა და თვითონვე დასცინის ამ მოვლენას. თურმე, ახალი წლის შეხვედრისას, შინაურთა წრეში მყოფმა ასწია თავისი ჭიქა და თქვა: „მე ვსვამ ხალხთა სწორუპოვარი ბელადის, დიდი სტალინის სადღეგრძელოს. და ეს იყოს უკანასკნელი სადღეგრძელო, რომელსაც წელს მეტყვით“.

ფოიხტვანგერი წერს, რომ პორტრეტებზე სტალინი გამოიყურება მაღალ, მხარბეჭიან და წარმოსადეგ მამაკაცად. სინამდვილეში მას ტანმორჩილი უფრო ეთქმის და გამხდარი აღნაგობისაა. კრემლის ვრცელ კაბინეტში, სადაც მწერალი შეხვდა სტალინს, იგი თითქმის შეუმჩნეველი რჩებოდა.

ფოიხტვანგერის სიტყვით, სტალინი ლაპარაკობდა აუჩქარებლად, წყნარი და ოდნავ ყრუ ხმით. მას არ უყვარს დიალოგები, რომლებიც შეიცავს მოკლე და მღელვარე შეკითხვებს, პასუხებს, წიაღსვლებს. ურჩევნია დინჯი, მოფიქრებული ფრაზები. მეტყველებს ძალზე მკაფიოდ, თითქოსდა კარნახობდეს. საუბრის დროს ბოლთას სცემს ოთახში, მერე მოულოდნელად მიუახლოვდება თანამოსაუბრეს, თავისი ლამაზი ხელის საჩვენებელ თითს გაიწვდენს მისკენ და მოთმინებით უხსნის, განუმარტავს სათქმელს, ანდა თავისი მოფიქრებული ფრაზების ფორმულირებისას, ფერადი ფანქრით რაღაცას ხატავს ქაღალდის ფურცელზე.

სტალინთან ჩემი საუბრის თემა წინასწარ არ იყო შეთანხმებული, გვამცნობს გერმანელი მწერალი. არავითარი საკითხები არ მომიმზადებია და ველოდი, რომ ადამიანისა და მომენტის შთაბეჭდილებით თავისთავად გაჩნდებოდაო. ფოიხტვანგერი გულში შიშობდა, რომ წარმოიქმნებოდა მეტად ოფიციალური და, ასე ვთქვათ, დაუთოებული საუბარი, რომლის მსგავსი ორჯერ თუ სამჯერ ჰქონია სტალინს დასავლეთის მწერლებთან. თავდაპირველად, საუბარი მართლაც ამ კალაპოტს გაჰყვა. მსჯელობდნენ მწერლის ფუნქციებზე სოციალისტურ საზოგადოებაში, სიტყვისა და ლიტერატურის თავისუფლებაზე საბჭოთა კავშირში და სხვა ანალოგიურ თემებზე. სტალინი ჯერ ფრთხილად, ზოგადი ფრაზებით ლაპარაკობდა, მაგრამ თანდათან შეცვალა თავისი დამოკიდებულება და მალე გერმანელმა მწერალმა იგრძნო, რომ ამ ადამიანთან მას შეეძლო გულახდილი საუბარი. ელაპარაკებოდა გულახდილად და სტალინიც ასევე პასუხობდა.

ფოიხტვანგერი წერს: „სტალინი ლაპარაკობს შეულამაზებლად და ძალუძს, რომ რთული აზრებიც კი უბრალოდ გამოთქვას. ზოგჯერ ის ლაპარაკობს ძალზე უბრალოდ, როგორც ადამიანი, რომელიც შეეჩვია თავისი აზრების იმგვარ ფორმულირებას, რომ ისინი გაიგოს ყველამ, მოსკოვიდან — ვლადივოსტოკამდე. შესაძლოა, მას არ გააჩნია ენამახვილობის ნიჭი, მაგრამ, უდავოდ, ახასიათებს იუმორი. ხანდახან მისი იუმორი სახიფათო იერსაც იძენს. დროდადრო ჩაიცინებს ხოლმე ყრუდ, ეშმაკური სიცილით. ის ძალზე თავისუფლად ერკვევა მრავალ დარგში და, ყოველგვარი მომზადების გარეშე, ზეპირად იმოწმებს სახელებს, თარიღებს, ფაქტებს — ყოველთვის ზუსტად და შეუცდომლად".

საუბრის დასაწყისში სტალინი ლაპარაკობდა ზოგადი ფრაზებით და იყენებდა პარტიული ლექსიკონის ცნობილ შაბლონურ გამოთქმებს. მერე კი გერმანელ მწერალს დავიწყებია, რომ პარტიულ ხელმძღვანელს ესაუბრებოდა. ჩემს წინაშე როგორც პიროვნება წარმოდგა და გაეთამამდიო. სტალინი ყოველთვის როდი ეთანხმებოდა სტუმარს, მაგრამ ფოიხტვანგერის სიტყვით რომ ვთქვათ, მუდამ რჩებოდა ღრმა-აზროვანი, გონიერი, ჩაფიქრებული...

ფოიხტვანგერი წერს, რომ მისთვის ცნობილ ყველა ადამიანთაგან, ხელისუფლების სათავეში რომ დგანან, სტალინი გაშოირჩევა თავისი უბრალოებით. გულახდილად გაეცუზიარე ჩემი აზრები მისი პიროვნების უგეშოვნო და უზომო კულტზე. ისიც გულახდილად მპასუხობდაო.

V ფოიხტვანგერის შენიშვნაზე მისი უგემოვნო, გაზვიადებული თაყვანისცემის შესახებ სტალინს, მხრების აჩეჩვით, ასეთი პასუხი გაუცია: ბოდიშს ვიხდი მუშებისა და გლეხების სახელით, რომ ისინი

ძალზე დაკავებული იყვნენ სხვა საქმეებით და ვერ შეძლეს კარგი გემოვნების შეთვისებაო და მერე იხუმრა კიდეც ულვაშიანი კაცის ასი ათასობით საზარლად გადიდებულ პორტრეტებზე, რომლებიც თვალს უჭრელებენ დემონსტრაციის დროს.

გერმანელმა მწერალმა ისიც უთხრა, რომ ის ადამიანებიც კი, აშკარად რომ გამოირჩევიან თავიანთი გემოვნებით, ათავსებენ მის ბიუსტებსა და პორტრეტებს (თანაც უვარგისს!) იმ ადგილებში, სადაც მათ არაფერი ესაქმებათ, როგორც მაგალითად, რემბრანდტის გამოფენაზე.

ეს რომ მოისმინა, სტალინი სერიოზულად ჩაფიქრდა და გამოთქვა ვარაუდი, რომ ამ ადამიანებმა საკმაოდ გვიან აღიარეს არსებული რეჟიმი და ახლა ლამობენ, რომ თავიანთი ერთგულება გაორკეცებული მონდომებით დაამტკიცონ. შესაძლებელია, ეს მავნებლობაც კი იყოს, რომელიც მიზნად ისახავს მის დისკრედიტაციას. ასე უთქვამს სტალინს.

„მლიქვნელი შტერი, — გაჯავრებით შენიშნა სტალინმა, — უფრო დიდ ზიანს გვაყენებს, ვიდრე ასობით მტერი“.

სტალინის სიტყვით, მთელ ამ ხმაურს ის ითმენს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იცის, რამდენ მიამიტ სიამოვნებას მოუტანს საზეიმო ალიაქოთი მის ორგანიზატორებს და ისიც მშვენივრად მოეხსენება, რომ ყოველივე ეს ეხება მას არა როგორც კერძო პიროვნებას, არამედ იმ მიმდინარეობის წარმომადგენელს, რომელიც ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტროცკისეული პერმანენტული რევოლუცია.

დასასრულ, ერთი ძალზე საინტერესო ფრაგმენტი უნდა დავიმოწმო ლიონ ფოიხტვანგერის წიგნიდან „მოსკოვი, 1937“.

საბჭოთა კავშირის ერთ წარჩინებულ სახელმწიფო მოღვაწეს გაუცხადებია გერმანელი მწერლისათვის: „ბურჟუაზიულ დემოკრატიათა ხელმძღვანელი პოლიტიკოსები, ისევე როგორც ჩვენ, დროულად მივხვდით, რომ ფაშისტურ სახელმწიფოთა სამხედრო მუქარის წინააღმდეგ წარმატებას შეიძლება მიაღწიოს ერთადერთმა პოლიტიკამ — კონტრშეიარაღების პოლიტიკამ. მაგრამ თქვენში ანგარიშს უწევენ ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის არჩევნები, პარლამენტი და ხელოვნურად შექმნილი საზოგადოებრივი აზრი. ხელმძღვანელმა პოლიტიკოსებმა უნდა დაფარონ თავიანთი თვალსაზრისი ანდა, უკეთეს შემთხვევაში, გამოხატონ ფრთხილად, შენიღბული სახით. ისინი იძულებული არიან მიმართონ სხვადასხვა ხერხებს — პირფერობას ან მუქარას იმისათვის, რომ მოიპოვონ პარლამენტისა და საზოგადოებრივი აზრისაგან თანხმობა აუცილებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად. ჩვენ რომ არ ვარსებობდეთ და შეიარაღებას უგულოდ

ვეკიდებოდეთ, ფაშისტები კარგა ხანია გააჩაღებდნენ ომს. დემოკრატიული პარლამენტების საქმიანობა, ძირითადად, იმაში გამოიხატება, რომ სიცოცხლე გაუმწარონ პასუხისმგებელ მოღვაწეებს, ხელი შეუშალონ საჭირო ღონისძიებათა განხორციელებაში ანდა, უკეთეს შემთხვევაში, გაუძნელონ მათი განხორციელება. ე. წ. დემოკრატიული პარლამენტიზმისა და ე. წ. დემოკრატიული პრესის თავისუფლება მჟღავნდება იმით, რომ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გამუდმებით ასხამენ თავსლაფს ანდა აიძულებენ, მთელი თავისი მოღვაწეობა მიუძღვნას უსაფუძვლო შეურაცხყოფათა უარყოფას. პარლამენტულ სახელმწიფოთა მინისტრები, ნაყოფიერი მუშაობის ნაცვლად, თავისი დროის უმეტეს ნაწილს ხარჯავენ იმაზე, რომ პასუხი გასცენ არავისთვის საჭირო შეკითხვებს და ამტკიცონ მონაჩმახი შეკამათების აბსურდულობა“.

თითქოსდა სტალინის ნააზრევს კითხულობდე...

ფოიხტვანგერი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის მონოლოგს მიიჩნევს კარიკატურად. გერმანელ მწერალს ჩვენს დრომდე რომ ეცოცხლა და ჩვენს სამშობლოს სწვეოდა სტუმრად, არ არის გამორიცხული, რომ უკან წაეღო თავისი სიტყვები კარიკატურის თაობაზე.

შეღებილი მგელი

გამოჩენილ რუს მწერალს მიხეილ ბულგაკოვს ერთი ახირება სჩვეოდა. სპეციალურ ალბომში საგულდაგულოდ ინახავდა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ სტატიებს, სადაც მისი შემოქმედება იყო შეფასებული. 1930 წლისათვის, ათი წლის მანძილზე, საბჭოთა პრესიდან უკვე 301 გამოხმაურება დაუგროვდა. აქედან დადებითი მხოლოდ სამი იყო და უარყოფითი, მტრული და შეურაცხმყოფელი — 298. მათი გადაკითხვა რა თქმა უნდა, გულს ვერ დაუტკბობდა, მაგრამ მაინც ინახავდა იშვიათი განძივით.

ბულგაკოვის საგაზეთო ამონაჭრების ალბომის პირველ ფურცელზეა გაზეთის პაწია ფრაგმენტი, მხოლოდ სახელწოდება და თარიღი: გაზეთი „გროზნი", 1919 წლის 26 ნოემბერი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქი გროზნი (ქართულად „გროზნოს" ვწერთ) 1919 წლის თებერვლიდან 1920 წლის მარტამდე იმყოფებოდა დენიკინელთა ხელში.

რა საიდუმლოებას შეიცავდა ეს ფაქტი? რატომ ინახავდა მწერალი პროვინციული გაზეთის ნაგლეჯს (სახელწოდება და თარიღი) და არ ინახავდა იქ დაბეჭდილ მასალას, რომელიც, ალბათ, მისი შემოქმედების ნაყოფი იყო.

რუსმა მკვლევარებმა ჯერ კიდევ 70-იანი წლების დამდეგს მიაქციეს ყურადღება ამ ძნელად ასახსნელ გარემოებას და სცადეს მოეპოვებინათ გაზეთის ეს ნომერი. მაგრამ საბჭოთა კავშირის ბიბლიოთეკათა სპეცფონდები წარმოადგენდა „აკრძალულ ზონას", სადაც ყველას როდი შეესვლებოდა. ასე რომ, მკვლევარნი კარგა ხანს ამაოდ დაშვრნენ და მხოლოდ „პერესტროიკის" წყალობით მოხერხდა ცხრაკლიტულში ჩამწყვდეული პატიმრის მიგნება. ამ გაზეთის მთელი კომპლექტი აღმოაჩინეს ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ამოცანის ამოხსნა გაიოლდა. გაზეთში დაბეჭდილი სტატია „მომავლის პერსპექტივები" ხელმოწერილი იყო ინიციალებით: მ. ბ. ეჭვიც არავის შეჰპარვია, რომ სტატიის ავტორი გახლდათ ბულგაკოვი, რომელიც თავის სპეციალურ ალბომში ინახავდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოგონებას თეთრგვარდიელთა გაზეთში დაბეჭდილ სტატიაზე.

მაინც რას ვკითხულობთ ამ სტატიაში?

„ახლა, როდესაც ჩვენი ბედკრული სამშობლო სულს ღაფავს, სამარცხვინო ვაების ორმოში, მთლად ფსკერზე, სადაც „დიდმა სოციალურმა რევოლუციამ" ჩააგდო, მრავალ ჩვენგანს უფრო და უფრო

ხშირად გვიჩნდება ერთი და იგივე აზრი, დაჟინებით თავს რომ დაგვტრიალებს. იგი ბნელია და პირქუში, გონებას იპყრობს და კატეგორიულად მოითხოვს პასუხს. უბრალო აზრია: რაღა გვეშველება მომავალში? მისი გაჩენა ბუნებრივიცაა. ჩვენ გავაანალიზეთ ჩვენი უახლოესი წარსული. ო, ჩვენ ძალზე კარგად შევისწავლეთ თითქმის ყოველი მომენტი ორი უკანასკნელი წლისა. ბევრმა კი არა მარტო შეისწავლა, არამედ წყევლა-კრულვაც შეუთვალა. აწმყო ჩვენს თვალწინაა. იმგვარი აწმყოა, რომ თვალების დახუჭვა გინდა, რომ ვეღარაფერი დაინახო! რჩება იდუმალი და გამოუცნობი მომავალი. მართლაცდა, რა გვეშველება?“

შემდეგ ბულგაკოვი ნათელმხილველის თვალით გაჰყურებს მომავალს და ხედავს, რომ დასავლეთის ქვეყნები საგრძნობლად გაუსწრებენ რუსეთს და აღზევდებიან არნახული მშვიდობიანი ძლიერების სიმაღლეზე. ავტორის სიტყვით, თანამედროვე წინასწარმეტყველთაგან ვერავინ განჭვრეტს, როდის დავეწევით მათ, ანკი საერთოდ დავეწევით? ჩვენ დასჯილნი ვართო. მოხალისეთა არმიის გმირები ტროცკის ხელიდან ჰგლეჯენ რუსეთის მიწა-წყლის თითო-თრთო მტკაველს. დიდი ბრძოლა მოგვიწევს, დიდი სისხლისღვრა, ვიდრე ტროცკის ავბედითი ფიგურის უკან მისგან გაბრიყვებული და იარაღასხმული შეშლილნი დგანანო.

„ორი უკანასკნელი წლის სიგიჟემ საშინელ გზაზე დაგვაყენა და შეჩერება არ გვიწერია, არც სულის მოთქმა. ჩვენ დავიწყეთ სასჯელის ფიალიდან სმა და ბოლომდე უნდა გამრვცალოთ“.

რასაკვირველია, ბულგაკოვი ხედებოდა, თუ როგორი ბედი ელოდა ავტორს, ეს სტატია რომ აღმოეჩინათ მის ქაღალდებში. ამიტომაც მხოლოდ გაზეთის იდუმალი ფრაგმენტი შეინახა. სენტიმენტალური სიმი ხომ არ აუთრთოლდა სულში? 1924 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში აღნიშნავდა, რომ 1919 წლის გვიან შემოდგომაზე, დანჯღრეული მატარებლით მგზავრობისას, ნავთის ბოთლში მოთავსებული სანთლის შუქზე პირველ მოთხრობას ვწერდიო. ქალაქში, სადაც ჩამიყვანა მატარებელმა, მოთხრობა გაზეთის რედაქციაში წავიღე და დაბეჭდესო.

საფიქრებელია, რომ აქ რაღაც მოთხრობა როდია ნაგულისხმევი, არამედ ზემოხსენებული სტატია „მომავლის პერსპექტივები“, რომელიც შემდგომში ავტორმა თავიდან მოიშორა (დაწვა თუ დახია) და გაზეთის სახელწოდებას და თარიღს ინახავდა (ბულგაკოვი განათლებით ექიმი იყო და სწორედ ექიმად მსახურობდა მოხალისეთა არმიაში ანუ თეთრ გვარდიაში).

იცოდნენ თუ არა კომპეტენტურ ორგანოებში ბულგაკოვის ამ სტატიის არსებობა? ეშმაკმა უწყის! არ არის გამორიცხული, რომ იცოდნენ და შესაფერი დროისთვის ინახავდნენ ამ მჭევრმეტყველ

დოკუმენტს. ხოლო მისი „თეთრგვარდიელობა“ უთუოდ, ეცოდინებოდათ.

ბულგაკოვი ოციანი წლების ბოლოს გატაცებით წერდა პიესას „რბოლა“, მრავალგზის გადააკეთა ტექსტი. მწერალი ეთხოვებოდა ძველ რუსეთს და მშვენივრად ესმოდა, რომ სამუდამოდ ეთხოვებოდა. მაგრამ მას არ ძალუძდა დაევიწყებინა ის კითხვები, რომლებიც აღელვებდა ყოველ რუს ადამიანს. რა მოხდა რუსეთში? რატომ მუსრავდნენ რუსები ერთმანეთს? შესაძლებელი და მიზანშეწონილი არის თუ არა დაბრუნება სამშობლოში იმ ლტოლვილთა, თავისი ნებით თუ უნებურად რომ მოხვდნენ ტრაგიკულ მოვლენათა საზარელ მორევში?

მწერლის მეუღლე ელენე ბულგაკოვა იგონებს: „ეს იყო მისი ყველაზე საყვარელი პიესა. უყვარდა იგი, როგორც დედას — თავისი შვილი“.

1928 წლის მარტში მოსკოვის სამხატვრო თეატრმა პიესა დასადგმელად მიიღო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ „გლავრეპერტკომმა“, მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით, გააუქმა თეატრის გადაწყვეტილება.

ამ ფაქტმა სიგნალი მისცა პრესას და გაჩაღდა ერთსულოვანი კამპანია ბულგაკოვისა და „მხატის“ წინააღმდეგ. მაგრამ „მხატი“, მიუხედავად ყველაფრისა, გამალებით ატარებდა „რბოლის“ რეპეტიციებს. და სწორედ მაშინ პიესა წაიკითხა სტალინმა და 1929 წლის 2 თებერვალს თავის წერილში „პასუხად ბილ-ბელოცერკოვსკის“ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა „რბოლას“.

დავიმოწმოთ ის ვრცელი ნაწყვეტი სტალინის წერილიდან, ბულგაკოვს რომ ეხება:

„... ანდა, მაგალითად, ბულგაკოვის „სირბილი“ (ანუ „რბოლა“. — თ. ნ.), რომელიც აგრეთვე არ შეიძლება ჩაითვალოს არც „მემარცხენე“ და არც „მემარჯვენე“ საფრთხის გამოვლინებად. „სირბილი“ იმის ცდის გამოვლინებაა, რომ გამოიწვიოს შებრალება, თუ სიმპათია არა, ანტისაბჭოთა ემიგრანტობის ზოგიერთი ფენის მიმართ, — მაშასადამე, თეთრგვარდიელი საქმის გამართლების ან ნახევრად გამართლების ცდაა. „სირბილი“ იმ სახით, როგორც იგი ამჟამად არის, ანტისაბჭოთა მოვლენას წარმოადგენს.

თუმცაღა, მე არაფერი მექნებოდა იმის საწინააღმდეგო, რომ „სირბილი“ დაიდგას, ბულგაკოვი თავის რვა სიზმარს კიდევ ერთ ან ორ სიზმარს რომ მიუმატებდეს და იქ გამოხატავდეს სსრ კავშირში სამოქალაქო ომის შინაგან საქმეთა სოციალურ მამოძრავებელ ძალებს. მკითხველმა უნდა გაიგოს, რომ ყველა ეს, თავისებურად „პატიოსანი“ სერაფიმები და ყოველნაირი პრივატდოცენტები, რუსეთიდან განდევნილები აღმოჩნდნენ არა ბოლშევიკების უინიანობით.

ისინი ზურგზე ახხდნენ ხალხს (მიუხედავად თავიანთი „პატიოსნებისა"). ბოლშევიკები, როცა ერეკებოდნენ ექსპლუატაციის ამ „პატიოსან" მომხრეებს, მუშათა და გლეხთა ნებას ახორციელებდნენ და ამიტომ სავსებით სწორად იქცეოდნენ.

რატომ დგამენ ასე ხშირად სცენაზე ბულგაკოვის პიესებს? ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ სადღეისოდ დასადგმელი პიესები არ გვყოფნის. სულ არარაობას „ტურბინთა დღეებიც" კი სჯობია. რა თქმა უნდა, ძალიან იოლი საქმეა „გააკრიტიკო" არაპროლეტარული ლიტერატურა და მოითხოვო მისი აკრძალვა. მაგრამ ყველაზე იოლი არ შეიძლება ყველაზე უკეთესად ჩაითვალოს. საქმე აკრძალვა კი არ არის, არამედ ის, რომ თანდათანობით გავაძევოთ სცენიდან ძველი და ახალი არაპროლეტარული მაკულატურა შეჯიბრების გზით, იმ გზით, რომ შევქმნათ საბჭოთა ხასიათის ნამდვილი, საინტერესო, მხატვრული პიესები, რომელთაც შეეძლებათ ამ მაკულატურის შეცვლა. შეჯიბრება კი დიდი და სერიოზული საქმეა, ვინაიდან მხოლოდ შეჯიბრების ვითარებაში იქნება შესაძლებელი მივაღწიოთ ჩვენი პროლეტარული მხატვრული ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და კრისტალიზაციას.

რაც შეეხება თვითონ პიესას „ტურბინთა დღეებს", იგი არც ისე ცუდია, ვინაიდან სარგებლობას მეტს იძლევა, ვიდრე ზიანს. ნუ დავივიწყებთ: — ძირითადი შთაბეჭდილება, რომელიც ამ პიესის მაყურებელს რჩება, ბოლშევიკებისათვის ხელსაყრელი შთაბეჭდილებაა: „თუ ტურბინებისთანა ადამიანებიც კი იძულებული არიან იარაღი დაყარონ და ხალხის ნებას დაემორჩილონ, საბოლოოდ წაგებულად სცნონ თავიანთი საქმე, — ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკები უძლეველნი არიან, მათ, ბოლშევიკებს, ვერაფერს უზამო." „ტურბინთა დღეები" ბოლშევიზმის ყოველისშემძლე ძალის დემონსტრაციაა.

რა თქმა უნდა, ავტორს ოდნავაც „არ მიუძღვის ბრალი" ამ დემონსტრაციაში. მაგრამ ჩვენ რა გვესაქმება ამასთან?"

აი, ასეთი იყო უზენაესი მსჯავრი, სადაც მკაფიოდ აისახა ქვეყნის მბრძანებლის უაღრესად რაციონალური მიდგომა არასაბჭოთა მწერლის შემოქმედებისადმი. რაც ჩვენთვის ხელსაყრელია, ხელიდან არ უნდა გავუშვათ, ხოლო ჩვენთვის მიუღებელს თუ ჩვენებურად „შეალამაზებს", საწინააღმდეგო არაფერი გვექნებაო.

„აკრძალვა ძალიან იოლი საქმეა", — მხოლოდ ეს სიტყვები ეამათ ხელოვნების პარტიულ მესვეურთ და საქმეც გაიიოლეს.

„რბოლის" აკრძალვა თითქმის კატასტროფას უდრიდა ბულგაკოვისათვის.

იგი 1929 წლის სექტემბერში საკავშირო ცაკის მდივანს აბელ ენუქიძეს აცნობებს შემდეგს: იმის გამო, რომ საბჭოთა საზოგადოებისათვის აბსოლუტურად მიუღებელია მისი ნაწარმოებები, რომ მათი

სრული აკრძალვა ავტორს დასაღუპავად სწირავს და სხვ., სთხოვს ნება დართონ, მეუღლესთან ერთად, გაემგზავროს საზღვარგარეთ იმ ვადით, რომელსაც მთავრობა საჭიროდ მიიჩნევს.

ბულგაკოვი, ამავე დროს, შესჩივის მაქსიმ გორკის, რომ ყველა მისი პიესა აკრძალულია, საავტორო პონორარის არც ერთი კაპიკი არსაიდან მოსდის, არც ერთი დაწესებულება, არც ერთი პიროვნება მის განცხადებებს პასუხს არა სცემს და ასკვნის: „ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც დამიწერია საბჭოთა კავშირში მუშაობის ათი წლის მანძილზე, მოსპობილია. რჩება მოსპობა უკანასკნელისა, რაც დარჩა — ჩემი მოსპობა. გთხოვთ გამოიტანოთ ჰუმანური გადაწყვეტილება — გამაძევოთ სამშობლოდან!“

ერთი სიტყვით, ლიტერატურული დევნითა და დაუნდობელი კრიტიკით თავმობეზრებული და გადაქანცული მწერალი ეპისტოლურ ჟანრში იწყებს მუშაობას — ზედიზედ წერს განცხადებებს „ძლიერთა ამა ქვეყნიკათა“ მისამართით.

ბულგაკოვი ამცნობს საბჭოთა კავშირის მთავრობას (1930 წლის 28 მარტი):

„მას შემდეგ, რაც ყველა ჩემი ნაწარმოები აიკრძალა, მრავალი მოქალაქე, რომელიც მიცნობს, როგორც მწერალს, ერთსა და იმავე რჩევას მაძლევს: შევთხზა „კომუნისტური პიესა“ და, გარდა ამისა, მივმართო საბჭოთა მთავრობას მონანიებით, სადაც უნდა დავგმო ჩემს ლიტერატურულ ნაწარმოებებში გამოთქმული ადრინდელი შეხედულებანი და დამაჯერებლად განვაცხადო, რომ ამიერიდან ვიმუშავებ, როგორც მწერალი - თანამგზავრი, ერთგული კომუნიზმის იდეისა. მიზანი ისაა, რომ გადავრჩე დევნას, სიღატაკეს და დასასრულ, — გარდუვალ დაღუპვას. ამ რჩევას ყური არ ვათხოვე. მეეჭვება, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის წინაშე წარედგებოდი ხელსაყრელ შუქქვეშ, თუკი დავწერდი სიცრუით აღსავსე წერილს, რომელიც იქნებოდა ბინძური და, ამასთან ერთად, გულუბრყვილო პოლიტიკური ილეთი. ხოლო კომუნისტური პიესის შეთხზვა არც მიცდია, რადგანაც წინასწარ ვიცოდი, რომ ამგვარ პიესას ვერ დავწერდი“.

მერე ბულგაკოვი იმოწმებს ციტატებს მასზე შეთითხნილი კრიტიკული სტატიებიდან, სადაც მას ახასიათებენ, როგორც „ძაღლური სიბერით“ შეპყრობილს, როგორც „დამლაგებელს“, რომელიც კრეფს ნასუფრალს მას შემდეგ, რაც „ათიოდე სტუმარმა არწყია“, რომ იგი „აფრქვევს მოწამლულ, მაგრამ უძლურ დორბლს მუშათა კლასზე და მის კომუნისტურ იდეალებზე“ და ა. შ.

ბულგაკოვი ასკვნის: „დოკუმენტებით ხელში ვისაბუთებ, რომ საბჭოთა კავშირის მთელი პრესა და, მასთან ერთად, ყველა დაწესებულება, რომელთაც ევალებათ რეპერტუარის კონტროლი, ჩემი ლიტერატურული მუშაობის ათი წლის მანძილზე ერთსულოვნად და უჩ-

ვეულო მძვინვარებით ამტკიცებენ, რომ ბულგაკოვის ნაწარმოებებმა არ შეიძლება იარსებონ საბჭოთა კავშირში. და მე ვაცხადებ, რომ ისინი სავსებით მართალნი არიან. ვთხოვ საბჭოთა მთავრობას, მიბრძანოს დაუყოვნებლივ დავტოვო საბჭოთა კავშირი ჩემი მეუღლის თანხლებით. იმედი მაქვს საბჭოთა ხელისუფლების ჰუმანიზმისა და ვითხოვ, რომ მე, მწერალს, რომელიც არაფრად გამოდგება თავის სამშობლოში, მომანიჭოს თავისუფლება".

ბულგაკოვი ითვალისწინებდა მთავრობის უარსაც და იმასღა ითხოვდა, რომ დაენიშნათ თეატრში ნებისმიერ სამუშაოზე: რეჟისორად, სტატისტად ან სცენის მუშად.

1930 წლის 18 აპრილს სტალინმა ტელეფონით დაურეკა ბულგაკოვს. აი, როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს მისი მეუღლე (თვით ბულგაკოვის ნაამბობის მიხედვით):

„სადილის შემდეგ მიშა, ჩვეულებისამებრ, დასაძინებლად დაწვა და სწორედ ამ დროს ტელეფონის ზარი აწკრიალდა. მიშა საწოლიდან წამოხტა, ყურმილი აიღო და მოესმა:

— მიხეილ აფანასიევიჩ ბულგაკოვი ბრძანდებით?

— დიახ, დიახ.

— ახლა თქვენ დაგელაპარაკებათ ამხანაგი სტალინი.

— რაო? სტალინი? სტალინი?!

და მაშინვე გაისმა ხმა ქართული აქცენტით:

— დიახ, თქვენ გელაპარაკებათ სტალინი. გამარჯობათ, ამხანაგო ბულგაკოვ!

—. გაგიმარჯოთ, იოსიფ ვისარიონოვიჩ!

— თქვენი წერილი მივიღეთ. ამხანაგებთან ერთად წავიკითხეთ. სასურველი პასუხი გექნებათ... თქვენ მართლა ითხოვთ საზღვარგარეთ წასვლას? რაო, ძალზე მოგაბეზრეთ თავი?

ბულგაკოვის სიტყვით, იგი იმდენად არ ელოდა ამგვარ შეკითხვას (და საერთოდ, ტელეფონის ზარსაც არ ელოდა), რომ დაიბნა და მყისვე ვერ უპასუხა.

— მე ძალზე ბევრს ვფიქრობდი ამ ბოლო ხანებში, ძალუძს თუ არა რუს მწერალს იცხოვროს სამშობლოს გარეთ. და მე მგონია, რომ არ ძალუძს.

— თქვენ მართალი ბრძანდებით. მეც ასე ვფიქრობ, თქვენ სად გნებავთ მუშაობა? სამხატვრო თეატრში?

— დიახ, ვინდომებდი.. მაგრამ ამაზე ველაპარაკე და უარი მითხრეს.

— თქვენ კი, აიღეთ და განცხადება შეიტანეთ. მე მგონი, ისინი დათანხმდებიან... კარგი იქნებოდა, შევხვედროდით ერთმანეთს, წაგვესაუბრა.

— დიახ, დიახ! იოსიფ ვისარიონოვიჩ, მე ძალიან მჭირდება თქვენ-

თან საუბარი.

— კეთილი. უნდა ვიპოვოთ დრო და აუცილებლად შევხვდეთ. ახლა კი გისურვებთ ყოველივე კარგს".

ბულგაკოვი დაუყოვნებლივ მიიღეს რეჟისორად „მხატში".

გასჭრა სტალინის შუამდგომლობამ.

ბულგაკოვს აწუხებდა დიდხანს, რომ დაპირებული შეხვედრა არ შემდგარა. რატომ გადაიფიქრაო? — გაუთავებლად ეკითხებოდა თავის ცოლს, ის კი პასუხობდა: რაზე უნდა ელაპარაკა შენთან? შენი წერილის შემდეგ ხომ მშვენივრად იცოდა, რომ ლაპარაკი იქნებოდა არც ბინისა და არც ფულის შესახებ.

ბულგაკოვი კერძო წერილში სწერდა მწერალ ვერესაევს: „ენდეთ ჩემს გემოვნებას. სტალინი მელაპარაკებოდა მტკიცედ, ნათლად, სახელმწიფოებრივად, ელეგანტურად".

1931 წლის 30 მაისს ბულგაკოვმა წერილი მისწერა სტალინს. შუამდგომლობას სთხოვდა საბჭოთა მთავრობასთან, რათა სამკურნალოდ გაეგზავნათ საზღვარგარეთ 1 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე.

შემდეგ აუწყებდა: „ჩემი სნეულების მიზეზი ჩემთვის თვალნათლივ ცნობილია. საბჭოთა კავშირში, რუსული სიტყვიერების ფართო ველზე მე ვიყავი ერთადერთი ლიტერატურული მგელი. მირჩევდნენ, ტყავი შეიღებეო. უაზრო რჩევაა. შეღებილი მგელი იქნება თუ შეკრეჭილი, იგი მაინც ვერ დაემსგავსება პუდელს. ჰოდა, როგორც მგელს, ისე მომექცნენ. და რამდენიმე წელია მდევნიდნენ შემოღობილ ეზოში, ლიტერატურული „სადკას" წესებით („სადკა" რუსულში ნიშნავს ბაღიაში ჩამწყვდეულ მგელზე მწევრების გაწვრთნას ანდა გალიიდან გამოშვებულ ფრინველებზე სროლაში შეჯიბრებას. — თ. ნ.). გაბოროტებული არა ვარ, მაგრამ ძალზე გადავიღალე და 1929 წლის დამლევს სულიერად დავძაბუნდი. მხეციც ხომ შეიძლება დაიღალოს. მხეცმა განაცხადა, რომ ის აღარაა არც მგელი, არც ლიტერატორი. უარს ამბობს თავის პროფესიაზე. დუმდება, გულახდილად რომ ვთქვათ, ეს სულმოკლეობას ნიშნავს. არ არსებობს ისეთი მწერალი, რომ დადუმდეს. და თუკი დადუმდა, მაშასადამე, ნამდვილი მწერალი არ ყოფილა. ხოლო თუ ნამდვილი მწერალი დადუმდა, უსათუოდ დაიღუპება. ჩემი სნეულების მიზეზია მრავალწლიანი დევნით გატანჯვა, მერე კი — დუმილი".

დასასრულ ბულგაკოვი სწერდა სტალინს, ჩემი მწერლური ოცნებაა, პირადად თქვენ გამომიძახოთო. ტელეფონით თქვენთან საუბარმა ჩემს მეხსიერებაში მკვეთრი ხაზი გაავლოო. თქვენ ხომ მითხარით: „იქნებ თქვენ მართლაც გესაჭიროებათ წასვლა საზღვარგარეთ?"

როგორც ცნობილია, კრემლის მბრძანებელს არ უყვარდა „ორპირნი". ბულგაკოვის გულწრფელობამ, ეტყობა, შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ბულგაკოვი არ ინიღბებოდა სტალინს კი სჭირდებოდა არა

მარტო ლიტერატურული ლაქიები, არამედ ისეთი მწერლებიც, რომელთა „მორჯულება“ განუზომლად პრესტიჟული იქნებოდა მისთვის.

1932 წლის იანვარში სტალინი, რომელიღაც სპექტაკლს დაესწრო „მხატში“ და დაინტერესდა, სცენაზე „ტურბინთა დღეები“ დიდი ხანია რატომ აღარ მინახავსო?

მეორე დღეს, სტანისლავსკის კაბინეტში გაისმა ტელეფონის ზარი. რეკავდა ენუქიძე. ჰკითხა, შეუძლია თუ არა თეატრს, დაახლოებით ერთ თვეში „ტურბინების“ დადგმა აღადგინოსო? უყოყმანოდ უპასუხეს: რა თქმა უნდა, შეგვიძლიაო.

ესოდენ თავისებური გახლდათ სტალინის პასუხი ბულგაკოვის წერილზე. მართალია, უცხოეთში გამგზავრების ვიზა არ უწყალობეს, მაგრამ დასადგმელად ნებადართულ იქნა „მოლიერი“ და აღადგინეს „ტურბინთა დღეები“. სტალინმა განაცხადა, რომ ეს პიესა სასარგებლოა, ვინაიდან რევოლუციის გამარჯვების გარდუვალობას აჩვენებსო.

თვით სტალინს თურმე 17-ჯერ უნახავს „ტურბინთა დღეები“.

ბულგაკოვი ერთხანს „მხატში“ მუშაობდა რეჟისორად, შემდეგ — დიდ თეატრში ლიბრეტისტად. ამავე დროს თავდაუზოგავი ენერგიით წერდა თავის ამჟამად სახელგანთქმულ რომანს „ოსტატი და მარგარიტა“.

მაგრამ მის პიესებს კვლავინდებურად ბედი არა სწყალობდათ.

მწერალი ერმოლინსკი აღნიშნავს, რომ ოცდაათიან წლებში, როდესაც ქვეყნის თითქმის ყველა თეატრის სარეპერტუარო გეგმებში გამოჩნდა პათეტიკური პიესები სტალინზე, „მხატს“ უკვე აღარ შეეძლო ამ თემისათვის გვერდის ავლა, ვინაიდან სწორედ იგი ითვლებოდა საბჭოეთის თეატრალური ცხოვრების ეტალონად. „მხატელები“ მიხვდნენ, რომ მათი ხსნა შეეძლო მხოლოდ ბულგაკოვს. იცოდნენ, რომ იგი ყალბ პიესას არ დაწერდა. სჯეროდათ, რომ თავიდან აიცდენდა ე. წ. ლაქირებას, სპეკულაციას, გუნდრუკის კმევას. დრამატული პათოსი დაიბადებოდა თვით მასალის სიმართლიდან. „მხატელები“ არწმუნებდნენ ბულგაკოვს, რომ ამგვარი პიესის დადგმა სრულიად შეატრიალებდა მის ლიტერატურულ ბედსაც.

თვითონ ბულგაკოვიც უკვე კარგა ხანია ფიქრობდა იმ ადამიანზე, ვის სახელთან განუყოფლად იყო დაკავშირებული ყველაფერი, რაც ხდებოდა საბჭოთა ქვეყანაში.

პიესისათვის აირჩია რომანტიკული ამბავი ახალგაზრდა რევოლუციონერისა და მისი მშფოთვარე სიჭაბუკე. წარმოსახვაში იბადებოდა სახე გმირისა, გულმართალი მიზანსწრაფვითა და შეუპოვრობით რომ გამოირჩეოდა. თამამ ჭაბუკს რიცხავენ თბილისის სასულიერო სემინარიიდან და იგი მაშინვე ჩაებმება რევოლუციურ მუშაობაში. მერე სათავეში ჩაუდგება ბათუმის მუშათა ცნობილ გაფიცვას (1902 წ.), აპატიმრებენ და ციმბირში გადაასახლებენ.

თეატრმცოდნე ვილენკინის სიტყვით, უკვე ჩვენს დროში ჩამოყალიბდა ლეგენდა იმაზე, თუ რატომ განიზრახა ბულგაკოვმა პიესის შექმნა სტალინზე. ამტკიცებენ, რომ „გატყდა“, საკუთარ თავს უღალატა გარემოებათა ზეგავლენით, იძულებული გახდა დაეწერა არა ის, რაც ეწადა და ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა — ბოლოს და ბოლოს დაეწყოთ მისი ნაწარმოებების ბეჭდვა და სცენაზე დაედგათ მისი პიესები.

ვილენკინი წერს, არაფერი ამის მსგავსი ბულგაკოვს გულშიც არ გაუვლიაო. 1939 წელს მუშაობა ამ პიესაზე მიმდინარეობდა ჩემს თვალწინ და ბულგაკოვი სრული გულახდილობით მელაპარაკებოდაო. ვილენკინის სიტყვით, მწერალს იტაცებდა სახე ახალგაზრდა რევოლუციონერისა, წინამძღოლად გაჩენილი პიროვნებისა.

ბულგაკოვმა პიესის სათაურის სხვადასხვა ვარიანტებიდან საბოლოოდ ამოარჩია „ბათუმი“.

1939 წლის ივლისის დამდეგს „მხატში“ დიდი წარმატებით ჩატარდა პიესის კითხვა. მალე ხელოვნების საქმეთა კომიტეტშიც მოიწონეს. თეატრში უკვე გაინაწილეს როლები. მაგრამ უზენაესი ინსტანციის ვერდიქტით პიესის დასადგმელად მზადება შეჩერდა.

იმავე წლის ოქტომბერში სტალინმა უთხრა ნემიროვიჩ-დანჩენკოს: „ბათუმი“ ძალიან კარგი პიესაა, მაგრამ მისი დადგმა არ შეიძლება“. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, ეტყობა, ვერ გაუბედავს ეკითხა სტალინისათვის: თუ ძალიან კარგი პიესაა, დადგმა რატომ არ შეიძლებაო?

სტალინმა რომ დაიწუნა, მხოლოდ მერე დააკვირდნენ ლუპით და, ბუნებრივია, რომ იმასაც კი აღმოაჩენდნენ, რაც არ არსებობდა.

ასე მაგალითად, როდესაც ბულგაკოვის პიესაში ნიკოლოზ II-ს მოახსენებენ, რომ სახელმწიფო დამნაშავეს იოსებ ჯუღაშვილს, კანონის თანახმად, მიესაჯა სამი წლით გადასახლება აღმოსავლეთ ციმბირში, მეფე სინანულით თუ ირონიით წარმოთქვამს: „მოწყალე კანონებია წმინდა რუსეთში“.

სტალინი ამ ფრაზას თავისი მისამართით ნამდვილად არ მიიღებდა. იგი სრულიადაც არ თვლიდა, რომ უდანაშაულო ადამიანებს ატყდებოდათ თავს რეპრესიები და სრულიადაც არ მიაჩნდა, რომ საბჭოთა კავშირში უმოწყალო კანონები ჰქონდათ.

სტალინის შემდგომ ეპოქაში, შესაძლოა, რუსეთის მეფის ზემოთქმული ფრაზა მინიშნებად მიეღოთ, მაგრამ სტალინის ეპოქაში რომ ეფიქრათ, ავტორი ნიკოლოზის ჰუმანურობას სტალინის ავკაცობას უდარებსო, ძნელი დასაჯერებელია. მით უმეტეს, რომ ნიკოლოზის აღშფოთებას უფრო ის იწვევს, როდესაც შეიტყობს, ბათუმში მუშათა ექვსსაათიანი დემონსტრაციის გაფანტვისას 14 კაცი მოკლესო. ექვსი ათასიდან — მხოლოდ თოთხმეტიო?! ბატალიონს სროლა არ სცოდნია, მისი მეთაური გადააყენეთო!

ამგვარი კრიტიკული ლაფსუსების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ ბულგაკოვს არც უფიქრია ანტისაბჭოთა პიესის დაწერა.

ვინმესთვის მომხიბლავიც კი შეიძლება იყოს ვარაუდი, რომ დახეთ, ყველას მოეწონა პიესა, თეატრში მოეწონათ, კომიტეტში მოეწონათ, ცენზურას კრინტი არ დაუძრავს და მხოლოდ ბრძენი ბელადის გამჭრიახმა თვალმა შენიშნა ანტისაბჭოთა სული ბულგაკოვის პიესაში.

მაგრამ სიმართლესთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ სტალინს უბრალოდ არ მოეწონა პიესა, როგორც მხატვრული ნაწარმოები. „ბათუმი" არა ჰგავდა ბულგაკოვის საუკეთესო პიესებს, რაღაც მთავარი აკლდა მას, რაც უხვად არის „რბოლაში" და „ტურბინთა დღეებში" — დიდი ვნება და გატაცება, დრამატული პათოსი. ბულგაკოვი, ჩანს, ვერ მონუსხა სტალინის სახემ, რომ პიესის წერისას მთელი თავისი მწერლური ფანტაზია და ოსტატობა მოეხმო. „ბათუმი" უგულო პიესა გამოდგა. გამართლდა მისივე სიტყვები — მგელი თუნდაც შეღებო, მაინც მგლად დარჩებაო. უდიდესი ნიჭიც კი უძლური აღმოჩნდა საიმისოდ, რომ საკუთარი თუ სხვისი დაკვეთით დაწერილი პიესა გადაქცეულიყო ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებად.

ვილენკინი აღნიშნავს: „როდესაც ახლახან გადავიკითხე ეს პიესა, გულახდილად უნდა ვთქვა, რომ მხატვრული თვალსაზრისით საკმაოდ სუსტი მეჩვენა. ყოველ შემთხვევაში, ბულგაკოვის სხვა პიესებს ვერ შეედრება. ახლა კი ვიგრძენი, როგორ უჭირდა ავტორს მისი წერა".

მალე სნეულებამ მძლავრად შეუტია ბულგაკოვს. მდგომარეობა კრიტიკული შეიქნა.

ბულგაკოვის ახლობლებმა და მეგობრებმა ყველაფერი იღონეს მის გადასარჩენად, მაგრამ მედიცინამ ფარ-ხმალი დაყარა. „მხატვის" სახელმოხვეჭილი მსახიობები კაჩალოვი, ტარასოვა და ხმელიოვი („ბათუმში" ახალგაზრდა სტალინის როლი რომ უნდა ეთამაშა) უკანასკნელ, საასოწარკვეთილ ცდას ჩაებღაუჭნენ.

1940 წლის თებერვალში მათ მიმართეს სტალინის მდივანს პოსკრებიშევს: „საქმე ისაა, რომ დრამატურგი ბულგაკოვი გასულ შემოდგომაზე დასნეულდა ჰიპერტონიის უმძიმესი ფორმით და თითქმის დაბრმავდა. ახლა მკვეთრი გაუარესება დაეტყო და ექიმები ფიქრობენ, რომ მისი დღეები დათვლილია. ის განიცდის წარმოუდგენელ ფიზიკურ ტანჯვას... პრაქტიკულად, კვანძის გახსნა მოსალოდნელია დღიდან დღემდე. მედიცინა აშკარად ვეღარაფერს შველის. ექიმთა აზრით, ერთადერთი, რამაც შეიძლება ბულგაკოვის გადარჩენის იმედი დაბადოს, ესაა უძლიერესი სასიხარულო შენჯღრევა, რომელიც სნეულებასთან საბრძოლველად ახალ ძალებს შთაბერავდა. უფრო უკეთ

რომ ვთქვათ, აიძულებდა მოენდომებინა სიცოცხლე, რათა ემუშავა, შეექმნა, ენახა თავისი მომავალი ნაწარმოებნი სცენაზე“.

ბულგაკოვის მეგობარი მსახიობები სთხოვდნენ პოსკრებიშევს, რომ განმეორებულიყო ათი წლის წინანდელი ტელეფონის ზარი სტალინისა, რომელიც სიცოცხლეს დაუბრუნებდა მწერალს!

მცირე ხნის შემდეგ ფადეევმა (ალბათ, სტალინის დავალებით) მოინახულა ბულგაკოვი. მერე კიდევ ორჯერ ეწვია. უკანასკნელი ვიზიტის დროს თავშეკავებით და მშვიდად უთხრა მომაკვდავს: „თქვენ ვაჟკაცურად ცხოვრობდით და ვაჟკაცურადვე კვდებით“. იმწამსვე ოთახიდან გავარდა და გარეთ აქვითინდა.

10 მარტს ბულგაკოვმა სული დალია.

მეორე დღეს ტელეფონით დარეკეს სტალინის სამდივნოდან და იკითხეს:

— მართალია, რომ ამხანაგი ბულგაკოვი გარდაიცვალა?

— დიახ, მართალია.

ყურმილი უხმოდ ჩამოკიდეს.

რატომ აშინებთ ჰიტლერს?

ცნობილი ფილოსოფოსი და მწერალი ა. ზინოვიევი, „ანტისტალინისტი“ სტალინის ეპოქაში, დისიდენტი და მერე — ემიგრანტი ბრეჟნევის ეპოქაში, ამჟამადაც დასავლეთში ცხოვრობს და თავის ნაშრომებში ცდილობს, ობიექტურად ასახოს XX საუკუნის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. „პერესტროიკის“ კალმოსნები რამდენჯერმე გაიფთრებით დაესხნენ თავს მის ბოლოდროინდელ დებულებებს და ტენდენციურობა დასწამეს.

„მე არ ვიცავ სტალინს, — ამბობს ა. ზინოვიევი, — მე ვიცავ სიმართლეს გარდასულ ეპოქაზე“.

ძნელია, არ გაიზიარო გამოთქმული მოსაზრება, მაგრამ დღეს, როცა სიმართლე სანთლით საძებარი გახდა, ასევე ძნელად გამოიყურება მცდელობა პირუთვნელი ისტორიკოსისა, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას: დიადს — დიადისა, საშინელებას — საშინელებისა, და ერთადერთი ფერით არ დახატოს წარსული. ამგვარი პოზიცია, მით უმეტეს წვრილმან ვნებათა ყოველდღიურობის ფონზე, აშკარად წააგავს დონ-კიხოტობას.

სოლჟენიცინის რომანში „გარსი პირველი“ ერთ-ერთ პერსონაჟად გვევლინება სტალინი. აღნიშნული ნაწარმოები არ მიეკუთვნება მწერლის შედევრთა რიცხვს, მაგრამ განსაკუთრებით უსუსურ შთაბეჭდილებას ტოვებს ის ფრაგმენტები, სადაც გადმოცემულია სტალინის ფიქრები და შინაგანი მონოლოგები.

ტენდენციურობის ბრალდება რომ არ დავიმსახურო, დავიმოწმებ „პერესტროიკის“ ერთ-ერთი თავგამოდებული ტრუბადურის, კრიტიკოს ბ. სარნოვის სიტყვებს: „ეს-ეს არის, „ნოვი მირში“ გადავიკითხე ოდესღაც უკვე წაკითხული თავები სტალინზე სოლჟენიცინის რომანიდან „გარსი პირველი “ და გავიფიქრე: საინტერესოა, რომელიმე ჩვენს კრიტიკოსს ეყოფა გამბედაობა ხმამაღლა-თქვას, რომ სოლჟენიცინის ცდა სტალინის შინაგანი სამყაროს წარმოსახვისა, მხატვრული თვალსაზრისით, კიდევ უფრო ნაკლებ დამაჯერებელი გამოდგა, ვიდრე რიბაკოვისა“.

სოლჟენიცინის რომანში სამოცდაათი წლის სტალინი, უძილო ღამით, ფიქრს მისცემია და აგონდება შორეული თუ ახლო წარსული. სტალინის პორტრეტის ხატვისას, მწერალი ხაზს უსვამს მის ეჭვიანობას და უნდობლობას. სოლჟენიცინის სიტყვით, სტალინი არ ენდობოდა მშობელ დედას და არც ღმერთს ენდობოდა, არც რევოლუციონერებს ენდობოდა, არც გლეხებს, არც მუშებს და მით უფრო — არც ინჟინრებს. არ ენდობოდა თავის ახლობლებს. არ ენდობოდა ცოლებსა და საყვარლებს. შვილებსაც კი არ ენდობოდა! და მისი

უნდობლობა ყოველთვის მართლდებოდა.

და ესოდენ მიუნდობელი დიქტატორი ენდო მხოლოდ ერთ კაცს — ერთადერთს თავისი უშეცდომო, უნდობელი ცხოვრების მანძილზე. სტალინი ენდო ჰიტლერს!

იგი მოწონებითა და ნიშნის მოგებით ადევნებდა თვალს, თუ როგორ იპყრობდა გერმანელი ხალხის ფიურერი მთელს ევროპას, და გულშიც არ გაუვლია, რომ მალე დადგებოდა საბჭოთა კავშირის ჯერიც, სხვები ხედებოდნენ მოსალოდნელ საფრთხეს და შეშფოთდნენ. მოლოტოვი ბერლინიდან შეშინებული დაბრუნდაო. მზვერავები მოახსენებდნენ მოსკოვს, რომ ჰიტლერი თავს უყრის ჯარებს აღმოსავლეთ საზღვრებთან. ჩერჩილმა გააფრთხილა სტალინი, რომ გერმანია საბჭოთა კავშირზე თავდასხმას აპირებსო.

ყოველი ჭილყვავი ბელორუსიის ვერხვებსა და გალიციის ალვის ხეებზე გასჩხაოდა — ომი იწყებაო. მთელს უზარმაზარ ქვეყანაში ბაზრის დედაკაცები დღე-დღეზე ელოდნენ და წინასწარმეტყველებდნენ ომს.

მაგრამ სტალინი ყურსაც არ იბერტყავდა.

ყოველივე ზემოთქმული, მეტწილად მწერლის მიერ თითიდან გამოწოვილი ფანტაზია გახლავთ. მხოლოდ ორიოდე დეტალი ეყრდნობა დოკუმენტურ მასალას.

უპირველეს ყოვლისა, სიმართლეს შეესაბამება სადაზვერვო ინფორმაციის სიუხვე. ა. ნეკრიჩი ამტკიცებს, რომ საბჭოთა დაზვერვა ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო დაზვერვად მთელს მსოფლიოში არა მარტო იმიტომ, რომ მის შემადგენლობაში იყვნენ ბრწყინვალედ მომზადებული პროფესიონალები: ზორგე, მანევიჩი, რადო, ტრეპერი და სხვანი, არამედ იმიტომაც, რომ საბჭოთა დაზვერვას ემსახურებოდნენ დასავლეთ ევროპის კომუნისტები, ანტიფაშისტები, მემარცხენე ინტელიგენტები — თავიანთი რწმენისა და კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულების ნიშნად. ისინი ემსახურებოდნენ მსოფლიოში პირველ სოციალისტურ ქვეყანას. ემსახურებოდნენ უსასყიდლოდ და თავდადებით.

ცნობა საბჭოთა კავშირზე გერმანიის მოსალოდნელი თავდასხმისა და „ბარბაროსას" გეგმის დამუშავების შესახებ მოსკოვში მიიღეს ჯერ კიდევ 1940 წლის შემოდგომაზე. მიიღეს შვეიცარიიდან, მაგრამ ინფორმაციის უშუალო წყაროს წარმოადგენდა გერმანიის გენერალური შტაბის ოფიცერი.

ტოკიოდან ზორგე აუწყებდა მოსკოვს იაპონიის ელჩთან ჰიტლერის საუბრის შინაარსს, სადაც აღნიშნული იყო ჰიტლერის განზრახვა საბჭოთა კავშირზე თავდასხმისა. 12 მაისს ზორგე იტყობინებოდა, რომ უკვე 150 დივიზიას მოუყარეს თავი საბჭოთა საზღვრების გასწვრივ და მიუთითებდა თავდასხმის სავარაუდო ვადას — 20

ივნისს. 15 მაისს კიდევ უფრო დააზუსტა ხსენებული ვადა — ომი 22 ივნისს დაიწყებაო.

2 აპრილს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა დაავალა მოსკოველ ელჩს კრიპსს, შეხვედროდა სტალინს და გადაეცა მისთვის საგანგებო ინფორმაცია საბჭოთა კავშირზე გერმანიის მოსალოდნელი თავდასხმის თაობაზე. მაგრამ სტალინიც და მოლოტოვიც თავს არიდებდნენ ელჩთან შეხვედრას და მხოლოდ 19 აპრილს მოახერხა კრიპსმა დავალების შესრულება საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გზით (1942 წლის აგვისტოში, როდესაც ჩერჩილი მოსკოვში ეწვია თავის კომუნისტ მოკავშირეს, ერთ-ერთი საუბრისას პკითხა სტალინს: „ლორდ ბივერბრუკმა მამცნო, 1941 წლის ოქტომბერში მოსკოვში რომ ვიყავიო, სტალინმა მკითხა: რას გულისხმობდა ჩერჩილი, როცა პარლამენტში განაცხადა — სტალინი გერმანიის მოახლოებულ თავდასხმაზე გავაფრთხილეო?“ შემდეგ ჩერჩილს უთქვამს: „დიახ, მე მართლაც განვაცხადე ეს. ვგულისხმობდი დეპეშას, რომელიც გამოგიგზავნეთ 1941 წლის აპრილში“. ჩერჩილს იქვე წარუდგენია ხსენებული დეპეშა, რომელიც ინგლისის ელჩმა დაგვიანებით მიაწვდინა ადრესატს. დეპეშა მაშინვე უთარგმნეს სტალინს. მან კი მხრები აიჩეჩა და თქვა: „მე მახსოვს ეგ დეპეშა. მე არავითარი გაფრთხილება არ მჭირდებოდა. ვიცოდი, რომ ომი დაიწყებოდა, მაგრამ მეგონა, მოვახერხებ-მეთქი ექვსიოდე თვის მოგებას“).

ა, ნეკრიჩის აზრით, სტალინი უნდობლად ეკიდებოდა მიღებულ ინფორმაციას. იგი ეჭვობდა, რომ ინგლისის დაზვერვა თხზავდა სათანადო დეზინფორმაციას, რათა გამოეწვია ომი საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის. ამ ვერსიას მხარს უჭერდა წითელი არმიის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს უფროსი ფ. გოლიკოვი.

6 ივნისს, მესაზღვრეთა ჯარების მთავარმა სამმართველომ უპატაკა მოსკოვს, რომ საბჭოთა საზღვრებთან უკვე თავმოყრილი იყო 4 მილიონი გერმანელი ჯარისკაცი, რაც იმავე დღეს აცნობეს სტალინს. 11 ივნისს სტალინს მოახსენეს, რომ 9 ივნისიდან გერმანიის საელჩოში წვავდნენ ქაღალდებს და ბერლინიდან მიუღიათ მითითება, რათა შვიდი დღის განმავლობაში მოემზადონ ევაკუაციისათვის.

10 და 13 ივნისს საბჭოთა ელჩი ლონდონში მიიწვიეს „ფორინ ოფისში“ (ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო), სადაც გადასცეს ცნობები საბჭოთა კავშირზე გერმანიის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა განაცხადა, რომ ინგლისი დახმარებას გაუწევდა საბჭოთა კავშირს.

და ბოლოს, ყველაზე გასაოცარი ფაქტი: გერმანიის ელჩი მოსკოვში შულენბურგი აპრილის დამლევს დაბრუნდა ბერლინიდან, ჰიტლერთან საუბრისას მან დაასკვნა, რომ თავდასხმა საბჭოთა კავშირზე უახლოესი მომავლის საქმეა. შულენბურგმა სცადა გაეფრთხილებინა

საბჭოთა ელჩი ბერლინში დეკანოზოვი, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავს საფრთხეში იგდებდა — ღალატის ბრალდება ვერ ასცდებოდა. მაგრამ დეკანოზოვმა ეჭვის თვალით შეხედა შულენბურგის გაფრთხილებას (სავსებით ბუნებრივია!) და პროვოკაციად მიიჩნია (1944 წელს შულენბურგი მონაწილეობდა ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილ მარცხიან შეთქმულებაში და სიკვდილით დასაჯეს).

სოლჟენიცინი ითვალისწინებს დოკუმენტურ მასალას და, შესაძლოა, უფლებამოსილიც არის, რომ ჭილყვავებსა და ბაზარში მოქოთქოთე დედაკაცებსაც დაადასტურებინოს სიმართლე.

მაგრამ საქმე ისაა, რომ სტალინი გულხელდაკრეფილი არ მჯდარა. იქნებ ნდობით არ ეკიდებოდა ზორგესა თუ ჩერჩილის ინფორმაციას, მაგრამ თავისებურად მაინც ამოწმებდა.

მწერალ კონსტანტინე სიმონოვისათვის მარშალ გიორგი ჟუკოვს უამბია, რომ 1941 წლის გაზაფხულზე, როდესაც განსაკუთრებით გაიზარდა ცნობათა ნაკადი გერმანიის ჯარების კონცენტრაციაზე პოლონეთში, სტალინმა პირადად მისწერა ჰიტლერს და სთხოვა, აეხსნა საქმის ვითარება. ფიურერმა „გაანდო“ საბჭოთა ლიდერს, რომ ეს ცნობები სიმართლეს შეიცავდა. მართლაც, პოლონეთში თავმოყრილია საჯარისო შენაერთები, მაგრამ აღნიშნული ღონისძიება არაა მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დასავლეთ და ცენტრალური გერმანიის ტერიტორიები განიცდიან ძლიერ დაბომბვას ინგლისის ავიაციისაგან. ამიტომაც იძულებული ვარ, ჩვენი ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი დროებით აღმოსავლეთისაკენ გადმოვიყვანოო. ჰიტლერი არწმუნებდა სტალინს, რომ მკაცრად ასრულებს 1939 წლის პაქტის პირობებს და ამის თავდებად მიუთითებს სახელმწიფოს მეთაურის ღირსებას.

და განა 14 ივნისის „პრავდაში“ გამოქვეყნებული „საკდესის ცნობა“ მკაფიოდ არ მეტყველებდა, რომ კრემლის მბრძანებელს სხვაზე არანაკლებ უჭრიდა ჭკუა და თვალებში ბინდი როდი ჩასდგომოდა. საბჭოთა მკითხველი, მიჩვეული სტრიქონებს შუა შენიღბულ-მიჩუმათებული აზრების ამოკითხვას, ჩემი ღრმა რწმენით, უთუოდ აღელდებოდა მოახლოებული ომის საფრთხის გამო და უზრუნველობის გრძნობა სრულიადაც არ დაატყვევებდა, როგორც გვარწმუნებენ მედროვე საბჭოთა მკვლევარნი მეორე მსოფლიო ომის ისტორიისა.

ცნობილი იურისტი არკადი გაქსბერგი განსაცვიფრებელს უწოდებს იმ ფაქტს, რომ• მაშინ, როდესაც სამხედრო უწყებამ, სტალინის მითითებით, თითქმის არაფერი იღონა მოსალოდნელი აგრესიისაგან თავდაცვის მოსაგვარებლად, ბერიას უწყებამ გამოავლინა გონივრული წინდახედულობა — სუხანოვოსა და ლეფორტოვოს ციხეებიდან, სადაც თავმოყრილი იყო „ხალხის მტრების“ ძირითადი კონტინგენტი, ჯერ კიდევ 1941 წლის მაისში ჩაატარა მათი ევაკუაცია მოსკოვიდან.

ნუთუ ეს გაკეთდა სტალინის ჩაურევლად? ეტყობა, „ხალხის მტრების“ (პოტენციურ მოღალატეთა) მტრის ხელში ჩავარდნა უფრო აშინებდათ, ვიდრე წითელი არმიის მოსალოდნელი მსხვერპლი.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირიც ემზადებოდა ომისათვის — მართალია, ნაკლები ინტენსიურობით, მაგრამ ეს ობიექტური პირობებით იყო გამოწვეული. მრავალი მჭევრმეტყველი ციფრის ჩამოთვლა ზედმეტად მეჩვენება, დავიმოწმებ მხოლოდ ორიოდე ფაქტს: 1941 წლის მაისის დამლევს, სამობილიზაციო გეგმის შესაბამისად, დაიწყო თადარიგის სამხედროვალდებულთა გაწვევა წითელ არმიაში. გაიწვიეს დაახლოებით რვაასი ათასი კაცი ანუ 21 დივიზია საზღვრისპირა ოლქებისათვის. ხოლო თავდაცვის ნარკომის ბრძანებით, 14 მაისს სამხედრო სასწავლებლებში ჩატარდა ვადამდელი გამოშვება. კურსანტებს დაუყოვნებლივ გზავნიდნენ ჯარში.

მაშასადამე, სოლჟენიცინის აზრით, ბელორუსიის ვერხვებსა და გალიციის ალვის ხეებზე დაბუდებული ჭილყვავები გაცილებით უკეთ ერკვეოდნენ მსოფლიო პოლიტიკის საკითხებში, ვიდრე კრემლის მბრძანებელი.

მაგრამ ჭილყვავებსა თუ ბაზრის დედაკაცებს, ალბათ, არც სმენოდათ, რომ ამქვეყნად არსებობს ერთი ფრიად ანგარიშგასაწევი ცნება — პრევენტული ომი.

1939 წელს, მეორე მსოფლიო ომის ზღურბლზე, ჰიტლერი დაჰპირდა თავის გენერალიტეტს „მე მოგცემთ პროპაგანდისტულ საბაბს ომის გასაჩაღებლად. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად დამაჯერებელი იქნება იგი. გამარჯვებულს აღარ ეკითხებიან, სიმართლე იყო ნათქვამი თუ სიცრუე“.

1941 წელს, ჰიტლერი მიმართავდა გერმანელ ხალხსა და თავის შეიარაღებულ ძალებს: საბჭოთა კავშირი ემუქრებოდა გერმანიას და იძულებული გავხდით, თავი დაგვეცვაო. ჯერ კიდევ 1940 წლიდან საბჭოთა კავშირმა გერმანიის საზღვრებთან თავი მოუყარა ისეთ დიდ ძალებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ შეგნებულ მუქარას მეტყველებდაო.

ასე რომ, ჰიტლერის მტკიცებით, ომი საბჭოთა კავშირთან იყო წმინდა წყლის პრევენტული ომი.

1941 წლის 22 ივნისს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის რიბენტროპის ნოტაში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კავშირის მოქმედება ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა წინააღმდეგ, ფინეთისა და რუმინეთის წინააღმდეგ, სადაც მოთხოვნები ბუკოვინაზეც კი გავრცელდა, ამჟღავნებს მისწრაფებას ამ ქვეყნების ბოლშევიზაციისა და ანექსიისადმი, რომ საბჭოთა კავშირის მიერ მისი გავლენის სფეროებად განკუთვნილი მიწა-წყლის ოკუპაცია და ბოლშევიზაცია

წარმოადგენს მოსკოვის შეთანხმებათა აშკარა დარღვევას.

ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ 1939 წელს ჰიტლერთან დადებული პაქტით სტალინმა საზღვარგარეთ ბევრი გულშემატკივარი და მეგობარი დაკარგა.

ისიც გავიხსენოთ, რომ 1940 წელს, პატარა ფინეთზე თავდასხმის გამო საბჭოთა კავშირი ერთა ლიგიდან გარიცხეს.

და ასეთ ვითარებაში ფართო მობილიზაცია და გერმანიის საზღვრებთან ჯარების კონცენტრაცია მართლაც რომ ნავთს დაასხამდა ცეცხლზე, კიდევ ერთხელ დაადასტურებდა საბჭოთა კავშირის აგრესორობას და ჰიტლერისეული ბრალდება მეტ ფასს შეიძენდა მსოფლიოს თვალში.

სტალინს არ სურდა რაიმე, თუნდაც უმცირესი საბაბი მიეცა ნაცისტური გერმანიისათვის ომის გასაჩაღებლად. ჭილყვავებმა და ბაზრის დედაკაცებმა, სამწუხაროდ, ეს არ იცოდნენ. სტალინს არ უყვარდა სიტყვამრავლობა და თავისი გულისნადების საჯაროდ გამოტანა.

აი, ერთი რეტროსპექტული საბუთი სტალინის ტაქტიკური აზროვნებისა: 1923 წლის აგვისტოში იგი სწერდა თავის მაშინდელ მეგობრებს გ. ზინოვიევსა და ნ. ბუხარინს რევოლუციურად განწყობილ გერმანიაში შექმნილი ვითარების შესახებ, რომ მისი აზრით, გერმანელი კომუნისტები არ უნდა მიესწრაფოდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, რადგანაც უეჭველად დამარცხდებიანო. მერე კი დასძენდა: „ცხადია, ფაშისტები არ თვლემენ, მაგრამ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, რომ ფაშისტებმა წამოიწყონ თავდასხმა. ეს შეამჭიდროებს მთელ მუშათა კლასს კომუნისტების გარშემო“.

და 1941 წელს სტალინმა ზუსტად ამოიცნო, რომ მთელი დემოკრატიული სამყარო მხარს დაუჭერდა საბჭოთა კავშირს, როგორც აგრესიის მსხვერპლს. ხოლო პროგრესული, მშვიდობისმოყვარე ხალხმწიფოს პრესტიჟი, საკმაოდ შელახული ჰიტლერთან მორიგება-გარიგებისა და ფინეთთან ომის შედეგად, ძველებური ძალით აღდგებოდა.

სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ სტალინი სერიოზულად ეკიდებოდა ინფორმაციას 22 ივნისის შესახებ და მაინც შეიკავა თავი საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადებისაგან.

აქ შეიძლება ერთგვარი პარალელი გავავლოთ შეერთებული შტატების პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტთან. მანაც იცოდა დაზვერვისაგან, რომ მზადდებოდა იაპონიის თავდასხმა პირლ-ჰარბორზე, სადაც განლაგებული იყო ამერიკელთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის საუკეთესო ძალები. მაგრამ პრეზიდენტმა არ განარიდა ფლოტი საფრთხეს და არც დასწრება განუზრახავს. იგი დაელოდა იაპონელთა თავდასხმას და მსხვერპლის გაღება ამჯობინა აგრესო-

რის როლში გამოსვლას. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ წითელარმიელთა მსხვერპლი დიდად აღემატებოდა ამერიკელთა მსხვერპლს. მაგრამ რას იზამ, უტყუარი ფაქტია, რომ ამერიკელები გაცილებით ძვირად აფასებდნენ თავიანთი მეომრების სიცოცხლეს, ვიდრე სტალინი. ცნობილია, რომ ჩერჩილის დაჟინებულ მოთხოვნას — რუსებზე ადრე აეღოთ ბერლინი, ცივი უარი სტკიცეს გენერალმა ეიზენჰაუერმა და რუზველტმა, ვინაიდან ჩერჩილის პოლიტიკურ გამჭრიახობას და მომავალი ევროპის ბედზე ფიქრს შეეწირებოდა ერთ მილიონამდე ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

... ვინ გაზომავს და აწონის, თუ რამდენი სიცრუე დაახვავეს უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე კონიუნქტურის მორჩილმა საბჭოთა ისტორიკოსებმა თუ ჟურნალისტებმა, რა თქმა უნდა, „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“· გავლენით და საამებლად.

თუ არ ვცდები, ხრუშჩოვმა, გააერცელა ვერსია, რომლის თანახმად, ომის პირველ დღეებში სტალინი სულიერად პარალიზებული იყო, თავის აგარაკზე ჩაიკეტა, ახლოს არავის იკარებდა, არავისთან არ სურდა ლაპარაკი და, ფაქტიურად, ხელს არ ანძრევდა (ზემოხსენებული ა. ზინოვიევის სიტყვით, „მკვდარი ლომის ჩაწიხლვა ვირსაც კი ძალუძს“).

მაგრამ ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნდა ერთი პუბლიკაცია — სტალინის არქივში შემონახული რვეულები, სადაც აღნუსხულ არიან ის პირნი, მასთან აუდიენციაზე რომ ყოფილან.

1941 წლის 22 ივნისის ჩანაწერის მიხედვით, სტალინთან დილის 5 საათსა და 45 წუთზე გამოცხადდნენ მოლოტოვი, ბერია, ჟუკოვი, ტიმოშენკო და მეხლისი. შემდეგ ჩამოთვლილი არიან მრავალრიცხოვანი „სტუმრები“ დილის 7.30-დან ვიდრე 16.45-მდე. მალენკოვი მოსულა 7.30-ზე, მიქოიანი — 6.55-ზე, კაგანოვიჩი და ვოროშილოვი — ზუსტად 8 საათზე. დიმიტროვი და მანუილსკი (კომინტერნის ხელმძღვანელები!) — 8.40-ზე, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნარკომი კუზნეცოვი — 8.45-ზე.

23 ივნისს, სტალინი იღებდა სამხედრო და პარტიულ ხელმძღვანელებს დილის 3.20-დან ღამის 1.25-მდე (ე. ი. თითქმის მთელი დღე-ღამე!).

დაახლოებით ასეთივე გრაფიკი გრძელდებოდა მომდევნო დღეებშიც.

. როგორც ვხედავთ, „სულიერი პარალიზების“ ვერსიას არავითარი საფუძველი არ გააჩნია. სტალინი აზროვნებდა, მუშაობდა, მოქმედებდა, ეთათბირებოდა თავის ხელქვეითებს. სხვა საკითხია, თუ რამდენად რეალური და ეფექტური იყო კრემლში გამოტანილი გადაწყვეტილებანი. ვინ რას ეუბნებოდა, ვინ რას ურჩევდა, ვინ როგორ იქცეოდა — ყოველივე ეს ვიცით გენერლებისა და მარშლების

მემუარებიდან, რომანებიდან, კინოფილმებიდან. მაგრამ ჯერჯერობით თითქმის უცნობია დოკუმენტური ხასიათის მასალა ანდა ნეიტრალური პიროვნების ნაამბობი.

1963 წელს, სანატორიუმში დასვენებისას, ცნობილი რუსი პოეტი და ჟურნალ „ნოვი მირის“ რედაქტორი ალექსანდრე ტვარდოვსკი დაბეჯითებით მოუწოდებდა პოსკრებიშევს (სტალინის სამდივნოს გამგეს) დაეწერა მოგონებანი: თქვენ თუ არ დაწერთ, თქვენს მაგივრად თქვენს სათქმელს ხომ ვერავინ დაწერსო.

პოსკრებიშევს ამგვარი პასუხი გაუცია: „აი, ვკითხულობ მარშლებისა და გენერლების მოგონებებს, სადაც მოთხრობილია მათი შეხვედრები სტალინთან და მეცინება. განა მართლა ასე იყო? მე ხომ ხშირად ერთადერთი მოწმე გახლდით ამ შეხვედრებისა... მთელი სიმართლის დაწერა ძალზე ძნელია. თუმცა მერწმუნეთ, მე იმდენი რამ გადამიტანია მისგან, რამდენიც შესაძლოა, არავის“ (არ ცრუობდა პოსკრებიშევი. ნამდვილად არ ცრუობდა. ღმერთმა უწყის, რომელი სასჯელია უფრო სასტიკი: დახვრეტა თუ აბუჩად აგდება, გაქელვა და დაკნინება ადამიანისა. როგორც ცნობილია ერთ მშვენიერ დღეს სტალინის ბრძანებით დააპატიმრეს პოსკრებიშევის მეუღლე, წარმოშობით ებრაელი. ხოლო აცრემლებული და ვედრების ნიშნად მუხლებზე დაჩოქილი პოსკრებიშევი სტალინმა ასე ანუგეშა: შინ რომ დაბრუნდები, ახალი და გაცილებით ახალგაზრდა ცოლი დაგხვდებაო. და მართლაც, გაოგნებულ პოსკრებიშევს მისი ბინის კარი გაუღო ახალგაზრდა, მომხიბლავმა და... საკვირველმა ქალმა. იგი სტალინის მიერ პოსკრებიშევის მეუღლედ იყო დანიშნული!).

როგორც ზემოთ ითქვა, ჰიტლერმა ომი საბჭოთა კავშირთან მონათლა „პრევენტულ ომად“. შესაძლოა, ჭეშმარიტების რაღაც მარცვალს შეიცავდეს მისი განცხადება, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ჩაიშალა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და ნაცისტურ გერმანიას შორის მსოფლიოს გადანაწილების შესახებ (1940 წლის შემოდგომაზე), გარდუვალი შეიქნა ორი, აგრესიულად განწყობილი სახელმწიფოს დაპირისპირება. რომელი დაასწრებდა — აი, ეს იყო მთავარი.

თავის დროზე გავრცელდა კიდევ ერთი ვერსია, თითქოსდა თვით საბჭოთა კავშირი აპირებდა პრევენტული ომის წამოწყებას გერმანიის წინააღმდეგ. ეს ვერსია ეყრდნობოდა სტალინის სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა 1941 წლის 5 მაისს კრემლში, სამხედრო აკადემიების მსმენელთა გამოსაშვებ შეკრებაზე. სტალინის სიტყვის სტენოგრამა დღემდე ვერ აღმოუჩენიათ. როგორც ჩანს, იგი არც არსებობდა. მაგრამ შეკრების მონაწილეებს ხომ ეხსომებოდათ მოსმენილი სიტყვის არსი. ნაცისტთა ტყვეობაში ჩავარდნილი ზოგიერთი საბჭოთა ოფიცრისაგან მოპოვებულ იქნა ჩვენებანი, სადაც სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვის ცალკეული ნაწყვეტებიც მოიპოვებოდა.

აი, ერთი მათგანი.

„წითელი არმია უნდა შეეჩვიოს იმ აზრს, რომ დადგა ჟამი სოციალისტური ფრონტის ძალისმიერი გავრცელებისა. ვინც არ აღიარებს შეტევითი მოქმედების აუცილებლობას — წვრილი ბურჟუა და იდიოტი ბრძანდება“.

რიბენტროპის მტკიცებით, სტალინმა, სამხედრო აკადემიების მსმენელთა წინაშე არაორაზროვნად განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ამზადებს თავდასხმას გერმანიაზე და ეს მოხდება აგვისტოს თვეშიო.

მაგრამ ცნობილი და კარგად ინფორმირებული ინგლისელი ჟურნალისტი ალექსანდრ ვერტი წერს, რომ სტალინი ლაპარაკობდა ნაცისტთა თავდასხმის საშიშროებაზე და ომი გარდუვალად მიაჩნდა.

აღნიშნავდა აგრეთვე თავის მისწრაფებას — გადაეწია შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება შემოდგომამდე.

ჟურნალისტმა ლევ ბეზიმენსკიმ სამხედრო არქივებში მიაკვლია სტალინის სიტყვის ცხრაგვერდიან კონსპექტურ ჩანაწერს, შეკრების მონაწილეებს რომ შეუდგენიათ. ბეზიმენსკი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სტალინის სიტყვა, ოფიციალური ცნობის თანახმად, გრძელდებოდა ორმოცი წუთი, ხოლო სტალინი ყოველთვის ‘დინჯად მეტყველებდა და ასკვნის, რომ ჩანაწერი თავისი მოცულობით უნდა შეესაბამებოდეს წარმოთქმული სიტყვის ძირითად შინაარსს. ავტორი ამტკიცებს, რომ აღმოჩენილი ჩანაწერი აქარწყლებს ვერსიას, თითქოსდა სტალინი თავად აპირებდა პრევენტული ომის დაწყებას.

ამ სიტყვასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო დეტალს შევეხები. როგორც ზემოთ ითქვა, სოლუენიცინი უნდობლობის ეტალონად აცხადებს სტალინს, რომელიც ვითომდა არავის ენდობოდა (თავისი ახლობლების ჩათვლით). და აი, ამ შეკრებაზე სტალინმა გამოიჩინა უდიდესი ნდობა აუდიტორიისადმი. ასე მაგალითად, სტალინმა დაასახელა უსაიდუმლოესი მონაცემები წითელი არმიის რიცხობრიობაზე (300 დივიზია). ნებისმიერი ქვეყნის მზვერავისათვის ამ ინფორმაციას ოქროს ფასი ექნებოდაო, დასძენს ავტორი და შენიშნავს, რომ ხსენებული ციფრი შეესაბამებოდა სინამდვილეს (1941 წლის 21 ივნისს წითელ არმიაში ყოფილა 303 დივიზია).

ა. ნეკრიჩი წერს, რომ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის (1939 წ.) შემდეგ ათასობით პროპაგანდისტი წარგზავნეს დაწესებულებებსა და საწარმოებში, რათა განემარტათ საბჭოთა მშრომელთათვის ნაცისტურ გერმანიასთან დადებული პაქტის დედააზრი — ისტორიული შემობრუნება საგარეო პოლიტიკაში და არა დროებითი ალიანსი. სასწრაფოდ მომზადდა და გამოიცა გერმანიის რაიხსკანცლერ ოტო ბისმარკის მოგონებათა ორტომეული, ვინაიდან ბისმარკი გერმანიასა და რუსეთს შორის კავშირის მომხრე იყო. წინასიტყვაობის დაწერა დაავალეს გერმანიის ისტორიის საუკეთესო სპეციალისტ ა. ერუსა-

ლიმსკის. თვით სტალინმა გააკეთა წინასიტყვაობის კორექტურა და შეიტანა თავისი შესწორებანი.

ძირითადი მოსაზრება, გადმოცემული ა. ერუსალიმსკის შესავალ სტატიაში ის იყო, რომ ბისმარკი მთავარ საფრთხედ გერმანიისათვის მიიჩნევდა საომარ შეჯახებას რუსეთთან.

ა. ერუსალიმსკი წერდა: „როგორც მართებულად აღნიშნავს ზემოხსენებული გერმანელი ისტორიკოსი შუსლერი, ბისმარკის ამგვარ პოლიტიკას საფუძვლად ედო რუსი ხალხის ძლიერებისა და უძლეველობის შეგნება. ბისმარკის თვალწინ, რომელსაც უყვარდა მომავლის ჭვრეტამდე წარსულისათვისაც გადაევლო თვალი, იდგა კარლოს XII-სა და ნაპოლეონ I-ის რუსეთში ლაშქრობათა გამოცდილება. ბისმარკი წარმოიდგენდა რუსეთის ვეება სივრცეებს, ესმოდა მათი სტრატეგიული მნიშვნელობა და თვლიდა, რომ ისინი გადაულახავი დაბრკოლებაა უცხოელთა ძალისათვის. „ნააზრევსა და მოგონებებში“ ის აღნიშნავს, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომის იღბლიანი მსვლელობის დროსაც კი არავის ძალუძს მოსპოს უზარმაზარი ქვეყნის უსასრულო ძალ-ღონე“.

ამრიგად, ა. ნეკრიჩი ამტკიცებს, რომ სტალინი ბისმარკის პირით მიმართავდა ჰიტლერს და აფრთხილებდა, რუსეთთან ომში გამარჯვება შეუძლებელიაო.

აღძრულ საკითხს სავსებით ახალ შუქს ჰფენს ასევე ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსის მ. გეფტერის ინტერვიუ, 1990 წელს რომ გამოქვეყნდა.

ჟურნალისტი ეკითხება მ. გეფტერს: „თქვენ ტრაგიკულ ფიგურად მიიჩნევთ სტალინს?“

მ. გეფტერის ვრცელ პასუხს მთლიანად დავიმოწმებ:

„შექსპირი ამ შეკითხვაზე დადებით პასუხს გასცემდა. მაგრამ, ვინ იცის, ეგებ შეიცვალა ბუნება ტრაგედიისა შექსპირის შემდგომ განვლილ საუკუნეებში? პასუხის ნაცვლად მოკლე ამბავს გეტყვით. მოქმედება მიმდინარეობს 1940 წელს... და აი, თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდეგ ხელში მიჭირავს წიგნი „ბისმარკი. ნააზრევი და მოგონებანი“. გამოცემის წელი სწორედ 1940 წ. გახლავთ, სასიგნალო ეგზემპლარია. ერთადერთი ეგზემპლარი, რომელიც ეკუთვნის არკადი სამსონის ძე ერუსალიმსკის — შესავალი სტატიის ავტორს. სტატიის ტექსტში და არშიებზე სტალინის ხაზგასმები და შენიშვნები გვხვდება — დიახ, მისი საკუთარი ხელით მიწერილი. გაკრული. მაგრამ ადვილად გასარჩევი ხელწერაა იმ ადამიანისა, რომელიც მიჩვეული იყო ხშირად წერას. ეტყობა, ერთბაშად არ შეუსრულებია სამუშაო — შენიშვნები სხვადასხვა ფერის ფანქრით არის ნაწერი. არქეოლოგივით ვაკვირდები, ძველისძველი წარწერა რომ აღმოაჩინა და ცდილობს ამოიცნოს ასოებში ჩამალული აზრი და ბედისწერა.

სტალინი აღარ არის. აღარ გვეშინია, ხმამაღლა ვილაპარაკოთ საშინელებანი მასზე. მართალია, ეს-ეს არის ენა ავიდგით და ჯერ ენად არ გავკრეფილვართ. და აი, წიგნში ვეძებ საშინელებას. მაგრამ ვაწყდები გონიერი რედაქტორის შესწორებებს, ისტორიის შეცნობისა და კარგი გემოვნების დამადასტურებულ მოწმობებს.

ა. ერუსალიმსკის ნაამბობი კრემლში სტალინთან შეხვედრაზე ამდიდრებს ჩემს მხედველობით რეაქციას. ყურადღებას ვამახვილებთ ყველაზე მნიშვნელოვან შესწორებაზე. სტატიაში, რომლის დაწერა ისტორიის პროფესორს დაავალა საგარეო საქმეთა ნარკომმა, ფინალური აბზაცები გამჭვირვალედ გამოხატავდა მთავარ აზრს. ბისმარკს, რომელიც არაერთხელ ყოფილა წინააღმდეგი რუსეთთან ომისა, რომელსაც აშინებდა მისი სივრცეები და გამეორება შვედეთის მეფის და საფრანგეთის იმპერატორის ოდინდელი ხვედრისა, ახლა უხმობდნენ აწმყოს მრჩევლად, ჰიტლერის დამრიგებლად. თითქოსდა სტალინიც უნდა მოეხიბლა სტატიის ამგვარ ფინალს (საერთოდ, მას მოეწონა სტატია). ეს შეხვედრა კი შედგა 1940 წლის შემოდგომაზე — გარკვეული ხნის შემდეგ საფრანგეთის დამარცხებიდან და დიუნკერკიდან, მსოფლიო მოვლენათა მსვლელობა რომ შეატრიალეს. მაგრამ სტალინმა გადაწყვიტა შეეცვალა სწორედ დასასრული სტატიისა. მან წაშალა პატრიოტული კურსივები, შეამოკლა გაფრთხილებათა ოდენობა და დათანხმდა დაეტოვებინა მთელი „რუსული სიუჟეტი“ სტატიისა მხოლოდ იმ პირობით, თუკი სადღაც, სტატიის შუაგულში იქნებოდა გადატანილი (ხოლო დასკვნით აკორდად შეარჩია ტექსტი მოხუცებულ იუნკერზე, გადამდგარ კანცლერზე, რომელიც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ეწვია ჰამბურგს და გაოცებით შეჰყურებდა რა ნავსაყუდელს, გემთსაშენსა და საოკეანო გემებს, ამბობდა: „სრულიად სხვა სამყაროა, ახალი სამყარო!“).

„რა იყო ეს, — ეკითხე ერუსალიმსკის, — ახირება, ცბიერება თუ ინსტინქტი იმ ადამიანისა: „ეპოქებით“ რომ ზომავდა პოლიტიკას?“ თურმე სტატიის ავტორსაც და სტატიის დამკვეთ მოლოტოვსაც თავგზა აებნათ. მოლოტოვს კრინტი არ დაუძრავს (ისევე როგორც ჟდანოვს, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა). ხოლო ა. ერუსალიმსკი მოკრძალებით შეეკამათა სტალინს, ხაზი გაუსვა ფინალური აბზაცის აქტუალურობას. სტალინმა პასუხად უთხრა: „ნეტავი რისთვის აშინებთ? დაე, სცადონ...“ (თითქოსდა გორელ ყმაწვილს მუშტი-კრივში იწვევდნენ და აღარაფერს დაგიდევდათ, გარდა ბრძოლის ჟინისა).

მ. გეფტერი თავს იკავებს კატეგორიული დასკვნისაგან სტალინის უცნაური ნათქვამის ასახსნელად და მხოლოდ ბუნდოვანი, ორაზროვანი მინიშნებით კმაყოფილდება. მისი მსჯელობის კონტურები ასე გამოიყურება: ყველანი დაამარცხა, ვისაც ებრძოდა. ამ ქვეყნად აღარ არსებობს ტროცკი — მისი მთავარი მეტოქე და დაუძინებელი მტერი.

პირადი ტრიუმფის განცდა იპყრობს და თითქოს ბედისწერა უკაკუნებს კარზე. უკვე ხვდება, რომ ჰიტლერთან 1939 წელს დადებულმა ხელშეკრულებამ ძალა დაკარგა და სადღაც სულის ცხრაკლიტულში მწიფდება ცდუნება, ფაშიზმს (და ანტიფაშიზმსაც!) რომ გაუღვიძებია — მოულოდნელი სვლით გაიჭრას მსოფლიო ასპარეზზე.

ეგებ წუთიერ მოლანდებად გაუელვა ცნობიერებაში გაუგონარმა, ჯერ არნახულმა — 1945 წლის პარადი წითელ მოედანზე და მის ფეხქვეშ დაყრილი ნაცისტური დროშების გროვა.

მაგრამ ამნაირი გამაოგნებელი ამბავი საღი ფანტაზიით შექმნილ რომანს უფრო შეეფერება, ოღონდ ესოდენ გამბედავ მწერალს არ უნდა ერქვას სოლჟენიცინი — თავისი უნიათო ზმანებებით და მიკერძოებული პიროვნების უკადრისი შურისძიებით „მკვდარ ლომზე“, სამარეში რომ ჩაიტანა მრავალი საიდუმლოება, რომელთა კვლევა და ამოხსნა, ალბათ, ახლო მომავლის საქმეა.

დიდი მტერ-მოყვარე

1941 წლის სექტემბერში, როდესაც ჰიტლერს ორიოდე ნაბიჯიღა დარჩენოდა მოსკოვამდე, საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ჩავიდა ინგლისელთა სამხედრო მისია, რომელსაც მასპინძლები საკმაოდ გულცივად დახვდნენ. თათბირები მიმდინარეობდა არცთუ მეგობრულ ატმოსფეროში. კაცი იფიქრებდა, რომ ინგლისელები დახმარების სათხოვნელად ეწვივნენ მოსკოვს.

უინსტონ ჩერჩილი თავის თხზულებაში, „მეორე მსოფლიო ომი“ იმოწმებს ინგლისელი გენერლის ისმეის მონათხრობს, რომელიც აშკარად ანეკდოტი უნდა იყოს, არსებული ვითარების საფუძველზე რომ მოუგონიათ.

გენერალ ისმეის შიკრიკს, საზღვაო ქვეითი ჯარის მებრძოლს, საბჭოთა „ინტურისტის“ გიდი ათვალიერებინებდა მოსკოვს და ყველაფერს დაწვრილებით უხსნიდა: „აი, ეს გახლავთ ჩერჩილის სახელობის ქუჩა, ყოფილი — ჰიტლერისა; ეს არის იდენის სახელობის ოტელი, ყოფილი — რიბენტროპისა; აი, ეს კი ბივერბრუკის სახელობის ვაგზალია, ყოფილი — გერინგისა“. ხანმოკლე პაუზის შემდეგ გიდმა დასძინა: „თამბაქოს ხომ არ მოწევდით, ამხანაგო?“ ინგლისელმა ჯარისკაცმა უპასუხა: „გმადლობთ ამხანაგო, ყოფილო არამზადავ!“

მართალია, მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში დიდი ბრიტანეთის მთავრობაც ვერ დაიტრაბახებდა მაღალზნეობრივი პოლიტიკის პრინციპებით, მაგრამ 1939 წლის 23 აგვისტოს დადებულმა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტმა მაინც გამოიწვია საყოველთაო გაოცება და შეძრწუნება, რაც მრავალთა გულუბრყვილობას და იდეალისტურ რწმენათა მსხვრევას მეტყველებდა, ხოლო მავანთათვის გვიანი იყო თითზე კბენანი, ვინაიდან მათი სანუკვარი ოცნება ორ ტოტალიტარულ სახელმწიფოს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომის თაობაზე ანაზდად ჩაიფუშა და სხვისთვის დაგებულ მახეში თვითონვე გაებნენ.

ასეა თუ ისე, ორი თითქოსდა საუკუნოდ შეურიგებელი მტერი მორიგდა და მისალმებისას სტალინმა ტლანქი იუმორით მიმართა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს რიბენტროპს: „კარგა გვარიანად კი ვლანძღეთ ერთმანეთი, არა?“

ხელშეკრულების პუნქტებზე მსჯელობას ბევრი დრო არ წაუღია. სულ რაღაც ერთ ღამეში დაზუსტდა გლობალური მნიშვნელობის საკითხები და განისაზღვრა სათუო მომავალი. საიდუმლო სამზადისი ორივე მხრიდან კარგა ხანია მიმდინარეობდა და პაქტი სრულიადაც არ წარმოადგენდა ექსპრომტს.

პაქტის ხელმოწერის შემდეგ გამართულ ბანკეტზე სტალინმა ასეთი სადღეგრძელო წარმოთქვა: „მე ვიცი, თუ როგორ უყვარს გერმა-

ნელ ხალხს თავისი. ფიურერი და ამიტომაც მსურს დღეგრძელობა ვუსურვო მას!“

განა დაესიზმრებოდა ვინმეს, რომ გაიელიდა ხუთი წელიწადი და სტალინი გაცილებით ერცელსა და, ვგონებ, უფრო გულწრფელ სადღეგრძელოს იტყოდა, ამჯერად — ჩერჩილის მისამართით, ჰიტლერის დაუძინებელ მტრად და პირველ მესაფლავედ რომ ითვლებოდა მსოფლიოს თვალში.

1945 წლის 8 თებერვალს, იალტის კონფერენციის მსვლელობისას გამართულ მორიგ ბანკეტზე სტალინმა შემდეგი სადღეგრძელო წარმოთქვა:

„ვადღეგრძელებ ბრიტანეთის იმპერიის ლიდერს, მსოფლიოს ყველა პრემიერ-მინისტრთაგან ყველაზე გულადს, რომელსაც თავის მოღვაწეობაში მარჯვედ შეუთავსებია პოლიტიკური გამოცდილებაჲ და სამხედრო ხელმძღვანელის ნიჭი, ვადღეგრძელებ იმ კაცს, რომელმაც განაცხადა: ინგლისი არ შედრკება და გერმანიას შეებრძოლებაო, როცა მთელი ევროპა მზად იყო, ფეხქვეშ გართხმოდა ჰიტლერს. ვადღეგრძელებ იმ კაცს, რომელმაც მაშინ თქვა, თუკი აწინდელი და შესაძლო მოკავშირენი მიატოვებენ ინგლისს, ბრძოლას მაინც გავაგრძელებთო. ვადღეგრძელოთ ის კაცი, რომელიც მთელი საუკუნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ იბადება, რომელმაც ვაჟკაცურად ააფრიალა დიდი ბრიტანეთის დროშა... მხოლოდ ის ვთქვი, რასაც ვგრძნობ, რაც გულში მიძევს და რაშიც დარწმუნებული ვარ“.

ჩერჩილიც არ დარჩენილა ვალში. მან წარმოთქვა სტალინის სადღეგრძელო:

„არც გაზვიადებას და არც მოქარგულ კომპლიმენტებს მივდევ, როდესაც ვამბობ, რომ ჩვენ ვთვლით მარშალ სტალინის სიცოცხლეს უძვირფასეს საუნჯედ ჩვენი იმედებისა და გულის წადილისათვის. ისტორია იცნობს მრავალ დამპყრობელს, მათგან ცოტანი თუ ყოფილან სახელმწიფო მოღვაწენი და მათი უმრავლესობა იმ სიძნელეებთან შეჯახებისას, მათსავე ომებს რომ მოჰყვებოდა, მოხვეჭილ გამარჯვებათა ნაყოფს ქარს ატანდა. გულწრფელად მიხარია, რომ მარშალის სიცოცხლე ემსახურება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობას და შეგვეწევა საგრძნობლად დავშორდეთ იმ მწუხარე დღეებს, ახლახან რომ გადავიტანეთ. ამქვეყნად დავაბიჯებ დიდი გამბედაობითა და სიამაყით, როდესაც ვიცი, რომ მეგობრული და ახლო ურთიერთობა მაკავშირებს ამ დიდ ადამიანთან, ვისი სახელი და დიდება მოეფინა არა მარტო რუსეთს, არამედ მთელ მსოფლიოსაც“.

სამი თვის შემდეგ ჰიტლერი იმქვეყნად გადასახლდება. ჩერჩილსა და სტალინს სამუდამოდ მოაკლდებათ საერთო მტერი, რომელმაც უნებურად შეუწყო ხელი ორ ეეებერთელა იმპერიის ლიდერთა ხანმოკლე თანადგომას.

... 1938 წელს, მიუნხენში ჰიტლერისა და ინგლის-საფრანგეთის გარიგებამ, რასაც პრინციპულ წინააღმდეგობას უწევდა სწორედ ჩერჩილი (იმხანად — მხოლოდ წევრი პარლამენტისა), თვალნათლივ აჩვენა სტალინს, რომ დასავლეთი დაჟინებით უბიძგებდა ჰიტლერს აღმოსავლეთისაკენ.

მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ნევილ ჩემბერლენი ფანტასტიკურ და დაუჯერებელ მოვლენად მიიჩნევდა იმას, რომ ინგლისელები იძულებული იყვნენ სანგრები ეთხარათ და პირისახეზე აირწინაღები მოერგოთ შორეულ ქვეყანაში წამოჭრილი კონფლიქტის გამო და იმ ადამიანთა დასაცავად, რომელთა შესახებ ხეირიანად არაფერი სმენოდათ.

დასავლეთის თავშეკავებას ჰიტლერის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირთან ერთად ბრძოლაზე ობიექტური მიზეზებიც მოეპოვებოდა. არსებული ხელშეკრულების მიხედვით, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს უნდა დაეცვათ ჩეხოსლოვაკია ჰიტლერული გერმანიისაგან, მაგრამ ჩეხოსლოვაკიამდე რომ მიეღწია, წითელ არმიას უნდა გაევლო პოლონეთი და რუმინეთი, რომლებსაც კარგად ვერ გაერკვიათ, რა უფრო აფრთხობდათ — გერმანელთა აგრესია თუ რუსების მიერ გერმანელთა აგრესიისაგან ხსნა.

პოლონეთის პოზიცია ამგვარი ხატოვანი ფრაზით გამოიხატებოდა: „გერმანელთა ხელში ჩვენ დავკარგავთ თავისუფლებას, ხოლო რუსების ხელში ჩვენ დავკარგავთ საკუთარ სულს".

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მიუნხენის შემდეგ სტალინს აღარ სჯეროდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები წინ აღუდგებოდნენ გერმანიის აგრესიას. ამიტომაც აჭიანურებდა მოლაპარაკებას მოსკოვში ჩასულ ინგლის-საფრანგეთის არასოლიდურ დელეგაციასთან და ურთულესი ვითარებიდან საუკეთესო გამოსავალს ეძებდა.

თავდაუსხმელობის პაქტის დადების ინიციატივა ბერლინიდან მოდიოდა. ჰიტლერის ვარაუდით, გამორიცხული არ იყო, რომ მიუნხენი აღარ განმეორდებოდა და პოლონეთზე მისი თავდასხმისას ინგლის-საფრანგეთი ამჯერად გამოექომაგებოდნენ აგრესიის მსხვერპლს. ამიტომაც გადაუდებელ ამოცანად ესახებოდა საბჭოთა კავშირის ნეიტრალიზება (როგორც ამბობენ, ჰიტლერი პირადად სტალინს აღმერთებდა, თუმცა სძულდა რუსული კომუნიზმი).

სტალინი აპირებდა თავისი ქვეყნის უშიშროების ყიდვას და როდესაც დაჰპირდნენ აღმოსავლეთ ევროპის მნიშვნელოვანი ტერიტორიებით დასაჩუქრებას, თუკი ნეიტრალიტეტს დაიცავდა გერმანია-პოლონეთის კონფლიქტში, ცხადია, უარი არ უთქვამს.

ჩერჩილის სიტყვით, მხოლოდ ტოტალიტარულ დესპოტიზმს, ორივე ქვეყანაში რომ ჰყვაოდა, შეეძლო გაებედა ასეთი ოდიოზური, ბუნების საწინააღმდეგო აქტის განხორციელება. მას უჭირს დაზუსტება, ჰ

იტლერს უფრო ეზიზღებოდა ეს გარიგება თუ სტალინს, მაგრამ დარწმუნებულია იმაში, რომ ორივეს შეგნებული ჰქონდა გარემოებათა მიერ ნაკარნახევი პაქტის ხანმოკლე სიცოცხლე.

ჩერჩილი ფიქრობს, რომ რუსებისათვის აუცილებელი იყო, რაც შეიძლება შორს გადაეწიათ თავიანთი საზღვრები დასავლეთის მიმართულებით, რათა მოესწროთ ძალების თავმოყრა კოლოსალური იმპერიის ყოველი კუთხიდან, ვინაიდან მიუხედავად თავდაუსხმელობის პაქტისა, ითვალისწინებდნენ გერმანელთა მოსალოდნელ თავდასხმას. ჩერჩილის დასკვნით, მათი პოლიტიკა - თუკი გულცივად ანგარიშიანი და ანგარებიანი იყო, რა თქმა უნდა, იმჟამად წარმოადგენდა უაღრესად რეალისტურ პოლიტიკას.

თავად ჩერჩილიც განა რეალისტი პოლიტიკოსი არ ბრძანებოდა? ფხიზელი განსჯა ყოველთვის მეგზურად მიჰყვებოდა ბნელი პოლიტიკური ლაბირინთებიდან დღის სინათლეზე გამოსასვლელად.

შინაური კრიტიკანები ვერაგსაც ეძახდნენ, რადგანაც ჩერჩილმა მიატოვა მშობლიური კონსერვატიული პარტია სწორედ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი იდგა უფსკრულის პირას, მაგრამ ოცი წლის შემდეგ ისევ დაუბრუნდა და ამჯერად ზურგი აქცია ლიბერალებს ფრიად კრიტიკულ ვითარებაში.

ასე რომ, ჩერჩილს სტალინზე არანაკლებ კარგად ესმოდა რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის უკიდურესი, თუნდაც დროებითი საჭიროება საბჭოთა კავშირისათვის, მაგრამ ამ პაქტმა მეორე მსოფლიო ომის ხანძარი გააჩაღა.

მოსკოვში შეერთებული შტატების ელჩად ნამყოფი ჯორჯ კენანის სიტყვით, 1939 წელს სტალინმა თითქოსდა განახორციელა თავისი ყველაზე ფანტასტიკური ოცნებანი. მან არა მარტო შთაბერა სული გერმანიის ჩათრევას დასავლეთთან ომში, და რუსეთს მოუხვეჭა განზე დარჩენის შანსები, არამედ თანდათან დაიბრუნა ის ტერიტორიებიც, რომელნიც რევოლუციამდე რუსეთის იმპერიის ნაწილს შეადგენდნენ, მაგრამ მოახერხეს თავის დაძვრენა რევოლუციის წყალობით. ახლა იფიქრებდი, სტალინს მეტი აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ განცხრომას მისცემოდა და ხელი არ შეეშალა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა სისხლისღვრისათვის.

მაგრამ 1940 წლის ივნისში გერმანიის მიერ საფრანგეთის იოლად დამარცხებამ და დასავლეთის ფრონტის გაუქმებამ ძალზე შეაშფოთა სტალინი, იგი სავსებით სამართლიანად ფიქრობდა, რომ ჰიტლერი ვერ გადალახავდა ლამანშს ინგლისის დასაპყრობად და, ალბათ, ისევ აღმოსავლეთისაკენ აიღებდა გეზს. თავდაუსხმელობის პაქტი სტალინს ვერ გამოადგებოდა მომავალ ომში და ამიტომაც განცხრომის ნაცვლად დაუდგრომლობის გზას დაადგა. თავად ცხოვრება მოითხოვდა აქტიურ პოლიტიკას და საომარ განწყობილებას. რუსეთის მიერ

ბალტიის ქვეყნების ოკუპაცია, ომი ფინეთთან, დაპყრობა ბესარაბიისა და განსაკუთრებით — ბუკოვინისა, რომლის სახელიც კი არ იყო ნახსენები პაქტში, გერმანიის ეკონომიკურ ინტერესებს ლახავდა. სტალინის ახალ-ახალი მოთხოვნები (მაგალითად, საბჭოთა სამხედრო ბაზების დაარსება ბოსფორისა და დარდანელის მიდამოებში) და ბალკანეთის საქმეებზე აქტიური კონტროლის სურვილი ერთობ აღიზიანებდა ჰიტლერს და სწრაფად ამწიფებდა „ბარბაროსას“ გეგმის დაბადებას.

ჩერჩილი გამოცანად თვლიდა რუსეთის შემდგომ მოქმედებას, მაგრამ მშვენივრად ესმოდა, რომ მისი ნაციონალური ინტერესები ვერ მოითმენდა გერმანელთა დამკვიდრებას შავი ზღვის ნაპირებზე ანდა ბალკანეთის ოკუპაციას და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სლავური მოდგმის ხალხთა დამორჩილებას. ჰიტლერის მიზნები მკვეთრად უპირისპირდებოდა რუსეთის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სასიცოცხლო ინტერესებს.

ჟურნალისტი და ისტორიკოსი ე. ძელეპი „ფორინ ოფისის“ ადრე გასაიდუმლოებული დოკუმენტების მიხედვით გვამცნობს, რომ ჯერ კიდევ საფრანგეთის კაპიტულაციამდე ჩემბერლენი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰალიფაქსი (მიუნხენის შეთანხმების ინიციატორები) მზად იყვნენ მიეღოთ ჰიტლერის წინადადება და ზავი დაედოთ გერმანიასთან. შუამავლის როლს თამაშობდა იტალიის დიქტატორი მუსოლინი.

საკითხი უნდა განეხილათ მთავრობის სამხედრო კაბინეტის სხდომაზე, ფრიად ვიწრო წრეში. ესწრებოდნენ ჩემბერლენი, ჰალიფაქსი, ჩერჩილი და ორი ლეიბორისტი — ეტლი და გრინვუდი. ე. წ. „მიუნხენელებმა“ ხმა მისცეს ჰიტლერის წინადადებას, ლეიბორისტებმა უარყვეს, გადამწყვეტი ხმა ჩერჩილს ერგო წილად და მან უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ლეიბორისტებს. ბუნებრივია, რომ პარტიულ-იდეოლოგიურ სოლიდარობაზე მაღლა დააყენა სამშობლოს ინტერესები.

ჩერჩილმა გადაარჩინა ინგლისი სამარცხვინო კაპიტულაციას და სულ სხვა გეზი მისცა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობას.

ჩემბერლენის პოლიტიკური უნიათობა და ჯანმრთელობის გაუარესება მწვანე შუქს უნთებდა საბრძოლო სულისკვეთებითა და ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე ჩერჩილს, ჩემბერლენის გადადგომა ელვისებური სისწრაფით ახლოვდებოდა.

1940 წლის 10 მაისს, 65 წლის ჩერჩილი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გახდა. მან გულახდილად განაცხადა: „ჩემი ხანგრძლივი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე რიგრიგობით მეჭირა ბევრი მაღალი სახელმწიფო თანამდებობა. მაგრამ ვაღიარებ, რომ პოსტი, რომელიც ამჟამად მხვდა წილად, ყველაზე მეტად მიზიდავდა.

ძალაუფლება სხვათა დასაკნინებლად და შენთვის ზარ-ზეიმის ასატეხად, უდავოდ, დაძრახვის ღირსია. მაგრამ ძალაუფლება ნაციონალური კრიზისის ჟამს, როდესაც დარწმუნებული ხარ საკუთარ ძალებში, როდესაც იცი, რომელი ბრძანებები უნდა გასცე — ამგვარი ძალაუფლება ნიშნავს ღვთისგან კურთხეულ ჯილდოს".

სამი დღის შემდეგ, თემთა პალატაში გამოსვლისას მან მოკლედ ჩამოაყალიბა თავისი მთავრობის სამუშაო პროგრამა რომელსაც წაუმძღვარა არცთუ სანუგეშო სიტყვები: „მე არაფერი შემიძლია შემოგთავაზოთ გარდა სისხლისა, შრომისა, ცრემლებისა და ოფლისა".

ეკითხებოდნენ: როგორი იქნება ჩვენი პოლიტიკა?

პასუხობდა: ვიომებთ ზღვაზე, ხმელეთსა და ჰაერში მთელი ჩვენი ძალ-ღონითა და იმ გაუგონარი შემართებით, მხოლოდ უფალს რომ ძალუძს გვიწყალობოს. უნდა ვიომოთ შემზარავი ტირანიის წინააღმდეგ, რომლის მსგავსი არასოდეს ყოფილა ადამიანთა ავკაცობის პირქუშ და ჭირვარამიან ისტორიაში.

ეკითხებოდნენ: რა არის ჩვენი მიზანი?

პასუხობდა: ჩვენი ერთადერთი მიზანია გამარჯვება. დიახ, გამარჯვება, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს; გამარჯვება ყველა საშინელებათა მიუხედავად; გამარჯვება დამოუკიდებლად იმისგან, რამდენად გრძელი და ეკლიანი გზის გავლა მოგვიწევს. აუცილებელია შევიგნოთ — თუკი ვერ გადარჩა ბრიტანეთის იმპერია, დაიღუპება ყველაფერი, რასაც საუკუნეთა მანძილზე იცავდა კაცობრიობა, რისკენაც მიისწრაფოდა და რისკენაც უნდა განაგრძოს სწრაფვა.

შეიქმნა ეროვნული თანხმობის მთავრობა, სადაც გაერთიანდნენ კონსერვატორები, ლეიბორისტები, ლიბერალები — ერთიმეორის გუშინდელი ოპონენტები. პარტიული ქიშპობის საკითხი დღის წესრიგში აღარ იდგა. „მიხაკისფერი ჭირი" დაუნდობლად ემუქრებოდა ინგლისსა და მთელ მსოფლიოს.

ჩერჩილი წერს: „ეს იყო ნაცისტური გერმანიის დიდებული დღეები. ჰიტლერი სიხარულით ცეკვავდა, როდესაც კომპიენში ფრანგებს თავს მოახვია დამამცირებელი დაზავება. გერმანელთა არმიამ ძლევამოსილი მარშით ჩაიარა ტრიუმფალური თაღის ქვეშ და ელისეს მინდერებზე. იფიქრებდი, რომ აღარ არსებობდა აღარაფერი, რისი გაკეთებაც მათ გაუჭირდებოდათ".

ამგვარად, მთავრობის სათავეში ჩერჩილის ჩადგომის დღიდან ორმოცი დღე რომ მიიწურა, ინგლისი მარტოდმარტო დარჩა აღზევებული გერმანიისა და იტალიის პირისპირ, ხოლო საბჭოთა კავშირის მტრული ნეიტრალიტეტი, ფაქტიურად, მხარს უჭერდა ჰიტლერს. ამერიკელები არ ჩქარობდნენ და ჩერჩილი შიშობდა, რომ ტრაგიკული აღსასრული შეიძლება დამდგარიყო მანამდე, ვიდრე ისინი შემწეობის ხელს გაუწვდიდნენ ინგლისს.

არსებობს ასეთი ლეგენდა: სამხედრო მოსამსახურეთა ლონდონის ერთ-ერთი კლუბის შვეიცარმა აუღელვებლად უთხრა კლუბის შეცბუნებულ წევრს. „სერ, ასეა თუ ისე, ჩვენ გავედით ჩემპიონატის ფინალში და მატჩი ჩატარდება ჩვენს საკუთარ მოედანზე“.

ჩერჩილი, უველა სიკეთესთან ერთად, ჩინებული ორატორიც გახლდათ. ინგლისელი დრამატურგი ჯონ სპარლინგი, ავტორი პიესისა ჩერჩილზე, ამტკიცებს, რომ მისმა გმირმა ზეპირად იცოდა მეფეთა მონოლოგები შექსპირის დრამებიდან და როდესაც იმოწმებდა ციტატებს, ყოველი ბრიტანელი, რომელიც იცნობდა შექსპირს, თავს გრძნობდა ისტორიულ მოვლენათა მონაწილედ. ალბათ, ტანში აურჟოლებდათ ქვეყნის ლიდერის პათეტიკური სიტყვების მოსმენისას.

ჩერჩილი ამბობდა: ჰიტლერმა იცის, რომ უნდა დაგვასამაროს ამ კუნძულზე ანდა წააგოს ომი. მოვიხადოთ ჩვენი ვალი, ვიდგეთ მედგრად, თუკი ბრიტანეთის იმპერიას და მის ერთა თანამეგობრობას უწერია იარსებოს კიდევ ათასი წელიწადი, დაე, შთამომაველობამ თქვას: „ეს იყო მათი უველაზე სახელოვანი ჟამი!“

რა ხდებოდა ამ დროს აღმოსავლეთით?

ჩერჩილის აზრით, ჰიტლერსა და სტალინს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, როგორც ტოტალიტარულ პოლიტიკოსებს და მათი მმართველობის ფორმები ენათესავებოდა ერთმანეთს. მოლოტოვი გაბრწყინებული სახით ხვდებოდა გერმანიის ელჩს გრაფ შულენბურგს, მოუხეშავი პირფერობით იწონებდა გერმანიის პოლიტიკას და ქებას ასხამდა ჰიტლერის სამხედრო ღონისძიებებს. 1940 წლის 18 ივნისს, როდესაც საფრანგეთი უკვე სულს ღაფავდა, შულენბურგს მოუხსენებია ბერლინისათვის: „დღეს მოლოტოვმა მიმიწვია თავის კაბინეტში და გადმომცა საბჭოთა მთავრობის მხურვალე მოლოცვები გერმანიის შეიარაღებული ძალების ბრწყინვალე წარმატებათა გამო“.

ჩერჩილი ირონიულად შენიშნავს, რომ ზუსტად ერთი წლის შემდეგ, იმავე შეიარაღებულმა ძალებმა რუსეთს თავს დაატეხეს ცეცხლისა და ფოლადის ნიაღვარი.

ჰიტლერს ხელი მოეცარა დასავლეთში. მან ვერ დააჩოქა ინგლისი. სასტიკი და გადამწყვეტი შერკინება ჰაერში დიდი ბრიტანეთის მფრინავებმა მოიგეს. საყოველთაოდ გახმაურდა მელენის, ეიტკენის, ფინუკეინისა და სხვათა სახელები.

ჰიტლერი მიხვდა, რომ მისი ავიაცია სიზმარში თუ იხილავდა ინგლისის გასწორებას მიწასთან და საზღვაო ფლოტსაც არ ძალუძდა ლამანშის გადალახვა.

ჩერჩილის სიტყვით, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სტალინი ყოველმხრივ ცდილობდა, რათა ლოიალურად და ერთგულად ეთანამშრომლა ჰიტლერთან და, ამავე დროს, თავი მოეყარა მთელი ძალებისათვის რუსეთის თვალუწვდენელი სივრცეებიდან. საბჭოთი-

დან გერმანიაში კი დაუსრულებელ ნაკადად მიედინებოდა სურსათი და უმნიშვნელოვანესი ნედლეული. კომუნისტური „მეხუთე კოლონა“ შეძლებისდაგვარად ყველაფერს აკეთებდა, ოღონდაც ხელი შეეშალა ინგლისის ქარხნების მუშაობისათვის. საბჭოთა რადიო შეურაცხყოფდა და ცილს სწამებდა ჰიტლერის მთავარ მტერს. გაბოროტებული ბოდვა, რომელსაც საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა ინგლისისა და შეერთებული შტატების მისამართით ავრცელებდა ღამის ეთერში, 22 ივნისის გარიჟრაჟზე ჩაახშო გერმანელთა კანონადის გრუხუნმა. „ავკაცნი ყოველთვის არ არიან გონიერნი, ისევე როგორც დიქტატორები ყოველთვის როდი არიან მართალნი“, — დასძენს ჩერჩილი. მისი მოსაზრებით, 1940 წლის სექტემბრიდან 1941 წლის ივნისამდე სტალინი იყო უგულო, ცბიერი და ცუდად ინფორმირებული გიგანტი.

1941 წლის აპრილში ჩერჩილი აფრთხილებდა სტალინს გერმანელთა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.

მაგრამ ამ ბოლო ხანებში გახდა ცნობილი, რომ აშინებდნენ გერმანიასაც. 1941 წლის გაზაფხულზე, ინგლისის დაზვერვამ გერმანიის საელჩოს ვაშინგტონში მიაწოდა მასალა, სადაც აღნიშნული იყო: „უაღრესად სანდო წყაროდან შევიტყვეთ, რომ რუსეთი აპირებს სამხედრო აგრესიას იმ მომენტში, როდესაც გერმანია წამოიწყებს რომელიმე დიდ სამხედრო ოპერაციას“.

ინგლისელ მზვერავთა აზრით, ეს იყო „სტრატეგიული მნიშვნელობის დეზინფორმაციული მასალა“.

საბედისწერო დღემდე ერთი კვირით ადრე ჩერჩილმა ტელეფონით აუწყა პრეზიდენტ რუზველტს, თუკი გერმანია თავს დაესხმოდა რუსეთს, დიდი ბრიტანეთი, რასაკვირველია, რუსებს გაუწევდა მორალურ და სხვა შესაძლებელ დახმარებას, ვინაიდან ჰიტლერი წარმოადგენს მტერს, ვისი მოსპობაც ჩვენი უპირველესი ამოცანა არისო. რუზველტმა უპასუხა, რომ დაუყოვნებლივ და საჯაროდ დაუჭერდა მხარს პრემიერის ნებისმიერ განცხადებას, რომელიც მიესალმება რუსეთს მოკავშირის როლში.

ემრიზ ჰიუზი აღნიშნავს: „ჰიტლერის გადაწყვეტილება რუსეთზე თავდასხმისა ჩერჩილისათვის გახლდათ ღმერთების ძღვენი. ეს იყო ყველაზე საუკეთესო ცნობა, რომელიც მიუღია ხანგრძლივი დროის განმავლობაში“.

ოღონდ დაემარცხებინა ჰიტლერი, მზად იყო, ეშმაკსაც კი შეხმატკბილებოდა.

ჩერჩილის განცხადებით, მისი ერთადერთი უცვლელი მიზანი იყო მოესპო ჰიტლერი და ყოველგვარი კვალი ნაცისტური რეჟიმისა. იგი არწმუნებდა მთელ მსოფლიოს: ჩვენ არასოდეს დავიწყებთ მოლაპარაკებას ჰიტლერთან ანდა სხვა ვინმესთან მისი ხროვიდან. ყოველი ადამიანი და სახელმწიფო, რომელიც ებრძვის ნაციზმს, მიიღებს

ჩვენს დახმარებას; ყოველი ადამიანი და სახელმწიფო, რომელიც მხარში ამოუდგება ჰიტლერს — ჩვენი მოსისხლე მტერი იქნებაო.

ჩერჩილი წერს, რომ ჰიტლერის თავდასხმამდე რუსებს სხვათა ბედი არ აწუხებდათ, მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნავდნენ. ისინი გულქვა სიმშვიდით ადევნებდნენ თვალს 1940 წლის ივნისში საფრანგეთის დაცემას და მომდევნო წლის დამდეგს — ინგლისელთა უიღბლო ცდებს შეექმნათ ბალკანეთში ანტინაცისტური ფრონტი. მაგრამ ომი რომ დაატყდათ თავს, დაბეჯითებით და მკვახე გამოთქმებით მოითხოვდნენ გატანჯული და ბეწვზე გადარჩენილი ინგლისისაგან იმ სამხედრო მასალებს, რომელიც ინგლისის არმიას თავად აკლდა. ისინი მოითხოვდნენ, რომ ამერიკელებს მათთვის გადაეცათ ინგლისისათვის განკუთვნილი სამხედრო მასალები მაქსიმალური ოდენობით. უფრო მეტიც — ჯერ კიდევ 1941 წლის ზაფხულში ისინი მოითხოვდნენ, რომ ინგლისელებს, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, დესანტი გადაესხათ ევროპაში და შეექმნათ მეორე ფრონტი ჰიტლერის წინააღმდეგ. ინგლისელმა კომუნისტებმა, მანამდე გულმოდგინედ რომ ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ზიანი მიეყენებინათ ქვეყნის სამხედრო ობიექტებისათვის და ლანძღავდნენ „კაპიტალისტურ და იმპერიალისტურ ომს“, თვალის დახამხამებაში მკვეთრად შეიცვალეს პოზიცია და კედლები თუ ღობეები ააჭრელეს მყვირალა ლოზუნგით: „დაუყოვნებლივ გაიხსნას მეორე ფრონტი!“

1941 წლის 18 ივლისს სტალინი სწერდა ჩერჩილს:

„ძნელი წარმოსადგენი არაა, რომ გერმანიის ჯარების მდგომარეობა გაცილებით ხელსაყრელი იქნებოდა, თუკი საბჭოთა ჯარები იძულებული იქნებოდნენ განეცადათ მათი თავდასხმა არა კიშინიოვის, ლვოვის, ბრესტის, კაუნასისა და ვიბორგის მიდამოებში, არამედ ოდესის, კამენეც-პოდოლსკის, მინსკის რაიონებში და ლენინგრადის მისადგომებთან“.

ჩერჩილის სიტყვით, ეს იყო ერთადერთი ნიშანი სინდისის ქენჯნისა, რაც გამოუმჟღავნებია საბჭოთა მხარეს. ხსენებულ დეპეშაში სტალინი საკუთარი თაოსნობით იცავდა და ამართლებდა თავდაუსხმელობის პაქტის დადებას ჰიტლერთან.

დასავლეთში საკმაოდ კარგა ხანს სუფევდა შიში, რომ ერთ მშვენიერ დღეს სტალინს მოეპრიანებოდა სეპარატული ზავის დადება ჰიტლერთან და ორი აგრესორი მხარდამხარ შეუტევდა დასავლეთს (მოსკოვის ქუჩებსაც, ალბათ, ისევ გადაარქმევდნენ სახელებს!).

ეგებ მოკავშირენი ამიტომაც ელოლიავებოდნენ რუსეთს, არცთუ იშვიათად კომპრომისებზე წასვლაც უწევდათ. და რაც მთავარია, ითვლიდნენ, რომ ჰიტლერის მრავალრიცხოვანი არმიების „დაფქვა“ მხოლოდ და მხოლოდ სტალინის ასევე მრავალრიცხოვან არმიებს ხელეწიფებოდათ.

ჩერჩილი მოგვითხრობს ვარშავის ანტინაცისტური აჯანყების (1944 წ.) ამბავს, როდესაც სტალინმა, პოლიტიკური მოტივით, ყოველმხრივ შეუშალა ხელი მოკავშირეებს, რათა დახმარებოდნენ სასიკვდილოდ განწირულ ქალაქს, და მერე ერთგვარი მობოდიშებით მიმართავს თავის მომავალ მკითხველს: უნდა გაიგოთ, რომ ყოველთვის იძულებული ხარ ანგარიში გაუწიო მილიონობით ადამიანთა ბედს, რომლებიც მონაწილეობენ მსოფლიო მასშტაბის ბრძოლაში და ამ საერთო მიზნის გულისათვის ზოგჯერაც გიწევს დაუშვა საშინელი და დამამცირებელი დათმობანი.

ჩერჩილის ჰუმანისტური სულისკვეთება ზოგჯერ ანეკდოტური ფორმითაც კი ვლინდებოდა. 1943 წელს, თეირანის კონფერენციის მსვლელობისას სტალინთან რომ იყვნენ სადილად, თურმე მასპინძელი ძალზე „ახელებდა“ ჩერჩილს, რომელიც მშვიდად ითმენდა ყველაფერს, ვიდრე სტალინმა გერმანიის დასასჯელად მისი გენერალური შტაბის ლიკვიდაცია არ მოითხოვა. იგი ამტკიცებდა: ჰიტლერის ძლევამოსილი არმიების მთელი ძალა ეყრდნობა დაახლოებით 50 000 ოფიცერსა და სპეციალისტს, ომის შემდეგ ისინი რომ დავიჭიროთ და დავხვრიტოთ, გერმანიის სამხედრო ძლიერება ძირფესვიანად მოისპობაო.

აი, მაშინღა აღელდა ჩერჩილი და თქვა: „ჩვენი პარლამენტი და საზოგადოებრივი აზრი ვერასოდეს ვერ დაუშვებს მასობრივ სიკვდილით დასჯას“. მაგრამ სტალინმა ჯიუტად გაიმეორა: 50 000 კაცი უნდა დავხვრიტოთო.

ჩერჩილი ძალზე გაჯავრდა და თქვა: „მირჩევნია, ამწუთასვე გამიყვანოთ ამ ბაღში და დამხვრიტოთ, ვიდრე დავთანხმდე საკუთარი თავისა და ჩემი ქვეყნის ღირსების შებღალვას ამგვარი სამარცხვინო საქმით“.

რუზველტი ლამობდა ხუმრობის ელფერი მიეცა სტალინის ნათქვამისათვის. კომპრომისული წინადადება წამოაყენა: 50 000 კი არა, მხოლოდ 49 000 დავხვრიტოთო. იდენიც ანიშნებდა ჩერჩილს, ნუ ღელავთო. მაგრამ ამ დროს ელიოტ რუზველტი (შვილი პრეზიდენტისა) წამოდგა და განაცხადა: სავსებით ვეთანხმებით მარშალ სტალინის გეგმას და დარწმუნებული ვარ, ამერიკელთა არმია მხარს დამიჭერსო.

ჩერჩილმა ამდენი ვეღარ აიტანა, სუფრა მიატოვა და სანახევროდ ჩაბნელებულ მეზობელ ოთახში გავიდა. ერთ წუთსაც არ გაუვლია, როდესაც იგრძნო, რომ უკნიდან ხელი მოუთათუნეს მხრებზე. მიიხედა და დაინახა სტალინი მოლოტოვთან ერთად. ორივე გულღიად იღიმებოდა. უთხრეს, მხოლოდ ვხუმრობდით და არაფერი სერიოზული არც გვიფიქრიაო.

ჩერჩილი დასძენს: სტალინი მომხიბლავია ხოლმე, როდესაც ამას

ისურვებს, მაგრამ არასოდეს მინახავს, აღნიშნული თვისება ამგვარი დოზით გამოემჟღავნებინოსო.

„გაბუტული“ ჩერჩილი მოლბა და სუფრას დაუბრუნდა.

არც მაშინ და არც მერე ჩერჩილი სრულიადაც არ ყოფილა დარწმუნებული, რომ სტალინის წინადადება მხოლოდ ხუმრობას ნიშნავდა.

ჩერჩილმა უდიდესი პრინციპულობა გამოიჩინა 1945 წლის დამდეგს, როდესაც მთიდან ჩამოსული ბერძენი პარტიზანები შეეცადნენ კომუნისტური რეჟიმის დამყარებას საბერძნეთში.

ჩერჩილი თავის თხზულებაში შენიშნავდა, დემოკრატიას გარკვეული პატივისცემით უნდა მოვეპყრათ და ეს ძვირფასი სიტყვა არ დავახურდავოთო. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრისათვის არავითარ დემოკრატიას არ წარმოადგენდა ის თავაშვებული თარეში, როდესაც მომაკედინებელი იარაღით უხვად აღჭურვილი ბანდიტები ჰიტლერელთაგან მიტოვებულ ქალაქებში იკავებდნენ პოლიციის უბნებს, მთავრობის დაწესებულებებს და რკინის ხელით ნერგავდნენ ტოტალიტარულ რეჟიმს.

განწირული კაცის მოთქმასავით ჟღერს ჩერჩილის სიტყვები:

„ნუ დავამდაბლებთ დემოკრატიას, ნუ ჩავთვლით, თითქოსდა დემოკრატია გამოიხატებოდეს იმაში, რომ ხელთ იგდო ძალაუფლება და დახვრიტო სხვაგვარად მოაზროვნენი. დემოკრატია დაფუძნებულია არა ძალადობასა და ტერორზე, არამედ გონიერებაზე, სამართლიანობაზე, თავისუფლებაზე და სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემაზე. ის კახპა ნუ გგონიათ, რომელიც ქუჩაში შეიძლება გამოიჭიროს ავტომატიანმა კაცმა“.

ამერიკული პრესის უმეტესი ნაწილი ძრახავდა ინგლისელებს და წუხდა, რომ მათ სახელი გაუტეხეს იმ დიად მიზანს, რისთვისაც ამერიკელები ჩაებნენ ომში. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, ისევე როგორც პოპულარული ინგლისური გაზეთები „ტაიმსი“ და „მანჩესტერ გარდიანი“, გმობდნენ ჩერჩილის პოლიტიკას საბერძნეთში.

მაგრამ სტალინი ლოიალურად ეკიდებოდა ჩერჩილთან მიღწეულ შეთანხმებას გავლენის სფეროთა თაობაზე და მთელი იმ ხნის მანძილზე, როდესაც ინგლისელი ჯარისკაცები ქალაქ ათენის ქუჩებში ატეხილ სისხლისმღერელ ბრძოლებში ამარცხებდნენ ბერძენ კომუნისტებს, „პრავდას“ და „იზვესტიას“ ერთი საყვედურიც არ წამოსცდენიათ.

ჩერჩილი იძულებული იყო თავი ემართლებინა თემთა პალატაშიც.

გაივლის ორიოდე წელიწადი და თვალნათლივ გამოჩნდება, რომ მოვლენათა მსვლელობამ კვერი დაუკრა ჩერჩილის პოლიტიკას. 1947 წელს, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა განაცხადა:

„არსებობა საბერძნეთში იმ მთავრობისა, რომელიც კომუნისტთა კონტროლქვეშ იქნება, უნდა მივიჩნიოთ მუქარად შეერთებული შტატების უშიშროებისათვის“.

ჩერჩილმა სხვებზე ადრე დაინახა, რომ კომუნიზმი ერქვა იმ საფრთხეს, რომელსაც ცივილიზებული სამყარო შეეჯახებოდა ნაციზმისა და ფაშიზმის დამარცხების შემდეგ.

ე. ძელეპის შეხედულებით, 1940 წელს ჩერჩილი ხედავდა ხსნას მხოლოდ ამერიკისა და საბჭოთა კავშირისაგან. მაგრამ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით წინასწარ განჭვრიტა ყველაფერი და აშინებდა ის ფასი, რადაც დაუჯდებოდა შესაძლებელი გამარჯვება. ჩერჩილი დარწმუნებული იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავს მაღლა ასწევდა „საბჭოთა ჰეგემონია“ და რაც უფრო მეტ წვლილს შეიტანდა რუსეთი საერთო გამარჯვების საქმეში, მით უფრო გაიზრდებოდა ჰეგემონიის საფრთხე.

ზემოხსენებული ავტორის ვარაუდით, ჩერჩილს ეწადა, რაც შეიძლება მეტი სისხლი დაეღვარა ომში რუსეთს და გამარჯვების შემდეგ ვეღარ ეთამაშა პირველხარისხოვანი როლი ევროპასა და მთელ მსოფლიოში (ასევე უნდა დაძაბუნებულიყო გერმანიაც). ჩერჩილის ობსტრუქცია მეორე ფრონტის გახსნის მიმართ სწორედ ამ მოტივით იყო გამოწვეული.

მეორე ფრონტი გაიხსნა მაშინ, ომის უკანასკნელი წელიწადი რომ დგებოდა. მაგრამ დასავლეთისათვის მეორე ფრონტი გადაიქცა დრამატულ ბუმერანგად. ჩერჩილს თვალში ეცა გაუთვალისწინებელი გარემოება: იმ ორი წლის მანძილზე, სანამ იგი აფერხებდა მეორე ფრონტის გახსნას, წითელი არმია იმდენად მომძლავრებულიყო, რომ ნორმანდიაში მოკავშირეთა გადასხმა (1944 წლის ივნისი) რუსების დასახმარებლად კი აღარ გამოდგებოდა, არამედ იმისათვის, რომ ამერიკელებსა და ინგლისელებს ფეხი მოეკიდებინათ ევროპის კონტინენტზე.

ჩერჩილი მოითხოვდა ამერიკელებისაგან, რომ დაესწროთ რუსებისათვის ბერლინის აღება. მაგრამ ამერიკელთა მთავარსარდალმა გენერალმა ეიზენჰაუერმა საქმიანად იანგარიშა, რომ ამგვარ აქციას მილიონამდე ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირებოდა და, რა თქმა უნდა, ესოდენ გრანდიოზული მსხვერპლი ვერ ანაცვალა ჩერჩილის პოლიტიკურ მიზნებს.

მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, ცოტა ხნის შემდეგ ჩერჩილმა დაკარგა პრემიერ-მინისტრის პოსტი.

ომგადახდილ ქვეყანას ახალი, მშვიდობისმოყვარე ლიდერი სწყუროდა.

1946 წლის 5 მარტს, ქალაქ ფულტონში (აშშ), პრეზიდენტ ტრუმენის თანდასწრებით, დიდი ბრიტანეთის „ბებერმა ლომმა“ წარმოთ-

ქვა თავისი სახელგანთქმული სიტყვა და, სხვათა შორის, აღნიშნა: „რკინის ფარდა ჩამოეშვა ევროპის კონტინენტზე ბალტიკიდან ვიდრე ადრიატიკამდე“.

იწყებოდა „ცივი ომის“ ცხელი და უიმედო წლები.

ახსოვდა თუ არა საქართველო...

ადამიანის დასახასიათებლად პრეისტორიული ხელიკის გაქვავებული თავი რომ გაგახსენდეს, ძალზე მდიდარი ფანტაზიით უნდა იყო დაჯილდოებული და პრეისტორიულ ცხოველთა სამყაროსაც კარგად იცნობდე. ან ძალზე ხშირად აკვირდებოდე ამოჩემებულ პიროვნებას და დაჟინებით ფიქრობდე, რომელ უსულო ქმნილებას შეადარო იგი.

გრიგოლ რობაქიძე თავისი რომანის „ჩაკლული სულის“ ჩართულ თავში, რომელსაც „სტალინის პოროსკოპი“ ჰქვია, წერს: „პრეისტორიული ხელიკის გაქვავებული თავი — ასე დაახასიათა იგი ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა, რომელმაც, მგონი, არც კი იცოდა, როგორ ზუსტად მოარტყა მიზანს“.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ დამოწმებულ ფრაზაში რობაქიძეს არაზუსტად უთარგმნია ან შეგნებულად შეუცვლია ერთი სიტყვა, რომელიც საგრძნობი ნიუანსით განსხვავდება დედნისეულისაგან. საქმე ისაა, რომ დედანში „გაქვავებული თავის“ ნაცვლად წერია „გაქვავებული სახე“. გაქვავებული თავი, ვგონებ, მუზეუმის ექსპონატს უფრო მოგვაგონებს, ხოლო გაქვავებული სახე — მძიმე ფიქრებით შეპყრობილ ანდა მოულოდნელი უბედურებით თავზარდაცემული კაცის გამომეტყველებას. ერთი სიტყვით, მცირეოდენი უზუსტობა ბადებს მნიშვნელოვან სხვაობას. და რაც მთავარია, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზა არ შეეფარდება მთელ შინაარსს.

ახლა დავიმოწმოთ მთელი ციტატა „ერთი ყოფილი თანამშრომლის“ წიგნიდან: „სტალინი ზის მშვიდად და გაუნძრეველად — პრეისტორიული ხელიკის გაქვავებული სახით, რომელზედაც მხოლოდ თვალები ამჟღავნებენ სიცოცხლეს. ყოველი აზრი, სურვილი, გეგმები მიედინება მისკენ. იგი კითხულობს, უსმენს, დაძაბულად ფიქრობს. მტკიცედ, აუჩქარებლად გასცემს განკარგულებებს. ხლართავს ინტრიგების ქსელს. აღამაღლებს თავის ერთგულ პირებს, თელავს ორგულებს. ყიდულობს, ყიდის ადამიანებსა და მათს სულებს“.

ტექსტის ავტორია საბჭოთა დიპლომატი ს. დმიტრიევსკი, რომელმაც 1930 წელს სტოკჰოლმიდან მოსკოვში დაბრუნებაზე უარი განაცხადა, ხოლო მომდევნო წელს ბერლინში გამოსცა სტალინის პირველი ბიოგრაფია, სათაურად „სტალინი“, რომელსაც თვლიან ბელადის პირველ აპოლოგიად, დასავლეთში რომ გამოუქვეყნებიათ.

კაცობრიობის ისტორიაში არსებულ უთვალავ სახელმწიფოთა უთვალავ წინამძღოლთაგან განა მარტო სტალინს უყვარდა ერთგულნი და სძულდა ორგულნი? ვეჭვობ, რომ ოდესმე მოიძებნებოდეს საპირისპირო მაგალითი.

ძალაუნებურად გაგახსენდება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი,

მეფის ოპოზიციონერთა ბრალდებას რომ გადმოგვცემს: „შეიყვარნის ვინმე და განადიდნის ვინმეო, კვალად მოიძულნის ვინმე და დაამცირნისო, ესე აღამაღლის და ესე დაამდაბლისო“. და მემატიანე საყვედურით წარმოთქვამს მეფის „მაბრალობელთა“ მისამართით: ამგვარი ქმედება როგორ არის დასაძრახი, როდესაც ამით მიწიერი ადამიანი ღმერთს ემსგავსებაო?

რობაქიძისეული „სტალინის ჰოროსკოპის“ დაწვრილებით ანალიზს რომ შევუდგეთ, შესაძლოა, მსგავსი უზუსტობა კიდევ ერთი-ორჯერ მოგვხვდეს თვალში, მაგრამ რა იღონოს იმ მკითხველმა, რომელიც არ იცნობს ს. დმიტრიევსკისა თუ სხვა ავტორთა ნაშრომებს? ბრმად ენდოს სახელოვან მწერალს და უყოყმანოდ გაიზიაროს მისი შეხედულება თუ თავის მწირ ინფორმაციას დაეყრდნოს და ინტუიციით შეეპაროს ეჭვი. ოღონდ ეს ხომ წინასწარ წაგებული პოზიცია იქნებოდა.

ყველაზე მეტად ის არის გასაოცარი და გაუგებარი, როდესაც კითხულობ უსაზღვრო ანტიპათიით შეთხზულ „სტალინის ჰოროსკოპს“ იმ კაცის ნაწერში, 1924 წლის იანვარში ცხარე ცრემლით რომ დაიტირა ლენინი გულის ამაჩუყებელი ნეკროლოგით. მწერალი, რომელიც თავის „გველის პერანგსა“ და „ჩაკლულ სულში“ მგზნებარე ხოტბას ასხამს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის უდიდეს ბელადს, ოქტომბრის რევოლუციის შემოქმედსა და საბჭოთა კავშირის ფუძემდებელს; მწერალი, რომელმაც აპოლოგეტური თხზულებანი შექმნა იმავე ლენინსა და ჰიტლერზე, და ამავე დროს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზოოლოგიური ზიზღით არის გამსჭვალული სტალინისადმი.

სხვათა შორის, რობაქიძე იმ უწყინარმა ფაქტმაც კი გააღიზიანა, რომ ბორის პასტერნაკმა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა სტალინს მეუღლის გარდაცვალების გამო (ვგონებ, ჩვეულებრივი ადამიანური მოვალეობა გახლავთ) და ეს ამბავი, ფაქტიურად, არავითარი კავშირი რომ არა აქვს რომანის სიუჟეტთან, მაინც შეიტანა „ჩაკლული სულის“ დასაწყისში და მთავარი გმირის გაოგნებული ფიქრისა და განსჯის საგნად აქცია. დიდ რუს პოეტს მისი შემოქმედების ლამის ღალატად ჩაუთვალა სამძიმრის დეპეშა — თანაგრძნობის გამომხატველი ფარატინა ქაღალდი.

ნუთუ აქაც ყბადაღებული და ათასჯერ დაგმობილი „ქართული ფენომენი“ გვევლინება მთავარ მოტივად და სულს უმღვრევს დიდებულ მწერალს? ქართული ანდაზა ხომ ამბობს: შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.

მაგრამ მოვეშვათ მთელ „ჰოროსკოპს“, რომელიც მოიცავს საკითხთა ვრცელ წრეს და მოითხოვს ზღვა ლიტერატურის (უმეტესად — ხელმიუწვდომელის) შესწავლა-დამუშავებას. შევჩერდეთ მხოლოდ ერთ

პასაჟზე, რომლის ჭეშმარიტება საფუძვლიან ეჭვს იწვევს.

„ჰოროსკოპის" ერთ-ერთ ფრაგმენტში რობაქიძე ასე აღწერს სტალინს: სისასტიკით აღსავსე სტალინი ძლევამოსილად აღმართულიყო როგორც საბჭოეთის, ისე თითქმის მთელი მსოფლიოს ცივ და ბრმა ბედისწერად. მაგრამ როდესაც გასაჭირი დაატყდებოდა თავს და შეშინებული გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ღონე, მაშინღა სტალინი მხოლოდ სოსო ჯუღაშვილი იყო, უბრალო ქართველი.

გრიგოლ რობაქიძე ასკვნის: „მაშინ ახსენდებოდა შორეული საქართველო, რომლისგანაც ესღა შემოენახა: საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალჟამიერის ჰანგი და ქართული გინება: „მაგათი დედა კი ვატირე".

ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს აუგის სათქმელად იმ მწერალზე, ვის უბადლო ქმნილებებსაც სიყმაწვილის წლებიდანვე ეწაფებოდი, გატაცებით კითხულობდი „გველის პერანგსა" და „ლამარას", და ამჟამადაც არასოდეს არ დაგეზარება მათი ხელახლა გადაკითხვა. მიჭირს ამის თქმა და ვშიშობ, კადნიერებად არ ჩამომართვან, მაგრამ მაინც გავბედავ შევკადრო საყვედური და ეგებ დავამტკიცო კიდეც, რომ რობაქიძის სიტყვები საცივისა და კახური ღვინის თაობაზე სინამდვილეს არ შეესაბამება.

ვაითუ, ჩემი მსჯელობა უმწიფარ ნააზრევად ჩამეთვალოს, ამიტომაც აჯობებს მოვიშველიო თვითმხილველ ავტორთა მოწმობანი, რომელთა რიცხვი არც თუ მცირეა, მაგრამ ვეცდები ყველაზე საინტერესო და შთამბეჭდავი ფაქტები ამოვარჩიო რობაქიძის ნათქვამის გასაბათილებლად.

აგერ, რას მოგვითხრობს თავის მოგონებებში ავიაციის მარშალი გოლოვანოვი:

„პირველი ადამიანი, ვინც ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებასთან, მის ყოფასთან მაზიარა... იოსებ სტალინი იყო. სწორედ სტალინისაგან გავიგე ბევრი რამ ქართველი ხალხის საუკუნოვანი ტრადიციების შესახებ, მის სტუმართმოყვარეობაზე, ადათ-ჩვეულებებზე, თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, დავით აღმაშენებელზე, თამარ მეფეზე, ერეკლე მეორეზე... და მრავალი სხვა რამეც გავიგე მისგან. სტალინი ძალზე ენამახვილი კაცი იყო, ბევრი თავშესაქცევი, სახუმარო რამ მიამბო. მახსოვს ხუმრობები თამადაზე, ჯვარისწერაზე, რაჭველებზე, გურულებზე, სვანებზე, ხევსურებზე.... სტალინისაგან ვიცი, რომ ქართველები რთული ხალხია, ესე მითხრა: აი, მე ქართველი ვარ, მაგრამ ზოგჯერ უცბად მეც ვერ ვერკვევი საქართველოში შექმნილ ამა თუ იმ სიტუაციაში".

სულკურთხეულო ბატონო გრიგოლ, ეს არის საცივისა და კახური ღვინის გემო?

გოლოვანოვის ნაამბობს, როგორც იტყვიან, წყალი არ გაუვა. წარ-

მოუდგენელია, რომ ავიაციის მარშალი ბიბლიოთეკაში დამჯდარიყო საქართველოს ისტორიის გასაცნობად, რათა სტალინისათვის ეამბინა (ერთი ისიც ვიკითხოთ, ამით რას მოიგებდა?).

და კიდევ ერთხელ მოვიხსენიოთ დავით აღმაშენებელი.

1946 წლის ოქტომბერში, სოჭში დასასვენებლად ჩასულ სტალინს ორიოდე დღით სტუმრად მიუწვევია თავისი სიყრმის მეგობრები და ცნობილი ქართველი მსახიობები.

პურობისას, თამადას საქართველოს სადღეგრძელო წარმოუთქვამს და ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ ჩვენს სამშობლოს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მსოფლიოს წინაშე იმით, რომ კაცობრიობას სტალინი მისცაო.

სტალინი სიტყვას აწყვეტინებს თამადას:

— მოიცა, მოიცა, მაშ ის ქვეყნები, რომლებსაც სტალინი არ მიუციათ, დღეგრძელობის ღირსნი არ არიან? მერედა, მარტო მე რომ განსაკუთრებულად მახსენებ საქართველოს შვილად, დავით აღმაშენებელს რაღას ეუბნები, ან სხვები რად დაივიწყე?

ერთი სიტყვით, თამადას სიტყვა ჩამოართვა და განაგრძო:

— გაუმარჯოს საქართველოს ხალხსა და მის ბუნებას, მის წარსულსა და მის მომავალს, მის ბარაქას და მის სილამაზეს, მართლაც, ამ ძალზე უცნაურ მხარეს დედამიწის ზურგზე. განა აუცილებლად სხვებზე უკეთესს ან უფრო ლამაზს? არა, თავისთავად კარგსა და თავისებურად განუმეორებელს.

რამდენი მელანი დაღვრილა და რამდენი ქაღალდი დახარჯულა იმის დასამტკიცებლად, რომ რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო და უფალმა თავისი წილი მიწა ჩვენ გვიწყალობაო. სტალინის ლაკონიური სიტყვები ერთი ხელის მოსმით აქარწყლებს დაუსრულებელ და მომაბეზრებელ თავის ქებას, ძვალ-რბილში რომ გვაქვს გამჯდარი და, რაც მთავარია, ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებას ღაღადებს.

„განა აუცილებლად სხვებზე უკეთესი ან უფრო ლამაზი?“ — მარტივი და ბრძნული გამონათქვამია, როგორიც მას ეკადრებოდა.

ეს არის საცივისა და კახური ღვინის გემო?

ზემოხსენებულ ეპიზოდს გამოჩენილი ქართველი მსახიობის აკაკი ვასაძის მემუარებიდან ვიმოწმებ. რობაქიძეს რომ წაეკითხა, ვინ იცის, ეგებ ოდნავ მაინც შეეცვალა თავისი თვალსაზრისი.

მაგრამ როგორ წაიკითხავდა, როდესაც მწერალი გარდაიცვალა 1962 წელს, ხოლო აკაკი ვასაძის მოგონებათა „სტალინურმა“ ნაწილმა დღის სინათლე იხილა მხოლოდ და მხოლოდ 1990 წელს.

აკაკი ვასაძე, სტალინის გარდაცვალებისა და „პიროვნების კულტის“ დაგმობის შემდეგ აღნიშნავდა: „დრომ მრავალ უძლიერეს პიროვნებათა ავკარგში სხვაგვარად ჩამახედა, მაგრამ აღფრთოვანება და გაოცება ამ კაცის შინაგანი ძალით, მომაჯადოებლობით, სიმტ-

კიცით, სადად მეტყველი სიბრძნით, დღესაც არ გამნელებია. ასე რომ, თუმცა დღეს გონება იქნებ სხვაგვარად სჭვრეტს მის პიროვნებას, მის ნამოღვაწარს, მაგრამ გრძნობა, რომელიც მასთან ურთიერთობის დღეებში გამოიჭედა, თავისკენ ექაჩება გონებას და სიცივეს არ ანებებს, უნებურად აღვივებს ძველის ცეცხლით, რას იზამ, კაცი კაცია მაინც და სუბიექტურ გრძნობათა ჭვრეტას ვერ შეელევა და სრულიად ობიექტურნი კი, ასე მგონია, მხოლოდ გარდაცვლილნი არიან“.

აკაკი ვასაძის მოგონებებში უხვად არის გაფანტული ძალზე საინტერესო შტრიხები სტალინის პორტრეტისა. სულ რაღაც ორიოდე დღის განმავლობაში მსახიობს იმდენი დაკვირვება აღუბეჭდავს მეხსიერებაში, რომ აღარც კი იცი, რომელი დაიმოწმო. ქართველი მსახიობის მოკლე დღიური არაფრით ჩამოუვარდება (და შესაძლოა, უკეთესიც იყოს) უინსტონ ჩერჩილისა თუ მილოვან ჯილასის, ვიაჩესლავ მოლოტოვისა თუ ნიკიტა ხრუშჩოვის ჩანაწერებს, რომელნიც გაცილებით ხშირად ხვდებოდნენ სტალინს. რით აიხსნება ამგვარი გარემოება? ალბათ, იმით, რომ სტალინი თავისიანებთან უფრო უბრალოდ და გულღიად იქცეოდა. სასურველი სტუმრები ჰყავდა, თავის დედაენაზე გულწრფელად უზიარებდა ფიქრებსა და გულისნადებს.

აკაკი ვასაძე გვიხატავს ქართველ კაცს, რომელიც ისვენებს ქართველი ადამიანების გარემოცვაში, როგორც იტყვიან, დროს ატარებს შინაურებთან, შეებას ეძლევა და ლაღობს, როგორც ტოლი ტოლებთან, მოყვარე-მოყვარეებთან. საუბარი კი, უწინარეს ყოვლისა, საქართველოსა და ქართველების გარშემო ტრიალებს.

მასპინძლის ზრუნვას საზღვარი არა აქვს — სტუმრებისათვის ღვინო თურმე შეურჩევიათ იმისდა მიხედვით, ვინ რომელი კუთხიდან იყო წარმოშობით.

ჰო, მრავალჟამიერიც წამოიწყეს, ის მრავალჟამიერი, სტალინს რომ უკიჟინებს რობაქიძე და თვითონ კი „გველის პერანგში“ ესოდენ უებრო სტრიქონებით ამკობს:

„მღერიან მრავალჟამიერს კახურს: რომელიც მოდის, როგორც ალაზნის ველი. ჯერ ნელი. მერე ახშირებული. მერე ამწვარი. შემდეგ ნაპირებგადალახული. ბოლოს: მოქნეული, როგორც სალტე. აქ ლხინია ვაჟკაცის რომელიც ომიდან დაბრუნდა გამარჯვებული. მღერიან მრავალჟამიერს ქართლურს: რომელიც იღვრება როგორც ქართლის ველი მდორე. ჯერ ისიც შენელებული. შემდეგ გაქანებული. შემდეგ ქედგაზნექილი. ბოლოს ქედამართული. აქ არის ციხის დაცვა მეციხოვნეთა მიერ: რომელთაც იციან განდობა და გატანა. გაუძლებს ციხე ყოველთვის შემოსეულებს?! და სიმღერას ბოლოში გაგუდული ბოღმა გადაჰკრაეს ოდნავ...“

რობაქიძე ორჯერვე საომარ შემართებას უკავშირებს მრავალჟამი-

ერს. მისთვის ეს მხოლოდ სიმღერა როდია — ომიდან გამარჯვებული ვაჟკაცის დაბრუნება და მეციხოვნეთა ბრძოლა შემოსეული მტრის წინააღმდეგ ხმიანობს მრავალუამიერში.

თუ მხოლოდ მრავალუამიერს ჩავებღაუჭებით (საქართველოდან მეტი აღარაფერი ახსოვდაო), რატომ უნდა ყოფილიყო ის უცხო სტალინისათვის, რომელსაც უყვარდა და ემარჯვებოდა კიდეც ომში გამარჯვება თუ ციხის დაცვა მტრისაგან.

— აი, აგაშენოთ! დღეს, როგორც ვატყობ, პურის ჭამა გამოგვიეა! სიმღერა ქართული სუფრის მადლი და ეშხია. უსიმღეროდ ქართული სუფრა ხომ სუფრა აღარ არის.

რომელი ქართველი, თუნდაც თვითონ არ ეხერხებოდეს სიმღერა სუფრაზე, არ მოიხიბლება, სტალინის სიტყვით რომ ვთქვათ, „ქართული სუფრის მადლით და ეშხით“.

აკაკი ვასაძის სიტყვით, სტალინი რაღაც ანდამატური ძალით იზიდავდა სტუმრების გულს და აიძულებდა ყოველ მათგანს — ისეთივე უშუალო, უბრალო და პირდაპირი ყოფილიყო, ქცევასა თუ სიტყვაში ბუნებრივი დარჩენილიყო, ალალი გულისა და ფიქრის ამარა.

სპარტაკ ბაღაშვილი „ბატონობით“ მიმართავს და სტალინი სიცილით შეაჩერებს: შე კაი კაცო, ორმოცდაათი წელიწადი ბატონებს იმიტომ ვებრძოდი და ვებრძვი, რომ ახლა „ბატონო“ დამიძახოო?

სპარტაკ ბაღაშვილი მოკრძალებით პასუხობს, რომ „ბატონო“ ქართული ზრდილობის სიტყვად მიაჩნია და ვერ შეელევა. ამ ახსნა-განმარტების შემდეგ სტალინს აღარაფერი უთქვამს და მოთმინებით უსმენდა მისთვის უჩვეულო მიმართვას.

აკაკი ვასაძე გულმოდგინედ აღნუსხავს სტალინის ბუნება-ხასიათის უმცირეს ნიშნებსაც კი, რომელთაც ზოგჯერ დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიანიჭო: უცნაური უნარი ჰქონია ადამიანთან დაახლოებისა, თავისი უბრალოებითა და ყოველგვარი პოზის გარეშე ხიბლავდა კაცს, ყოველი მისი სიტყვა და საქციელი ბუნებრივი, მართალი და დამაჯერებელი ყოფილა (ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი ვასაძეს თავისი შთაბეჭდილებანი სტალინთან სტუმრობის მომდევნო დღეებში ჩაუწერია).

სიტყვა ჩამოვარდება ძველ თეატრზე და აკაკი ვასაძე სინანულით შენიშნავს: ლადო მესხიშვილს „ნეერასტენიკს“ უწოდებდნენო. სტალინი იხსენებს მესხიშვილის შესრულებულ როლებს: ურიელ აკოსტას, ჰამლეტს, ხიმშიაშვილს. ამბობს, კარგად თამაშობდაო და მერე დასძენს: ყველა თეატრმცოდნეს ყური არ უნდა დაუგდო, იქაც ერთი-ორი თუ შეგვხვდება ნამდვილი მცოდნე. ეს „ყველაფრის მცოდნენი“ კი, უმეტეს შემთხვევაში, სქემებითა და პირადი სიმპათია-ანტიპათიებით ჭრიან და ზომაევენ ხელოვნებას...

სპარტაკ ბაღაშვილს „ოტელოდან“ წაუკითხავს მონოლოგი. სტალინი მთელი გულისყურით უსმენდა და მოულოდნელად უთქვამს:

— არ შეიძლება, რომ სპარტაკმა თეატრში ოტელოს როლი ითამაშოს?

უთქმელი რეპლიკა: მაგრამ აკაკი ხორავას რაღას უშერებით?

სტალინი კი განაგრძობს:

— რატომ არ შეიძლება, თქვენებურად რომ გამოვთქვა, სპარტაკმა თავისი „ტრაქტოვკით“ ითამაშოს?

მერე უშუალოდ ბაღაშვილს მიმართავს:

— დასვენება გჭირდება, სერიოზულ როლს რომ მოპკიდო ხელიო.

ბაღაშვილი პასუხობს, ჯერ „აკაკის აკვანში“ უნდა ვითამაშოო.

სტალინი: გაიგე, რომ შენ „აკვანზე“ მეტი გაქვს გასაკეთებელი, რომ მაგ შენი ნიჭის გამოვლენას ძალა, გამძლეობა სჭირდება და ამიტომაც უნდა დაისვენო!

ეს არის საცივისა და კახური ღვინის გემო?

მერე უშანგი ჩხეიძე მოაგონდებათ, შესჩივლებენ სტალინს, სცენას ვეღარ ეკარება, სახლიდან ვერ გამოდისო.

— რა დაემართა?

ექიმები რომელიღაც ფსიქიურ სნეულებას ვარაუდობენო. მატერიალურადაც გაუჭირდაო.

— როგორც ვხედავ, საქართველოში ნიჭიერები ქუჩაში გიყრიათ!... ალბათ, ამხანაგებსაც მიტოვებული გყავთ ის საცოდავი.

არაო, არწმუნებენ. ახლო ამხანაგები დროდადრო ვაკითხავთო.

— თქვენ აკითხავთ... უფროსებს, ალბათ, არა სცალიათ, მაგათ კარგად მყოფებისათვის არა სცალიათ ხოლმე, თორემ ავადმყოფს რას გაიხსენებენ, ასეა?

მერე ბრძანებს, ექიმი არ დააკლოთ, ორგანიზაციების საშუალებით დაეხმარეთო.

აკაკი ვასაძის მიხედვით, სტალინმა ყოველივე ეს იმგვარი რისხვით თქვა, რომ ხმა ვერავინ ამოიღო.

ეს არის საცივისა და კახური ღვინის გემო?

ირანში ყოფნის დროს სტალინმა საბჭოთა საელჩოში კინოფილმი „გიორგი სააკაძე“ უჩვენა რუზველტს, ჩერჩილს და ირანის თავკაცებსაც. დიდად მოსწონებიათ მ. ჭიაურელის სურათი საერთოდ, მოსწონებიათ სააკაძეც, ლუარსაბიც, მაგრამ ირანელები განსაკუთრებით შაჰ-აბასით მოხიბლულან (როგორც ცნობილია, ამ როლს თამაშობდა აკაკი ვასაძე). აი, შაჰიც ეგეთი უნდაო, მოგვეცით ეგ შაჰი ჩვენაო!

— გურულო, რამე რომ იყოს, ხომ არ წახვიდოდი შაჰად ირანში? — ხუმრობით უკითხავს სტალინს.

— არა, ამხანაგო სტალინ, რა მინდა ირანში, როცა საკუთარ

სახლში შაჰიცა ვარ და შაჰინშაჰიც!

— მეც ეგრე ვუთხარი, ვასაძე თქვენს შაჰობას არ დათანხმდება — მეთქი, — თვალი ჩაუკრავს და გულიანად გაუცინია სტალინს.

„ასე ვლაღობდით, ვხუმრობდით, ვმღეროდით და ყოველი ჩვენგანი უსაზღვროდ ბედნიერად და უკვე სრულიად თავისუფლად გრძნობდა თავს სტალინთან, რომლის სახეზე სიხარული და სიყვარული ციმციმებდა. მისი სიყრმის მეგობრები და ჩვენ, როგორც შვილები, ვუსხედით, და მართლაც, მამაშვილური საოცრად ახლობლური გრძნობით გვიმასპინძლდებოდა, თავს დაგვტრიალებდა, თითოეულს კეთილ სიტყვას არ გვაკლებდა“ — წერს აკაკი ვასაძე.

მერე ამიერკავკასიის რუკა მოითხოვა, მრგვალ მაგიდაზე გაშალა და კანდიდ ჩარკვიანს უთხრა:

— აბა, კანდიდ, აგერ ფანქარი და მოხაზე ახლანდელი საქართველოს საზღვრები.

კანდიდ ჩარკვიანს ფანქრის გადატარება დაუპირებია ჩრდილოეთის საზღვრებს იქით, მაგრამ შეყოვნებულა და ფანქარი მხოლოდ ჰაერში გაუვლია.

— ნუ გეშინია, მოხაზე, მოხაზე ფანქრით, რუკას როგორმე კიდევ ვიშოვი.

და კანდიდ ჩარკვიანსაც ფანქრით ახლა კი ზუსტად და მკაფიოდ შემოუხაზავს საქართველოსთვის ომის შემდგომ ხანებში შემომატებული ტერიტორია.

— აი, ეს მესმის, — ამბობს სტალინი, — ქლუხორის მხარეც საქართველოს საზღვრებში მოექცა. ესეც პასუხად იმათ, ჩვენშიც და საზღვარგარეთაც, ვინც გვსაყვედურობდა, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორია შეამცირაო... რამდენი უნდა ებრძოლა ერეკლე მეფეს, ამოდენა ტერიტორია რომ შემოეერთებინა საქართველოსათვის?!

ეს არის საცივისა და კახური ღვინის გემო?

მაგრამ, როგორც გამოირკვა, ქართველები ფეხს ითრევდნენ იქ დასახლებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ქლუხორის მხარეს ამშვენებდა ძვირფასი ტყეები, უხვი საძოვრები, საამო ჰავა და წყლები საკურორტო ადგილების გასაშენებლად. არც სახნავ-სათესი მიწები აკლდათ. მაგრამ ქართველი კაცის ხასიათი იჩენდა თავს. სხვის მიწაზე თვალი არასოდეს გვჭერიაო, — ეუბნება კანდიდ ჩარკვიანი სტალინს. ცენტრალურ კომიტეტში ყოველდღე მოდის წერილები, უკან დაბრუნებას თხოულობენ, სამშობლოში გვირჩევნიაო.

ესეც შენი დიადი საბჭოთა სამშობლო!

ანალოგიური ვითარება შექმნილა შუა აზიაში გადასახლებული ქისტებისა და ჩეჩნების მიწა-წყალზეც. ქართველ მთიელთაგან არავის გამოუთქვამს იქ დასახლების სურვილი.

მართლაც პარადოქსული სურათია. თავისუფალ მიწას აძლევენ, დასახლდითო და ხალხი უარზეა. ქლუხორიდან გამოქცევას ლამობენ, ქისტების საცხოვრებელსაც არ დაეპატრონენ. დაჩაგრულის, ცხრა მთას იქით გაძევებულის სახლ-კარში ცხოვრება, ეტყობა, არაფრად ეპიტნავებათ. ვინ იცის, ეგებ პრაქტიკული თვალსაზრისითაც არა სჯეროდათ, რომ მთელი ხალხების დედა-ბუდიანად აყრა და გადასახლება სამუდამო როდი იქნებოდა.

სტალინს კი, ალბათ, მტკიცედ სწამდა, რომ მისი ყოველი ნაბიჯი, მისი ყოველი ნამოქმედარი, მისი თუნდაც უსამართლო გადაწყვეტილება ხელუხლებელი დარჩებოდა, იოტისოდენადაც არ შესწორდებოდა და საუკუნეთა სრბოლას გაუძლებდა.

თუმცა ამჟამად ვიღა გაგვცემს პასუხს: ასე ფიქრობდა თუ ისე. საიდუმლოებათა ამოცნობა ისტორიკოსის ვალია, მაგრამ ზოგიერთი ამოცანის ზედმიწევნით ზუსტი ამოხსნა აღემატება მოკვდავთა უნარს.

როგორც აკაკი ვასაძე იგონებს, სტალინის ყრმობის მეგობარს მიხეილ ტიტვინიძეს უთქვამს: სხვისი მიწა რად გვინდა, ნეტავ, ჩვენი რაც იყო, ის დაგვაბრუნებინაო.

ტიტვინიძის გულუბრყვილო ნათქვამმა სტალინიც და სხვებიც გააცინაო.

მცირე დუმილის შემდეგ სტალინმა ასე უთხრა ტიტვინიძეს: „შენს ორმხრივ ნათქვამსაც მიგიხვდი, ჩემო ძმაო; რაც შეეხება პირველს, ის შეცდომა იყო და მე მასში მონაწილეობა არ მიმიღია, უჩემოდ მოაგვარეს ეს საქმე ისე, რომ მე არც შემეკითხნენ თვით ქართველი ამხანაგები, და, ახლა ლენინის ხელმოწერილი დოკუმენტის შეცვლა, ცოტა არ იყოს, უხერხული გამოგვივა... რაც შეეხება მეორეს, საბაბს არ გვაძლევს მიმტაცებელი, ჩვენი მიწები რომ დავიბრუნოთ და მარტო საქართველოს კი არა, საბჭოთა კავშირს კანონიერად შემოეუერთოთ, თორემ, საბაბი რომ იყოს, ყარსსა და არდაგანს, ტრაპეზუნდამდე, მთელ მიწებს უკან ჩავიბარებდით“.

შემდეგ მსმენელებს მოუთხრობს იმდროინდელ პერიპეტიებს, როდესაც ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადების პერიოდში, კავკასიის ფრონტის ჯარებს არზრუმი არ ჰქონდათ დატოვებული და დიპლომატიას ხიშტებით უმაგრებდნენ ზურგს. საბჭოთა რუსეთის საზავო კომისიის თავმჯდომარედ ტროცკი იყო დანიშნული, ხოლო სტალინი კონსულტანტად მიაველინა ლენინმა, როგორც ეროვნულ საქმეთა კომისარი. ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს თავისი წარმომადგენელნი არ გამოუგზავნიათ და კაცი არ გამოჩნდა, რომ მათი სასაზღვრო ინტერესები დაეცვაო. ოსმალეთის დელეგაცია კი, ყარსსა და არდაგანს ვინ ჩივის, ბათუმსაც ეპოტინებოდა.

სტალინს ოსტატურად მოუგვარებია ეს ფრიად დახლართული საქმე, დასრულებულად მიუჩნევია თავისი მისია და მოსკოვს გამგზავ-

რებულა. გზაში ტიფი შეჰყრია, ორი-სამი კვირით ლოგინად ჩავარდნილა. როდესაც ლენინს გამოუძახებია ახალ სასაზღვრო ხელშეკრულებათა გასაცნობად, სტალინი სახტად დარჩენილა: ტროცკის ხელი მოეწერა საზღვრების დანაწილების პირველი ვარიანტისათვის. მთელი მსოფლიოს რევოლუციურ ხანძარში გახვევის მქადაგებელს საქართველო რაში ენაღლებოდა!

სტალინის სიტყვით, „როგორც გამოირკვა, ქიაზიმ-ბეის უსარგებლნია ჩემი არყოფნით და გაქნილ დიპლომატს კარგა ლაზათიანად გაუცურებია ჩვენი თავმჯდომარე ტროცკი. რაღას ვიღონებდი, ლენინსაც უკვე ხელი ჰქონდა მოწერილი ხელშეკრულებაზე“.

სტალინი განაგრძობს: „ერის ტერიტორიის დათმობის და გაჩუქების უფლება არავის აქვს. ომის შემდეგ გადავუკარი ერთი-ორი სიტყვა და ზუსტად მივანიშნე ოსმალებს, საზღვრების ამბავი არ დამვიწყებია-მეთქი. საპასუხო ხმას არ იღებენ, მაგრამ, ისიც ცხადია, რომ ჩვენი ევროპელი და ოკეანის გადაღმელი „ძმები“ მხარს იმათ უჭერენ, თუმცა აშკარად არაფერს ამბობენ ამაზე. ჯერჯერობით არ ვაპირებ არც პოზიციების დათმობას და არც დადუმებას. ვნახოთ, ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს გზასაც და გამოსავალსაც“.

ეს არის საცივისა და ქახური ღვინის გემო?

ზემოხსენებული საკითხის კვლევა და გარჩევა დღეს მიზანშეწონილი არ გახლავთ, დღევანდელ ვითარებას არ შეეფერება და ერთობ არაკორექტულად, და მეტიც შეიძლება ითქვას, დასაგმობად გამოიყურება. სხვას რომ თავი დავანებოთ, როდესაც საკუთარ მიწა-წყალს ვერ უვლი ჯეროვნად, სასაცილოა, თვალი გეჭიროს სხვის ტერიტორიაზე, ოდესღაც რომ გეკუთვნოდა.

მე მხოლოდ ვიმოწმებ სტალინის მიერ შინაურულ წრეში წარმოთქმულ ტექსტს, რომელიც, ვგონებ, მხოლოდ აკაკი ვასაძის მემუარებში უნდა გეხვდებოდეს. ვიმოწმებ მარტოოდენ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ვუჩვენო მკითხველს, ახსოვდა თუ არა სტალინს საქართველო.

რაც შეეხება ტერიტორიულ პრეტენზიებს, კრემლში რომ დაიბადა, კრემლის ძლევამოსილი მბრძანებლის სიკვდილისთანავე იგი ჩაბარდა წარსულს და, მადლობა ღმერთს, რომ ჩაბარდა. მტრულად განწყობილი მეზობლის ნაცვლად კეთილი მეზობელი შევიძინეთ.

ორმოციანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც მიტაცებული მიწების დაბრუნების საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა ჩვენში, მეცნიერებმა და პოეტებმა ერთსულოვნად აუბეს მხარი ბელადის განკარგულებას და, რა თქმა უნდა, საკუთარი ხვაშიადიც აგულიანებდათ.

სწორედ იმ ხანებში, როდესაც საბჭოეთში გააფთრებული კამპანია მიმდინარეობდა მეზობელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც ხან

„ბნელ ტომს“ უწოდებდნენ და ხანაც — „ველურ ურდოს“ (რასაკვირველია, არც ისინი გვამკობდნენ დაშაქრული ქათინაურებით), როდესაც საბჭოთა ტანკები დაუსრულებელ ქარავნებად მიედინებოდნენ სამხრეთ საზღვრისაკენ, ჩვენმა მეზობლებმა საკმაოდ მახვილგონივრულად გვიპასუხეს: ერთ გაზეთში კარიკატურა გამოუჭიმიათ. ეხატა ტრამვაი და ვაგონში მდგარი კაცი გაცხარებით ედავებოდა სკამზე არხეინად მოკალათებულ მგზავრს. ვიღაც ცნობისმოყვარე დაინტერესებულა კონფლიქტის მიზეზით და მისთვის ასე აუხსნიათ: ეგ მოჩხუბარი ქართველი აკადემიკოსია, ამტკიცებს, გუშინ სწორედ ამ ტრამვაიში სწორედ ამ სკამზე ვიჯექი და დღესაც აქ მეკუთვნის ჯდომაო. მაგრამ შეგულებული სკამი უკვე დაკავებული იყო და მისი პატრონი სრულიადაც არ აპირებდა ადგილის დათმობას (აკად. შალვა ამირანაშვილის ნაამბობიდან). მაგრამ კარიკატურაზე მეტად, რა თქმა უნდა, ამერიკელთა „ატომური ფარი“ მოახდენდა შთაბეჭდილებას კრემლის მბრძანებელზე.

და დარჩა იმ დღეთა მოსაგონრად სტალინური პრემიით დაჯილდოებული მშვენიერი ლექსები სამშობლოს მიწა-წყალზე, დღესაც რომ ვერ წაიკითხავ აუღელვებლად, მაგრამ, როგორც იტყვიან, აქტუალურობა დაუკარგავთ.

და კიდევ ერთი ფაქტი (ერთი-მრავალთაგანი), რომელიც ამუღავნებს სტალინის თავისებურ დამოკიდებულებას სამშობლოსადმი.

ირაკლი აბაშიძემ თავის მემუარულ ნარკვევში „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“ ყურადღება მიაქცია ერთ ძალზე საინტერესო ამბავს, რომელსაც მოგვითხრობს ლეო ტროცკი თავის წიგნში „სტალინი“ (ტ. II).

ლენინის სიკვდილიდან ცოტა ხნის შემდეგ სტალინს უცდია ნაციონალიზებული მიწები გლეხებისათვის გადაეცა მრავალწლოვან „მფლობელობაში“ პირადი ნაკვეთების სახით და დენაციონალიზაციის პირველი ცდა ჩაეტარებინა სწორედ საქართველოში. სტალინის საიდუმლო ინსტრუქციით, საქართველოს მიწათმოქმედების ნარკომს მოუმზადებია კიდეც სათანადო პროექტი, მაგრამ გ. ზინოვიევს ამ „შეთქმულების“ ამბავი საიდანღაც შეუტყვია და სასტიკი პროტესტი გამოუთქვამს. პარტიულ წრეებში განგაში ატეხილა და სტალინი, რომელსაც ჯერ კიდევ მტკიცედ არ ეპყრა ხელთ ძალაუფლება, იძულებული გამხდარა უარი ეთქვა თავის ჩანაფიქრზე. „განტევების ვაცად“ კი საქართველოს უიღბლო ნარკომი გამოუცხადებიათ.

ირაკლი აბაშიძე დასძენს: „მე არ ვიცი, რას ნიშნავს ეს. ჩემს ამ მოგონებაში კი ეს ამონაწერი მხოლოდ იმიტომ მოვიტანე, რომ ჩანს თვითონ სტალინიც იმჟამად საქართველოს არ თვლიდა კოლექტივიზაციის ქვეყნად“.

დავბრუნდეთ სოჭის აგარაკზე. ამასობაში აკაკი ვასაძე ლექსე-

ბის კითხვის იშტაზე მოსულა და აკაკი წერეთლის „განთიადი“ დაუწყია. როგორც ჩვეული იყო, ისე კითხულობდა. წარმოთქვა პირველი ტაეპები და უცებ სტალინის რეპლიკა მოესმა:

— თუ ძმა ხარ, აგრე ნუ წაიკითხავ, თორემ ავტირდებიო (ალბათ, სიზმარშიც არ გინახავთ ატირებული სტალინი!).

მსახიობს მყისვე შეუცვლია ინტონაცია.

— აი, ეს მესმის. ქართულ ენას, ქართულ მეტყველებას აღმოსავლური დაშაქვრა არ სჭირდება... შენ ეს ისედაც გულში ჩამწვდომი ლირიკული ლექსი ისე გულისგამაწვრილებლად წაამღერე, შენი საკუთარი ცრემლიც ისე გაურიე, რომ შევწუხდი, უკეე თვითონ ლექსის შინაარსს, ლექსის გრძნობას ვეღარ აღვიქვამდი. კითხვის დროს ლექსს თავისი უნდა დაუტოვო, ლექსს უნდა დაემორჩილო კაცი...

როგორც აღნიშნავს ვასაძე, იგი მიმხვდარა, რისი თქმაც სურდა სტალინს: ლირიზმის გადმოსაცემად საჭირო არ არის ქართული სიტყვის ზედმეტად გაწელვა, კითხვით არ უნდა დაჩრდილო ლექსის გრძნობა, პირიქით — მკაფიოდ აამეტყველო და შინაარსი ლექსისა, მისი ლირიზმი, თუკი საზრიანად, წრფელად, მხატვრული განცდით წაიკითხე, თავისთავად გადმოიღვრება.

მსახიობი მერე ირონიულად განეწყობა საკუთარი თავის მიმართ და ამგვარი ფიქრი გაუელვებს თავში: „აჰა, ესეც მაკლდა და აგერ, ეს კაცი ლექსის კითხვასაც მასწავლის. რა ვუყო, რაც მითხრა, სწორი მითხრა“.

ეს არის საცივისა და კახური ღვინის გემო?

პეტრე შარიას კახელებზე ჩამოუგდია სიტყვა: მოგეხსენებათ, საქართველოში განსაკუთრებით კახელები გვყავს პატივისცემაში, ათაბაბადან, მათაც ღირსეულად, პატივში უყვართ ყოფნა და გვაინტერესებს, კახეთში თუ ყოფილხართო?

— სამწუხაროდ, არ ვყოფილვარ. რამდენჯერ არ მოვინდომე, ისე მოეწყო საქმეები, რომ ვერ მოვხვდი კახეთში, იმერეთშიც 1905 წლის შემდეგ აჩა ვყოფილვარ.

რამხელა სინანული გამოსჭვივის ამ სიტყვებში! კუთხე-კუთხე ვერ დაუვლია საქართველო და აწი რაღას მოასწრებს...

ორი დღის სტუმრობის მანძილზე არც რიწის ტბაზე ასვლა დავიწყებიათ, არც ომში დაღუპული შვილები, არც ვაჟა-ფშაველა და გიორგი ლეონიძე, არც ყრმობის დროინდელი თავშესაქცევი ამბები, არც ჩვენში ჩვეულებად გადაზრდილი ხუმრობები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა შესახებ, არც „გაფრინდი შავო მერცხალო“ (გასაგებია, ვინც წამოიწყებდა) და არც გურული „ხელხვავი“, ქუთაისის ციხეში რომ უსწავლია სტალინს, არც მახობელა პური და ციმორი.

კრემლის მბრძანებელი ღამით შედის მეზობელ ოთახში და მძი-

ნარე პეტრე კაპანაძეს გადახდილ საბანს გაუსწორებს.

დამშვიდობებისას, ყოველ სტუმარს ეუბნება, რაც სათხოვარი გაქვთ გულში, პირდაპირ მითხარითო.

ყრმობის მეგობარი სოსო ცერაძე თავისი დისწულის სიცოცხლეს სთხოვს. ოცდაერთი წლის სტუდენტს დახვრეტა ჰქონია მისჯილი. ოქრო-ვერცხლის მაღაზიის გაძარცვა უცდიათ და ხსენებულ დისწულს თავდასხმის დროს დარაჯი შემოკვდომია.

სტალინი ირონიულად წარმოთქვამს:

— რა საოცარია ეგ ქართული ზმნა, როგორ არ მიმოაქცევს ქართველი კაცი ამ ზმნას! პირდაპირ თქვი, მოკლა-თქო! ჰმ, შემოკვდომია, ასეთ ფორმას, ყველა ენა რომ დაჩხრიკო, ალბათ, ვერა ნახავ. ამ სიტყვის მეშვეობით, ქართველ კაცს შეუძლია, მკვლელობა თვით მოკლულს გადააბრალოს... საოცარი არ არის?

სიყრმის მეგობარს კი მშვიდად და მტკიცედ მიმართავს: მე არც სიცოცხლის ჩუქება, არც მინიჭება შემიძლიაო. მთავრობაში იჩივლეთ და იქნება რამე იღონონო, და მერე დასძენს: „ნუ ღელავ, ჩემო სოსო, უსაშველო არა არის რა ამ ქვეყნად, შენ ისა თქვი, იმ მოკლულს რომ აღარა ეშველება...“

ხანმოკლე სტუმრობა დამთავრდა.

— მაშ წავსულვართ, — უთქვამს სტალინს.

— დროა უკვე, — უპასუხა პეტრე კაპანაძემ, — ისედაც ბევრი შეგაწუხეთ...

— დიდად შემაწუხეთ, ძალიან, ძალიან შემაწუხეთ, ისე შემაწუხეთ, რომ... — წამით ისევ ნაღველი ჩაუდგა თვალებში და ალერსით გაუღიმა სტუმრებს — რა გიყოთ, რაკი არ გინდათ ჩემთან დარჩენა...

ამას წინათ, ვიღაც ვაი-ჟურნალისტმა მორიგი სიცრუე შეთხზა: გადასახლებაში მყოფ სტალინს ქართველი მეგობარი დროდადრო უკითხავდა ხოლმე ვეფხისტყაოსანს (ხსენებულ ჟურნალისტს, სტალინი, ეტყობა, წერა-კითხვის უცოდინარი ჰგონია), სოსო მთქნარებით უსმენდა, ხანდახან ჩათვლემდა კიდეც და ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა ეს ტანჯვა-წვალება.

კონკურსი რომ გამოეცხადებინათ ყველაზე საუკეთესო მონაჩმახის შექმნაზე, ამ ვაი-ჟურნალისტს ხრუშჩოვის პრემია არ ასცდებოდა ანდა გახმაურებულ გინესის წიგნში შეიტანდნენ მის სახელს აღიარებულ ლიდერთა შორის.

ალექსანდრე ბარამიძე 1969 წელს წერდა: „ვეფხისტყაოსანი ყოო ი. სტალინის ერთი უსაყვარლესი წიგნი მთელი სიცოცხლის მანძილზე. იგი დიდად აფასებდა ქართული და მსოფლიო პოეტური კულტურის ამ უკვდავ ძეგლს, ხშირად კითხულობდა მას და ბევრი ნაწ:ვეტი ზეპირად იცოდა... სტალინის პირადი მითითების საფუძველზე მო:წყო

ვეფხისტყაოსნის 750-ე წლისთავის აღსანიშნავი იუბილე, რომელიც 1937 წელს ზეიმით იდღესასწაულა მთელმა საბჭოთა კავშირმა და ნაწილობრივ საზღვარგარეთმაც. ი. სტალინის განკარგულებით დაიბეჭდა მოსკოვში, 1936 წელს, ვეფხისტყაოსნის პირველი სრული თარგმანი კ. ბალმონტისა".

მაგრამ სტალინი თურმე კმაყოფილი არ ყოფილა ამ თარგმანით.

ხოლო 1936 წელს შალვა ნუცუბიძეს უკვე დაუწყია ვეფხისტყაოსნის თარგმნა რუსულ ენაზე.

ალექსანდრე ბარამიძე აღნიშნავს, რომ სტალინი დაინტერესებულა ნუცუბიძის თარგმანით, ამ საქმიანობის წამახალისებელი და შთამაგონებელი გამხდარა.

1939 წლის მაისში ნუცუბიძის შრომა გასრულდა და სტალინმა თავის ბინაზე მიიწვია იგი კრემლში. დაიტოვა თარგმანი და თითქმის ერთი წელიწადი ჰქონდა ხელთ. მომდევნო შეხვედრისას სტალინმა ნუცუბიძეს ნაღვაწი შეუქო და ტექსტის ორი ტაეპის თარგმანის ახალი, თავისი რედაქცია შესთავაზა. „თუ მოგეწონებათ, მიიღეთ ჩემგან საჩუქრად", — უთქვამს სტალინს.

შალვა ნუცუბიძე გვარწმუნებს, რომ სტალინის მიერ თარგმნილი სტრიქონები უფრო ზუსტი და პოეტური იყო და, რასაკვირველია, საჩუქარი სიხარულით მიუღია.

ამასთან დაკავშირებით ნუცუბიძე შენიშნავს: „საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სტალინი ძლიერი პოეტური ბუნების ადამიანი იყო და, რაც უფრო გასაოცარია, პოეტურობა ერწყმოდა მძლავრ და ნათელ აზროვნებასო".

ტექსტი სტამბისათვის ასაწყობად 1940 წლის 22 ნოემბერს გადაუციათ. ერთი თვის შემდეგ, გამოცემის სასიგნალო ეგზემპლარი მზად ყოფილა.

ალექსანდრე ბარამიძის სიტყვით, სტალინი თავიდანვე თვალყურს ადევნებდა ნუცუბიძის მუშაობას, კითხულობდა და ასწორებდა მისი თარგმანის ტექსტს, ჩამოაყალიბა ამ ტექსტის საბოლოო რედაქცია. როგორც ჩანს, უაღრესი პასუხისმგებლობით რედაქტორობდა მისთვის უძვირფასეს წიგნს. მაგრამ გამომცემლობა საგანგებოდ გააფრთხილა, რომ მისი სახელი არ ყოფილიყო ნახსენები გამოცემული წიგნის წინასიტყვაობაში. ფაქტიური რედაქტორის ვინაობა (დიქტატორი — რედაქტორის როლში!) უცნობი დარჩა მკითხველისათვის, ხოლო ოფიციალურ რედაქტორად მითითებული იყო პოეტი სერგეი გოროდეცკი.

სტალინი მარტოოდენ თარგმანს როდი რედაქტორობდა, მას გულდასმით შეუმოწმებია გამოცემის გაფორმებაც — სატიტულო ფურცელი, ყდა, ილუსტრაციები. შეუნიშნავს, რატომ გამორჩენოდათ აღნიშვნა იმისა, რომ პოემა თარგმნილი იყო ქართული ენიდან. თავისი კორექტივები შეუტანია პოემის ფურცლებზე მოთავსებული ილუსტ-

რაციების განლაგებაშიც.

ალექსანდრე ბარამიძე დასძენს: „ყოველივე აღნიშნული რომ შევაჯამოთ, ი. სტალინი ყოფილა ვეფხისტყაოსნის ნუცუბიძისეული თარგმანის დიდი მოამაგე, მისი ნამდვილი სულისჩამდგმელი და შთამაგონებელი, მისი პირველი მკითხველი, დამფასებელი და გულისხმიერი რედაქტორი... რა დიდი სიყვარული უნდა ჰქონოდა სტალინს ვეფხისტყაოსნისა, რომ პარტიული, სახელმწიფოებრივი და სამხედრო საქმიანობით უსაზომოდ დატვირთულობის მიუხედავად, იგი დროს პოულობდა დედანში ეკითხა ვეფხისტყაოსანი, ედარებინა იგი თარგმანისათვის და ესწორებინა ამ თარგმანის სტრიქონები. უნდა მოვიგონოთ, რომ ეს იყო დიდი პოლიტიკური დაძაბულობის დრო. შ. ნუცუბიძის სიტყვები რომ ვიხმაროთ, მაშინ „მეორე მსოფლიო ომი უკვე დაწყებული იყო და საბჭოთა კავშირის საზღვრებთან უკვე იგრძნობოდა დენთის სუნი“.

სულკურთხეულო ბატონო გრიგოლ, ეს გახლავთ საცივისა და კახური ღვინის გემო? მართალია, „ჩაკლული სული“ 1931 წელსაა დაწერილი, მაგრამ ნუთუ დიდმა მწერალმა ვერ უნდა განჭვრიტოს მომავალი, ვერ უნდა ჩასწვდეს სხვათაგან გამორჩეული პიროვნების სულის ყოველ კუთხესა და კუნჭულს, სიღრმეებსა და უბრალო მოკვდავთა თვალით შეუმჩნეველ ნიუანსებს?

მაგრამ, ვიმეორებ, არაერთგზის ამხდარა და კვლავ ახდება მშვენიერი ქართული ანდაზა: შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.

ძირითადად, აკაკი ვასაძის მომხიბლავ, ნამდვილი მწერლური ოსტატობით შექმნილ მოგონებებს ვეყრდნობოდი და, რა თქმა უნდა, ბევრი რამ გამომრჩა სხვათა ნაშრომებიდან (ეგულისხმობ დაბეჭდილსაც და დაუბეჭდავსაც), რაც შეავსებდა და გაამრავალფეროვნებდა სოჭში ორდღიანი სტუმარ-მასპინძლობის შთაბეჭდილებებს. ვინ იცის, რამდენი რამ არ დაწერილა, რამდენი დაწერილი დაკარგულა, რამდენსაც ჯერ კიდევ ვერ უხილავს დღის სინათლე. ყველა ამგვარი ფასდაუდებელი მოგონებისა თუ მცირე შთაბეჭდილების ერთად თავმოყრა, ალბათ, უახლოესი მომავლის საქმეა და არ უნდა შეველიოთ იმედს, რომ ისტორიისათვის ამ ფრიად საჭირო და გადაუდებელ საქმესაც მოევლება, თუკი ღმერთი წყალობის თვალით გადმოგვხედავს, ჩვენი სამშობლო კალაპოტში ჩადგება და კიდევ ერთხელ გაიხსენებს, ცნობილი პოეტის ფრთოსანი ფრაზისა არ იყოს, რომ პატარა საქართველოს არა ჰყავს დასაკარგავი შვილი და მით უმეტეს — დიდი შვილი, თუნდაც პატივაყრილი და ცოდვილი (ხედვის კუთხეს გააჩნია!), რომელმაც მთელ მსოფლიოს ამცნო კავკასიის მთებში ჩაკარგული ბედკრული ქვეყნის სახელი.

სტალინი „სტალინგრადის სანგრებში“

სამოცდაათიან წლებში, „უძრაობის ხანას“ რომ ეძახიან, საბჭოთა კავშირიდან გააძევეს ცნობილი რუსი მწერალი ვიქტორ ნეკრასოვი — სტალინური პრემიის ლაურეატი, წითელი არმიის ოფიცერი, სტალინგრადის დაცვის მონაწილე. ესოდენ მკაცრი სასჯელი მისი დევნის უკანასკნელი წერტილი იყო. გაძევებამდეც არ ელოლიავებოდნენ.

...ჯერ იყო ხრუშჩოვმა, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების „ნაღებთან“ მორიგ შეხვედრა-სემინარზე დაწყებითი სკოლის მოწაფესავით დატუქსა უკვე ნახევარ საუკუნეს გადაცილებული პოპულარული მწერალი (დაუსწრებლად). ხრუშჩოვმა აგდებულად განუმარტა მსმენელებს: ეს ნეკრასოვი არ გეგონოთ ის კლასიკოსი ნეკრასოვი, დიდი პოეტი რომ იყო და ხალხის თავისუფლებისათვის იბრძოდაო.

ვიქტორ ნეკრასოვის მთელი დანაშაული ის გახლდათ, რომ უცხოეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ქაღალდზე გადაიტანა და მათი გამოქვეყნებაც გაბედა 1962 წელს, ჟურნალ „ნოვი მირის“ ფურცლებზე (სხვათა შორის, იმავე ნომერში დაიბეჭდა ალექსანდრე სოლჟენიცინის გახმაურებული მოთხრობა „ერთი დღე ივან დენისოვიჩისა“).

მწერლის გულახდილი რეპორტაჟი შეერთებულ შტატებსა და იტალიაში მოგზაურობაზე კაპიტალისტური სამყაროს ქებათა-ქებად მოეჩვენათ კრემლში და ნეკრასოვი მყისვე შერისხეს.

პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებს თავი დავანებოთ და მხოლოდ მწერლის სამრეკლოდან გამოთქმულ ჩივილს შევეხოთ.

იტალიაში ძალზე გაუკვირდათ, როდესაც ნეკრასოვმა იტალიელ კოლეგებთან კერძო საუბარში თქვა: არც მიქელანჯელო ანტონიონის ფილმები და არც ფედერიკო ფელინის „ტკბილი ცხოვრება“ არ მინახავსო. ეტყობა, კინოხელოვნება არ გაინტერესებთო, უსაყვედურეს. არ გვიყიდია და როგორ ვნახავდიო, გულწრფელად მიუგო ნეკრასოვმა. ალბათ სჯობდა, საკუთარი სიზარმაცე თუ დაუდევრობა მოემიზეზებინა.

იქვე იმასაც წერდა, რომ ექვსი წლის წინათ, ლენინგრადში ლიტერატურულ სიმპოზიუმზე ჩამოსულმა იტალიელმა მწერალმა ჰკითხა რუს კოლეგებს (მათ შორის ნეკრასოვიც იყო), კაფკაზე რა აზრისა ბრძანდებითო. მასპინძლებმა ერთსულოვნად აიჩეჩეს მხრები, კაფკას სახელი არცა გვსმენიაო.

შემდეგ ნეკრასოვი იმოწმებდა კიდევ ერთი იტალიელი კომუნისტი

მწერლის გაოცებას იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირში უსაშველოდ აგვიანებდნენ ეთარგმნათ და გამოეცათ კაფკა, ფოლკნერი, კამიუ...

ერთი სიტყვით, ნეკრასოვს არ შეარჩინეს თავისუფალი აზროვნება, დაუწყეს დევნა, თითქმის აღარაფერს უბეჭდავდნენ და საბოლოოდ გააძევეს კიდეც.

პარიზში დასახლდა და რადიოსადგურ „თავისუფლებას“ შეუკედლა. სხვა რა გზა ჰქონდა! ოცდახუთი წლის წინათ აღებული სტალინური პრემიიდან, რასაკვირველია, კაპიკიც აღარ ექნებოდა შემორჩენილი. სანამ წიგნის გამოცემას მოახერხებდა პარიზში, რაღაცით უნდა გაეტანა თავი და, ამასთან ერთად, თავისუფლებაც უყვარდა.

ფრანგული გაზეთები აჭრელდა სენსაციური სათაურებით: „საფრანგეთში გადმოსახლდა სტალინის პირადი მეგობარი“, „საბჭოთა მილიონერმა მწერალმა ნეკრასოვმა სამშობლო გასცვალა პარიზზე“, „ცეკას წევრი ნეკრასოვი გარიცხეს პარტიიდან“.

სინამდვილეში იგი არც მილიონერი ყოფილა, არც ცეკას წევრი და მით უმეტეს — არც მეგობარი სტალინისა (მხოლოდ პარტიიდან გარიცხვა შეესაბამებოდა სინამდვილეს). სტალინური პრემიის ლაურეატი იყო მხატვრული ლიტერატურის დარგში (ერთი მრავალთაგანი). მაგრამ ყველამ იცოდა, რომ თავისი სახელობის ჯილდოს, ძირითადად, თვით სტალინი ანაწილებდა. შესაძლოა, ამ გარემოებამ გამოიწვია მითქმა-მოთქმა პარიზში ნეკრასოვის გარშემო.

დასავლეთში ისიც კარგად იცოდნენ, რომ სტალინური პრემიით დაჯილდოებული რომანები, პოემები და პიესები, მეტწილად, უფერული და ე. წ. სოციალისტური რეალიზმის ქარგაზე გამოჭრილი ნიმუშები იყო ანტილიტერატურისა და მათი უმეტესობა დღეს აღარავის ახსოვს, ავტორთა გარდა. და თუკი გაახსენდებათ, ქილიკისა და ირონიის ობიექტად იყენებენ.

ვიქტორ ნეკრასოვის ვრცელი მოთხრობა „სტალინგრადის სანგრებში“ ერთ-ერთ, სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენდა.

მისი ერთი მეგობარი ამას წინათ წერდა: ღმერთმანი, დღემდე ვერ გამიგია, სტალინური პრემია როგორ მიანიჭესო? მართლაც, მისივე მოგონებით, მაშინ ვერავის დაესიზმრებოდა, რომ ნეკრასოვს სტალინური პრემია ელოდა და საბჭოთა კრიტიკა ჩვეული გულმოდგინებით თათხავდა მწერლობის ასპარეზზე ესოდენ თვალსაჩინოდ გამოსულ დებიუტანტს. თათხავდა „სანგრული“ სიმართლის მიწიერებისა გამო. მოედინებოდა სქელი ნაკადი ბრალდებათა: „ნატურალისტური ტენდენციები... ნაწარმოების გმირთა სიმუნჯე, ენაჩლუნგობა, შეზღუდულობა... უკმარისობა დიდი სულიერი მოთხოვნილებებისა... გულგრილობა მორალის, ფილოსოფიის, პოლიტიკის საკითხებისადმი“.

საყვედურობდნენ, რომ მწერალი არ წამოიმართა ბლინდაჟებს ზე-

მოთ და არ აჩვენა მოელენათა უფრო ფართო პანორამა, დროის უფრო განზოგადებული სურათი.

1947 წლის იანვარში, მოსკოვში ჩატარდა ნეკრასოვის „სტალინგრადის“ (თავდაპირველი სახელწოდება) განხილვა ჯერ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში, შემდეგ კი იმავე კავშირის სამხედრო სექციაში. ნეკრასოვი არ დასწრებია არც ერთ სამსჯავროს, მაგრამ სტენოგრამებიდან შეიტყო თავისი მოთხრობის მისამართით იქ გამოთქმული უამრავი ბრალდებანი: „სტალინგრადს“ იდეურობა აკლია — კერჟენცევი იერიშის წინ ოცნებობს წყნარ, ომისშემდგომ ცხოვრებაზე, იხსენებს წარსულს, მაგრამ იხსენებს არა სამუშაო ადგილს, არამედ საკუთარ ბინას. ვალეგა საბჭოთა ორდინარეცს კი არა ჰგავს, არამედ რევოლუციამდელ დენშჩიკს. რისთვის იბრძვის კერჟენცევი ფრონტზე? წყნარი მდინარის პირას, მყუდრო კუთხეში მოსაყუჩებლად?! კერჟენცევი არ არის საბჭოთა ადამიანი... აკი თვითონაც ამბობს ერთხელ: „ყველაფერზე მეტად სიმშვიდე მიყვარს“... განა შეიძლება რომ საბჭოთა ადამიანს ყველაფერზე მეტად სიმშვიდე უყვარდეს?“

ქმარი ლაშქარს იყო, ცოლი ამბავს მოუთხრობდაო — ქართული ანდაზა სწორედ ამ კრიტიკოსებზე იყო ზედგამოჭრილი. თვითონ ნეკრასოვი (პროტოტიპი ზემოხსენებული კერჟენცევისა) გულწრფელად აღიარებდა, ომში ყოველთვის იმას ვოცნებობდი, ნეტავი გემრიელად გამომაძინაო.

სტენოგრამები ნეკრასოვს გაუგზავნა სამხედრო-საზღვაო საქმეთა მცოდნე მწერალმა ვსევოლოდ ვიშნევსკიმ და მისწერა: „სტენოგრამაში ბევრი აბდაუბდაა. ზოგჯერ გული გეტკინება ხოლმე, როდესაც ადამიანები, ბრძოლის ველიდან ექვსასი-შვიდასი კილომეტრის მანძილზე რომ მოკურცხლეს, ახლა თავიანთ ქონს აქანავებენ და რაღაც-რაღაცეებს გვასწავლიან“.

ნეკრასოვი ერთ კერძო წერილში სალდათური პირდაპირობით ამბობდა: ოფიციალური კრიტიკისათვის მიმიფურთხებია, მაგრამ მკითხველის წერილებს გულისყურით ვკითხულობო.

მკითხველმა კი შეიყვარა მისი წიგნი.

ვიქტორ ნეკრასოვის „სტალინგრადის სანგრებში“ ჰგავდა სუფთა ჰაერის შემოჭრას დაკონსერვებულ ატმოსფეროში.

1947 წლის დამდეგს, „სოვეტსკი პისატელის“ გამომცემლობაში (სტალინური პრემიის მინიჭებამდე) ცენზორმა გამოიძახა ნეკრასოვი და უთხრა: ჩინებული წიგნი დაგიწერიათ, მაგრამ ასე ვინ გაიგონა — ნაწარმოები სტალინგრადზეა დაწერილი და ამხ. სტალინის გარეშე როგორ შეიძლება? რაღაცნაირად უხერხულია. ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია და თქვენ კი... იქნებ ახლა მაინც დაგეწერათ პატარა სცენა, ამხ. სტალინის კაბი-

ნეტში რომ მიმდინარეობს. ორი-სამი გვერდი საკმარისი იქნებოდა.

ნეკრასოვმა თავი მოისაწყლა: პროფესიით არქიტექტორი ვარ, მწერლობაზე არასოდეს მიფიქრია. ფრონტული ცხოვრების შთაბეჭდილებებმა ამაღებინა ხელში კალამი და მხოლოდ ის დავწერე, რაც მშვენივრად ვიცი, რაც საკუთარი თვალით მინახავსო. გამოგონება და ფანტაზია კი არ მეხერხება, ბევრიც რომ ვეცადო, არაფერი გამომივაო.

ათი წლის შემდეგ (პარტიის მეოცე ყრილობა უკვე ჩატარებული იყო) გამომცემლობა „ვოენიზდატის" რედაქტორი, თითქმის აცრემლებული, ევედრებოდა ნეკრასოვს, რომ იმავე მოთხრობიდან ამოეგდო ის პაწია ფრაგმენტი, სადაც ოფიცრები საუბრობენ სტალინზე. ნეკრასოვმა ამჯერადაც პრინციპულობა გამოიჩინა და სასტიკი უარი სტკიცა ხრუშჩოვისაგან ახალგამოჩეკილ ანტისტალინისტს. ცხადია, სტალინის სიყვარულით არ მომსვლიაო, წერდა ნეკრასოვი. სიმართლეს ვერ უღალატა, სიმართლის სიყვარულით გაჯიუტდა, თორემ ის პაწია ფრაგმენტი არც ათბობდა, არც აგრილებდა.

აი, როგორ არის ნახსენები სტალინი ნეკრასოვის „სტალინგრადის სანგრებში":

ბრძოლებს შუა ხანმოკლე შესვენებაა. ბატალიონის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი შირიაევი უეცრად ამბობს: „და მაინც რამხელა ნებისყოფა აქვს... ღმერთმანი".

— ვის? — ეკითხება ინჟინერი კერჟენცევი.

— სტალინს, რა თქმა უნდა. შეაჩერო ორი ასეთი უკანდახევა! აბა, კარგად დაფიქრდი! ორმოცდაერთში და აი ახლაც. მოსკოვის მისადგომებიდან მტერი ხომ განდევნა და აქაც მაგრად ვდგევართ. რამდენი ხანია უკვე? მესამე თვეა, არა? და გერმანელებიც ვერაფერს გვაკლებენ თავიანთი „იუნკერსებით" და „ჰეინკელებით". და ეს ხდება გარღვევის შემდეგ, მერედა როგორი გარღვევისა!.. იელისის დღეების შემდეგ ვდგევართ. ნეტავი რა დღე ადგა მაშინ? შენ როგორ ფიქრობ? აგერ უკვე მეორე წელია ჭაპანწყვეტაში ვართ, ჩვენ რაღაც ხუთას თუ ექვსას მეტრს ვიცავთ და მაინც ვილანძღებით. აქ ურიგოდ არის საქმეო, იქაც უხეიროდ არისო, ტყვიამფრქვევიც აჩმახებსო. მთავარსარდალმა კი მთელი ფრონტის ბედზე უნდა იფიქროს. ალბათ, გაზეთის წაკითხვასაც ვერ ასწრებს. კერჟენცევ, შენ როგორ ფიქრობ, ასწრებს თუ ვერა?

— არ ვიცი, მე მგონი მაინც ასწრებს.

— შენ ფიქრობ, რომ ასწრებს? ოჰ, მე კი მგონია, რომ ვერ ასწრებს. შენ რა გიშავს, ზიხარ ბლინდაჟში, მახორკას ქაჩავ, რამე არ მოგეწონება, ამოძვრები, დედის გინებას მოჰყვები, ზოგჯერ პისტოლეტითაც დაემუქრები ვინმეს... თანაც ყველას სათითაოდ იცნობ და ყველა ბორცვი თუ კოლბოხი ხოხვით შემოგიელია. იმას კი რა

აქვს? რუკა? რუკაზე — პაწაწკინტელა ალმები. მიდი და გაიგე რამე. და ყველაფერი უნდა დაიმახსოვრო — სადაა შეტევა, სად დგანან, სად უკანდახევაა. მის ადგილზე ყოფნას არ ვისურვებდი. არაფრით არ ვისურვებდი“.

სულ ეს არის და ეს. ან იმ ცენზორს რად ეცოტავა სტალინის დახასიათება — ალბათ, დოკუმენტური და უშუალო ეპიზოდი ფრონტული ცხოვრებიდან ანდა ის ხრუშჩოველი რატომ მოითხოვდა დამოწმებული ტექსტის ამოგდებას? ნეკრასოვი იმას ხომ არ წერდა, ბრძენთაბრძენი გენიოსი სტალინგრადის ბრძოლას ბრძნულად და გენიალურად ხელმძღვანელობდაო?

ლიტერატურაში ჩარევა არ ეზარებოდათ. შესაძლოა, ბევრმა არც იცოდეს, რომ სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩის“ გამოქვეყნება გადაწყდა 1962 წლის ოქტომბერში პოლიტბიუროს სხდომაზე! გადაწყდა ხრუშჩოვის დაჟინებული მოთხოვნით (უმრავლესობა წინააღმდეგი იყო). მწერალს შეასწორებინეს ზოგიერთი წვრილმანი, მაგრამ, ამასთან ერთად, ხრუშჩოვმა აიძულა ავტორი, რომ მოთხრობაში შეეტანა ერთადერთი ხსენება სტალინისა, რაც თავდაპირველ ტექსტში არ ყოფილა. აი, ეს ჩამატება:

„ოთახში კი ღრიალებენ: ძალიან კი შეეცოდებით ულვაშა მამილოს. თქვენისთანა ბითურებს კი არა, თავის ღვიძლ ძმას არ დაუჯერებს“.

შესანიშნავი მოთხრობა სოლჟენიცინისა ამ ჩანართით არც არაფერს კარგავს და არც არაფერს იძენს.

ერთობ კურიოზული ფაქტია. ყველაფერი შეიძლება ირწმუნო, მაგრამ ხრუშჩოვს თითქოსდა უფრო მეტად სძულდა სტალინი, ვიდრე სოლჟენიცინს — ამას ვერაფრით ირწმუნებ და საბუთებიც აგერ ხელთა გვაქვს: ერთის მხრივ — ხრუშჩოვის მემუარები და მეორეს მხრივ — სოლჟენიცინის რომანი „გარსი პირველი“. 1962 წელს სტალინის ლანძღვას არავინ უკრძალავდა სოლჟენიცინს. მაგრამ რატომღაც არ ახსენა მისი სახელი მოთხრობაში და მაინც აიძულეს, რათა მკითხველს კარგად შეეგნო, რომ აღწერილია სტალინის დროინდელი კონცლაგერი.

სხვათა შორის, გარკვეულ ხანს (ხრუშჩოვის გადადგომამდე) „ივან დენისოვიჩის“ გაკრიტიკება, თუნდაც მარტოოდენ მხატვრული თვალსაზრისით, ფაქტიურად, აკრძალული იყო, ვინაიდან თვით ხრუშჩოვს მოეწონა მოთხრობა.

ვარლამ შალამოვი თავის „კოლიმურ მოთხრობებში“, სადაც კონცლაგერებსა და ეტაპებზე ცხოვრებას გადმოგვცემს, სტალინის წყევლა-გინებით როდი იქცევს თავს; მაგრამ განა წუთით მაინც დაგავიწყდება სახელი და საქმენი მისი, როდესაც შალამოვის შემაძრწუნებელ მოთხრობებს კითხულობ?

რაც შეეხება ნეკრასოვს, მას მოდერნისტული ნაწარმოები არ დაუწერია. უბრალოდ და დამაჯერებლად გადმოგვცა სტალინგრადის დამცველთა განცდები და განწყობილება. არც ორდენოსან მუნდირებში გამოწყობილი მარშლები დაუხატავს და არც შედარებით ნაცნობი, თვალმოკრული გენერლები. ჯარისკაცების და ოფიცრების ცხოვრებას მოგვითხრობდა. მართლაც „სანგრული“ სიმართლე მეტყველებდა მისი მოთხრობის ფურცლებზე. და, რაც მთავარია, იდეოლოგიური კლიშეებით არ იყო აჭრელებული.

მკითხველს უთუოდ, გაახსენდებოდა ომამდე წაკითხული ჰემინგუეი თუ რემარკი (აქ არავითარი ლიტერატურული გავლენა არ იგულისხმება. ნეკრასოვის უშუალო შთაბეჭდილებანი თავისთავად ემთხვევა მოხსენიებულ მწერალთა ასევე უშუალო, ფრონტულ შთაბეჭდილებებს).

ბუნებრივია, დაისვას კითხვა: ნეკრასოვის დაჯილდოება სტალინური პრემიით იღბლიანი შემთხვევითობა იყო თუ რაღაც იდუმალი კანონზომიერების შედეგი?

ვიქტორ ნეკრასოვი სტალინურ პრემიაზე წარადგინა ჟურნალმა „ზნამიამ“, სადაც პირველად დაიბეჭდა „სტალინგრადის სანგრებში“ (ანუ „სტალინგრადი“). მაგრამ უკანასკნელ მომენტში, სტალინური პრემიების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრე ფადეევმა ამოშალა მისი გვარი კანდიდატთა სიიდან, რომელიც უნდა მიერთმიათ სტალინისათვის.

რატომ ამოშალა? ეგებ იმიტომ, რომ ეს ნაწარმოები ეწინააღმდეგებოდა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს ანდა ეგებ იმიტომ, რომ თვითონ არ ჰქონდა წაკითხული და დებიუტანტ ნეკრასოვის გვარი არაფერს ეუბნებოდა? ეგებ იმიტომაც, რომ ელემენტარულად შეშურდა, თვითონაც ხომ პროზაიკოსი გახლდათ; მაგრამ ვინ იცის, როგორ იყო სინამდვილეში და სჯობს, მოვეშვათ მკითხაობას.

ერთი სიტყვით, ნეკრასოვის გვარი ამოშალეს კანდიდატთა სიიდან... მეორე დღეს დებიუტანტი მწერალი თვალებს არ უჯერებდა — ცენტრალურ პრესაში გამოცხადდა, რომ წიგნს „სტალინგრადის სანგრებში“ მიენიჭა სტალინური პრემია და ავტორის ფოტოსურათიც იყო დაბეჭდილი.

ვსეეოლოდ ვიშნევსკიმ, „ზნამიას“ რედაქტორმა და გამოცდილმა ლიტფუნქციონერმა ნეკრასოვს საიდუმლოდ გაანდო: მხოლოდ მას (ე. ი. სტალინს) შეიძლება გახსენებოდა შენი გვარი, სხვას არავის!

იმ დღიდან საბჭოთა კავშირში არსებულ ყველა გამომცემლობას, საოლქოთა და რესპუბლიკურთა ჩათვლით, შეჰქონდა ნეკრასოვის პრემირებული წიგნი თავის საგამომცემლო გეგმაში. ეს ხდებოდა ავტომატურად — რაკი ლაურეატია, სასწრაფოდ უნდა ჩაჯდეს გეგმაში...

მაინც რატომ მიანიჭეს ნეკრასოვს სტალინური პრემია იმ ნაწარმოებისათვის, რომელიც სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს არ ემორჩილებოდა და უკვე სასტიკად იყო გაკრიტიკებული საბჭოთა პრესაში? არა, ანტისაბჭოთა ნაწარმოები როდი ყოფილა, მაგრამ საბჭოურსაც ვერ დაარქმევდი იმდროინდელი სტანდარტების კვალობაზე.

ნუთუ მხოლოდ სტალინის ერთგვარი ახირება იყო, მოსაწყენი ერთფეროვნების დაძლევის წუთიერი სურვილი ანდა კაპრიზი ყოვლისშემძლე დიქტატორისა?

ეგებ იმ პაწია ფრაგმენტმა მოხიბლა, ზემოთ რომ დავიმოწმე, მაგრამ ფრაგმენტი რა სათქმელია, როდესაც ეეებერთელა ოპუსები მართლაც რომ გრანდიოზულ ხოტბას ასხამდნენ?

ეგებ უფრო სერიოზული მოტივით იყო გამოწვეული ეს თითქმის უპრეცედენტო ფაქტი?

ცნობილი რუსი მწერალი კონსტანტინე სიმონოვი თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ სტალინს ნამდვილად უყვარდა ლიტერატურა, ბევრს კითხულობდა, წაკითხულზე მსჯელობდა საგნის სრული ცოდნით და წაკითხული წიგნები დაწერილებით ახსოვდაო.

სიმონოვის აზრით, სტალინს ებადა საკუთარი მხატვრული ძარღვი, რომელიც უმადლოდა, ალბათ, სიჭაბუკის დროინდელ გატაცებას ლექსების წერით და მოწიფულ ასაკში — მწერლობის სიყვარულს. მართალია, სტალინი განიხილავდა ლიტერატურული პრემიების მინიჭებას, როგორც პოლიტიკოსი, ამავე დროს, შერჩეული წიგნებიდან ზოგი აშკარად მოსწონდა, როგორც მკითხველს, ზოგიც არ მოსწონდა.

„მისი გემოვნება სრულიადაც არ ყოფილა უცდომელი, — წერს სიმონოვი, — მაგრამ საკუთარი გემოვნება ნამდვილად ჰქონდა“.

შესაძლოა, დაგვაეჭვოს სტალინური პრემიების მრავალგზის ლაურეატის მსჯელობამ და მას გარკვეული ტენდენციურობა დავწამოთ. ამიტომ უპრიანი იქნება, რომ ყური ვათხოვოთ საპირისპირო ბანაკის წარმომადგენელსაც, ამჟამად ემიგრაციაში მყოფ ცნობილ მწერალს, წარსულში არანაკლებად ცნობილ დისიდენტსა და ბრეჟნევისეული „გულაგის“ ტუსაღს ანდრეი სინიავსკის, რომელიც ორიგინალურ პარალელს ავლებს. მისი სიტყვით, სტალინი ველურია ინტელიგენტ ლენინთან შედარებით, მაგრამ ამ ველურს გაცილებით მეტად უყვარდა ხელოვნება და გაცილებით მეტი მხატვრული ლიტერატურა ჰქონდა წაკითხული, ვიდრე ლენინს.

სინიავსკი შენიშნავს: „სტალინის საკუთრივ მხატვრული გემოვნება წარმოადგენს ყველაზე უხეშ და ბარბაროსულ გატაცებათა უცნაურ შენაზავს დახვეწილობასა და გაგების უნართან. და ეს ბუნებრივია, ვინაიდან სტალინი არის პლებეი და დესპოტი, დაჯილდოებუ-

ლი რაღაც უჩვეულო მხატერული ნიჭით".

იქვე მოყვანილია მჭევრმეტყველი მაგალითები იმის საბუთად, რომ სტალინს აკვიატებული მოსაზრებანიც ჰქონდა და ღრმა გამჭრიახობაც გამოუჩენია.

სინიავსკის სიტყვით, მიმდინარე ლიტერატურაში სტალინის თვალს არ გამორჩა ვიქტორ ნეკრასოვის მოთხრობა „სტალინგრადის სანგრებში" — ყველაზე საუკეთესო მოთხრობა ომზე.

ის ფაქტი, რომ სტალინი დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას (თუმცა მწერლობას მისი ყურადღება ძალზე ძვირი დაუჯდაო), სინიავსკის შეხედულებით, გამოწვეული იყო არა მარტო უზენაესი ცენზორის საზრუნავით, არამედ შინაგანი მისწრაფებითაც და ხელოვნების სიყვარულით.

აღძრულ საკითხზე მსჯელობისას კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. მართალია, იგი იუმორისტულ პლანშია გადაწყვეტილი, მაგრამ მოგეხსენებათ, ყოველგვარ ხუმრობას, ხშირად, სერიოზული სარჩული უძევს ხოლმე.

1983 წელს ვიქტორ ნეკრასოვმა დაწერა ვრცელი ავტობიოგრაფიული მოთხრობა „საპერლიპოპეტი", რომლის ბოლო ნაწილში აღწერილია ფანტასმაგორიული შეხვედრა მწერლისა სტალინთან კრემლში და გადაბმული ღვინის სმა.

სტალინი ულოცავს ნეკრასოვს სტალინური პრემიის მინიჭებას, მაგრად ართმევს ხელს.

„შენი წიგნი რატომაც მომეწონა, ეტყობა, არც იცი? — წარმოთქვა მან მცირეოდენი პაუზის შემდეგ, როდესაც კინაღამ არ წამოვიძახე: „ვემსახურები საბჭოთა კავშირს!", მაგრამ დროზე შევიკავე თავი. „გესმის, უკვე უკანალი მტკივა. აი ამიტომაც მომეწონა შენი წიგნი. ყველა მილოკავს უკანალს, მთლიანად გადამეტკიცა... ნამდვილ სარკეს დაემსგავსა".

...სიკვდილამდე ორიოდე წლით ადრე, პარიზის კაფეში ლუდსა სვამდა შედარებით ახალგაზრდა რუს მწერალ ვიქტორ კონეცკისთან ერთად. კონეცკიმ ჰკითხა ნეკრასოვს: სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებო? („პერესტროიკა" უკვე გაჩაღებული იყო). ნეკრასოვს გაუცინია და უთქვამს: დღესდღეობით ჩვენთან გორბაჩოვი არის (კონეცკი ხაზგასმით აღნიშნავს, სწორედ „ჩვენთან" და არა „თქვენთან" თქვაო). მაგრამ აბა ერთი, წარმოიდგინე წარმოუდგენელი რამ. ვთქვათ, ერთ მშვენიერ დღეს სტალინი გაცოცხლდა და ყირიმის ნაპირებიდან მოსკოვისაკენ დაიძრა მარტოდმარტო, უჯაროდ (ნეკრასოვი, ჩანს, ნაპოლეონის „ასი დღის" ანალოგიას მიმართავს) და მიაღწია მოსკოვს. შენ იცი, რომ ხელში ატატებულს შეაბრძანებენ კრემლში? ჰოდა, რაღას ჩამჩიჩინებ, სამშობლოში დაბრუნებას აღარ აპირებო?

ცნობილი რუსი მწერლის ამ სიტყვებში მწარე და შეუნიღბავი

ირონია გამოსჭვივის თავისი მშობელი ხალხის მისამართით.

ვიქტორ ნეკრასოვმა, დაბერებულმა და დასნეულებულმა, სამშობლოში დაბრუნებისაგან მაინც შეიკავა თავი. თუმცა ასეთ დროს ნოსტალგია უფრო მძაფრდება. სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიც ვერ შეელია დასავლურ სამყაროს, მიუხედავად იმისა, რომ იქ მილიონები არ მოუხვეჭავს და ძალზე უბრალოდ ცხოვრობდა. მაგრამ თავისუფალი აზროვნების ადამიანმა თავისუფლება ამჯობინა სამშობლოს.

გარდაიცვალა პარიზში და იქვე დაკრძალეს. სასაფლაოზე უადგილობის გამო, ეგონებ, ეიღაც მიცვალებულს მიუწვინეს გვერდით

უკანასკნელი შეხვედრა

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მოსკოვში, ცნობილი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე ავერელ ჰარიმანი 1946 წლის იანვარში ემშვიდობებოდა „ჩრდილოეთის დათვის“ სამეფოს. სამი მძიმე და დაძაბული წელი გაატარა იქ და შეხსიერება კვლავ უბრუნდებოდა წარსულს, ტკბილსა თუ მწარე მოგონებებს. მანამდეც ყოფილა მოსკოვში ხანმოკლე ვიზიტით, პირველად — ბივერბრუკთან ერთად 1941 წელს, მეორედ — ჩერჩილთან ერთად 1942 წელს. იყო საქმიანი და ნაყოფიერი მოლაპარაკებანი, იყო შეხლა-შემოხლა და კონფლიქტები. მაგრამ ზოგჯერაც ისე გამოიდარებდა, რომ დასავლეთს გული უმაგრდებოდა და მტკიცედ სჯეროდა, რომ საბჭოთა კავშირი არ გამოეთიშებოდა ანტიჰიტლერულ კოალიციას.

რამდენი საყვედური მოუსმენიათ რუსებისაგან, რომლებიც დაუყოვნებლივ, ყველაფრის გაუთვალისწინებლად და ჯიუტად მოითხოვდნენ მეორე ფრონტის გახსნას და ვითომდა აღარც ახსოვდათ, რომ 1940 წელს ინგლისი ერთი ერთზე ერკინებოდა კბილებამდე შეიარაღებულ გერმანიას, ხოლო საბჭოთა კავშირი ეკონომიკურ დახმარებას უწევდა თავის მომავალ მოსისხლე მტერს და გულდინჯად ელოდა, თუ როდის მოსპობდა ჰიტლერი დიდი ბრიტანეთის იმპერიას და მერე, ალბათ, ოკეანის გადაღმაც გაილაშქრებდა.

როდესაც ჰარიმანი მოსკოვში ელჩად ჩავიდა, კომპეტენტურ და მუდამ ფხიზლად მყოფ ორგანოებს ახალი თავსამტვრევი გაუჩნდათ. ელჩის ქალიშვილი ქეთლინი, როგორც იტყვიან, თხილამურების ტრფიალი იყო, მალე მიაკვლია თოვლიან ფერდობს ქალაქის გარეუბანში, ე. წ. ლენინის მთებზე და თითქმის ყოველდღე ვარჯიშობდა. თვით ჰარიმანიც, კვირაობით რომ მოიცლიდა, ხალისით უერთდებოდა ხოლმე თავის ქალიშვილს. ქალაქგარეთ ჰარიმანების სეირნობამ შინსახკომს სერიოზული პრობლემები წარმოუქმნა. ყოველი ფეხის ნაბიჯი ელჩისა ზეპირად უნდა სცოდნოდათ, ხოლო თხილამურები არ იყო გათვალისწინებული კონტროლის სისტემაში.

ჰარიმანი სწერდა თავის ცოლს ნიუ-იორკში: „როდესაც თხილამურებით ვსრიალებ, გამუდმებით მადევნებს თვალყურს ერთი ჩემი შინსახკომელი მცველი. მისდა სავალალოდ, მაინცდამაინც არ არის გაწაფული თხილამურებით სრიალში და ძალზე უჭირს, მხედველობიდან რომ არ გამოვეპარო. მე თითქმის შემიყვარდა ჩემი „ბიჭები“. ისინი თორმეტნი არიან, სამ ცვლად მუშაობენ და ერთდროულად ოთხი მათგანი მემსახურება“.

ჰარიმანის ფიზიკური ვარჯიში განცვიფრებას იწვევდა უბრალო რუსებში. ერთ კვირა დღეს თავისი აგარაკის თოვლისგან გასუფთა-

ვებას შეუდგა და გაოგნებულ დარაჯს ვერ გაეგო, რომ ამერიკელი ელჩი მხოლოდ და მხოლოდ ვარჯიშის გულისათვის ასრულებდა ამგვარ სამუშაოს.

ქეთლინის სპორტულმა გატაცებამ კი მთელი მოსკოვის ყურადღება მიიპყრო. იგი მიიწვიეს რუსეთის სლალომისტი ქალების ჩემპიონატში, სადაც მესამე ადგილი აიღო. საღამოს გაზეთი აღნიშნავდა; „საბჭოთა კავშირში ამერიკის ელჩის მისტერ ჰარიმანის ქალიშვილმა კონკურსგარეშე მიიღო მონაწილეობა შეჯიბრში და ჩამორჩა მხოლოდ ორ სპორტსმენს — წითელი არმიის ინსტრუქტორებს როდიონოვას და სპერანსკაიას".

ჰარიმანი რუსულ ბანკეტებს ვერ შეეჩვია. გაახსენდა 1941 წლის პირველი შთაბეჭდილება. დაუსრულებელი საუზმე დაიწყო ხიზილალით და სხვადასხვანაირი თევზეულით. მერე შემოიტანეს ცივად მოხარშული ძუძუს გოჭი, მერე — სადილი: ცხელი სუფი, წიწილები და ნანადირევი ფრინველი. დესერტად მოართვეს ნაყინი და ნამცხვარე. თვითეული სტუმრის წინ იდგა ბოთლების რიგი, რომელიც შეიცავდა არაყს, წითელსა და თეთრ ღვინოს, რუსულ ბრენდის, ხოლო შამპანური მოჰქონდათ ტკბილეულთან ერთად.

სტალინმა შესვა პირველი სადღეგრძელო წიწაკის არყით, სანახევროდ გამოცალა ჭიქა, ნარჩენი გადაასხა უფრო მოზრდილ ჭიქაში, მერე კი არყის ჭიქით შეექცეოდა წითელ ღვინოს. არყის ჭიქა ერთობ მომცრო იყო, დაახლოებით ბრენდის ერთი ყლუპი ჩაეტეოდა. როდესაც შამპანური მიართვეს, შამპანურსაც იმავე ჭიქით სვამდა. გახსნილ ბოთლს ჭიქა წამოაცვა თავზე, გაზი არ გამოეცალოსო.

ჰარიმანს მკვეთრად ხვდებოდა თვალში გასაოცარი კონტრასტი კრემლსა და დაუნინგ-სტრიტის 10 ნომერს შორის, იგი იხსენებს, რომ ჩერჩილი ყოველთვის ბეჯითად ემორჩილებოდა მკაცრ ბრიტანულ რაციონს, მაშინ როდესაც კრემლის ბანკეტებზე მაგიდები ლამის იზნიქებოდა ნაირ-ნაირი კერძების სიმრავლით. და ვაი რომ, უბრალო ხალხი მთელს ქვეყანაში შიმშილობდა, „ყოველივე ეს ზიზღს მგვრიდა", — წერს ჰარიმანი.

1941 წელს, სერიოზული საქმეები რომ მოათავეს, მოსკოვიდან გამგზავრებამდე ბივერბრუკმა დაავალა ბრიტანეთის საელჩოს უმცროს მოხელეს ჯონ რასელს, ეყიდა ოცდახუთი გირვანქა ხიზილალა მისთვის და ჰარიმანისათვის. ბივერბრუკს სურდა, რომ გემზე თავი შეექციათ რუსული დელიკატესით, როდესაც თავს მოიყრიდნენ ხოლმე ოფიცერთა კაიუტ-კომპანიაში და იმასაც გულისხმობდა, რომ ლონდონელ მეგობრებსაც უწილადებდა, მათ შორის — ჩერჩილსაც. საუბედუროდ, რასელს ხიზილალის ყიდვის ამბავი წამოსცდა ლონდონის გაზეთის „ნიუს-ქრონიკლის" კორესპონდენტ ფილიპ ჯორდანთან, რომელმაც „ხიზილალის საქმე" საკმაოდ გააზვიადა და სასწ-

რაფოდ აცნობა თავისი გაზეთის მკითხველს, რომ პრემიერ-მინისტრმა რუსეთიდან საჩუქრად უნდა მიიღოს ოცდახუთი გირვანქა ხიზილალა. სხვა გაზეთებმაც, ბუნებრივია, აიტაცეს ეს სენსაცია და განრისხებულმა ჩერჩილმა უკმეხი დეპეშა გაუგზავნა ბივერბრუკს. თვით იდეამ, რომ ომიანობის დროს ხიზილალის დიდი ოდენობა შემოტანილ იქნებოდა ინგლისში პირადად პრემიერ-მინისტრისათვის, უკიდურესად შეაცბუნა ჩერჩილი. ამგვარ ფაქტს შესაძლოა, დიდი მღელვარება გამოეწვია თემთა პალატაში.

სტალინის იუმორი. როდესაც შარლ დე გოლი მიიღეს კრემლში, მის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე დამსწრეთა შორის დე გოლმა უეცრად თვალი შეავლო წვერაცანცარა ბულგანინს და საკმაოდ ხმამაღლა ჰკითხა ჰარიმანს: ეს ის კაცი არ არის, ამდენი რუსი გენერალი რომ დახვრიტაო? სტალინის თარჯიმანმა პაელოვმა ყური მოჰკრა დე გოლის ნათქვამს და მოახსენა ბელადს. მოლოტოვი და ბიდო გაცხარებით რაღაცას კამათობდნენ. სტალინი დაელოდა სიჩუმეს და ყველას გასაგონად შესძახა ბულგანინს: „ახლავე ზარბაზნები მოზიდე, დიპლომატები უნდა ამოვხოცოთ“.

სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურებს რომ ადღეგრძელებდნენ, ვიღაცამ მათ „წმინდა სამება“ უწოდა. სტალინმა გაიცინა და თქვა: „მაშინ ჩერჩილი სულიწმინდა ყოფილა, ამდენს რომ დაფრინავს აქეთ-იქით“.

თამადობდა მოლოტოვი. ყველა სათითაოდ უნდა ედღეგრძელებინა და, ეტყობა, მჭევრმეტყველების მარაგი შემოელია. როდესაც სტალინის ჯერი დადგა, მოლოტოვმა ასწია ჭიქა და ლაკონიური ფრაზით დაკმაყოფილდა: ჩვენს დიდ ბელადს გაუმარჯოს! სტალინი ძალიან გამხიარულდა და თქვა: მე კი მეგონა, რაიმე ახალს და აქამდე უოქმელს იტყოდაო.

1946 წლის 23 იანვარს სტალინმა გამოსათხოვრად მიიწვია ჰარიმანი. გენერალისიმუსი სავსებით კმაყოფილი ჩანდა რუსებისათვის მიკუთვნებული როლით იაპონიის ოკუპაციაში. „იაპონიაში საქმე კარგად მიდის, რადგანაც შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს საერთო თვალსაზრისი მოეპოვებათ“, თქვა სტალინმა. შემდეგ თავისი ინიციატივით ჰარიმანს გაუზიარა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჩან ჩინგ კო, ვაჟიშვილი ჩან კაი-შისა, ჰარიმანის არყოფნისას, ესტუმრა მოსკოვს და საბჭოთა კავშირისაგან მოითხოვდა შუამავლობას ნაციონალისტებსა და ჩინელ კომუნისტებს შორის.

სტალინმა თქვა, ახალგაზრდა ჩანი გონიერ პიროვნებად მომეჩვენა და დავარწმუნე, რომ მოსკოვმა უკვე იცნო ნაციონალისტური მთავრობა ჩუნცინში ჩინეთის კანონიერ მთავრობად. მაგრამ უარი განვუცხადე მის სათხოვარზე, შუამავლის როლი მეთამაშა, ვინაიდან დარწმუნებული არა ვარ, რომ კომუნისტები მიიღებენ ჩემს შეხედულე-

ბებსო. სტალინმა თქვა: „საბჭოთა მთავრობას სუსტი კონტაქტები აქვს კომუნისტებთან“ და თავისი სამი წარმომადგენელი ქ. იანანიდან უკან გამოიწვია. მისი პირადი შთაბეჭდილებით, „კომუნისტები არ დაეთანხმებოდნენ საბჭოთა მთავრობის პოზიციას ჩინეთის მიმართ“. თუკი შუამავლობას შევეცდები და ხელი მომეცარა, საბჭოთა მთავრობა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებაო.

სტალინმა განაგრძო: როდესაც ახალგაზრდა ჩანი დაჟინებით ითხოვდა საბჭოთა შუამავლობას, ვუთხარი, რომ მოსკოვი ჩინელ კომუნისტებთან მოსალაპარაკებლად „ინიციატივას ხელში არ აიღებდა“. თუკი კომუნისტები მკითხავენ რჩევას, რასაკვირველია, არ გავაწბილებო. ახალგაზრდა ჩანი დავარწმუნე, მზადა ვარ ეურჩიო კომუნისტებს შეწყვიტონ სამოქალაქო ომი ჩან კაი-შის მთავრობასთან და შეთანხმება სცადონო. მაგრამ ჩინელ კომუნისტებს არ უთხოვიათ ჩემი რჩევა და უამისოდ საქმეში ვერ ჩავერევიო.

როგორც გამოირკვა, სტალინი არაფრად აგდებდა პოლიტიკურ განსხვავებას ჩინელ კომუნისტებსა და ნაციონალისტებს შორის. მისი აზრით, მთავარი დაბრკოლება იყო მოწინააღმდეგეთა პირადი უნდობლობა. „ჩან კაი-ში არ ენდობა მაოს, და მაოც არ ენდობა ჩან კაი-შის“, თქვა სტალინმა. შემდეგ აუწყა ჰარიმანს, რომ ჩინელ კომუნისტებს არა სურთ ქვეყნის „გასაბჭოება“ და დასძინა: „იანანში არაა საბჭოთა სისტემა. კომუნისტებისათვის სიბრიყვე იქნებოდა სწრაფვა გასაბჭოებისაკენ. მთავარი განსხვავება ის გახლავთ, რომ კომუნისტებს სურთ, რაც შეიძლება მალე, დაამკვიდრონ სრული დემოკრატია ჩინეთში. ხოლო ჩან კაიშის სწადია დემოკრატიის დამკვიდრება ნაკლებად სრულყოფილი ფორმით და მოვლენებს წინ არ უსწრებს“.

როდესაც ჰარიმანი შეეხო დისკუსიას კორეის შესახებ, სტალინი აბუზღუნდა, რომ მსოფლიოს ამ კუთხიდან ნაკლებად იღებს „კარგ ამბებს“. მისი სიტყვით, მოსკოვის კონფერენციაზე დეკემბერში მართალია მოიწონეს გეგმა ოთხი სახელმწიფოს მეურვეობის თაობაზე, მაგრამ როგორც იტყობინებიან, ამერიკელი წარმომადგენლები ახლა უკან იხევენ გადაწყვეტილებათაგან. ისინი ამბობენ, რომ მხოლოდ რუსებს ეჭაშნიკებათ მეურვეობა კორეაში, მაშინ როდესაც სწორედ რუზველტმა წამოჭრა ეს საკითხი პირველმა. „საბჭოთა მთავრობას შეერთებულ შტატებზე მეტად როდი ეამება მეურვეობა. თუკი ორივე ქვეყანა სასურველად მიიჩნევს, მეურვეობა შეიძლება გაუქმდეს“, თქვა სტალინმა.

ჰარიმანმა, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ კორეაში უნდა ჩასულიყო, თქვა, რომ იმედოვნებს საკუთარი თვალით ნახოს იქაური მოვლენები. მისი სიტყვით, შეერთებული შტატების მთავრობა, რასაკვირველია, შეასრულებს მოსკოვის კონფერენციის გადაწყვეტილებას და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კორეის გაშო

ნაკლები უთანხმოებაა, ვიდრე სხვა რომელიმე საკითხის გარშემო, საგარეო საქმეთა მინისტრები რომ მსჯელობდნენ დეკემბრის კონფერენციაზე. ელჩმა თქვა, რომ სახელმწიფო მდივანი ბირნსი გულდასმით აკვირდება კორეულ ექსპერიმენტს, როგორც „ბრწყინვალე შანსს იმის დასამტკიცებლად, რომ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა მთავრობას შეუძლიათ თანამშრომლობა“.

პასუხად ჰარიმანის შეკითხვაზე სტალინმა თქვა, რომ კვლავ წინააღმდეგია იაპონიაში იმპერატორის შენარჩუნებისა, იქნება ეს კერძო მოქალაქე თუ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი. „იაპონიის იმპერატორი ჩვენ არა გვჭირდება და არც იაპონელ ხალხს სჭირდება“, თქვა მან და შენიშნა, რომ იაპონიაში მოსპეს ყველა დემოკრატიული და ლიბერალური ელემენტები, მაგრამ თუ ისინი კვლავ გამოჩნდებიან ზედაპირზე, მათ ენდომებათ არა იმპერატორი, არამედ — პრეზიდენტი, როგორც თავიანთი ლიდერი.

ჩერჩილი დიდ თეატრში. 1943 წელს სტალინი და ჩერჩილი მიბრძანდნენ დიდ თეატრში რომელიღაც სპექტაკლზე დასასწრებად. ისინი დაგვიანებით შევიდნენ „სამეფო ლოჟაში“ და მაყურებელი მხოლოდ მაშინ მიხვდა მათს ყოფნას, როდესაც პირველი მოქმედება დამთავრდა და დარბაზში შუქი აინთო. სტალინისა და ჩერჩილის დანახვაზე მყისვე ატყდა მხურვალე ტაშისცემა (რომლის მსგავსი აქ არასოდეს მსმენიაო, ამბობს ჰარიმანი). სტალინი უმალვე გაიძურწა ლოჟიდან, ასე რომ მთელი ოვაციები წილად ხვდებოდა ჩერჩილს. კომუნისტური ქვეყნის ელიტა ტაშს უკრავდა და გულთბილად მიესალმებოდა კომუნისტური სისტემის ძველისძველ მტერს, რაც ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა დიდ თეატრში მყოფ უცხოელებზე. ჩერჩილი კი უხერხულად გრძნობდა თავს, მან სთხოვა ვიშინსკის, გასულიყო გარეთ და სტალინი ლოჟაში დაებრუნებინა. ახლა ორიეე იდგა ერთიმეორის გვერდით, ხოლო ოვაცია გრძელდებოდა ათი-თხუთმეტი წუთის განმავლობაში. ჰარიმანის სიტყვით, კაცი იფიქრებდა, თითქოს კოკისპირული წვიმა ატყდებოდა შენობის თხელ სახურავს. ყოველი მხრიდან მოდიოდა ოვაცია. ჰარიმანი ამბობს, შესაძლებელია მაყურებელი პირველად ხედავდა თვითეულ მათგანსო. ფაქტი კი ის გახლდათ, რომ სტალინი ომის დაწყებიდან თეატრში არ ყოფილა და მისი გამოჩენა უცხოელ სტუმართან ერთად უდიდეს ენთუზიაზმს იწვევდა.

ჰარიმანი მოგვითხრობს, რომ ჩერჩილი, სხვათა შორის, ყოველთვის უმწეოდ გრძნობდა თავს თარჯიმნებთან. მას ხშირად ავიწყდებოდა სიტყვის შეწყვეტა, რათა თარჯიმანს ეთარგმნა მისი ნათქვამი. ერთხელაც ისე გაიტაცა მსჯელობამ, რომ გვიანღა შენიშნა— მის საბრალო თარჯიმანს დანლოპს ხელიდან უიმედოდ დაეგდო ფანქარი. დანლოპი აშკარად ვერ ახერხებდა კვალდაკვალ გაჰყოლოდა ჩერ-

ჩილს. ჩერჩილმა დააძალა მას თარგმანის აღდგენა. დანლოპი ამაოდ ლამობდა ბრძანების შესრულებას, თავისი ჩანაწერებიც არევ-დარეო და. ჩერჩილის მჭევრმეტყველების საუკეთესო მომენტებში ძალზე დიდ სირთულეს წარმოადგენდა ადეკვატური რუსული სიტყვების სახელდახელოდ პოვნა. ჩერჩილს სურდა დარწმუნებულიყო, რომ სტალინს არც ერთი მისი შენიშვნა არ გამორჩენია. „უთხარით მას ესა და ეს?“ — დაჟინებით ეკითხებოდა თარჯიმანს და ბოლოს მუშტიც გაჰკრა მკლავში.

საქმეში სტალინი ჩაერია. იგი დიდსულოვნად იღიმებოდა. „თქვენს სიტყვებს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა“, — უთხრა მან ჩერჩილს და ხაზგასმით დასძინა: „მნიშვნელოვანია თქვენი სულისკვეთება!“

ვიდრე სტალინს საუბარში გამოიწვევდა, რათა გაეგო მისი თვალსაზრისი ამერიკა-საბჭოეთის მომავალ ურთიერთობათა შესახებ, ჰარიმანმა მოკრძალებით მიანიშნა, ძალზე ბევრ დროს ხომ არ გაართმევთო? არაფერი ამის მსგავსიო, უპასუხა სტალინმა. მაშინ ჰარიმანმა ჰკითხა სტალინს, იზიარებთ თუ არა ზოგიერთი პიროვნების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ამერიკისა და რუსეთის პოლიტიკური და სოციალური კონცეფციები ისეთ მწვავე წინააღმდეგობაშია, რომ მათი მორიგება შეუძლებელიაო. სტალინმა უპასუხა: რა თქმა უნდა, ორ ქვეყანას სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური კონცეფციები აქვს, მაგრამ ამგვარი სხვაობა მხოლოდ მათი საშინაო პოლიტიკის საკითხებს ეხებაო, ხოლო თუ საგარეო საქმეებს მივიღებთ მხედველობაში, მე მგონია, რომ რუსებსა და ამერიკელებს „შეუძლიათ იპოვონ საერთო ენა“, როგორც ეს დაამტკიცა ომის პერიოდმა და ომისშემდგომმა თვეებმაც.

შემდეგ სტალინმა ჰარიმანს საპასუხო შეკითხვა დაუსვა. მისი სიტყვით, ამერიკული პრესა წერს, რომ საბჭოთა მთავრობას ხელი მოეცარა იმაში, რათა წამოეჭრა საკითხი ომისშემდგომი კრედიტებისა თუ სესხის მიღებაზე შეერთებული შტატებისაგან. მე კი ვფიქრობ, თუკი რუსები იძულებული იქნებიან წამოჭრან ეს საკითხი, ამერიკელები „შუაგზაზე შეეგებებიან“. მერე ჩაციებით ჰკითხა ჰარიმანს: მართებულია თუ არა ამგვარი შთაბეჭდილებაო?

სტალინის შეკითხვამ დაუდასტურა ჰარიმანს რწმენა იმისა, რომ 1946 წლის იანვარში საბჭოთა მთავრობას ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, ეთხოვა თუ არა მსხვილი სესხი ამერიკელთაგან.

ჰარიმანმა სტალინს უპასუხა, რომ იგი უდავოდ გრძნობს შეერთებული შტატების მზადყოფნას — იმსჯელონ „წარსულისა და მომავლის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე“, სესხის საკითხის ჩათვლით. ჰარიმანმა აუხსნა სტალინს, რომ ბრიტანელები იყვნენ პირველნი მოკავშირეთაგან, რომლებმაც წამოიწყეს მოლაპარაკება ომისშემ-

დგომი სესხის თაობაზე და თანამდებობის პირნი ვაშინგტონში დაინტერესდნენ ბრიტანელთა საქმის მოგვარებით.

ჰარიმანმა ისიც თქვა, რომ კონგრესში ამ საკითხის განხილვას მთლად უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია და „ცოტა არ იყოს, კრიტიციზმმა იჩინა თავი". ბირნსი შეფიქრიანებული იყო, მოიწონებდნენ თუ არა ზემოთქმულს, ვიდრე მიიღებდნენ სესხის მოთხოვნას საბჭოთა კავშირისაგან. ამიტომაც იყო, რომ მოსკოვში ყოფნისას ბირნსი მოლოტოვისაგან საკითხის წამოჭრას მოელოდა, მაგრამ საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს ამაზე ხმაც არ ამოუღია.

ეიზენჰაუერის ილუზიები. 1945 წლის აგვისტოში, მარშალ ჟუკოვის მოწვევით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა გენერალი ეიზენჰაუერი. ამ ვიზიტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსი ხალხის მიერ გულწრფელი გულისნადების და ხანგრძლივად ჩახუული გრძნობების გამომჟღავნების წყალობით. „ეს იყო ნამდვილი დახვედრა გმირისა", — იხსენებს ამერიკელი ელჩი, და განაგრძობს: „ჟუკოვი იყო აიკის მასპინძელი და იგი ისე ხშირად ტრიალებდა ჩვენს საელჩოში, როგორც არავინ რუსთაგან. მახსოვს, ერთად წავედით ფეხბურთის მატჩზე. ტაიმებს შორის გამოაცხადეს, რომ შეჯიბრებას ესწრებოდა სამოცი ათასზე მეტი მაყურებელი და მათ შორის — ყველაზე პატივსაცემი სტუმრები გენერალი ეიზენჰაუერი და მარშალი ჟუკოვი. ორივე ფეხზე წამოდგა. აპლოდისმენტებმა სტადიონზე გადააჭარბა ყოველივე იმას, რაც კი ოდესმე მსმენია. არასოდეს მინახავს სადმე ესოდენ უზარმაზარი აღფრთოვანება. თვალნათლივ ჩანდა, რომ რუზველტის შემდეგ ეიზენჰაუერი გახდა ადამიანური სიმბოლო ჩვენი ორი ქვეყნის თანამშრომლობისა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ რუსეთის ხალხს სურდა ამ დაახლოების ომისშემდგომი გაგრძელება".

კიდევ ერთი საინტერესო ფრაგმენტი ჰარიმანის ჩანაწერებიდან:

სტალინმა მიგვიწვია ეიზენჰაუერი, მე და გენერალი დინი ლენინის აკლდამის ტრიბუნაზე, საიდანაც მასთან და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებთან ერთად შევყურებდით ფიზკულტურელთა გრანდიოზულ პარადს. მე მგონი, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მიაგეს ამგვარი პატივი. საკმაოდ უცნაური იყო, რომ ეიზენჰაუერი ჟუკოვთან ერთად იდგა ძალზე შორს ტრიბუნის ცენტრიდან, მარჯვენა ფრთაზე. მე კი ადგილი მიმიჩინეს პრეზიდენტ კალინინსა და სტალინს შორის, ალბათ იმიტომ; რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტის წარმომადგენლად ვითვლებოდი. ეს იყო რამდენადმე მძიმე გამოცდა. ფეხზე ვიდექით მთელი ხუთი საათის განმავლობაში, სანამ ათი ათასობით ტანმოვარჯიშე სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან მოძრაობდა წითელ მოედანზე და ასრულებდა თავიანთ ვარჯიშს. ჩვენ გაგონილი გვქონ-

და, რომ იმხანად სტალინი შეუძლოდ იყო, მაგრამ ვერაფერი შეევატყეთ, ტრიბუნაზე კლდესავით იდგა და მეც სხვა რა გზა მქონდა. დროდადრო მოუთმენლად გამირბოდა თვალი ტრიბუნის სიღრმეში ჩამწკრიეებული კომფორტაბელური სკამებისაკენ, მაგრამ ვერც გავბედავდი დავნებებოდი ცდუნებას. ცოტა ხნის შემდეგ ავმოძრავდით, ერთი ჯგუფიდან მეორესთან მივდიოდით, ებაასობდით, სანამ ტანმოვარჯიშენი აგრძელებდნენ თავიანთ საქმეს. მოლოტოვს მივუახლოვდი და შევნიშნე, შთამბეჭდავი სანახაობაა-მეთქი. ავუხსენი, რომ ჩვენებური სპორტული სანახაობანი სრულიად სხვანაირია, ერთი მუჭა სპორტსმენების ვარჯიშს ათობით ათასი მაყურებელი ესწრება-მეთქი. „ეს ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, — მითხრა მოლოტოვმა, — ვინაიდან ანვითარებს სამხედრო სულისკვეთებას". ასეთი გულახდილი მოლოტოვი იშვიათად მინახავსო, დასძენს ჰარიმანი.

სტალინი აშკარა კეთილგანწყობას ამჟღავნებდა ეიზენჰაუერის მიმართ. „გენერალი ეიზენჰაუერი არის ძალზე დიდი პიროვნება", უთხრა ჰარიმანს 1945 წლის ვიზიტის შემდეგ, და ამგვარად განმარტა: „არა მარტო მისი სამხედრო მიღწევების გამო, არამედ მისი ადამიანური, მეგობრული, გულითადი და გულახდილი ბუნების წყალობით. იგი არაა „გრუბი", სხვა სამხედრო პირთაგან განსხვავებით".

გადასცა რა ეს იშვიათი ქათინაური ეიზენჰაუერს, რომელიც ფრანკფურტში იყო დაბრუნებული, ჰარიმანმა აუხსნა მას, რომ „გრუბი" არის რუსული სიტყვა იმ ადამიანის დასახასიათებლად, რომელიც გამოირჩევა ტლანქი და უხეში მანერებით.

როგორც ჰარიმანი წერს, ეიზენჰაუერი ჩამოვიდა მოსკოვში შეპყრობილი გარკვეული იდეებით თავისი ომისშემდგომი მომავლის შესახებ. მან უთხრა ჰარიმანს, დარწმუნებული ვარ, ჩემი მეგობარი ჟუკოვი სტალინის მემკვიდრედ გახდომას აპირებსო. ამის შედეგად, მისი წინასწარმეტყველებით, შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში აღარ გაუჩნდებოდათ დიდი სირთულეები. ეიზენჰაუერი განუწყვეტლივ მკლავს უყრიდა ჟუკოვს, როდესაც მშვიდობის სადღეგრძელოებს სვამდნენ. ეიზენჰაუერი არწმუნებდა ჰარიმანს და, ცხადია, თვითონაც დარწმუნებული იყო, რომ რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის, ახალი ერა დაიწყებოდა. ჰარიმანიც და დინიც ცდილობდნენ ჩაეგონებინათ ეიზენჰაუერისათვის, რომ იგი არარეალისტურად მსჯელობდა. ყველა „მართლმორწმუნე" კომუნისტი, უმტკიცებდნენ მას, შიშს იჩენს „ბონაპარტიზმის" წინაშე ანუ სამხედროთა მიერ რევოლუციის ხელმძღვანელობაზე. მათ ღრმად სწამთ, რომ პარტია უნდა რჩებოდეს უზენაეს ძალად სახელმწიფოში.

„აიკს ეუთხარი, როდესაც ომი უკან დარჩება, საბჭოთა სამხედრო მუსიკა ნაკლებად იუღერებს მოსკოვში", იხსენებს ჰარიმანი, „იგი მაინც ვერ დავარწმუნეთ, და როდესაც მის პატივსაცემად გამართულ

ბანკეტზე კრემლში, მარშალი ჟუკოვი სტალინის მხარდამხარ შემოვიდა დარბაზში, აიკმა მიმანიშნა ეს თავისი სიმართლის საბუთად. ავუხსენი, რომ ჟუკოვის გამოჩენა სტალინის გვერდით იყო თავაზიანობა ეიზენჰაუერის მიმართ. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი რომ ყოფილიყო სტუმრად, მაშინ სტალინის გვერდით იდგებოდა მოლოტოვი“,

მეგობრული დავა ჰარიმანსა და ეიზენჰაუერს შორის კიდევ კარგა ხანს გრძელდებოდა. ეიზენჰაუერმა მაშინღა აღიარა, ვცდებოდიო, როდესაც მარშალი ჟუკოვი ჩამოაქვეითეს ოდესის სამხედრო ოლქის სარდლად.

დავუბრუნდეთ 1946 წლის 23 იანვრის შეხვედრას.

ჰარიმანმა თქვა, რომ ისევე როგორც ბრიტანელებთან, ლენდ-ლიზის ანგარიშსწორების მოგვარება მომავალი მოლაპარაკების ნაწილს უნდა შეადგენდეს. შემდეგ ჰკითხა სტალინს: მისაღებია თუ არა ამგვარი პროცედურა საბჭოთა მთავრობისათვის? სტალინმა დადებითი პასუხი გასცა. ჰარიმანმა შემდეგ იკითხა: სურდა თუ არა სინამდვილეში საბჭოთა მთავრობას ამერიკული სესხის პირობების განხილვა?

სტალინმა უპასუხა, რომ იგი მზად იყო წამოეწყო მოლაპარაკება, მაგრამ არა იმგვარად, თუ შეერთებული შტატები მოლაპარაკებას დაუკავშირებდა „შეურაცხმყოფელ პირობებს“, რომლებიც გამოთქვა ამერიკელ კონგრესმენთა ჯგუფმა, სექტემბერში რომ ეწვია მოსკოვს (კონგრესმენთა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა უილიამ კოლმერი მისისიპის შტატიდან, საჯარო მოხსენებაში განაცხადა, რომ მოუწოდებდა საბჭოთა მთავრობას — გამოეყვანა საოკუპაციო ჯარები აღმოსავლეთ ევროპიდან, გამოექვეყნებინა თავისი ეკონომიკური სტატისტიკის „სრული და გულახდილი ანგარიში“, აღეკვეთა საბჭოთა პრესაზე დაწესებული ცენზურა, შეეჩერებინა მეზობელი ქვეყნებიდან წიაღისეული რესურსების ამოქაჩვა ამერიკული სესხის გადასახდელად).

ჰარიმანმა თქვა, კონგრესმენთა მოხსენება არ წამიკითხავს და ვერაფერს ვიტყვიო. მაგრამ იგი იმედოვნებდა, რომ საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის მსურველებსაც წააწყდებოდა მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ „ამერიკელთა საზოგადოებრივი აზრი შეცბუნებულია იმ სიძნელეებით, რასაც შეერთებული შტატების მთავრობა განიცდის თავის ურთიერთობაში საბჭოთა კავშირთან, თუმცა ამ სიძნელეთა გადაუჭრელობის შიში ერთგვარად გაზვიადებულია“. ჰარიმანის აზრით, ახლანდელი ადმინისტრაცია შეძლებს იმოქმედოს სესხის გაცემის სასარგებლოდ, განსაზღვროს მისი ოდენობა და დაადგინოს პირობები.

სტალინი დათანხმდა, რომ ეკონომიკური საკითხების მოგვარება

„მოემსახურება მრავალი ეჭვის გაფანტვას“, რომელიც არსებობს რუსებსა და ამერიკელებს შორის. მან კვლავ გაიმეორა, მზადა ვარ მოლაპარაკებას შევუდგეო. ჰარიმანი დაჰპირდა, რომ ვაშინგტონში დაბრუნებისთანავე საქმის ვითარებას მოახსენებდა პრეზიდენტ ტრუმენს.

გამომშვიდობებისას ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოართვეს და სტალინმა თქვა: იმედი მაქვს, რომ ამერიკა-საბჭოეთის საქმეებით დაინტერესებას გააგრძელებთო. თქვენ ჩვენი მეგობარი იყავით მრავალი წლის მანძილზე და კარგადაც ვიმეგობრეთ, როდესაც შემწეობა გვჭირდებოდა. მჯერა, თქვენი იმედი ხვალაც შეიძლება გვქონდესო. სტალინს არ დავიწყებია არც ჭიათურის მარგანეცის კონცესია და არც ჰარიმანის პირადი როლი რუსეთისათვის ლენდ-ლიზის გაცემის საკითხში.

დასასრულ, სტალინმა სთხოვა ჰარიმანს, ჩემი საუკეთესო სურვილები გადაეცით პრეზიდენტ ტრუმენს და გულთბილად მომიკითხეთ ამჟამად დასვენებული ჰოპკინსი, ჩვენი ძველისძველი მეგობარიო.

იანვრის იმ საღამოს ჰარიმანმა დატოვა კრემლი და გონებაში ერთიმეორის საწინააღმდეგო ფიქრები ებადებოდა სტალინის გამოუცნობი ბუნების თაობაზე. არაერთგზის უსაუბრიათ პირისპირ, დაწყებული 1941 წლის სასოწარკვეთილი შემოდგომიდან, როდესაც გერმანელები მოსკოვის კარიბჭეს უტევდნენ. სტალინი ხშირად მწარე და შეურაცხმყოფელი შენიშვნებითაც კი უმასპინძლდებოდა დასავლეთის მოკავშირეებს მეორე ფრონტის დაგვიანებისა თუ არქტიკული კონვოების გაუქმების გამო. არცთუ იშვიათად ვერაგობას აბრალებდა. 1944 წლის აგვისტოში აშკარა ულმობელობა გამოიჩინა პოლონელთა მიმართ. მაგრამ თავის პირად ურთიერთობაში ჰარიმანთან სტალინს ბრასოდეს უღალატია თავაზიანობისათვის და ზოგჯერ აბსოლუტური გულგახსნილობაც გამოუმჟღავნებია.

ასე მაგალითად, 1941 წლის მძიმე დღეებში ჰარიმანმა ჰკითხა სტალინს საფრონტო ვითარების შესახებ. სტალინმა დარწმუნებით უპასუხა, რომ ლენინგრადი გაუძლებდა გერმანელთა შეტევას და ყირიმის ფრონტსაც შეინარჩუნებდნენ, როდესაც დასვენებულ ჯარებს მიაშველებდნენ ოდესიდან. მაგრამ ყველაზე კრიტიკულად მიაჩნდა მდგომარეობა უკრაინაში, სადაც მარშალ ბუდიონის ჯარები იბრძოდნენ იმ ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობა მეგობრულად არ იყო განწყობილი საბჭოთა რეჟიმის მიმართ. სტალინი გულწრფელად აღიარებდა ამ მიჩუმათებულ მოვლენას — რეალურად და ფართოდ გავრცელებულ უკმაყოფილებას უკრაინის ტერიტორიაზე, სადაც გერმანელებს მრავალ ქალაქსა და სოფელში ეგებებოდნენ, როგორც მხსნელებს და ასეთი სიამტკბილობა გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე ესესელებმა ხელი მოჰკიდეს მაუნებლურ მოქმედებაში ეჭვმიტანილ

ადგილობრივ ლიდერთა ხოცვა-ულეტას, რაც ძვირად დაუჯდა გერმანიის არმიას.

მერე ჰარიმანს გაახსენდა სტალინის გასაოცარი აღიარება, ვარშავის აჯანყება გერმანელთა წინააღმდეგ გონივრული იყოო — მას შემდეგ, რაც ორი თვის მანძილზე გმობდნენ პოლონელთა უმაგალითო გმირობას და უარს ამბობდნენ რაიმე დახმარება გაეწიათ.

სტალინი მიესალმა ნორმანდიაში მოკავშირეთა გადასხმას, როგორც უდიდეს გამარჯვებას, ოდესმე რომ მომხდარა და ყოველივე ეს — ბრიტანელთა და ამერიკელთა ქირდვის შემდეგ, როდესაც საყვედურს საყვედურზე უთვლიდნენ: დასავლეთ ევროპაში დაუყოვნებლივ რატომ არ შეიჭრებითო?

სხვა მოგონებანი მიანიშნებდა, რომ სტალინმა დაკარგა მხნეობა ჰიტლერის თავდასხმის დროს 1941 წლის ივნისში. და მაინც მოიკრიბა ძალ-ღონე და მთელი ქვეყანაც ფეხზე დააყენა საომრად, რომ გამხდარიყო საოცრად ეფექტური სამხედრო ლიდერი, გათვითცნობიერებული და ურყევი, რომელიც წარმართავდა ომს რუსეთის დასაცავად იშვიათი ყურადღებით წვრილმანებისადმი, როდესაც ღამღამობით ტელეფონით უკავშირდებოდა ბრძოლის ველზე მყოფ თავის სარდლებს.

არაერთხელ, თავის საუბრებში ჰარიმანთან, სტალინს შეუდარებია თავისი წითელი არმიის საბრძოლო ეფექტურობა რუსეთის არმიის უიღბლობასთან პირველ მსოფლიო ომში. სტალინს უთქვამს: „რუსი ხალხი ყოველთვის მამაცურად იბრძოდა სამშობლოსათვის, მაგრამ ჩვენ მიველით მას ქვემეხები, ნიკოლოზ მეფე კი აძლევდა მხოლოდ ცულებსა და ჯოხებს". მერე განაგრძო მსჯელობა გერმანელთა შეტევის მარცხზე, აგრეთვე მიუთითა გადაადგილება და რეკონსტრუქცია რუსეთის არსებითი ინდუსტრიისა ურალს გადაღმა და უეცრად, გამოამჟღავნა მოულოდნელი გრძნობიერება სამოქალაქო პირთა საბრძოლო სულისკვეთების თაობაზე მრავალეროვან საბჭოთა კავშირში.

მაგრამ ჰარიმანს არ ავიწყდება ბნელი, საეჭვო მხარე სტალინის ბუნებისა, რომელიც გამოაჩენდა მას სულ სხვა ადამიანად, როგორც მაგალითად, ბერნის ინციდენტის დროს. შეძრულმა შიშით, რომ დასავლეთის მოკავშირეებს შეეძლოთ შეეკრათ სეპარატული ზავი ჰიტლერთან, მან გადმოაფრქვია სიმრავლე ყალბი ბრალდებებისა რუზველტის მისამართით.

ჰარიმანი, რომელიც მეტ-ნაკლებად იცნობდა სტალინის ბუნების ორივე მხარეს, ფიქრობდა: „ჩემთვის ძნელია შევათავსო თავაზიანობა და გულისხმიერება, რასაც პირადად ჩემთან ამჟღავნებდა, მისი გრანდიოზული რეპრესიების სისასტიკესთან. სხვები, რომლებიც პირადად არ იცნობენ მას, ხედავენ მხოლოდ ტირანს, მე ვხედავ აგრეთვე მეორე მხარეს — მის მაღალ ინტელექტს, ყოველგვარი წვრილმანის

ფანტასტიკურ მიხვედრას, მის შორსმჭვრეტელობას და განსაცვიფრებელ ადამიანურ გძნობიერებას, რომელიც მას ძალუძდა გამოეჩინა, განსაკუთრებით ომის წლებში. მე მივხვდი, რომ იგი იყო უფრო ერუდირებული, ვიდრე რუზველტი; უფრო რეალისტი, ვიდრე ჩერჩილი და ერთგვარად ყველაზე უფრო ეფექტური სამხედრო ლიდერთა შორის. ამავე დროს იგი იყო, რასაკვირველია, დაუნდობელი ტირანი. უნდა ვაღიარო, რომ ჩემთვის სტალინი რჩება ყველაზე გონმიუწვდომელ და წინააღმდეგობრივ ფიგურად, ვისაც კი ვიცნობდი — და დაე, საბოლოო მსჯავრი ისტორიამ გამოიტანოს".

ენას გიწუნებთ, ფშაველო...

ხანდაზმულ პოეტს ენა დაუწუნეს. მეტი რაღა უნდა დაეშავებინათ მისთვის? მაშასადამე, პოეზიასაც უწუნებდნენ. სამოქალაქო სიკვდილით დასჯას ჰგავდა (ნაადრევ სიკვდილამდე თურმე სულ რაღაც ორი წელიწადი დარჩენოდა). დასაწუნარი ენით შექმნილი ლექსი ხეიბართა რიგში უნდა გარეულიყო, სანახევროდ დამუნჯებულ ქმნილებას განაღა ლექსი ერქვა?

და რაც მთავარია, ვინ უწუნებდა ენას? სხვა ვინმეს, უბირს, უხეიროს, ავყიას და არაფრისმცოდნეს რომ დაეწუნებინა, ალბათ, აინუნშიც არ ჩააგდებდა, მოითმენდა, პასუხის ღირსადაც კი არ ჩათვლიდა. მაგრამ „საქართველოს ბულბულად“ წოდებულმა მხცოვანმა მგოსანმა დაუწუნა ენა და თითქოს ღმერთი მეტყველებდა მისი პირით: „ენას გიწუნებ, ფშაველო, მგოსანო მაღალ მთისაო...“

დღესა და ღამეს ასწორებდა იმაზე ფიქრით, თუ რა პასუხი გაეცა აკაკი წერეთლისათვის. სიტყვის თქმას დააპირებდა და ენაზე მოსული სიტყვა სადღაც გაექცეოდა ხოლმე. ასე ეგონა, ვეღარაფერს იტყოდა თავისი დაწუნებული ენით.

„იქნებ მე, ჩემმა ენამა, სამშობლო დავაღონეთა? ფრთები შევკვეცეთ ოცნებას, დავამხეთ, დავამონეთა?“ — დაღონებული, თითქოსდა სახლ-კარ დაქცეული ეძებდა პასუხს და ვერ პოულობდა. მაგრამ უპასუხობაც არ იქნებოდა და გასცა დაგვიანებული პასუხი, რომელსაც მართლაც რომ მარგალიტის დარად ამშვენებდა ბრძნული და უკვდავი სიტყვები: „მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართველის გვარისა“.

გავიდა ორმოციოდე წელი და უზარმაზარი იმპერიის უზენაესმა მბრძანებელმა იგივე განაჩენი გამოუტანა დიდებული ქართველი პოეტის ენას და გაიზიარა აკაკი წერეთლის შეხედულება. სტალინის მსჯავრი იმდენად მკაცრი და უაპელაციო გახლდათ, რომ აღარც პასუხი გაეცემოდა (ეგებ თვით ვაჟას გაებედა, მაგრამ სამარიდან გაცემული პასუხი ჯერ არავის სმენია) და აღარც კამათის საგნად შეიძლება ქცეულიყო. ვაჟა-ფშაველა, ფაქტიურად, „პერსონა ნონ გრატად“ გამოცხადდა ქართულ მწერლობაში.

„ცისფერყანწელები“ რომ ყოფილიყვნენ ცოცხლები, ეგებ იმათ გაეცათ მოკრძალებული პასუხი ხალხთა ბელადისათვის? განა ,ისინი არ მოევლინენ უპირველეს ქომაგებად და ტრფიალად ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას? განა პირველად მათ არ აღიმაღლეს ხმა იმის სათქმელად, რომ ვაჟა-ფშაველა ისეთი ცომისაგან იყო მოზელილი, არც ერთ ქვეყანაში იმის პურს არა სჭამენო...

1915 წელს, გრიგოლ რობაქიძე „ვაჟა-ფშაველას გამოსათხოვარში“

წერდა: „ქართლის დედას ძუძუ უშრება ამდენი ტკივილებით. ცრემლიც დაშრეტია დატანჯულს და ეხლა შენს სიკვდილს რომ გაიგონებს, შესაძლოა, გაჩენაც კი დასწყეველოს საბრალომ. ცოცხალთა შორის შენ იყავი მისი ნამდვილი შვილი, მისი სიტყვა და მისი ოცნება, მისი სახელი და მისი იმედი... ახლა კი მხოლოდ დუმილი მეტყველებს შენი, საუკუნო დუმილი, და შენს შემდგომ ჩვენ რაღა უნდა ვქნათ, სიტყვა აღარ არის ტანჯვის სათქმელად... გარდასულნი არ სცილდებიან დარჩენილებს და დარჩენილნი არ შორდებიან გარდასულებს. აქ მარხია ჩვენი ისტორია, და შენს საფლავთან სწორედ ეს გვამხნევებს, მაგრამ მე პირადათ საშინელი ფიქრი მაწუხებს: ვაითუ კიდევ უარესს მოველით და შენი ამ ჟამითი სიკვდილი მხოლოდ ჩვენებაა საცნაური“.

XX საუკუნის ქარტეხილებს, ღვთის წყალობით, ვაჟა-ფშაველა არ შესწრებია. არც 1924 წელს დახვრეტილი ვაჟიშვილის სიკვდილი გაუგია და არც ხელმეორედ დაწუნება მისი ენისა სიკვდილიდან ორმოციოდე წლის შემდეგ. „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული“, — ამბობდა თავის ცნობილ ლექსში, მაგრამ მისი წუხილი სხვა ფერისა იყო, თვალის ერთი შეევლებით ვერ ამოიკითხავდი.

1922 წელს, პაოლო იაშვილი წერდა: „მაგრამ ყველაზე გულშემზარავი ბედი იყო ვაჟა-ფშაველასი. ვაჟა-ფშაველაზე ძლიერი პოეტური სტიქია არ ახსოვს საქართველოს. ვაჟამ პირველმა მისცა იმედი ქართულ სიტყვას. მას ჰქონდა ღმერთების ენა და ჰომეროსის ნოყიერება. მაგრამ არწივად წოდებული საქართველოში დადიოდა როგორც „ჩხიკვი ზაქარა“ თვალმოხუული, ყველის სუნით გაჟღენთილი, დაკონკილ ჩოხით, ფრჩხილებში მიწა გამოგლესილი, ნარმის საცვლებში, დასული სოფლის მეწვრილმანის ვაჭრობაძდის, მიუღებელი, უგვირგვინო. ის ჭლექით დააკვდა საავადმყოფოს ლოგინს, ისე ვით უბინაო და ქუჩის მათხოვარი“.

ძალზე ხშირად, და არა მარტო ჩვენში, ასეთი მწარე ყოფილა გენიოსთა ხვედრი, მაგრამ ჩვენ ჩვენი წყლული გვტკივა და გულის დასამშვიდებლად წუთისოფლის გაუტანლობას უფრო ვუჩივით, ვიდრე საკუთარ ცოდვებს. ნაგვიანევი სინანულით გავყურებთ წარსულს, თითქოსდა მისი ფიზიკური აღდგენა შეიძლებოდეს. თითქოსდა მიცვალებულის ღირსეული აღიარება ერთი წუთით მაინც შეუმსუბუქებდა სიცოცხლეში გადატანილ ტანჯვა-წვალებას ანდა ცრემლის ერთ კურცხალს შეუშრობდა მომაკვდავს.

ტიციან ტაბიძე გულისტკივილით წერდა: „ვაჟა-ფშაველა ისე მოკვდა, რომ არ უგრძვნია ერის საყოველთაო სიყვარული, რომლითაც სიცოცხლეში დააჯილდოვეს აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე“. პოეტი ასახელებს ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზსაც — ვაჟა-ფშა-

ველას პასიურობას საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე.

„მაინც წინ მივალ, მაინცა, არ მეშინია შარისა“, — წერდა თავის პასუხში ვაჟა-ფშაველა და ტიციან ტაბიძე უდასტურებს: „მართლაც, აკაკის ეს ბრალდება „შარის მოდებაა“.

1930 წელს, პოლემიკური პათოსით შეპყრობილი ტიციან ტაბიძე, ეგონებ, აჭარბებდა კიდეც: „აკაკი წერეთელი, ყოველთვის განებივრებული ხალხის სიყვარულით და სახელით, ახლა უკვე გრძნობს ამ დევის სუნთქვას და ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ცნობილ ლექსში ცდილობს გაბაზაროს ვაჟას დაგვიანებული დიდება“.

ხოლო ვაჟა-ფშაველა გულმოდგინედ და დაჟინებით ლამობს იმის გარკვევას, თუ რატომ დაუწუნეს ენა, მთის მიერ მიძღვნილი, ქარს რომ ჩამოუტანია ბარის გამოსაცოცხლებლად, გასამხნეებლად, ფრთების გასაშლელად. გაოცებით ამბობს, აქაც ხომ ქართველები ვართ და ყვავილი აქაც პყვავისო. მთის ენას თავისი სიმტკიცით სალ კლდეს ადარებს და განა დასაგმობია იმისათვის, რომ შესაძლოა ქალის სინაზე აკლდესო? ნუთუ მე და ჩემმა ენამ სამშობლო დავაღონეთო? — იჭვნეულად კითხულობს იგი და ამდენ გამაოგნებელ შეკითხვებში ანაზდად გამოკრთება სიმართლის სხივი: „უვარგისობის მიზეზი ფშაველობა არის სწორედა“.

სხვა ლექსებშიც, ალაგ-ალაგ, შეიმჩნევა ამგვარი დაეჭვება, რომელიც პოეტის სულში როდი დაბადებულა, გარემოებათა მიერ იყო ნაკარნახევი და ასე იოლად გერ გაბათილებდი. აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ საიუბილეო ლექსში (1908 წ.) ვაჟა-ფშაველას ლამის მობოდიშების კილოც შეეპარა: „თუნდ არ მოგწონდეს, იქნება, ჩემის ფანდურის ჩხაკუნი“ (ეს ის ლექსია, სადაც ასე მიმართავს უფროს თანამოკალმეს: „ნეტავი ბევრი გაზარდოს შენისთანები დედამა!“).

კიდევ ერთი მაგალითის დამოწმება იქნებოდა საკმარისი.

ლექსში „შმაკი ესაუბრება პოეტს და გესლიანად ჩასჩურჩულებს: „სხვა რამ გაკლია, სათქმელი თქვენში დიდ ნაკლად მარადა. თუმც რაც დაგაკლო, უფალი დამნაშავეა თავადა, როცა პოეტად გბადებდა, რად აღარ გაგათავადა?!“

წყეული ეშმაკი საგონებელში აგდებდა დიდებულ პოეტს და ეშმაკის სუფრიდან აწაპნილი მწვირის ნამცეცების სროლას აღარც სხვები თაკილობდნენ.

რამ ათქმევინა საქართველოს საამაყო კუთხის შვილს, თავისუფალი მთების სამყაროდან მოვლენილ საოცრებას, უვარგისობის მიზეზი ფშაველობა არის სწორედაო. რამ და ვინ გაუჩინა ეს შეუფერებელი „კნინობითი კომპლექსი“ ქართული პოეზიის დევად გაჩენილ კაცს?

ალბათ, უიღბლო ცხოვრებამ. აწეწ-დაწეწა მისი ღვთაებრივი სული.

დაფნის გვირგვინებითა და ჰონორარებით როდი იყო განებივრებული იმდროინდელი საზოგადოებისაგან. თვითონვე გვაუწყებს ლექსად

გამოთქმულ გულისტკივილს („ტან-ფეხ-შიშველი დავდივარ, ცოლს არ მიცვია კაბაო") და ოციოდე წლის შემდეგ კვერს დაუკრავს კონსტანტინე გამსახურდია: „ვაჟა უდროოდ გასწყვიტა წელში იმდროინდელი ქართველი მწერლის გაუხარებელმა სვემ, შუაკაცობამდის მიღწეულს სიკვდილი წამოეწია ანაზდეულად. იმ დროს, როცა გალაღებული ქართველი აზნაურები ცალკერძ მონარქისტულ ბანკეტებზე ღრეობდნენ, ცალკერძ დავით ერისთავის „სამშობლოში" ბუტაფორული ხმლების წკრიალით ერთობოდნენ, ვაჟა მოკვდა, როგორც უსახელო და უპატრონო კაცი".

გასაგებ გარემოებათა გამო, ვაი რომ, მთელ მსოფლიოში არ გახმაურებულა ვაჟა-ფშაველას სახელი, თუმცა კი იმსახურებდა. მაგრამ ნაწილობრივ მაინც გამართლდა აფორიზმად თქმული: დიდს მხოლოდ დიდი თუ გაუგებსო. რუსმა პოეტებმა ბორის პასტერნაკმა და ოსიპ მანდელშტამმა შეძლეს მიხვედრა იმისა, თუ რამხელა პოეტურ ენერგიას და ჯადოს ანსახიერებდა ის კაცი, რომელმაც თავისი არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლე ისე განელო, რომ ღირსეული დაფასება და აღიარება ვერ მოიმკო.

1934 წელს, მოსკოვში, პასტერნაკს საჯაროდ წაუკითხავს „გველის მჭამელის" რუსული თარგმანი, და კითხვის დაწყებამდე, სხვათა შორის, უთქვამს: „ეს გახლავთ პოეტი ისეთი გაქანებისა და მასშტაბისა, რომ ძველისძველი და პოეტებით არცთუ ღარიბი ქართული ლიტერატურა, დამშვენებული თვით რუსთველის სახელით, ყველაზე დიდ პოეტად რუსთველის შემდეგ მიიჩნევს ვაჟა-ფშაველას".

თუკი სკეპტიკურად შევხედავთ საქართველოზე შეყვარებული პასტერნაკის აღტაცებას ვაჟა-ფშაველას ნაწერებით და დავუშვებთ, რომ უსაზღვრო აღტაცება, ნაწილობრივ მაინც, გამოწვეულია მისი მეგობარი „ცისფერყანწელების" გავლენით, ამგვარი ეჭვის თვალით ვერანაირად ვერ მივუდგებით ოსიპ მანდელშტამს, რომელიც პასტერნაკივით არ ეტრფოდა საქართველოს და „ცისფერყანწელებთან" მეგობრობითაც ვერ დაიკვეხნიდა.

მაგრამ ოსიპ მანდელშტამი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, ნიკო ფიროსმანაშვილის კვალდაკვალ, მიაკუთვნებს ევროპის კულტურულ ფასეულობათა რიგს და გაოცებით წარმოთქვამს: „ეს იყო ნამდვილი გრიგალი სიტყვისა, საქართველოზე გადაგრიალებული, ფესვებიანად ოომ ამოძირკვავს ხოლმე ხეებს მიწიდან".

გამოხდა ხანი. ქვეყანამ გამოიარა ჯოჯოხეთური გზა მასობრივი რეპრესიებისა და მეორე მსოფლიო ომისა. მრავალ აქტუალურ და გადაუდებელ სამეურნეო ღონისძიებებთან ერთად კრემლში ხელი მოჰკიდეს საბჭოთა ლიტერატურის გაჯანსაღებას. მართალია, აღარ იღვრებოდა მწერალთა სისხლი, მაგრამ შერისხულ შემოქმედთა ბედი ბევრით არ იყო უკეთესი დატუსაღებულთა თუ დაღუპულთა ბედზე.

ცოცხალ მწერლებს არ დასჯერდნენ და მკვდრებსაც მიადგნენ. და მოულოდნელად მკაცრი და დაუნდობელი კრიტიკის ობიექტად იქცა ქართული პოეზიის დიდებული მწვერვალი — ვაჟა-ფშაველა.

როგორც კანდიდ ჩარკვიანი გადმოგვცემს ხსენებულ საკითხთან დაკავშირებულ მოგონებაში, სტალინი შეძლებისდაგვარად ეცნობოდა თანამედროვე ქართული მწერლობის თვალსაჩინო ნიმუშებს, მაგრამ ჩვენი კლასიკური მწერლობისაკენ უფრო მიუწვედა გული. ხან ბარათაშვილი ახსენდებოდა, ხან ილია ან აკაკი და მათი რომელიმე ლექსის ერთ ან ორ სტროფს ზეპირად იტყოდა ხოლმე. უყვარდა რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“, მაგრამ იდეურ შეზღუდულობასა და კარჩაკეტილობის ნამდვილ აპოლოგიას უკიჟინებდა.

კანდიდ ჩარკვიანის სიტყვით, სტალინი, რასაკვირველია, კარგად იცნობდა ვაჟა-ფშაველას პოეზიას. დროდადრო გაიხსენებდა და ზეპირად იტყოდა ვაჟას ლექსს „სიტყვა გადვაგდე ხალსშია“. მისი პოემების მონუმენტურობასაც ხშირად უსვამდა ხაზს.

1950 წლის შემოდგომაზე სტალინი, ჩვეულებისამებრ, შავი ზღვის პირას ისვენებდა. ერთხელაც სიტყვა ჩამოვარდნილა ქართულ ლიტერატურაზე და როდესაც ბელადს მოუსმენია კანდიდ ჩარკვიანის მიერ ვაჟა-ფშაველას მაღალი შეფასება, არაფერი უთქვამს, მხოლოდ უთხოვია, რომ მისთვის გამოეგზავნათ ვაჟა-ფშაველას თხზულებანი. თხოვნა შესრულებულ იქნა და სამიოდე დღის შემდეგ სტალინს ხელთ ჰქონდა ვაჟა-ფშაველას ოთხი თუ ხუთი ტომი.

გავიდა თითქმის თვენახევარი და აი, 1950 წლის 30 ნოემბერს, გვიან ღამით, სტალინმა გაგრიდან დაურეკა კანდიდ ჩარკვიანს. საკმაოდ ხანგრძლივი სატელეფონო საუბრის, ვგონებ, ერთადერთი თემა ყოფილა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების განხილვა.

კანდიდ ჩარკვიანს დილითვე ჩაუწერია საუბრის შინაარსი შესაძლებელი სიზუსტით. საუბარი მიმდინარეობდა რუსულად.

გული უნდა გაგიტეხოთო, ასე მიმართავს სტალინი ჩარკვიანს, თქვენ ამბობდით, რომ ვაჟა-ფშაველა გენიოსიაო, ის მართლაც დიდი ტალანტია, მაგრამ ჩამორჩენილი მსოფლმხედველობა აქვსო.

სტალინის აზრით, ვაჟა-ფშაველას არ წამოუყენებია არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, ჩაკეტილი იყო ჩამორჩენილ ფშავ-ხევსურეთში და გარდა იქაური შინაომებისა (ერთიმეორესთან თუ ქისტებთან) მეტი არაფერი დაუნახავს და მეტი არაფერი აუსახავს. საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას ვერ ამჩნევდა და ეს საკითხი არც იქცევდა მის ყურადღებას.

მოვიხმოთ ციტატა კანდიდ ჩარკვიანის ჩანაწერიდან. „სტალინი: ვაჟა-ფშაველას ენა პროვინციულია, მოძველებული, გაუგებარი. დამახასიათებელია, რომ მისი თხზულებების ყოველ ტომს თან ახლავს მოზრდილი ლექსიკონი. სხვაგვარად მკითხველი ვერ გაიგებს მის

ნაწარმოებებს. აკაკი წერეთელი, ცხადია, მართალი იყო, როდესაც ენის ჩამორჩენილობას საყვედურობდა: „ენას გიწუნებ, ფშაველო, მგოსანო მაღალ მთისაო, თუმც კი გვითესავ მარგალიტს, მკითხველიც იმას მკისაო!“ აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე ქმნიდნენ ერთიან ლიტერატურულ ენას, ხოლო ვაჟა-ფშაველა პროვინციულ მეტყველებას ანიჭებს ლიტერატურული ენის უფლებას. მისთვის სულერთია, რომელ ენაზე იწერება პოეტური ქმნილებანი. აი, ეს არის ვაჟა-ფშაველას უიმედო ჩამორჩენილობა“.

სტალინი გაუკვირვებია გერონტი ქიქოძის შესავალ სტატიას. მარქსისტი არის თუ არაო? დაუწუნებია ქიქოძისეული შეფასება ვაჟა-ფშაველას იდეოლოგიისა. „აკაკი წერეთელთან დავაშიც კი ენის თაობაზე იგი ვაჟა-ფშაველას უჭერს მხარს, — უთქვამს სტალინს, — მაშინ როდესაც ამ ამბავში მართალი იყო სწორედ წერეთელი“.

ცოტა არ იყოს, უცნაურია სტალინის ერთგვარი შემობრუნება ვაჟა-ფშაველას შეფასებაში. ოთხიოდე წლით ადრე, სოჭში თავისი სიყრმის მეგობრებსა და ცნობილ ქართველ მსახიობებთან შეხვედრისას, როდესაც „ვეფხვისა და მოყმის“ ბალადას წაუკითხავენ, აღტაცებით წარმოთქვამს, მარგალიტიაო და მერე დასძენს: „აი, ვაჟა-ფშაველას ძირები სად არის! აი, საიდან წამოვიდა ვაჟა!“

მოწონებით ხვდება ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრებას სხვადასხვა კუთხის დიალექტებიდან წამოსული სიტყვებით და მერე საქართველოში ენის გახალხურებისა და განვითარების საქმეში ილიას და, განსაკუთრებით, აკაკის დამსახურების აღნიშვნასთან ერთად იმასაც ამბობს: „ვაჟაც დიდად დაეხმარა ქართულ სალიტერატურო ენას თავისი ხალხური მეტყველების ფორმებით, ლექსიკითა და გრძნობათა, აზრთა სადად გამოთქმით“.

იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ 1946 წელს სტალინმა ცაში აიყვანა ვაჟა-ფშაველა და ოთხი წლის შემდეგ გააცამტვერა-მეთქი. მაგრამ მაინც თვალში საცემია მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორი შეფასების შედარებისას.

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას ენის დაწუნებას, ამასთან დაკავშირებით გრიგოლ რობაქიძე წერდა: „1917 წელს პაელე ინგოროყვამ თქვა ერთხელ ჩემთან გასაუბრებისას: ფშავ-ხევსურული არქაული ქართულია და არა პროვინციალიზმიო. მე დავაზუსტებდი: ერთი ძველთაძველი ფენი ქართულისა. მთებში შერჩენილი და დღემდე ცოცხალი“.

ვაჟა-ფშაველას ახლო მეგობარი, მწერალი ნიკო კურდღელაშვილი თავის მოგონებაში აღნიშნავდა, რომ ვაჟას ღრმად სწამდა — რუსთველის დროინდელი ენა უფრო მთის ცოცხალ სიტყვიერებაში, კერძოდ ფშავ-ხევსურულში, შეუნახავთო.

შემდგომში ცნობილმა ქართველმა ენათმეცნიერებმა დოკუმენტური

სიზუსტით დაადასტურეს, რომ ვაჟა-ფშაველას ენა დიალექტად როდი ჩაითვლება, არამედ ძველ ქართულ სალიტერატურო ენად, რომელიც თავდაპირველი და შეუბღალავი სახით მხოლოდ მთაში შემორჩენილა.

ეგებ სტალინი ბოლომდე გულწრფელი არ იყო კანდიდ ჩარკვიანთან სატელეფონო საუბარში, ენის საკითხი საბაბად დაიხვია და ის, რამაც სინამდვილეში გააღიზიანა იგი ვაჟა-ფშაველას კითხვისას, ხმამაღლა არ უთქვამს, გულში ჩაიმარხა.

იმდროინდელი მითქმა-მოთქმის თანახმად, სტალინს არ ეჭაშნიკა 1909 წელს დაწერილი ლექსი „თმა-გრძელა — ჭკუა-თხელა", სადაც სასტიკად იყო გამათრახებული თმა-გრძელი, ტვინ-თხელი, წეერებ-ცანცარა „ძმობილი" (ზოგჯერ იმასაც ამბობდნენ, რომ დედანში თავდაპირველად „სემინარისტი" ეწერა), რომელიც დაუმეგობრდა ალიმუსიას, ზურგი შეაქცია საქართველოს და მის გასაჩუქრებაზეც უარს არ იტყოდა. ამ „თმა-გრძელს" ჯიბეში ეწყო უმი და დაულეჭავი ევროპული აზრები, „მაღალი სორტის ფრაზები" და, რაც მთავარია, „პროლეტარობის დოღმები და საქანქარო გაზები". შესაძლოა, სწორედ ამ ორმა სტრიქონმა განარისხა სტალინი. ასეა თუ ისე, მომდევნო გამოცემებში იგი უკვალოდ გააქრეს.

მარტოოდენ ეს ლექსი როდი დაიმსახურებდა სტალინის აღშფოთებას. ვაჟა-ფშაველა თავის სხვა ლექსებშიც როდი უბამდა მხარს რევოლუციურ მოძრაობას. გერონტი ქიქოძის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „მაგრამ როგორც პატრიოტი, ვაჟა-ფშაველა ფრთხილი პოლიტიკის მომხრე იყო. 1910 წელს მისმა ძმამ ბაჩანამ გამოაქვეყნა ლექსი („მთამა სთქვა"), სადაც სამშობლოს სიყვარული შურისძიების გრძნობასთან იყო დაკავშირებული და ავტორი ქართველ ხალხს აშკარად აჯანყებისაკენ მოუწოდებდა ცარიზმის წინააღმდეგ: ვაჟა-ფშაველამ თავის ძმას დაუყოვნებლივ პასუხი გასცა („მთამ სულ სხვა თქვა"). მან გაილაშქრა სულსწრაფობისა და ფაციფუცობის წინააღმდეგ, მან განაცხადა, ნაადრევად აყვავებულ ხეხილს საფრთხე მოელის, რომ მას ყინვა დააზრობს და ცაზე გადმოსული მთვარისათვის აღარაფერი დარჩება მოსაშვერად, გარდა განძარცული ტოტებისაო".

არც ალუდა ქეთელაურის მეამბოხე სული გამოიწვევდა დიქტატორის აღფრთოვანებას. თავისუფალი აზროვნების ნიჭით გამდიდრებული ალუდა თამამად უპირისპირდება დრომოჭმულ ადათ-წესებსა და კანონებს, აღარც ხევისბერს შეეპუება და უცხო ტომის კაცის სულის მოსახსენებლად შესწირავს საკლავს. ალუდა შეუნიღბავ ბრძოლას უცხადებს მთელ საზოგადოებას და თავისი სინდისის უპირველეს მსაჯულად მიიჩნევს ჭეშმარიტებას.

დოსტოევსკისა არ იყოს, ყველაზე და ყველაფერზე მაღლა ჭეშმარიტებას აყენებს.

მაგრამ ალუდა ქეთელაურები არა სჭირდებოდა არც ძველსა და არც ახალ საზოგადოებას.

ირაკლი აბაშიძე წერს თავის მოგონებებში: „ეს იყო საერთოდ მთელი ქვეყნის ადამიანთა კოლექტივიზაციის წლები, სახელმწიფოებრივი ცდა პიროვნების გაუქმებისა და ადამიანთა გადაქცევისა კოლექტივის წევრად... წევრი და არა პიროვნება! უძველესი ლეგენდის პურის ყანის მსგავსად, სადაც შიგადაშიგ განსაკუთრებულად ამოზიდულ თავთავს მხოლოდ თავის წაცლა მოელის“.

თუკი, სტალინის აზრით, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება „ვეფხვისა და მოყმის“ ბალადიდან არის ამოზრდილი, ყველაზე მეტად ეს დებულება სწორედ „ალუდა ქეთელაურს“ შეიძლება მიუსადაგო:

„იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა“. ამ გენიალურ სტრიქონებს განა არ ეხმიანება დამწუხრებული ალუდას ამონაკვნესი: „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი; ჩვენა ვსცხონდებით,. ურჯულოთ კუპრში მიელის ქშენანი“.

ჰუმანისტური სულისკვეთება ერთიმეორის მხარდამხარ აყენებს ამ ორ შედევრს და შემთხვევითი როდია, რომ სტალინს ამ ბალადის მოსმენისას სწორედ ვაჟა გახსენებია („პროლეტარობის დოღმები“, ეტყობა, ჯერ არა ჰქონდა წაკითხული).

კიდევ სხვა ვარაუდებიც შეიძლება წამოიჭრას იმის თაობაზე, თუ რატომ შემოსწყრა სტალინი დიდებულ ქართველ პოეტს, მაგრამ ეს „დაუსწრებელი პაექრობა“ გამარჯვებულსა და დამარცხებულს ვერ გამოაველენს.

ქართველი ხალხის ცნობიერებაში გამარჯვება უნდა მოიპოვოს უჭკნობმა სიტყვებმა: „მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართველის გვარისა...“ იმპერატორები მოდიან და მიდიან, ხოლო პოეტები რჩებიან საუკუნოდ.

სოლჟენიცინის მარცხი

როდესაც ალექსანდრე სოლჟენიცინმა თავის „არქიპელაგ გულაგ-ში“ გვამცნო, „ოსობლაგებში“ მრავლად იყვნენ უკრაინელები და ბალტიისპირელები, მაგრამ ქართველები თითქმის არ შემხვედრია და გადასახლებაშიც არ მინახავსო, ბუნებრივი იქნებოდა, რომ ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საკითხი მიჩქმალულიყო იმ უდიდესი რეზონანსის ფონზე, რომელიც სოლჟენიცინის წიგნმა გამოიწვია ყველგან, დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში.

მაგრამ, ღვთის წყალობით, არ მიჩქმალულა. ანდრეი სახაროვმა მთელი მსოფლიოს გასაგონად ხაზი გაუსვა სოლჟენიცინის მიერ დაშვებულ უსამართლობას და ისიც დასძინა, რომ ქართველების ხვედრითი წილი, სუბიექტური ფაქტორების გამო, სხვებზე მეტიც იყო რეპრესიების მსხვერპლთა ოდენობაში (ალბათ, გულისხმობდა ბერიას თავისებურ მიკერძოებას საქართველოსადმი). აქვე უნდა ითქვას, რომ სახაროვის ჰაექრობა სოლჟენიცინთან, ძირითადად, ეხებოდა რუსეთის ბედიღბალსა და პოლიტიკური მომავლის გზებს. მით უფრო დასაფასებელია ამგვარი გამოქომაგება, რითაც არასოდეს ვყოფილვართ განებივრებული.

ოდნავ მოგვიანებით, როი მედვედევმა თავის რეცენზიაში „არქიპელაგ გულაგის“ მესამე ტომზე გარკვეული ადგილი დაუთმო აღნიშნულ საკითხს. უფრო ვრცლად დაასაბუთა სოლჟენიცინის წიგნში მოტანილი დაკვირვების უზუსტობა და ისტორიული სინამდვილის უეჭველი დამახინჯება.

როგორც ჩანს, სოლჟენიცინმა შემდგომში გაითვალისწინა კრიტიკული შენიშვნა და კეთილსინდისიერად გაასწორა შეცდომა. ზემოხსენებული პასაჟი აღარ გვხვდება „არქიპელაგ გულაგის“ 1987 წ. გამოცემაში (ვერმონტი-პარიზი).

სოლჟენიცინმა, ფაქტიურად, აღიარა თავისი არაობიექტურობა ერთ, კერძო საკითხში. ასეთი საქციელი მისთვის საკმაოდ უცხო ხილი უნდა იყოს. სხვათა შორის, მედვედევის რეცენზიაში გამოთქმული სხვა შენიშვნები იგნორირებულ იქნა. ანდა როგორ გაუწევდა ანგარიშს, როდესაც უმეტესწილად გაკრიტიკებული იყო არა ფაქტების სიზუსტე, არამედ მწერლის ჩამოყალიბებული კონცეფცია ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის თაობაზე. მათი უთანხმოების ერთ-ერთი საგანი ისაა, რომ სოლჟენიცინი, მრავალი საბჭოთა ისტორიკოსისა თუ მწერლისგან განსხვავებით, მასობრივი ტერორისა და რეპრესიების პიონერად სრულიადაც არ მიიჩნევს სტალინს. სწორედ სოლჟენიცინმა, თუ არ ვცდები, პირველმა საბჭოთა კავშირში. გამოამზეურა ლენინის ღვაწლი ამ საქმეში. ამასთან ერთად, არც ტროცკისა

თუ ტუხაჩევსკის აპოლოგეტად გვევლინება („პერესტროიკის“ ტრუბადურთა საპირისპიროდ). სოლჟენიცინი ამტკიცებს, რომ რუსი ხალხი მზად არ იყო ოქტომბრის რევოლუციისათვის და არაფრად სჭირდებოდა იგი. ხოლო მედვედევი, ქადაგი „ჭეშმარიტი მარქსიზმ-ლენინიზმისა“, თავგამოდებით ესარჩლება ლენინს და მთავარ დამნაშავედ ქვეყნის კატასტროფასა და გულაგის სისტემის შექმნაში შერაცხავს სტალინს.

ასეა თუ ისე, მედვედევის შენიშვნებმა, ეტყობა, გააღიზიანა სოლჟენიცინი და ამ ათიოდე წლის წინათ, მან საკმაოდ მკვახე სტრიქონები დახარჯა თავისი კრიტიკოსის შესამკობად. სოლჟენიცინის აზრით, მედვედევი არ მიეკუთვნებოდა დისიდენტებს (ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით) და საბჭოთა კავშირში პირადად მას არაფერი ემუქრებოდა, რადგან საუკეთესო ხერხებით იცავდა რეჟიმს, უფრო გონივრულად და მოქნილად, ვიდრე ოფიციალური პრესა (სოლჟენიცინი იქვე გადასწვდა როი მედვედევის ძმას — ინგლისში მცხოვრებ ჟორეს მედვედევს).

დავუბრუნდეთ წამოჭრილ საკითხს.

პროტესტმა გაჭრა და მორალური სატისფაქცია მივიღეთ. ასე რომ, აღარაფერი უნდა გვედარდებოდეს. მაგრამ ინტერესს იწვევს გარკვევა იმისა, თუ რამ წარმოქმნა, რამ ასაზრდოვა და რამ გამოიტანა დღის სინათლეზე ანკარა სიმართლის სამოსელში გადაცმული შებღალვა სიმართლისა — ვითომდა, სტალინი და ბერია იმდენად ელოლიავებოდნენ ქართველებს, რომ ციმბირის სუსხი არ აგემეს, შემთხვევითი უზუსტობაა თუ ძვალ-რბილში გამჯდარი შეხედულების შედეგი?

სოლჟენიცინის „არქიპელაგში“ ასახულია არა მარტო მილიონობით ადამიანთა გაუგონარი ტრაგედია, ნაადრევი სიკვდილისა თუ ხანგრძლივი გულაგის ქვეშევრდომებად რომ აქცია ულმობელმა სისტემამ, არამედ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოხვედრილ ხალხთა სავალალო ხვედრიც.

ძალზე საყურადღებო და მრავლისმთქმელი გახლავთ გამოჩენილი რუსი მწერლის მსჯელობა ამა თუ იმ ხალხის შესახებ. სოლჟენიცინი დაუფარავად ამხელს ეროვნული პრობლემის წყლულებს, ნიღაბს ჩამოხდის ოფიციალურ თვალსაზრისს, ვარდისფერი სათვალით ჭვრეტის ნაცვლად, პირდაპირ თვალებში შეჰყურებს შიშველ სიმართლეს. მწერალმა თითქმის ოცი წლით გაუსწრო ე. წ. საჯაროობას. რასაც საბჭოთა კავშირში ჩურჩულით ამბობდნენ, ხოლო დასაელეთის „ხმების“ ინფორმაციას მტრული პროპაგანდის ცილისწამება ერქვა, სოლჟენიცინმა იშვიათი გამბედაობით განაცხადა თავის მართლაც ეპოქალურ წიგნში, რომელიც ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას დაასრულა.

სოლჟენიცინი „არქიპელაგის“ მესამე ტომში საგანგებოდ ეხება

უკრაინელთა ბედს მოკლედ მიმოიხილავს რუსებისა და უკრაინელების ხანგრძლივ ისტორიულ ურთიერთობას — კიევის რუსეთიდან ვიდრე ოქტომბრის რევოლუციამდე: აღნიშნავს ენებისა და ზნე-ჩვეულებათა განცალკევებას, სკეპტიკურად მოიხსენიებს უკრაინის „გაერთიანებას“ რუსეთთან, იმოწმებს ლენინის სიტყვებს („პრავდა“, 1917 წლის 7 ივნისი) იმაზე, რომ ბოლშევიკები თვლიან უკრაინას „რუსი მეფეებისა და კაპიტალისტების მიერ მიტაცებულად“, მიუთითებს ამ კურსის გაქარწყლებას რევოლუციის შემდგომ პერიოდში და ბოლოს დაასკვნის:

„ასე რატომ გვაღიზიანებს უკრაინელთა ნაციონალიზმი, სურვილი ჩვენი ძმებისა — ილაპარაკონ და ბავშვები აღზარდონ და ბრებიც გამოაკრან თავიანთ ენაზე? ამ მხრივ მიხეილ ბულგაკოვიც კი („თეთრ გვარდიაში“) აჰყვა მცდარ გრძნობას. თუკი ბოლომდე ვერ მოხერხდა ჩვენი შერწყმა, თუკი რაღაცით განვსხვავდებით (ისიც საკმარისია, რომ ამას შეიგრძნობენ ისინი, უმცროსნი), ძალზე სამწუხაროა! მაგრამ რას იზამ, თუკი ასეა? რას იზამ, თუკი ფუჭად ჩაიარა დრომ, და ყველაზე უფრო ფუჭი გამოდგა 30-იანი და 40-იანი წლები, და საკითხი ყველაზე მეტად გამწვავდა არა მეფის, არამედ კომუნისტების დროს! მაშინ ასე რად გვაღიზიანებს მათი სურვილი გამოყოფისა? რაო, ოდესის პლაჟები გვენანება თუ ჩერკასის ხილი?

ამას გულისტკივილით ვწერ: უკრაინული და რუსული შერწყმულია ჩემს სისხლში, გულსა და გონებაში. მაგრამ ლაგერებში უკრაინელებთან მეგობრული ურთიერთობის მდიდარმა გამოცდილებამ თვალი ამიხილა და დამანახა მათი სატკივარი. ჩვენი თაობა ვერ ასცდება წინამორბედთა შეცდომების ანაზღაურებას.

ფეხი დააბაკუნო და იყვირო: „ეს ჩემია!“ — ყველაზე მარტივი გზაა. განუზომლად უფრო ძნელია წარმოთქვა, „ვისაც როგორ უნდა, ისე იცხოვროს!“. რა საოცარიც არ უნდა იყოს, არ ასრულდა მოწინავე მოძღვრების წინასწარმეტყველება — ნაციონალიზმი ჭკნებაო. იგი რატომღაც გაიფურჩქნა ატომისა და კიბერნეტიკის საუკუნეში. და დრო დგება, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გადავიხადოთ ყველა ვექსილი თვითგამორკვევისა, დამოუკიდებლობისა, — ჩვენ თვითონ გადავიხადოთ და აღარ დაველოდოთ, სანამ კოცონზე დაგვწვავენ, მდინარეებში ჩაგვახრჩობენ და თავებს დაგვჭრიან. ვართ თუ არა დიდი ერი, უნდა დავამტკიცოთ არა ტერიტორიის სიდიდით, არა სიმრავლით ქვეშევრდომი ხალხებისა, არამედ ჩვენი ქცევის სიდიადით, უნდა დავამტკიცოთ სიღრმით ხნულისა, რომელსაც გავავლებთ იმ მიწაზე, რაც დაგვრჩება სხვა ქვეყნების გამოკლებით, ჩვენთან ერთად ცხოვრებას რომ აღარ მოისურვებენ.

უკრაინის გამოყოფა ძალზე მტკივნეული იქნება. მაგრამ უნდა იცოდე მათი აწინდელი .საერთო დუღილი. თუკი ვერ მოგვარდა

საუკუნეთა მანძილზე, — მაშასადამე, ჩვენ გვერგო წილად კეთილგონიერების გამოვლენა, ჩვენ ვალდებული ვართ, რომ გადაწყვეტილების მიღება მათვე მივანდოთ — ფედერალისტებს ან სეპარატისტებს, ვინც ვის დაარწმუნებს. თუ არ დავუთმობთ — უგუნურება იქნება და სისასტიკე. და რაც უფრო რბილად, მეტი მოთმინებით მოვეპყრობით, მით უფრო მეტი იმედი დარჩება, რომ მომავალში აღდგეს ერთიანობა.

დაე იცხოვრონ ცალკე, გამოსცადონ. ისინი მალე იგრძნობენ, რომ ყველა პრობლემა როდი გადაიჭრება გამოყოფით".

მართალია, ფინალური აკორდი სოლჟენიცინის „არქიპელაგიდან" ვრცლად დამოწმებული ტექსტისა ოდნავ ეწინააღმდეგება მთელი მსჯელობის პათოსს და დისონანსი შეაქვს წინარე მოსაზრებათა სიმკაცრეში, მიუხედავად ამისა, წარუშლელი შთაბეჭდილება გვრჩება, როდესაც ვკითხულობთ სამართლიანობის წყურვილით შეპყრობილი რუსი მწერლის ნაღვლიან ფიქრებს საბჭოეთში გაერთიანებული ხალხების შესახებ. გულს მართლაც ეამება მისი გულწრფელი მონანიება, სხვათა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოსწორებას რომ ლამობს.

„არქიპელაგის" იმავე ტომში ვკითხულობთ: „განსაკუთრებით მესულგულება ესტონელები და ლიტველები. თუმცა ერთ ბედქვეშ მყოფი ტუსაღები ვართ, ისე მრცხვენია მათი, თითქოს მე დავატუსაღე. შეურყვნელნი, მუყაითნი, სიტყვის ერთგულნი, მოკრძალებულნი, — რისთვის ჩაითრიეს დასაფქვავად იმავე, წყეულ დოლაბებში? არავის უშლიდნენ ხელს, ცხოვრობდნენ წუნარად, დალაგებულად, ჩვენზე უფრო ზნეობრივად — და აი, მათი დანაშაული ისაა, რომ ბინადრობენ ჩვენს იდაყვქვეშ და ჩვენგან გადაუღობავთ ზღვა. „სამარცხვინოა, რომ რუსი ხარ!" — წარმოთქვა გერცენმა, როდესაც პოლონეთს ეახრჩობდით, ხოლო საბჭოთა ადამიანი რომ ხარ, ორმაგად სამარცხვინოა ამ უწყინარი, უმწეო ხალხების წინაშე".

ერთობ უცნაურია, რომ სოლჟენიცინი თავისი გულის სითბოს უწილადებს ესტონელებსა და ლიტველებს, მაგრამ რატომღაც ავიწყდება ლატვიელები. თუმცა დავიწყება რა სათქმელია, აქვე მოიხსენიებს, ოღონდ სხვა ბანაკში ათავსებს. ისინი ვერ იმსახურებენ მწერლის კეთილგანწყობას.

„ჩემი დამოკიდებულება ლატვიელების მიმართ უფრო რთულია. აქ რაღაც ბედისწერაა. ყოველივე ეს ხომ თვითონვე დათესეს",— წერს სოლჟენიცინი. გულისხმობს იმას, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებასა და მასობრივი ტერორის განხორციელებაში ლატვიელებს საკმაოდ დიდი წელილი შეუტანიათ.

„არქიპელაგის" სხვა მონაკვეთში ვკითხულობთ, რომ ოცდაჩვიდმეტში რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა ყველა ლატვიელი მსროლელი და ლატვიელი ჩეკისტი: „დიახ, ლატვიელები, აკუშერები რევოლუციისა, სულ ახლახან ჩეკას ბირთვსა და სიამაყეს რომ წარმოადგენ-

დნენ". და კიდევ ერთხელ გაკენწლავს ლატვიელებს:: „ლატვიელი მსროლელნი — რევოლუციის ადრეული წლების ყველაზე საიმედო ხიშტები, რომლებიც ერთიანად დაატუსაღეს 1937-ში და ჯაშუშობა დასწამეს!"

ოცდაჩვიდმეტის იმ მსხვერპლთა შორის, რომელთაც, სოლჟენიცინის აზრით, სავსებით დამსახურებულად მოიმკეს ის, რასაც თვითონ თესავდნენ, გამოჩენილ პარტიულ მოღვაწეთა, მხედართმთავართა და ჩეკისტთა სიაში დასახელებულ არიან ცნობილი ლატვიელი ჩეკისტები: პეტერსი, ლაცისი, ბერზინი.

ამრიგად, სოლჟენიცინის კლასიფიკაციის მიხედვით, ლატვიელების ადგილი არ აღმოჩნდა, ასე ვთქვათ, „წმინდათა" ბანაკში და ისინი მიეკუთვნენ „უწმინდურებს". ლატვიელ მსროლელთა თუ ჩეკისტთა გამოისობით მთელი ხალხი იმსახურებს მწერლის უნდობლობას.

იგივე კრიტერიუმი მეღავნდება სხვა შემთხვევაშიც.

ფრანგი სლავისტი ჟორჟ ნივა შენიშნავს, რომ სოლჟენიცინის მეორე ცოლი ტომით ებრაელია და მიუხედავად ამისა, მწერალს მაინც სწამებენ ანტისემიტიზმის გამოვლინებას. კერძოდ, დამოწმებულია ფრანგი მწერლის ჟან კატალას სამდურავი იმის თაობაზე, რომ სტალინის მიერ გაჟლეტილ ებრაელ მწერალთა შესახებ „არქიპელაგში" სიტყვაც არაა დაძრული, ხოლო გულაგის სისტემის ფუძემდებელთა ებრაული გვარები ხაზგასმით არის ჩამოწერილი. ამასთან ერთად, სოლჟენიცინის წიგნს, რომელიც არ გამოირჩევა ილუსტრაციების სიუხვით, ამ ცნობილ ჩეკისტთა ფოტოსურათებიც ამშვენებს. ესენი არიან: იაგოდა, ფრენკელი, რაპოპორტი, ბერმანი, კოგანი, ფირინი, უუკი.

სოლჟენიცინმა დაუყოვნებლივ გაიმართლა თავი:

„მე უბრალოდ ჩამოვთვალე ყველა, ვინც იმ წლებში ხელმძღვანელობდა მთელ გულაგს და ბელომორკანალს, სამუშაოთა წარმოებას, ჩემი ბრალი როდია, რომ ისინი ებრაელები ყოფილან. მე ხელოვნურად არ შემირჩევია მათი გვარები, ასე გვიჩვენა ისტორიამ. კომუნისტურ ხელისუფლებასთან კამათისას ყოველთვის ვპასუხობდი მათ: მაშინ კი არ უნდა შეგრცხვეს დანაშაულისა, როდესაც მას აღწერენ, არამედ მაშინ, როდესაც სჩადიან დანაშაულს, და ისტორიკოსის მოვალეობაა მიუთითოს ის, რაც მოხდა... ყოველი ადამიანის ვალია — აღიაროს თავისი დანაშაული, და ყოველი ერის ვალია — აღიაროს თავისი მონაწილეობა ცოდვებში. და ამიტომაც, თუკი ებრაელებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, ვფიქრობ, რომ თვითონ ისინი დაწერენ ყველაფერს და მართებულადაც მოიქცევიან".

ასეთი ახსნა-განმარტება, რასაკვირველია, ნავთს დაასხამდა ცეცხლზე. მით უმეტეს, რომ ზემოთქმულით როდი ამოიწურება მწერლის მისამართით ნასროლი ბრალდება.

სოლჟენიცინის შეხედულებით, ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში მოახდინეს გადამთიელებმა, უცხოტომელებმა და მისი მთავარი მსხვერპლი შეიქნა რუსი ხალხი. თუ გავიხსენებთ ოქტომბრის ბელადებისა და წინამძღოლთა გვარებს, ადვილი მისახვედრია, თუ ვინ მოუნათლავს მწერალს „გადამთიელებად“. მათი გადამწყვეტი როლი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებასა და გულაგის შექმნაში ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტებაა სოლჟენიცინისათვის.

ოპონენტები ვალში არ დარჩენილან. როდესაც რადიოსადგურმა „თავისუფლებამ“ გადასცა ერთ-ერთი თავი სოლჟენიცინის მრავალტომიანი ეპოპეიდან „წითელი ბორბალი“, რომელშიც მოთხრობილია სტოლიპინის მკვლელობა (ებრაელი სტუდენტის ხელით), ამ ფაქტმა მყისვე გამოიწვია ისრაელის კნესეტში საგანგებო კომისიის შექმნა „ანტისემიტიზმის აფეთქების“ საქმის განსახილველად. „ამერიკის ხმას“ ეკრძალა სოლჟენიცინის „არქიპელაგ გულაგის“ კითხვა, ხოლო დიქტორი, რომელმაც ამ წიგნის ფრაგმენტი თვითნებურად გაუშვა ეთერში, დაითხოვეს სამსახურიდან. აკრძალულ იქნა აგრეთვე გადაცემა სტოლიპინის მკვლელობის სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით.

ერთი სიტყვით, ანტისემიტიზმში ეჭვმიტანილი სოლჟენიცინი შეურიგებელი თავდასხმების ობიექტი გახდა...

როგორც ვხედავთ, სოლჟენიცინის დამოკიდებულებას ამა თუ იმ ხალხისადმი, მნიშვნელოვანწილად, განსაზღვრავს მათი პოლიტიკური ფიზიონომია წარსულში ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათი წვლილი ოქტომბრის რევოლუციაში, სამოქალაქო ომსა და მასობრივ რეპრესიებში. ამას თვალნათლივ გვიჩვენებს მწერლის მსჯელობა ლატვიელებსა და ებრაელებზე.

რაც შეეხება ქართველებს, მართალია. სოლჟენიცინი კონკრეტულად არაფერს ამბობს, მაგრამ საქმის არსი ისედაც ნათელია. მკითხველმა, შესაძლოა, ზედმიწევნით არ იცოდეს ოქტომბრის რევოლუციისა და. სამოქალაქო ომის პოპულარული ფიგურების, აგრეთვე ჩეკას დიდმოხელეთა ეროვნული წარმოშობა, მაგრამ რომელი ხალხის შვილი განაგებდა საბჭოთა კავშირს თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე, საყოველთაოდ არის ცნობილი.

რასაკვირველია, სავსებით გასაგებია სოლჟენიცინის განსაკუთრებული სიძულვილი სტალინისადმი. საერთო-სახალხო მოტივს ემატება საკუთარი ჭირ-ვარამი. უნდა გვახსოვდეს, რომ 1945 წლის თებერვალში წითელი არმიის ორდენოსან კაპიტანს ფრონტიდან პირდაპირ კონცლაგერში უკრეს თავი და მხოლოდ სტალინის სიკვდილმა მოუტანა თავისუფლება. „არქიპელაგში“ მწერალი ნაირ-ნაირი ეპითეტებით აჯილდოებს სტალინს: „ყასაბი... ბანდიტი... აზიელი დიქტატორი... თბილისელი პლებეი... სატანა, რომელმაც დაასახიჩრა მთელი ჩემი ცხოვრება“ და ა. შ.

ანგარიშსწორება საძულველი სტალინის სამშობლოსთან „არქიპელაგით“ არ დამთავრებულა.

1968 წელს დასავლეთში გამოქვეყნდა სოლჟენიცინის რომანი „გარსი პირველი“, სადაც აღწერილია პოლიტიკურ ტუსაღთა ცხოვრება მოსკოვის გარეუბან მარფინოს „შარაშკაში“, რომელიც წარმოადგენდა ტექნიკური დარგის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს გულაგის სისტემაში. რომანი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და პერსონაჟთა უმრავლესობას გამოკვეთილი პროტოტიპები ჰყავს. ასე მაგალითად, ლევ რუბინი გახლავთ ცნობილი გერმანისტი ლევ კოპელევი (ამჟამად იმყოფება ემიგრაციაში), დიმიტრი სოლოგდინი — ინჟინერი დიმიტრი პანინი (გარდაიცვალა ემიგრაციაში), ხოლო მთავარი გმირი გლებ ნერჟინი ერთობ წააგავს თვით ავტორს. სოლჟენიცინი ზოგჯერ უკიდურესი სიზუსტით, იოტისოდენა ცვლილების გარეშე, იმეორებს რეალობას თავისი რომანის ფურცლებზე. ორიოდე ნიმუშის დამოწმება საკმარისია ნათქვამის დასადასტურებლად: ნერჟინს, ისევე როგორც სოლჟენიცინს, დაპატიმრებამდე კაპიტნის სამხედრო წოდება ჰქონდა და ფრონტზე საარტილერიო ბატარეას მეთაურობდა. 1949 წლის დეკემბერში ნერჟინს უსრულდება ოცდათერთმეტი წელი (სოლჟენიცინიც დაბადებულია 1918 წლის დეკემბერში). რუბინი ექვსი წლით უფროსია ნერჟინზე (ისევე, როგორც კოპელევი — სოლჟენიცინზე).

ამ წერილმანი ფაქტების ერთობლიობა მიგვანიშნებს, რომ ასევე დოკუმენტური იერით უნდა იყოს აღბეჭდილი პერსონაჟთა ცხოვრების ეპიზოდები, მათი მსოფლმხედველობა და ა. შ. სოლჟენიცინი კვერს უკრავს ამ ვარაუდს: „მარფინოს შარაშკა და თითქმის ყველა მისი მკვიდრი დახატულია ნატურიდან“. აღსანიშნავია, რომ დასახელებულმა პანინმა, სოლჟენიცინის მარფინოს დროინდელმა მეგობარმა, დასავლეთში გამოქვეყნებულ თავის მოგონებებს უწოდა „სოლჟენიცინის ჩანაწერები“. მაშასადამე, თავს აიგივებს სოლჟენიცინის პოპულარული რომანის გმირთან.

ჭარბი დოკუმენტურობით გამორჩეული მხატვრული ნაწარმოები, ალბათ, კიდევ უფრო მეტად მოითხოვს სიზუსტეს ისტორიული სინამდვილის ასახვისას, როდესაც საქმე ეხება მთელი ქვეყნის ცხოვრებას, ამა თუ ამ ხალხის ადგილს მოვლენათა მსვლელობაში და სახელგანთქმულ ისტორიულ პირთა პორტრეტებს.

ამ მხრივ, სოლჟენიცინის რომანი, ცოტა არ იყოს, სცოდავს. მე-20 თავში ასეა გადმოცემული კრემლის მბრძანებლის მიერ ომისდროინდელი ვითარების გახსენება:

„უღალატეს უკრაინელებმა... უღალატეს ლიტველებმა, ესტონელებმა, თათრებმა, ყალმუხებმა, ჩეჩნებმა, ინგუშებმა, ლატვიელებმა — რევოლუციის ბურჯმა ლატვიელებმაც უღალატეს! და თვისტომი ქართველებიც კი, მობილიზაციებისაგან რომ დაიფარა — ისინიც ვითომ-

და არ ელოდნენ ჰიტლერს!“

დამოწმებულ ფრაგმენტში სოლჟენიცინი, „ოსობლაგებზე“ მსჯელობისგან განსხვავებით, პირად გამოცდილებას აღარ ეყრდნობა, იმას როდი გვაუწყებს, ჩემს სამხედრო შენაერთში ქართველები არ შემხვედრიაო, არამედ მოწმედ მოჰყავს სტალინი და შინაგან მონოლოგში ათქმევინებს: ქართველები საომრად არ გამიშვიაო. ამჯერად თვით სტალინი აღიარებს პროტექციონიზმის ფაქტს. ხოლო უმაღლეს მთავარსარდალზე უკეთ ვის ეცოდინებოდა, თუ რომელ ხალხს რამდენი სისხლი დააღვრევინა ომში და რომელი ხალხი იხსნა სისხლის ღვრისაგან. ავტორს გამოუყენებია საკმაოდ ეფექტური და მომგებიანი ხერხი — სტალინის პირით გადმოგვცეს თავისი ლაღი ფანტაზიის ნაყოფი. ახლა წარმოვიდგინოთ მკითხველის რეაქცია. მას მშვენივრად მოეხსენება საქვეყნოდ ცნობილი ინფორმაცია ომის წლებში ზოგიერთი ხალხის „ღალატის“ თაობაზე. იქვე კითხულობს წარმოშობით ქართველი ბელადის მიერ მშობელი ქართველი ხალხისათვის გაწეულ შეღავათს და ვინაიდან მწერლის ნათქვამი აქამდე ერთგულად მისდევდა ისტორიულ სინამდვილეს, მკითხველი აქაც ენდობა წაკითხულის უტყუარობას. აბა, ვინ იფიქრებს, რომ სიმართლის სიმბოლოდ აღიარებულ სოლჟენიცინს სიცრუე ოსტატურად შეუზავებია სიმართლესთან, რათა თავის გუნებაზე „გადმოდრებინა“ ისტორია. აშასთან ერთად, მკითხველის ცნობიერება, ბოლო ხანებში აბობოქრებული დეზინფორმაციის გაელენით, სავსებით მომზადებული ხედება ყოველგვარ ფანტასტიკურ ცნობას (საბჭოთა კავშირში რომანი დაიბეჭდა 1990 წელს).

ამრიგად, სოლჟენიცინი ამტკიცებს, რომ სტალინის წყალობით ქართველები გადაურჩნენ მობილიზაციებს და ომში მონაწილეობა არ მიუღიათ.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია... განა საჭიროა იმ შთამბეჭდავი ციფრების დამოწმება, ომში ქართველების მონაწილეობასა და მსხვერპლის ოდენობას რომ მეტყველებს? მკითხველს თავს აღარ შევაწყენ ტრაგიკული სტატისტიკით, რომელიც მრავალგზის დაუმოწმებიათ ჩვენში.

როდესაც სოლჟენიცინი თავის „არქიპელაგში“ მოგვითხრობს სტალინის ბრძანებით ჩრდილოკავკასიელი ხალხების გადასახლებას შუა აზიაში, ბუნებრივია, ვერ მალავს აღშფოთებას. მართლაც, რა შეიძლება იყოს იმაზე შემზარავი, ვიდრე მთელი ხალხის დასჯა მისი წარმომადგენლების (ათი იქნება თუ ათასი) დანაშაულის გამო. მაგრამ თვითონ მწერალიც, ფაქტიურად, სტალინივით აფასებს მთელ ხალხს ერთეულთა ან გარკვეული ჯგუფისადმი ანტიპათიის საფუძველზე. ამიტომაც, შეძლებისდაგვარად, შეურისხავს ლატვიელები, ებრაელები, ქართველები.

1975 წელს პარიზში გამოქვეყნდა სოლჟენიცინის ლიტერატურული ავტობიოგრაფია „ხბო მუხას ერჩოლებოდა“, რომელმაც გამოიწვია ალექსანდრე ტვარდოვსკის ოჯახისა და მეგობრების გულისწყრომა.

ვლადიმერ ლაკშინი, „მარჯვენა ხელი“ ტვარდოვსკისა ჟურნალ „ნოვი მირში“, უპირველესი ქომაგი სოლჟენიცინის გახმაურებული მოთხრობისა „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“ (1962 წ.), მწერლის ახალ ნაშრომზე მსჯელობისას წერდა: „სოლჟენიცინმა, აღზრდილმა სამართლიანი სიძულვილით სტალინიზმისადმი, შეუმჩნეველად შეიწოვა თავის ტვინსა და სულში მისი შხამები, და იქნებ ამიტომაც არის მის წიგნში ესოდენ ბევრი შეუწყნარებლობა, გაბოროტება, ხრიკები, უმადურობა“.

ოლგა კარლაილი, რუსული წარმოშობის ამერიკელი ჟურნალისტი (შვილიშვილი მწერალ ლეონიდ ანდრეევისა) ლაპარაკობს თავის როლზე იმ საიდუმლო ქსელის შექმნაში, რომელიც დახმარებას უწევდა სამშობლოში მყოფ სოლჟენიცინს, საზღვარგარეთ გამოეცა „არქიპელაგი გულაგი“ და „გარსი პირველი“. შემდეგ მიუთითებს მწერლის უმადურობას (მას ზიზღითა და მტრულად მოუხსენებია კარლაილი), ხატავს „დესპოტის“ პორტრეტს, ვინც უყოყმანოდ სწირავს თავის ახლობლებს, თუკი რაიმე დასაძრახი მოეჩვენება რომელიმე მათგანის საქციელში. ლაკშინიც და კარლაილიც აღნიშნავენ სოლჟენიცინის „ტირანიას“, რომელიც ფანატიკურად არის შეპყრობილი თავიში იდეით და გულგრილად ეპყრობა მის აღმსრულებელ ადამიანებს.

დიახ, სოლჟენიცინს, ერთი მხრივ, უწოდებენ „ჩვენი დროის დანტეს“ (სავსებით სამართლიანად) და, მეორე მხრივ — „ტირანსა“ და „დესპოტს“ (ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ).

„არქიპელაგში“, გადმოგვცემს რა თავისი ახალგაზრდობისდროინდელ ეპიზოდს, როდესაც ბეწვზე გადაურჩა შინსახკომში სამსახურის დაწყებას, მწერალი დაასკვნის: „და ორმოსთან, საითაც უკვე ხელი უნდა ეკრათ ჩვენზედ ავისმქნელთ, გაოგნებულნი ვჩერდებით: აგრე აეწყო მხოლოდ, რომ ჯალათებად ჩვენ კი არა, ისინი იქცნენ. აბა ერთი, მოვეხმეთ მალიუტა სკურატოვს, მგონი არც ჩვენ ჩავიჭრებოდით!“ (მალიუტა სკურატოვი — ივანე მრისხანის მიერ დაარსებული დამსჯელი უწყების „ოპრიჩნინის“ თაეკაცი).

შესაშური გულწრფელობითა და ტანჯვაგამოვლილი ადამიანის ბრძნული გულისხმიერებით ნათქვამ სიტყვებს ჭეშმარიტად ქრისტიანული შემწყნარებლობის სულისკვეთება ამშვენებს, მაგრამ ზემოთ განხილულ შემთხვევებში სოლჟენიცინს რატომღაც ავიწყდება შემწყნარებლობა, ცალკეული პიროვნების მოყვარე და გულშემატკივარი შესაბამის გრძნობებს ეეღარ ამჟღავნებს ათვალწუნებული ხალხების ხსენებისას, რომელთაგან ყველაზე მეტად არ ეჭაშნიკება ქართველები — თვისტომნი სტალინისა:

სოლჟენიცინის რომანში „გარსი პირველი“ რამდენიმე თავი ეთმობა სტალინს.

1964 წელს მწერალმა რომანი წარუდგინა „ნოვი მირის“ რედაქციას. ზემოხსენებული ლაკშინი თავის დღიურში წერდა: „თავები სტალინზე, ცოტა არ იყოს, ფელეტონურია“. მანვე აღნიშნა რედკოლეგიის სხდომაზე, რომ სტალინის ასახვა მხატვრული თვალსაზრისით სადავოდ გამოიყურება (საქმეში ჩახედული პირნი მწერალს უკიჟინებდნენ „კრემლის განდეგილის“ ყოფაცხოვრებითი დეტალების უზუსტობასაც). სოლჟენიცინმა უპასუხა, რომ ჯერჯერობით ძალზე მცირე ინფორმაცია მოიპოვება სტალინის შესახებ და მწერალს უფლება აქვს მიხვედრისა, გამოცნობისა. დასძინა, რომ აბაკუმოვი (სახელმწიფო უშიშროების მინისტრი) გუმანით აღწერა და ამჟამად ისინი, ვისაც აბაკუმოვთან უმუშავია ან შეხვედრია მას, უდასტურებენ, მართალი ხარო. ვერ დაუჯერებიათ, რომ მწერალს არასოდეს უნახავს იგი.

სოლჟენიცინი იხსენებს: „მე კი მიმაჩნდა: „დაე, მოიმკოს სტალინმა, რაც დათესა თავისი თავის გასაიდუმლოებით. იგი ცხოვრობდა იდუმალებით მოსილი და ახლა ყველას აქვს უფლება დაწეროს მასზე ყველაფერი საკუთარი წარმოდგენის შესაბამისად. ეს არის უფლება და ეს არის ამოცანა ხელოვანისა — წარმოადგინოს თავისი სურათი და გაიტაცოს მკითხველი“.

როგორც სოლჟენიცინის შემოქმედების მკვლევარი პეტრე პალამარჩუკი წერს, რომანში გამოყვანილი სტალინი სრულიადაც არა ჰგავს რეალურად არსებულს. იგი დახატულია საშუალო საბჭოთა ზეკის (ტუსაღის) წარმოსახვით.

მკითხველის მეხსიერებაში მკაფიოდ რჩება გალერეა ოსტატურად გამოძერწილი პორტრეტებისა. გვაღელვებს ტუსაღთა უჩვეულო თავგადასავალი, მათი ბედის თავბრუდამხვევი ტრიალი, დამოკიდებული კომპრომისის უნარსა თუ იდეალისტურ თავგანწირვაზე. დიდი ინტერესით ეცნობი მათი განცდებისა და აზროვნების მრავალფეროვნებას. ნამდვილად უხერხულია ასე გაკვრით, სახელდახელო ხერხებით ამ რომანის ღირსებათა აღნიშვნა. „გარსი პირველი“ გაცილებით ვრცელ ანალიზსა და გაცილებით მეტ ქებას იმსახურებს. სწორედ ამიტომაც გეხვდება თვალში, რომ სოლჟენიცინის რომანში სტალინის პორტრეტის ნაცვლად მოცემულია კარიკატურა (უფრო ზუსტად — პასკვილი), რომელსაც ასულდგმულებს შეუნიღბავი და მძაფრი სიძულვილი.

აი, თუნდაც ორიოდე სტრიქონი სტალინის ბავშვობაზე:

„ტურტლიანი სოსო არ ამომძვრალა ტლაპოებიდან, თამარ მეფის გორაკის მახლობლად რომ იყო“...

სხვას რომ თავი დავანებოთ, რა შუაშია აქ თამარ მეფე და მისი

არარსებული გორაკი გორში?!

ახლა სიბერეში ენახოთ „ტურტლიანი სოსო“.

საიუბილეო ზეიმის შემდეგ თავს უქეიფოდ გრძნობს, თურმე მაგრად გამომძღარა, მუცელი ლოდივით ემძიმება, მყრალად აბოყინებს და ყაბზობა სტანჯავს. სალოლი და ბელადონა არ შველის, ხოლო სასაქმებელი ზეთის დალევა არ ეპიტნავება.

ბრწყინვალე შტრიხებია იმისათვის, რომ ერთი ხელის მოსმით დახატო უარყოფითი გმირი!

თუკი კუჭ-ნაწლავის მოქმედებას ან უმოქმედობას ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის დასახასიათებლად, მაშინ ამ რომანის სხვა პერსონაჟებმა (მათ შორის — ჩეკისტებმა) რაღა დააშავეს? ნუთუ ყველას წესრიგში ჰქონდა ორგანიზმი?

კიდევ ერთი იაფფასიანი ხერხი გამოჭიმულა წინა პლანზე — ქართული აქცენტის უზომო ექსპლუატაცია, როდესაც უმოწყალოდ მახინჯდება რუსული ენის ორთოგრაფია და ყურადღება გამახვილებულია რუსულ სიტყვებში მახვილის არასწორად დასმაზე. შესაძლოა, ამ „შეუწყნარებელი ველურობის“ ერთხელ მითითება საჭიროც იყოს კოლორიტის შესაქმნელად, მაგრამ მთელი აბზაცების გადატვირთვა (როგორც დიალოგში, ასევე შინაგან მონოლოგში) ესოდენ არასერიოზული ვარჯიშით უსიამო შთაბეჭდილებას ტოვებს. ნუთუ მარტოოდენ რუსი მკითხველისათვის აიტკივა თავი ავტორმა? ამ პასაჟებს თარგმანში ხომ დაეკარგება მთელი ეშხი და იდეური ფუნქცია (ვაი სირცხვილო, რუსული ენის უცოდინარი განაგებდა რუსეთს!).

ტვარდოვსკის ერთხანს სჯეროდა რომანის დაბეჭდვა „ნოვი მირში“ და, თვით სოლჟენიცინის სიტყვით, მოითხოვდა მე-20 თავის („ეტიუდი დიადი ცხოვრებისა“) ამოღებას, სადაც მწერალი ცდილობდა ფსიქოლოგიურად და გარეგანი ფაქტებით დაემტკიცებინა ვერსია სტალინის თანამშრომლობისა მეფის ოხრანკასთან (აღნიშნული მოსაზრება თავდაპირველად გამოთქმულ იქნა „არქიპელაგ გულაგის“ პირველ ტომში).

საფიქრებელია, რომ სოლჟენიცინი სხვა ძალზე საეჭვო მასალასთან ერთად, რომელიც შორსა დგას პირველწყაროთაგან და შინაპარტიული კინკლაობის ანარეკლი უნდა იყოს, ეყრდნობა ამერიკელი სოვეტოლოგის ისააკ ლევინის პუბლიკაციას ჟურნალ „ლაიფის“ ფურცლებზე (1956 წ.) ეს გახლავთ რუსეთის პოლიციის დეპარტამენტის საგანგებო განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ ერიომინის წერილი, დათარიღებული 1913 წლის 12 ივლისით, ენისეის ოხრანკის უფროსის ალექსეი ფეოდოროვიჩ ჟელეზნიაკოვის სახელზე. წერილში აღნიშნულია, რომ ტურუხანის მხარეში გადასახლებული იოსიფ ვისარიონოვიჩ ჯუღაშვილი — სტალინი 1906 წლიდან თანამშრომლობდა ოხრანკასთან თბილისში, ბაქოსა და პეტერბურგში. პარტიის

ცენტრალურ კომიტეტში არჩევის შემდეგ (პრაღა, 1912 წ.) პეტერბურგში დაბრუნებული სტალინი აშკარა ოპოზიციაში უდგება მთავრობას და საგანგებო წყვეტს კავშირს ოხრანკასთან.

სხვათა შორის, ამერიკელ სოვეტოლოგებს ერთხელაც არ გამოუყენებიათ დამოწმებული დოკუმენტი, რაც ცხადად მეტყველებს, რომ ისინი სიყალბედ მიიჩნევდნენ მას. სამაგიეროდ, ლევინის პუბლიკაციამ დიდი გამოძახილი ჰპოვა საბჭოთა კავშირში და სენსაციების მოყვარულ წვრილფეხა ჟურნალისტთა საკბილოდ იქცა.

ამ დოკუმენტის სიყალბე გამოწვლილვით არის დამტკიცებული საარქივო საქმის სპეციალისტების ბორის კაპტელოვისა და ზინაიდა პერეგუდოვას ნარკვევში „იყო თუ არა სტალინი ოხრანკის აგენტი?"

მათი არგუმენტების სიმრავლიდან მხოლოდ ერთს დავიმოწმებ.

მითითებულია შეცდომა, რომლის აღმოჩენა საარქივო საქმის ექსპერტობას არ მოითხოვს. რევოლუციამდელი მართლწერის თანახმად, ოფიციალურ საბუთებში პიროვნების მამის სახელს სხვაგვარად წერდნენ, ვიდრე დღეს. მაგალითად, „ივან პეტროვიჩის" ნაცვლად იწერებოდა „ივან პეტროვ". ხოლო ერიომინის წერილში ვკითხულობთ: „იოსიფ ვისარიონოვიჩ" (1913 წელს ერიომინს უნდა დაეწერა „იოსიფ ვისარიონოვ").

თვით პუბლიკატორი „ერიომინის წერილისა" იძულებული იყო ეღიარებინა, რომ სტალინის ყველაზე უფრო კრიტიკულად განწყობილი ბიოგრაფები, „მათ შორის მისი უმძვინვარესი მტერი ლევ ტროცკი, უარყოფდნენ ამ ბრალდებას, როგორც საზარელსა და აბსოლუტურად დაუსაბუთებელს".

სოლჟენიცინის რომანში კი სტალინი ზის და თავისი ხელით ქექავს ათი-ათასობით ფურცლებს, დაუთვალიერებლად ისვრის სავსე საქაღალდეებს ცეცხლში და მაინც გამორჩება საძიებელი საბუთი, კინაღამ არ გამოუჩხრიკეს ოცდაჩვიდმეტში...

მწერლის ფანტაზიას, ჩანს, ფრთებს ასხამს სწორედ „ერიომინის წერილი". ამას თვალნათლივ მეტყველებს ის გარემოება, რომ სოლჟენიცინის მიხედვით, ცენტრალურ კომიტეტში არჩევისთანავე ოცდათორმეტი წლის კობა მტკიცედ გადაწყვეტს ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ოხრანკასთან (ეს ფაქტი მხოლოდ „ერიომინის წერილში" გვხვდება).

მწერალს ვერავინ წაართმევს უფლებას — შექმნას თავისი მხატვრული სამყარო. მაგრამ, ჩემი აზრით, ისტორიულ პერსონაჟზე თხრობისას, ფანტაზია არ შეიძლება უსაზღვრო იყოს და ანგარიშს აღარ უწევდეს ისტორიულ სინამდვილეს.

რა თქმა უნდა, არსებობს მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი ფანტაზიაც. რაღა შორს წავიდეთ, იმავე რომანის 22-ე თავში სტალინი იხსენებს ომის პირველ დღეებს, როდესაც ქვეყნის უმძიმესი ვითა-

რებით შეძრწუნებული თავის ოთახში იკეტებოდა და მუხლმოყრილი ლოცულობდა. ღმერთს აღთქმა მისცა: თუკი გადარჩებოდა დაღუპვას, რუსეთში უეჭველად აღადგენდა ეკლესიას და ღვთისმსახურთა დევნა-დაჭერას შეწყვეტდა. სოლჟენიცინი მიგვანიშნებს, რომ ამ სცენას მისი შემოქმედებითი ფანტაზია კვებაეს („არავის უნახავს, არავინ იცის, არავისთვის უთქვამს"). მაგრამ ენა ვერ მოგიბრუნდება საყვედურის გამოსათქმელად, რადგანაც არ არის გამორიცხული, რომ ბებისმიერი ათეისტი (მით უფრო — ყოფილი სემინარისტი) სასიკვდილო განსაცდელის ჟამს შეეეედროს უფალს და შემწეობა ითხოვოს. საბოლოოდ, მკითხველზეა დამოკიდებული, დაიჯერებს თუ არა აღნიშნული ფაქტის ფსიქოლოგიურ სიმართლეს. მაგრამ ძალზე ძნელია ენდო იმ ინფორმაციას, რომელიც მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ გააბათილა. ელემენტარული ჭორის გარდაქმნა მხატვრულ სინამდვილედ დიდოსტატის კალამსაც გაუჭირდება.

სოლჟენიცინმა კი უყოყმანოდ, დაუეჭვებლად სცადა აშკარა სიყალბის ხორცშესხმა. როგორც ჭეშმარიტების წყაროს, ისე დაეწაფა უნიჭოდ შეთითხნილ დოკუმენტს. ის, რაც არ დაიჯერა ცოცხალი სტალინის უპირველესმა და უმძვინვარესმა მტერმა ტროცკიმ, სოლჟენიცინისათვის სახარბიელო ლუკმა გამოდგა. ეტყობა, ერთადერთ მიზნად დასახული ჰქონდა სძულველი ფიგურის დამცირება და ლაფში ამოსვრა. როგორც ადამიანი, როგორც ყოფილი ტუსაღი, ალბათ ცამდე მართალია. მაგრამ სიყვარულივით დამაბრმავებელი სიძულვილი და ამგვარი მარტივი შურისძიება არ ამშვენებს მთელ მსოფლიოში სახელმოხვეჭილ მწერალს. ამით მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ტალანტს მიაყენა ჩრდილი. არაერთხელ უთქვამთ და აქაც გავიმეორებ: სტალინს თავისი ავკაცობაც ეყოფა, ახალი ცოდვების შეთხზვა ბევრს ვერაფერს შესძენს. განა საკადრისია მოარული მითქმა-მოთქმის უდრტვინველად გადატანა ქაღალდზე? ეს ხომ შორსაა შემოქმედებისაგან, რადგან არც კვლევას მოითხოვს, არც ანალიზს და არც მხატვრულ შთაგონებას. თითქოსდა, მღელვარე ზღვაში ცურვას ენაცვლებოდეს გუბეში ჭყუმპალაობა, მწვერვალების დაპყრობას — გატკეპნილი შარაგზით სიარული.

გულუბრყვილობაა, რომ ამგვარი პრეტენზიები წაუყენო პოლიტიკური კონიუნქტურის ცხენზე ამხედრებულ ავტორებს — ქამელეონთა ლეგიონს. მაგრამ სოლჟენიცინი დიდებული მწერალია და სწორედ მისგან იყო მოსალოდნელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ღირსეული დუელი მრისხანე აჩრდილთან.

დღეს, რა თქმა უნდა, სტალინის აპოლოგია წარსულს ჩაბარდა, მაგრამ აპოლოგიის ალტერნატივად ნუთუ მხოლოდ პასკვილი გვეგუგულება? ვფიქრობ, მკითხველს სწყურია ობიექტური სურათი, ვინაიდან მობეზრდა უწინდელი გაზვიადებული ხოტბაც და აწინდელი, ასევე

ზაზვიადებული გათახსირებაც.

ფენომენი სტალინისა ძალზე მიმზიდველი თემაა მწერლისა თუ ისტორიკოსისათვის. მასზე საღი მსჯელობისას ტყუილად როდი აგონდებათ ხოლმე შექსპირი და დოსტოევსკი. რამდენი თავსამტვრევი აქვს ამოცანაა ამოსახსნელი, რამდენი საიდუმლოებაა გასამჟღავნებელი, რამხელა ასპარეზი იშლება გაუმრუდებელი ფანტაზიისათვის!

უაღრესად დამაფიქრებელი და საგულისხმო სტრიქონები დაუწერია ოცდათხუთმეტი წლის წინათ გერონტი ქიქოძეს — ლაკონიური და ღრმააზროვანი დახასიათება სტალინისა: „მისი დამცინავი ღიმილი თხელ ტუჩებზე, მისი გამსჭვალავი თვალების გამომეტყველება მოწმობდნენ, რომ ის ათვალწუნებით ან უნდობლად უყურებდა ადამიანთა უმრავლესობას, ან ადვილად მოსასყიდად თელიდა, ან მონური მორჩილების და დასჯის ღირსად“.

ეს სიტყვები ერთ-ერთ შესაძლებელ გასაღებად გამოდგებოდა პირქუშ და სანახევროდ უცნობ სამყაროში კარის შესახსნელად.

...დასასრულ მინდა ვთქვა, რომ პოლიტიკური მოტივებით გამოწვეული ტენდენციურობა სოლჟენიცინისა სხვადასხვა ხალხების მიმართ გადაიქცა იმ ერთ კოვზ კუპრად, რუსული ანდაზის თანახმად, ერთ კასრ თაფლს რომ წაბილწავს და რაც ყველაზე სამწუხაროა, არ არის გამორიცხული, რომ ამგვარმა ხარვეზებმა, ზოგიერთი მკითხველის თვალში, ეჭვქვეშ დააყენოს ის უზარმაზარი სიმართლე, რომელიც შარავანდედივით ადგას თავზე მწერლის შემოქმედებას.

ვინ მოკლა სტალინი?

(ახალი ვერსია)

თითქმის ორმოცი წელიწადი გავიდა და სტალინის სიკვდილის გარემოებანი დღესაც საიდუმლოებით არის მოცული. არც არის დიდად გასაკვირი, ვინაიდან ანალოგიური ფაქტები სხვა ქვეყნების ისტორიამაც იცის. აგერ, დღემდე გრძელდება დავა იმის შესახებ, ბუნებრივი სიკვდილით აღსრულდა წმ. ელენეს კუნძულზე გადასახლებული ნაპოლეონი თუ ინგლისელებმა მოწამლეს თავიანთი ძვირფასი ტყვე. ასევე დღემდე გაურკვეველია, ვინ მოუღო ბოლო ჯონ ფიცჯერალდ კენედის — ნახევრად არანორმალურმა და კნინობითი კომპლექსით შეპყრობილმა ლი ჰარვი ოსვალდმა, რომელსაც თავისი „მეობის“ დამტკიცება ეწადა თუ უმძლავრესი ძალების მიერ მოწყობილმა შეთქმულებამ კარგად ორგანიზებული მკვლელთა ჯგუფის ხელით. აბრაამ ლინკოლნის მკვლელი საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ ისევ და ისევ იკვლევენ შთამაგონებელთა და თანამონაწილეთა ნათამაშევ როლს.

და რაღა გასაკვირია, რომ სტალინის სიკვდილის ზუსტი სურათი მკვლევარებს დღემდე ვერ აღუდგენიათ და ისიც ადვილი დასაშვებია, რომ ვერასოდეს აღდგეს. კრემლის საიდუმლოებანი ხომ ყველაზე უდიდეს საიდუმლოებათა რიცხვს მიეკუთვნება მსოფლიო ისტორიის მასშტაბით. ცხრაკლიტულში დაცული მასალები თუნდაც გამოიტანონ დღის სინათლეზე, ფრიად საეჭვოა, რომ იქ აღმოჩნდეს სტალინის სიკვდილისა თუ მკვლელობის კინოკადრები ანდა ობიექტური პედანტურობით შევსებული ოქმები მკვლელთა და მაყურებელთა ხელმოწერით.

ოფიციალური ისტორია კმაყოფილდება პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციით, ხოლო ჭეშმარიტ ისტორიას გასაიდუმლოებულ და ჯერჯერობით ენაჩავარდნილ ქაღალდებზე არც მიუწვდება ხელი და რომც მიუწვდეს, შესაძლოა ვერაფერი იხეიროს.

მაშ რაღა რჩება არცთუ შორეული წარსულის მკვლევარ ისტორიკოსთა მასაზრდოებელ წყაროდ? თვითმხილველთა და თანადამხვდურთა მემუარები? მაგრამ მათი უმრავლესობა შეუძლებელია მივიჩნიოთ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად, ისევე როგორც ხალხში გავრცელებული ლეგენდები. მაგრამ რას გააწყობ, იძულებული ვართ, ისევ და ისევ მემუარებსა თუ ლეგენდებს დავეყრდნოთ, კრიტიკული თვალით გავცხრილოთ და ვცადოთ ლოგიკური გარაუდებისა და დასკვნების გამოტანა. ამას წინათ ქართულადაც ითარგმნა ცნობილი სოვეტოლოგის აბდურახმან ავტორხანოვის წიგნი „სტალინის სიკვდილის გამოცანა“, გამოცემული 1976 წელს მაინის ფრანკფურტში (რუსულ ენაზე).

მაგრამ ზემოხსენებულ წიგნში არაა გაცემული ზუსტი პასუხი გამოცანაზე. ავტორი ლამობს, საიდუმლოებათა ბურუსში ხელების ფათურით მიაკვლიოს სიმართლეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვარაუდების ანაბარა რჩება.

ქართველი მკითხველისათვის დღემდე უცნობია ინგლისელი მკვლევარის ბერნარდ ჰათონის თხზულება „სტალინი — საოცარი ქართველი“ (ლონდონი, 1961. ინგლისურ ენაზე), სადაც მოცემულია სტალინის მკვლელობის ახალი ვერსია.

უცნაურია ის ფაქტი, რომ დასახელებული წიგნი როგორც ავტორხანოვის, ასევე სხვა ავტორთა ყურადღების მიღმა დარჩენილა. ამ გაუგებარი უგულებელყოფის მიზეზს ვერ მოგახსენებთ. თუკი არადამაჯერებლად მიიჩნიეს ჰათონის წიგნში დამოწმებული ვერსია, ორიოდე სიტყვით მოხსენიება და გაკრიტიკება მაინც გაემეტებინათ! მაგრამ ჩემთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში არაფერი ამის მსგავსი არ შემხვედრია, ხოლო ავტორხანოვის მაგალითი მიგვანიშნებს, რომ საერთო უყურადღებობის მსხვერპლი გამხდარა ინგლისელი მკვლევარის ძალზე საყურადღებო ნაშრომი, რომელსაც უაღრესად მაღალი შეფასებით აჯილდოებს ამავე წიგნის წინასიტყვაობის ავტორი, ცნობილი ინგლისელი დიპლომატი და ჟურნალისტი სერ რობერტ ბრიუს ლოკარტი, რომელსაც რამდენიმე წელი გაუტარებია რუსეთში.

„საბჭოეთის“ აღიარებული სპეციალისტი რობერტ ლოკარტი წერს, რომ ჰათონის წიგნი წარმოადგენს სტალინის ბიოგრაფიას, გამოწყობილს საპარადო ფორმაში და გეაცნობს მთელ მის ცხოვრებას, აკვნიდან — მავზოლეუმამდე. აქვე, ლოკარტი ორიოდე სიტყვით წარმოგვიდგენს წიგნის ავტორს. მისი სიტყვით, ბერნარდ ჰათონი გახლავთ სლავი ინტელექტუალი და დაბადებულა ჩეხოსლოვაკიაში. ახალგაზრდობიდანვე ხელი მოჰკიდა მწერლობასა და ჟურნალისტიკას. 22 წლისა იყო, როდესაც გაგზავნეს მოსკოვში, სადაც რედაქტორობდა რუსული საღამოს გაზეთის უცხოურ ენაზე გამოცემას.

ოთხი წლის (1934-38) მანძილზე, რომელიც ჰათონმა გაატარა მოსკოვში, იგი დაუმეგობრდა ცნობილ საბჭოთა კომუნისტებს ენუქიძეს, რადეკს, კალინინს, ორჯონიკიძეს, როზა კაგანოვიჩს, ნადეჟდა კრუპსკაიას და სხვა მრავალ საბჭოთა დიდმოხელესა და პუბლიცისტს.

მეორე მსოფლიო ომის წლებში იმყოფებოდა ლონდონში, ჩეხოსლოვაკიის ემიგრირებულ მთავრობასთან ერთად. 1948 წელს, როდესაც საბჭოთა ტანკებმა კომუნისტური რეჟიმი დაამყარეს ჩეხოსლოვაკიაში, ჰათონმა საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი თავის სამშობლოსთან.

ლოკარტი აღნიშნავს, რომ ბერნარდ ჰათონი ხანგრძლივად მუშაობდა ამ წიგნზე და მისი კვალიფიკაცია სავსებით შეესაბამებოდა ესოდენ რთული და საინტერესო ნაშრომის შექმნას. წიგნი გატაცე-

ბით იკითხება და მოგვითხრობს სტალინის შესახებ გაცილებით მეტს, ვიდრე სხვა, დღემდე გამოცემული წიგნებიო.

ლოკარტის მოსაზრებით, წიგნის ღირსებას ისიც ზრდის, რომ ჰ ათონი გაცილებით ახლოს იყო იმ ადამიანებთან, ამ „ავბედითი" ქართველის გარშემო რომ ტრიალებდნენ, ვიდრე სტალინის სხვა რომელიმე ბიოგრაფი.

ჰათონის მასალები, ნაწილობრივ, ეყრდნობა მის პირად საუბრებს საბჭოთა დიდმოხელეებთან და გამოუქვეყნებელ დოკუმენტებს.

ამასთან ერთად, მისი წიგნის ბოლოში დართული ბიბლიოგრაფია. შეიცავს მრავალ ცნობილსა თუ ჩვენთვის უცნობ წყაროს. მათი ჩამოთვლაც კი საკმარისია იმის სათქმელად, თუ რაოდენ უნიკალური თხზულება შეუქმნია ბერნარდ ჰათონს.

ბიბლიოგრაფიაში დასახელებულია ლენინისა და მახარაძის, ბუხარინისა და კამენევის ნაშრომები; ტროცკის შემდეგი წიგნები; „ოქტომბრის გაკვეთილები", „ჩემი ცხოვრება" და „სტალინი"; ზინოვიევის „ჩვენი ეპოქის ფილოსოფია"; მაგრამ გარდა ამისა ჩვენ ეხვდებით ისეთ ნაშრომებსაც, რომელთა არსებობა დღემდე არცა გვსმენია.

გაეცანით ბიბლიოგრაფიულ სიას: რადეკის „ჩემი დღიურები"; გოგოხიას და ირემაშვილის მოგონებანი; ენუქიძის „ჩანაწერები და ესკიზები" და „ჩემი დღიური"; მეხლისის „სტალინი იალტაში" და „კრემლის დღიური" (მეხლისი იყო წითელი არმიის მთავარი პოლიტ-სამმართველოს უფროსი და 1942 წლის ყირიმის კატასტროფის მთავარი „შემოქმედი". გარდაიცვალა 1953 წლის თებერვალში. როგორც ავტორხანოვი ამტკიცებს, სტალინის ბრძანებით მოკლეს ანუ შეეწირა ანტისემიტურ კამპანიას); პაუკერის „მოგონებანი" (30-იან წლებში პაუკერი იყო სტალინის დაცვის უფროსი, რეპრესირებულია); რედენსის „შენიშვნები და თარიღები" (რედენსი, ქვისლი სტალინისა, 30-იანი წლების მეორე ნახევარში იყო უზბეკეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, რეპრესირებულია). და ბოლოს, კიდევ ერთი საყურადღებო წიგნი არის მითითებული: კრასკინის „დიდი სამამულო ომის ისტორია". ამ წიგნის ციტატებიდან ადვილი მისახვედრია, რომ იგი დასავლეთში გამოუციათ.

— ბერნარდ ჰათონის წიგნში „სტალინი — საოცარი ქართველი" ასეა აღწერილი სტალინის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები:

1953 წლის 1 მარტს, კრემლში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე ლაზარ კაგანოვიჩმა წამოაყენა წინადადება, რომ შეექმნათ კომისია ე. წ. „ექიმთა საქმის" შესასწავლად. მისი აზრით, სამედიცინო სამყაროს გამოჩენილ წარმომადგენელთა (ექვსი მათგანი წარმოშობით ებრაელი გახლდათ) მონათვლა „მავნებლებად" იყო სრული გაუგებრობა. ისინი დააპატიმრეს „შეთქმულების" ბრალდებით, მაგრამ არავითარი სამხილი არ წარუდგენიათ მათ წინააღ-

მდეგ, და რახანია ლუბიანკის სარდაფების აუტანელ პირობებში აყურყუტებენო. კაგანოვიჩმა კატეგორიულად მოითხოვა აგრეთვე, რომ სტალინს დაუყოვნებლივ გაეუქმებინა თავისი ბრძანება ებრაელების დეპორტაციისა და რეპრესიების თაობაზე.

როდესაც პრეზიდიუმის ყველა წევრმა, ბერიასა და ებრაელთა მოძულე ხრუშჩოვის გამოკლებით, უყოყმანოდ მოიწონა კაგანოვიჩის წინადადებანი, სტალინმა მოთმინება დაკარგა, ლანძღვა-გინებას და მუქარას მოჰყვა, როგორც ამგვარ ვითარებაში სჩვეოდა ხოლმე.

მაშინ კაგანოვიჩმა მკაცრად გააფრთხილა სტალინი: „თუკი ჩვენ თავისუფალნი არ დავტოვებთ აქაურობას ნახევარ საათში, წითელი არმია აიღებს კრემლს!"

უკიდურესი დაძაბულობა რომ განემუხტა, ბერიამ განაცხადა: „ექიმთა საქმის" განსახილველად სპეციალური კომისიის შექმნა თითქოს არავითარ დაბრკოლებას არ უნდა წააწყდესო.

ამის გაგონებაზე სტალინს სულ მთლად დაეცალა მოთმინება. აყვირდა, განრისხებისაგან პირისახე წამოუწითლდა და განაგრძობდა უწმაწურ ლანძღვა-გინებას.

კაგანოვიჩი წამოდგა და ჩავის პარტბილეთს მუქარით აქნევდა ჰაერში. ყვიროდა: „შეხედეთ, რას ეუზამ ამას!" მერე ნაკუწ-ნაკუწ დახია და სახეში მიაყარა სტალინს.

სტალინმა სცადა მისწვდომოდა მაგიდაზე მოთავსებულ ზარის ღილაკს თავის მცველთა დასაძახებლად, მაგრამ მოულოდნელად მას ხელი ჰკრეს. ვეღარასოდეს გაირკვა, თუ სახელდობრ რომელმა პკრა ხელი: კაგანოვიჩმა, მიქოიანმა თუ მოლოტოვმა. იმ მომენტში სამივენი ახლოს იდგნენ მასთან. სტალინმა წონასწორობა დაკარგა, წაიქცა და წაქცევისას მაგიდას დაარტყა თავი.

რამდენიმე წამის განმავლობაში ყველა დამსწრე გაშეშდა. თავზარდაცემით შეჰყურებდნენ თავიანთ ბელადს, რომელიც იატაკზე იწვა და კვნესოდა. მაშინ მისი მეგობარი ბერია დაიხარა და ანუგეშა იგი. მოლოტოვი გავარდა სტალინის კაბინეტში, ჭიქით რაღაც სითხე შემოიტანა და სტალინს პირთან მიუტანა. სტალინმა ავტომატურად მოსვა. ამასობაში, იქ მყოფთაგან არავის კრინტიც არ დაუძრავს.

სტალინმა, მართალია, თავი დაარტყა მაგიდას, მაგრამ ამ შემთხვევითი დაცემის შედეგად სერიოზული ტრავმა არ მიუღია. უკვე სამოცდაცამეტ წელს გადასცდა, მაგრამ საღსალამათად გრძნობდა თავს, რაც სრულიად არ იყო უჩვეულო ქართველი ხალხის შვილისათვის (სხვათა შორის, ინგლისელი ავტორი წიგნის წინარე მონაკვეთში გადმოგვცემს ამგვარ ისტორიას: 50-იანი წლების დამდეგს, ექიმებმა სტალინს ურჩიეს გრძელვადიანი დასვენება და მუშაობისაგან თავის შეკავება. სტალინს უთქვამს: ამხანაგო ექიმო, მე ქართველი ვარ და ჩვენ, ქართველები, გაჩენილი ვართ ხანგრძლივი სიცოც-

ხლისათვის, სულერთია, დავისვენებთ თუ განუწყვეტლივ ვიმუშავებთ. ზომაზე ცოტა მეტი რომ გავისარჯო, ეს საფლავში როდი ჩამიყვანს. უსაქმურობისათვის კი დრო არ გამაჩნიაო).

ბერნარდ პათონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე სტალინის საღი ჯანმრთელობის ფაქტი დაადასტურეს არგენტინის ელჩმა სინიორ ბრავომ, ინდოეთის ელჩმა მისტერ მენონმა და მშვიდობის დაცვის მოძრაობის აქტივისტმა დოქტორ კიჩლუმ. სამივე დასახელებული პიროვნება სტალინს შეხვდა თებერვლის თვეში და მასთან ხანგრძლივი საუბრები ჰქონდათ. არგენტინელმაც და ორივე ინდოელმაც, უკვე სტალინის სიკვდილის შემდეგ, საჯაროდ განაცხადეს, რომ მათი შეხვედრებისას სტალინი იყო „ჯანმრთელობის განსახიერება“ (სინიორ ბრავო), .ჰქონდა „საუკეთესო სულიერი განწყობილება“ (მისტერ მენონი) და „სიცოცხლით სავსე გონება“ (დოქტორი კიჩლუ).

პათონის დასკვნით, ფიზიკურად ჯანმრთელი სტალინი მოულოდნელად გატეხა თავის ხელქვეითთა აშკარა ამბოხებამ. მისი უწინდელი მეგობრები აუჯანყდნენ! კაგანოვიჩმა დამუქრებაც კი გაბედა და თავისი პარტბილეთის ნახევები სახეში მიაყარა! მისმა უახლოესმა მეგობარმა ბერიამაც კი ამჯობინა დაეთმო ოპოზიციისათვის „ექიმთა შეთქმულების“ საკითხში, ხოლო მეორე უახლოესი მეგობარი მალენკოვი დუმდა. ყოველივე ეს იყო მისი დაღუპვის მიზეზი და არა — შემთხვევითი წაქცევა თუ ხანდაზმული ასაკი, ანდა, როგორც კრემლმა გამოაცხადა, მისი „ჯანმრთელობის გაუარესება“.

სტალინი მიხვდა, რომ მან დაკარგა თავის მაგიური პრესტიჟი კრემლში თავისსავე ხელქვეითების წინაშე, რომლებიც მანამდე მხოლოდ დისკუსიის გზით ეწინააღმდეგებოდნენ ხოლმე, მაგრამ არასოდეს უფიქრიათ თუნდაც ერთი ნაბიჯი გადაედგათ აშკარა პროტესტისა და დაუმორჩილებლობისაკენ.

ერთხანს სტალინი იჯდა თავის სკამზე, კვნესოდა, ძნელად გასარჩევ სიტყვებს ამბობდა. როდესაც ყური მოჰკრა ვიღაცის წინადადებას, ექიმი გამოეიძახოთო, სტალინმა მყისვე წამოიხედა და დაიყვირა: „ეტოტ ნიენადა“ (წიგნის ავტორი იქვე თარგმნის რუსულად მოყვანილ ფრაზას: „ეს არაა საჭირო“).

მერე მოითხოვა, რომ ყველანი წასულიყვნენ და დარჩენა სთხოვა მხოლოდ მალენკოვსა და ბერიას.

სტალინს თანდათანობით მოსდიოდა ფერი პირისახეზე, შოკმა გაუარა, საბოლოოდ დაუბრუნდა გონება და წელში გასწორდა. შემდეგ ალაპარაკდა თავისი ჩვეულებრივი, სრული ხმით:

„ვინ მომაწოდა კონიაკი, დაუფიქრებლად რომ დავლიე?“

„ვიაჩესლავ მიხაილოვიჩმა“, უპასუხა ბერიამ, რომელსაც დაენახა, რომ სწორედ მოლოტოვი გავიდა სასმელის მოსატანად და ჭიქა

მიაწოდა ნახევრად გონდაკარგულ სტალინს.

სტალინმა მბრძანებლური ხმით მოითხოვა:

„მომეცით ეს ჭიქა. სწრაფად! ეს ძალზე აუცილებელია“.

მაგრამ ჭიქა იქ აღარსად იყო.

„ახლა მისმინეთ, მთელი გულისყურით მისმინეთ“, თქვა სტალინმა წყნარად, სკამზე უკან გადაიხარა და მაგიდის ზედაპირს თითებს უკაკუნებდა, „შესაძლოა, უკანასკნელად გელაპარაკებოდეთ თქვენ ან კიდევ სხვა ვინმეს. მრჩება ოთხი საათის სიცოცხლე ანდა ორი დღისა. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი საწამლავი მომცა იმ მახრჩობელა გველმა“.

„როგორ შეგიძლიათ იყოთ ასე დარწმუნებული?“, თქვა ბერიამ დაამებით, მაგრამ ვერ ახერხებდა დაემალა შეშფოთება თავის ხმაში. მერე დასძინა: „იგი არ ჩაიდენდა ამას“.

„ჭიქის გაქრობა უტყუარი საბუთია“, სიტყვა გააწყვეტინა სტალინმა, „თუკი მას საწამლავი არ მოუცია ჩემთვის, ჭიქას ადგილზევე დადებდა“.

„მაშინ დაუყოვნებლივ უნდა მოვიყვანოთ ექიმი“, თქვა მალენკოვმა, „ისინი მოგცემენ თქვენ რაიმეს, რაც...“

„არავინ არის, ვინც შეძლებდა ჩემ გადარჩენას! საწამლავი უკვე გაიფანტა ორგანიზმში და მახრჩობელა გველმა მშვენიერად იცის ეს“, უპასუხა მალენკოვს იმ კაცმა, რომელიც, შესაძლოა, მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტად ჩაეთვალათ საწამლავების დარგში.

„მაგრამ ნუ დავკარგავთ ძვირფას დროს იმის გარჩევაში, რაც აღარ შეიძლება შეიცვალოს“, განაგრძობდა სტალინი დაჟინებით. მერე ცინიკური ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე: „შესაძლოა, ეს არ იყო ყველაზე უარესი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო მახრჩობელა გველმა. მხოლოდ მომავალი გაგვცემს პასუხს“.

შემდეგ სტალინი ვრცლად ლაპარაკობდა ყველა საბჭოთა ლიდერზე. დეტალურად გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ მოლოტოვი იყო ყველაზე გონიერი და ნამდვილად ყველაზე შესაფერისი პიროვნება საბჭოთა ბელადის ფუნქციების შესასრულებლად, ვინაიდან მოეპოვებოდა სახელმწიფო მოღვაწის უზარმაზარი გამოცდილება, ციური ანგარიშის უნარი და იშვიათი დაუნდობლობა, აგრეთვე — სიმტკიცე და შეუპოვრობა დასახული მიზნის მისაღწევად.

სტალინი განაგრძობდა: „მაგრამ იგი არასოდეს არ უნდა გახდეს ჩვენი ხალხის ბელადი. განა იმიტომ, რომ ხალხს არ უყვარს იგი და არ გაჰყვება მას, როგორც გაჰყვა ვლადიმერ ილიჩს და გამომყვა მეც, არამედ იმიტომ, რომ იგი არის ინტრიგანი, მწვამელელი, განგსტერი, რომელიც არაფერზე იტყვის უარს, თუკი მის მიზანს გამოადგება. იგი უაღრესად სახიფათო კაცია, ვისაც კი ოდესმე უცხოვრია ჩვენს ქვეყანაში. მით უფრო უნდა გამოიძებნოს საშუალება, რათა

შესაძლებელი შეიქნეს მისი გონებისა და თვისებების სრული გამოყენება. მაგრამ მას გზა უნდა გადაეღობოს, რათა ვერასოდეს გახდეს პირველი კაცი სახელმწიფოში".

სტალინმა თქვა კაგანოვიჩზე, იგი მოლოტოვის უხეირო ასლი არისო. და მაინც ძალზე ღირებულ აქტივად მიაჩნდა საბჭოთა კავშირისათვის. მსგავსადვე დაახასიათა მიქოიანი, რომელსაც კაგანოვიჩზე დაბლა აყენებდა. ხოლო ვოროშილოვი რეგვენია და მეტი არაფერიო.

ასე, ერთიმეორის მიყოლებით ახასიათებდა პარტიის ელიტას. ე. წ. „ლენინის ანდერძს" პბაძავდაო, შენიშნავს ჰათონი.

როდესაც ჯერი მიდგა ბულგანინსა და ხრუშჩოვზე, სტალინმა თქვა: „საწყენია, რომ ამ ორმა კაცმა ამჯობინა გაჰყოლოდა ვიაჩესლავ მიხაილოვიჩს. ორივე გახდა მოლოტოვის გამგონე იარაღი. იყო დრო, როდესაც ბულგანინი ყველაზე საიმედო პიროვნებად გვესახებოდა მანამდე, სანამ გახდებოდა „ძია ვოდკა" (ეს მეტსახელი, ავტორის სიტყვით, თვით სტალინს შეურქმევია წვერცანცარა ბულგანინისათვის), და არაყს იმიტომ მიეძალა, რომ სურდა ჩაეხრჩო მასში თავისი. ვარამი, გამოწვეული იმით, რომ ვიაჩესლავ მიხაილოვიჩი შეიქნა მისი ბატონი და თავის დუდუკზე აცეკვებდა. იგივე, უფრო მეტადაც, ეხება ხრუშჩოვს. რამხელა ტრაგედიაა! როდესაც გამოვარჩიე, ყველაზე მეტად მაიმედებდა, ჩემს მემკვიდრედ ვიგულე. მაგრამ ვიაჩესლავ მიხაილოვიჩმა იგი რობოტად გადააქცია, რომელმაც უკვე აღარც იცის, რას ნიშნავს, რომ ჰქონდეს საკუთარი აზრი. ხრუშჩოვს ყოველთვის მაგრად უყვარდა არაყი, მაგრამ იცოდა, როდის შეჩერებულიყო, ახლა კი ნამდვილი ლოთია! მაგრამ მიუხედავად ამისა, გემიდან არ უნდა გადავაგდოთ. მე ვასწავლე მას, თუ როგორ ემსახუროს პარტიას და ჩვენს ქვეყანას. იგი არის ის კაცი, ვინც უნდა გახდეს პარტიის გენერალური მდივანი. და ეს თქვენი მოვალეობაა, როდესაც ამქვეყნად აღარ ვიქნები, ფხიზლად ადევნოთ თვალი, რომ მან განაგრძოს ის საქმე, რომელიც დავიწყე, და ნება არ მიხცეს ამ წყეულ მახრჩობელა გველს ვიაჩესლავს — კვლავინდებურად მოაქციოს თავისი გავლენის ქვეშ".

სტალინმა არ დაინდო არც ბერია და არც მალენკოვი. ბერიას უთხრა, ჩემს ყველაზე ერთგულ მეგობრად და მიმდევრად შენ ითვლებიო, როგორც უმაღლესი თავკაცი საიდუმლო პოლიციისა, და ატომური კვლევა-ძიების საქმესაც შენ განაგებო. მაგრამ სტალინი მაინც არ შეუყუმანებულა, გულახდილად ეთქვა მისთვის, რომ ყოველივე ეს არ იყო საკმარისი საიმისოდ, რომ ბერია აერჩია თავის მემკვიდრედ. ჯერ-ერთი იმიტომ, რომ არსებობდა საშიშროება — ხალხის მასები ვერ შეეგუებოდნენ საიდუმლო პოლიციის შეფის გაბელადებას და, შესაძლოა, შფოთი ატეხილიყო. და მეორეც —

ერთი, რაც უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა, სტალინს სურდა მომკვდარიყო იმის რწმენით, რომ ამქვეყნად რჩებოდა კაცი, ძლიერი პიროვნება, რომელიც თვალყურს მიადევნებდა იმას, რომ არ გაემარჯვა მოლოტოვს და საბჭოთა კავშირის მმართველობა განხორციელებულიყო ლენინური სულისკვეთებით, იმ სულისკვეთებით, რომლის გაგრძელებასაც სტალინი ყოველთვის ცდილობდა.

სტალინმა მალენკოვს უთხრა: „შენ უნდა მოეშვა ღვინის უზომოდ სმას, თორემ შენც დაეშვები ბულგანინისა და ხრუშჩოვის დონეზე და თანდათანობით გახდები უნებისყოფო იარაღი მახრჩობელა გველის ხელში. მაგრამ თუკი მოახერხებ, რომ აღარ გერქვას „ძია ღვინო", და გემახსოვრება ყოველივე ის, რაც გასწავლე, შენ იქნები ერთადერთი კაცი, ვინც დაიკავებს ჩემს ადგილს".

სტალინმა განაგრძო: „იცოდეთ, რომ ხრუშჩოვი არის პარტიის გენერალური მდივანი, ოღონდ თქვენი კონტროლის ქვეშ, თქვენ ორივენი ერთად ძალზე გონიერნი იქნებით, თქვენ შეგიძლიათ აგრეთვე იყოთ გაბედულნი და შეუპოვარნი. გაფრთხილდით, რომ სხვებმა თქვენზე მარჯვედ არ იმოქმედონ და არ გაგანადგურონ".

შემდეგ ისევ ბერიას მიუბრუნდა: „და შენ, ლავრენტი, განაგრძე ზუსტად იმის კეთება, რასაც აქამდე აკეთებდი. შენ იცი ჩემი სამუშაო აზრების გეზი და შენ იცი, რაც უნდა აკეთო. შენ რომ გტოვებ მეთვალყურედ, უკვე შემიძლია წავიდე ამქვეყნიდან იმ რწმენით, რომ ამაოდ არ მიცხოვრია".

ამ ინსტრუქტაჟის შემდეგ სტალინმა უბრძანა მალენკოვსა და ბერიას დაეტოვებინათ იგი. როდესაც მათ შესთავაზეს სტალინს, თქვენს დასაცავად საიმედო მცველებს გაახლებთო, სტალინმა კვლავ ცინიკურად გაიღიმა და თქვა, აღარავითარი საფრთხე აღარ მემუქრება, ზიანი უკვე მომაყენესო.

ჰათონი წერს, რომ მალენკოვი და ბერია გულდამძიმებულნი წავიდნენ.

არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რომ მთელი მათი საუბარი მოსმენილ იქნა მათი კოლეგების მიერ. პრეზიდიუმის სკანდალური სხდომის მონაწილენი ისხდნენ მეზობელ ოთახში და უსმენდნენ სამთა თათბირს იმ მიკროფონების მეშვეობით, თვით სტალინის ბრძანებით რომ იყო დაყენებული. არც სტალინს, არც მალენკოვს, არც ბერიას თავში არ მოსვლიათ, რომ შეემოწმებინათ — ჩართული იყო თუ არა საიდუმლო აპარატურა.

„სტალინის ანდერძის" შინაარსი უკვე მთელმა პრეზიდიუმმა იცოდა.

აქ მთავრდება ჩვენთვის უცნობი ინფორმაცია, მაგრამ ბარემ ინგლისელი ავტორის მიხედვით გავიხსენოთ საყოველთაოდ ცნობილი ამბებიც.

ბერნარდ ჰათონი წერს, რომ სტალინის ჯანმრთელობა სწრაფად უარესდებოდა, მაგრამ მხოლოდ 3 მარტს, მოსკოვის რადიომ გადმოსცა განცხადების ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდნენ საბჭოთა მთავრობა და პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ისინი აუწყებდნენ მოსახლეობას, რომ 1 მარტს სტალინმა განიცადა ტვინში სისხლის ჩაქცევა, რამაც დააზიანა ტვინის სასიცოცხლო ცენტრები, გამოიწვია ცნობიერების დაკარგვა და ნაწილობრივი დამბლა.

ორი დღე-ღამის მანძილზე ქვეყნდებოდა ბიულეტენები სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. გადმოსცემდნენ ავადმყოფობის მიმდინარეობას და დაწვრილებით აღწერდნენ მედიცინის სპეციალისტთა მიერ ჩატარებულ მკურნალობას. ბიულეტენებიდან ნათელი იყო, რომ სტალინის მდგომარეობა მკვეთრად მძიმდებოდა და გამოკეთების იმედი თითქმის აღარ რჩებოდა.

მიუხედავად ამისა, სტალინი არ მომკვდარა ორ დღეში, როგორც საგანგებო საწამლავს სჩვეოდა. თუმცა იგი სამოცდაცამეტი წლისა იყო, მისი ორგანიზმი სპილოს ორგანიზმს უფრო წააგავდაო, ვიდრე ადამიანისას. მან შეძლო თითქმის შეუძლებელი — წინააღმდეგობა გაუწია საწამლავს მთელი ოთხი დღის განმავლობაში.

ბერნარდ ჰათონი დასძენს:

„1953 წლის 5 მარტის 21 საათსა და 50 წუთზე გარდაიცვალა ეს ულმობელი ადამიანი, რომელმაც გულცივად და სატანური ანგარიშით მოწამლა თავისი მეგობარი და ბელადი ლენინი და სხვა მრავალი მეგობარი და მომხრე; რომელიც არ შეყოყმანებულა, იგივე ბედი აერჩია თავისი ცოლის — ნადეჟდასათვის; რომელმაც მოკლა თავისი ახალგაზრდობის დროინდელი მეგობრები ორჯონიკიძე და ენუქიძე; რომელმაც გასცა ბრძანებანი, რათა დაეხოცათ და ციხეში ჩაეყარათ ასობით ათასი უდანაშაულო ადამიანი; რომელმაც ჯავრი იყარა თავის მესამე ცოლზე (როზა კაგანოვიჩი), გაგზავნა რა გადასახლებაში მოლოტოვის ცოლთან ერთად... ეს ურჩხული უკვე აღარ იყო ამქვეყნად“.

ჰათონის დასკვნა, უთუოდ, მოითხოვს გარკვეულ კომენტარსა და ზოგიერთი დეტალის დაზუსტებას, მაგრამ დავემორჩილოთ დეტექტივის კანონებს და ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ იმ არსებითზე, ინგლისელი მკვლევარის წიგნში რომ არის მოცემული.

მკითხველს, რასაკვირველია, ფანტასტიკურად მოეჩვენება სტალინის მკვლელობის ჭრილი ვერსია. იტყვის: დაუჯერებელია, წარმოუდგენელი არისო. როგორ, სტალინის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი, რომელიც 1953 წლის 9 მარტს, მავზოლეუმის ტრიბუნიდან, ცრემლნარევი ხმით ეთხოვებოდა გარდაცვლილ ბელადსა და მასწავლებელს, თვით იყო მისი მკვლელი და თავის მსხვერპლს დასტიროდა? ფანტასტიკურია, დაუჯერებელია, წარმოუდგენელია... ისევ და

თსევ იმეორებს სტერეოტიპულ აზროვნებას შეჩვეული ჩვენი გონება. მაგრამ, მეორე მხრივ, ყოველი ახალი ცნობა, რაგინდ ფანტასტიკურად უნდა ჟღერდეს, იმსახურებს ყურადღებას და დეტალურ ანალიზს.

და მაინც, ვის ეკუთვნის ბერნარდ ჰათონის წიგნში დამოწმებული და ჩვენთვის დღემდე უცნობი ვერსია სტალინის სიკვდილისა და, რაც მთავარია, მოიპოვება თუ არა მასში ჭეშმარიტების მარცვლები?.

ინგლისელ მკვლევარს თითიდან არ გამოუწოვია თავის წიგნში აღწერილი სცენა სტალინის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებისა. ბერნარდ ჰათონი ეყრდნობა დოკუმენტურ წყაროს, რომლის ავტორი გახლავთ... ლავრენტი ბერია!

ნუ ავღელდებით და ნუ გამოვიტანთ ნაჩქარევ მსჯავრს: გავრცელებული მითქმა-მოთქმის თანახმად, ბერია თვითონ არის ეჭვმიტანილი სტალინის მკვლელობაში და ამიტომაც ძნელია მის მონათხრობს ვენდოთო. მართლაც, აბდურაპმან ავტორხანოვის წიგნში „სტალინის სიკვდილის გამოცანა“, დამოწმებული ზოგიერთი ვერსიის მიხედვით — მალენკოვმა, ბერიამ, ხრუშჩოვმა და ბულგანინმა მოაწყვეს შეთქმულება სტალინის დასამხობად და ამ საქმის მთავარი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ბერია; სწორედ მან მოულო ბოლო სტალინს შენელებული მოქმედების საწამლავით. სტალინი უპირებდა ლიკვიდაციას და ბერიამ დააასწროო. ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ცდილობს სხვას გადააბრალოს თავისი ნამოქმედარი. მკითხველის მოსალოდნელი რეაქციაც არ არის გასაკვირი, მაგრამ მაინც მოვერიოთ ემოციებს და ფხიზლად განვსაჯოთ დასახელებული დოკუმენტის ღირებულება.

ბერნარდ ჰათონი აღნიშნავს, რომ 1953 წლის 1 მარტს კრემლში მომხდარი ამბის ანგარიში ჩაწერილია სტალინის „ნომერი პირველი“ კაცის ლავრენტი ბერიას მიერ იმ მემორანდუმში, რომელიც მან დაუგზავნა თავის ყველაზე სანდო მეგობრებს პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და აღმოსავლეთ გერმანიაში. მემორანდუმს თან ახლდა მკაცრი ბრძანება — გაეხსნათ დალუქული კონვერტები და მთელი მსოფლიოსათვის გაეცნოთ მემორანდუმის შინაარსი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი მოულოდნელად დაიღუპებოდა.

ინგლისელი მკვლევარის სიტყვით, ბერიას სიკვდილის შემდეგ მემორანდუმი, არალეგალური პუბლიკაციის ფორმით, ვრცელდებოდა საბჭოთა კავშირსა და ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში.

ბერნარდ ჰათონი ამტკიცებს, რომ ბერიას მემორანდუმის შინაარსი დაადასტურეს კრემლის სხვა დიდმოხელეებმა, რომლებიც აღწერილი სცენის თვითმხილველნი იყვნენ.

ინგლისელი მკვლევარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბერიას ანგარიში 1953 წლის 1 მარტს კრემლში მომხდარ ამბებზე დაადას-

ტურა აგრეთვე ილია ერენბურგმა, საბჭოთა მწერალმა და საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, თავის ინტერვიუში ფრანგ ჟურნალისტებთან.

ბერნარდ ჰათონი იქვე შენიშნავს, რომ შემდგომში ერენბურგს უკან არ წაუღია თავისი სიტყვები და არც საბჭოთა მთავრობას არ გამოუცხადებია ბერიას მემორანდუმი, ჩვეულებისამებრ, „ნამდვილ ჭორად“ ანდა „კიდევ ერთ ღვარძლიან თავდასხმად კომუნიზმისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

როგორც ვხედავთ, ინგლისელი მკვლევარი, რომლის ნაშრომს უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა კავშირის საქმეთა საყოველთაოდ აღიარებული მცოდნე რობერტ ლოკარტი, ნდობით ეკიდება ბერიას მემორანდუმს და, ამასთან ერთად, მოაქვს ჩვენთვის ასევე უცნობი მასალა სტალინ-მოლოტოვის ერთობ დაძაბული ურთიერთობის თაობაზე (ომისშემდგომ წლებში).

ჯერ კიდევ 1945 წლის ზაფხულში ისინი ვერ შეთანხმებულან საგარეო პოლიტიკის რომელიღაც საკითხზე და სტალინს ასე მიუმართავს მოლოტოვისათვის: „ბატონო საგარეო საქმეთა მინისტრო, გადაეცით ამხანაგ გრომიკოს, რომ...“ (ჰათონი სამართლიანად შენიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში „ბატონობით“ მიმართვა უკიდურესად შეურაცხმყოფელი იყო).

ინგლისელი მკვლევარი გვაუწყებს, რომ სტალინმა მისცა მოლოტოვს მოქმედების აბსოლუტური თავისუფლება სატელიტი ქვეყნების (ე. ი. აღმოსავლეთ ევროპის) საქმეთა წარმართვაში. ამის შედეგად მოლოტოვი თავს მიიჩნევდა სტალინის თანასწორ პიროვნებად, თუმცა მისი პოპულარობა საბჭოთა ხალხში გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე „საყვარელი და ბრძენი ბელადისა“. მოლოტოვი ყოველმხრივ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ საბჭოთა მასები მისი სახით ხედავდნენ ახალ ბელადს, სტალინზე უფრო ახალგაზრდას და უფრო მოქნილი აზროვნების მქონეს. ჟდანოვი, ბულგანინი, ხრუშჩოვი და სხვა დიდმოხელენი მხარს უჭერდნენ მოლოტოვს, მაგრამ საბჭოთა ხალხისათვის ამხ. მოლოტოვი იყო ის კაცი, რომელსაც პატივისცემით შეჰ ყურებდნენ, ვინაიდან თვლიდნენ „საყვარელი და ბრძენი ბელადის“ უახლოეს თანაშემწედ.

ბერნარდ ჰათონი განაგრძობს, რომ 1947 წლის ზაფხულში, სოჭში დასასვენებლად ჩასული სტალინი ყურადღებით ადევნებდა თვალს თავისი ორპირი მოადგილის ავბედით მანევრებს და როდესაც მისი მეგობრები ლამობდნენ დაეყოლიებინათ სათანადო ზომების მისაღებად, იგი ცინიკური ღიმილით იტყოდა ხოლმე: „მე რატომ უნდა ვიმოქმედო? თვითონ ჩამოიხრჩობს თავს საკუთარი თოკით. ეს გაცილებით მკაცრი გაკვეთილი იქნება მისთვის და მისი მეგობარი მახრჩობელა გველებისათვის, ვიდრე ჩემი სისასტიკე“.

ბერნარდ ჰათონის სიტყვით, მოლოტოვი მიხვდა, რომ მისი დრო ჯერ არ იყო დამდგარი და გაუჭირდებოდა მოეხვეჭა საბჭოთა მასების მხარდაჭერა. ასე რომ, თანდათანობით შეცვალა მოქმედების კურსი, ოღონდ მხოლოდ საშინაო პოლიტიკაში. დასავლეთის მიმართ იგი იქცეოდა უფრო როგორც ხულიგანი, ვიდრე დიპლომატიო.

ამასობაში ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის სერიოზულად გაუარესდა. მართალია, სტალინი აქტიურად ცდილობდა მთლიანად მოეწყვიტა დასავლეთ ბერლინი გარე სამყაროსაგან სარკინიგზო, საავტომობილო და სამდინარო გზების ჩაკეტვით, მაგრამ მაინც ვერ მიაღწია საწადელს, ვინაიდან გადაულახავ დაბრკოლებად აღიმართა მოკავშირეთა გიგანტური საჰაერო ძალები. ეს ფაქტი საიდუმლოებად რჩებოდა საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტ ქვეყნებში. საჭიროდ არ მიიჩნევდნენ, ეუწყებინათ მოსახლეობისათვის, რომ „წითელი ბლოკადა“ არა ეფექტური აღმოჩნდა და მოკავშირეებმა შეძლეს მოემარაგებინათ ბერლინის დასავლეთი სექტორი საკვებითა და სათბობ-საწვავით.

ინგლისელი მკვლევარის აზრით, სტალინი სრულიადაც არ აპირებდა რაიმე დაეთმო დასავლეთისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, თავიდან აეცილებინა ომი. 1948 წლის 26 სექტემბერს ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ბევინი, მარშალი და შუმანი შეხვდნენ ერთმანეთს პარიზში და შეთანხმდნენ, რომ ბერლინის საკითხი განსახილველად გაეტანათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე. ხოლო მეორე დღესვე ნოტები გაუგზავნეს საბჭოთა მთავრობას. ბერლინის კრიზისის განვითარებაში ბრალს სდებდნენ და საერთაშორისო მშვიდობისათვის საფრთხის შექმნაში სრულ პასუხისმგებლობას აკისრებდნენ.

სტალინმა მაშინვე მოიწვია თათბირი თავის უახლოეს წრეში (ბერია, ვოროშილოვი, მოლოტოვი), რათა განემუხტათ დაძაბული ვითარება. ბერნარდ ჰათონის სიტყვით, სტალინს არასოდეს ეჭაშნიკებოდა მოლოტოვის „ბრავადული ნაბიჯები“, რომელსაც უშუალოდ ახორციელებდნენ ბულგანინი და მარშალი სოკოლოვსკი. მართალია, იგი მკაცრად არ ერეოდა მათს საქმიანობაში, რადგანაც სურდა, რომ დასავლეთს ეგრძნო საბჭოთა ძლიერება, მაგრამ ზოგჯერ იძულებული ხდებოდა, თავისი სიტყვაც ეთქვა. მისი ერთ-ერთი პირადი დირექტივა იყო, რომ საჰაერო დერეფანი, საიდანაც ამერიკელები და ინგლისელები ამარაგებდნენ დასავლეთ ბერლინს, არასოდეს არ გადაეკეტათ და, რაც მთავარია, მოკავშირეთა თვითმფრინავებს არ გასდევნებოდნენ და საჰაერო ომი არ გამოეწვიათ. როგორც ჩანს, სწორედ ეს დირექტივა დაარღვიეს და სტალინმა მთელი თავისი რისხვა მოლოტოვის მისამართით გადმოაფრქვია: „ხანდახან მინდა ვიცოდე, ნუთუ

თქვენ და ბულგანინს მართლა განგიზრახავთ კაპიტალისტურ სამყაროსთან ომის წამოწყება?" მერე შეუდგა ბოლთის ცემას, როგორც ყოველთვის სჩვეოდა განრისხების ჟამს. ხმამაღლა, თითქმის ყვირილით ლაპარაკობდა და სათქმელს არ ალამაზებდა: „ეს რომ მომხდარიყო ვლადიმერ ილიჩის დროს, თქვენ და თქვენს კრეტინებს არ ასცდებოდათ დახვრეტა, როგორც კაპიტალისტთა აგენტ-პროვოკატორებს. თქვენი სიჯიუტის წყალობით ძალზე უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდით. საკუთარ ცხვირს იქით ვერაფერს ხედავთ! თქვენ ფიქრობთ, რომ თუკი ისე გაირჯებით, როგორც ხარი ჭურჭლის მაღაზიაში, სასურველ შედეგს მიაღწევთ. „ძია ვოდკას" (ე. ი. ბულგანინის) ნაცვლად ჟუკოვი რომ ყოფილიყო, ამგვარი სიტუაცია არასოდეს წარმოიქმნებოდა".

მოლოტოვი ძალზე შეურაცხყოფილი დარჩა იმით, რომ იგი სასტიკად დატუქსეს. სტალინისათვის პასუხი არ გაუცია და კაბინეტი უხმოდ დატოვა.

ზემოხსენებული ეპიზოდების თხრობისას ინგლისელი მკვლევარი, ძირითადად, ლეჟ მეხლისის „კრემლის დღიურს" ეყრდნობა, მაგრამ საკუთარი დასკვნები გამოაქვს და ბოლოს შენიშნავს, რომ მოლოტოვს, სწორედ აღნიშნული ინციდენტის შემდეგ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გადაწყვეტილი ჰქონდა, რამენაირად მოეშორებინა თავისი პატრონი.

მაშასადამე, ბერნარდ ჰათონი ბერიას მემორანდუმში მოთხრობილ ამბავს არათუ სრული ნდობით ეკიდება, არამედ ახალი მასალებითაც ამაგრებს იმის საჩვენებლად, თითქოსდა სტალინსა და მოლოტოვს შორის, ომისშემდგომ წლებში, გარკვეული კონფრონტაცია არსებობდა.

ბერნარდ ჰათონიც და აბდურაპმან ავტორხანოვიც თვალში საცემი მიკერძოებით ცდილობენ თავიანთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გმირის" დანაშაულის დამტკიცებას. განსხვავება ისაა, რომ პირველს მთავარ დამნაშავედ მიაჩნია მოლოტოვი, ხოლო მეორეს — ბერია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბერნარდ ჰათონის მიერ ბერიას მემორანდუმიდან დამოწმებული ინფორმაცია პრეზიდიუმის სხდომაზე კაგანოვიჩის გამოხდომის შესახებ თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ავტორხანოვის წიგნში მოთხრობილ ორ ვერსიას.

ინგლისელი მკვლევარის წისქვილზე, თავისდა უნებურად, წყალს ასხამს ცნობილი რუსი მწერალი კონსტანტინე სიმონოვი. 1979 წელს ჩაწერილ მოგონებებში, რომელიც გამოქვეყნდა მხოლოდ ათი წლის შემდეგ, იგი დაწვრილებით გადმოგვცემს კომპარტიის XIX ყრილობაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიმდინარეობას. სიმონოვის სიტყვით, პლენუმი გრძელდებოდა ორი ან ორნახევარი

საათი, საიდანაც სტალინის სიტყვამ საათნახევარი დაიჭირა, ხოლო მოლოტოვისა და მიქოიანის გამოსვლებმა (არჩევნებთან ერთად) დანარჩენი დრო წაიღო.

სიმონოვი წერს, რომ სტალინი მკაცრად და ყოველგვარი იუმორის გარეშე ლაპარაკობდა ზეპირად. ამავე დროს, იგი გაფაციცებული ყურადღებითა და პირქუში მზერით აკვირდებოდა დარბაზს, თითქოს სურდა ჩასწვდომოდა იმას, თუ რას ფიქრობდნენ მსმენელები. მისი სიტყვის ტონმა და დარბაზისათვის თვალყურის დევნებამ მსმენელთა უმრავლესობა გააოგნა და გააშეშა. სტალინი ამბობდა: უკვე მოვხუცდი, დგება დრო, როდესაც ჩემი საქმის გაგრძელება სხვებს მოუწევთ. მსოფლიოში რთული ვითარებაა, კაპიტალისტურ ბანაკთან ბრძოლა მძიმე იქნება და ამ ბრძოლაში შეკრთომა, შიში, უკან დახევა და კაპიტულირება ყველაზე სახიფათო რამ არისო.

სიმონოვის აზრით, ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც სტალინს დამსწრეთა ცნობიერებაში სურდა ჩაეჭედა და ყოველივე თქმული მისი სიბერისა და შესაძლებელი აღსასრულის თემას უკავშირდებოდა.

ლაპარაკობდა მკაცრად, დროდადრო კი — დაუფარავი მრისხანებით.

მთავარი თავისებურება სტალინის სიტყვისა ის ყოფილა, რომ მან საჭიროდ არ მიიჩნია ზოგადად ელაპარაკა სიმხდალესა თუ შიშზე, გამბედაობასა თუ კაპიტულანტობაზე. ყველაფერი, რასაც ლაპარაკობდა, კონკრეტულად ეხებოდა პოლიტბიუროს ორ წევრს, მის ზურგს უკან რომ ისხდნენ, ორიოდე მეტრის დაშორებით.

თავდაპირველად, ბრალდება მერყეობასა და კაპიტულანტობაში თავს დაატყდა მოლოტოვს. სიმონოვი წერს: ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ყურებს არ ვუჯერებდი, მეგონა, მომესმა ანდა სწორად ვერ გავიგეო. მაგრამ სტალინი განაგრძობდა სიტყვას და აშკარად იკვეთებოდა დასკვნა, რომ ის კაცი, ვინც აეჭვებდა თავისი კაპიტულანტობით, იყო მოლოტოვი. სტალინი დიდხანს ლაპარაკობდა მოლოტოვზე, ლაპარაკობდა დაუნდობლად, მოლოტოვის უმართებულო მოქმედების მაგალითები მოჰყავდა იმ პერიოდიდან, როდესაც თვითონ შვებულებაში იმყოფებოდა და მის მოვალეობას მოლოტოვი ასრულებდა ხოლმე და არასწორად წყვეტდა მთელ რიგ საკითხებს. მემუარისტს ვეღარ გაუხსენებია, კერძოდ რომელი საკითხები იყო ნახსენები. იგი აღნიშნავს: ალბათ იმიტომ არ დამამახსოვრდა, რომ სტალინი ელაპარაკებოდა იმ აუდიტორიას, რომელიც ამ საკითხებში ჩემზე გაცილებით უკეთ ერკვეოდა, მე კი სტალინის მინიშნებათა არსი ყოველთვის როდი მესმოდაო. გარდა ამისა, სიმონოვის სიტყვით, სტალინის მიერ წამოყენებული ბრალდებანი საკმაოდ გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო, სათქმელს ბოლომდე არ ამბობდაო.

სიმონოვმა მაინც ვერ გაიგო, თუ რა დანაშაული მიუძღოდა მოლოტოვს. მიხვდა მხოლოდ იმას, რომ სტალინი ბრალს სდებდა მოლოტოვს არასწორ მოქმედებაში ომისშემდგომი პერიოდის მანძილზე და ბრალს სდებდა ისეთი გავარვარებული რისხვით, რომელიც მოლოტოვისათვის უშუალო საფრთხის მომასწავებელი იყო. სტალინის გამოსვლაში იგრძნობოდა იმის მუქარა, რასაც მისგან მოელოდნენ წარსულის ანალოგიით. მოლოტოვს ბრალად ედებოდა ყველა ცოდვა, რომელიც უნდა აღკვეთილიყო პარტიაში, როდესაც სიკვდილის ჟამი დადგებოდა და სტალინი აღარ იქნებოდა პარტიის სათავეში.

სიმონოვის მიხედვით, მთელ იმ მრისხანებასთან ერთად, რომელსაც ზოგჯერ თავშეუკავებლობაც ახლდა, სტალინის სიტყვას მისთვის ჩვეული რკინისებური კონსტრუქცია ახასიათებდა. მისი გამოსვლის შემდგომი ნაწილი, მიქოიანს რომ მიეძღვნა, უფრო ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ რაღაც ნიშნებით გაცილებით მეტი გაბოროტება და უპატივცემლობა იგრძნობოდა.

დარბაზში საზარელი მდუმარება ჩამოვარდნილა.

მოლოტოვსა და მიქოიანს მკვდრის ფერი ედოთ.

სტალინმა სიტყვა დაამთავრა და პრეზიდიუმში დაბრუნდა. იმავე ტრიბუნიდან ჯერ მოლოტოვმა, მერე მიქოიანმა თავის მართლება სცადეს. ამტკიცებდნენ, არასოდეს ვყოფილვართ მხდალები თუ კაპიტულანტები და კაპიტალისტურ ბანაკთან ახალი შეტაკებისას არ შევდრკებითო.

სიმონოვის სიტყვით, იმ სისასტიკის შემდეგ, რომლითაც სტალინი მათზე ლაპარაკობდა, იმ მძვინვარების შემდეგ, რომელიც მისი გამოსვლის მრავალ პუნქტში ჟღერდა, მოლოტოვისა და მიქოიანის თავის მართლება ბრალდებულთა უკანასკნელ სიტყვას ჰგავდა, როდესაც თავიანთ დანაშაულს გადაჭრით უარყოფენ, მაგრამ იმედი თითქმის დაუკარგავთ, რომ მათი ბედი შეიძლება შეტრიალდეს, ვინაიდან სტალინს უკვე გადაუწყვეტია იგი.

უცნაური შეგრძნება დაეუფლა მწერალს, როდესაც უსმენდა მოლოტოვსა და მიქოიანს. თითქოსდა ისინი ის ადამიანები კი აღარ იყვნენ, რომლებიც მრავალგზის და საკმაოდ ახლოს ენახა, არამედ — პირისახეზე მორგებული თეთრი ნიღბები, რომლებიც ძალზე წააგავდნენ მათსავე პირისახეს, მაგრამ ამავე დროს სავსებით განსხვავდებოდნენ, რადგანაც სიცოცხლის ნიშანწყალი არ ემჩნეოდათ.

სიმონოვის სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ მოლოტოვი ბოლო ხანებში საქმეს, მნიშვნელოვანწილად, ჩამოშორებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე წელია ვიშინსკი ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს, მიუხედავად იმისა, რომ მოლოტოვის ცოლი ციხეში იჯდა, მიუხედავად ყველაფრისა, ხალხის მასებში

სტალინის სახელის შემდეგ მოლოტოვის სახელი ახსენდებოდათ. და სტალინს აშკარად ეწადა, განსაკუთრებით დაემცირებინა მოლოტოვი, გაექარწყლებინა მისი ავტორიტეტი, როგორც თავისი უახლოესი თანამებრძოლისა. სტალინს ეწადა, რომ ყველას კარგად გაეგო — თუკი მას რაიმე დაემართებოდა, სახელმწიფოსა და პარტიაში პირველ ფიგურად მოლოტოვი არ უნდა დარჩენილიყო. სტალინის სიტყვა საბოლოოდ გამორიცხავდა ამის შესაძლებლობას.

სიმონოვი ვარაუდობს, რომ სტალინი მოლოტოვს სხვებზე უკეთ იცნობდა და ამიტომაც თვლიდა, რომ მას არ შესწევდა უნარი — პარტიასა და სახელმწიფოს სათავეში ჩასდგომოდა. მაგრამ სტალინი მოლოტოვს ბრალს სდებდა სწორედ იმაში, რაც, ხალხის წარმოდგენით, მას სრულიადაც არ ახასიათებდა. საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებით, მოლოტოვი იყო სტალინის ყველაზე მტკიცე და ურყევი თანამებრძოლი. ხოლო სტალინი ბრალად სდებდა ლაჩრობას და კაპიტულანტობას, მაშასადამე სწორედ იმას, რაც მოლოტოვის შესახებ არავის უფიქრია. სტალინი მუხანათურად და გამიზნულად სდებდა ბრალს, რათა თავის შესაძლებელ მემკვიდრეთა მწყობრიდან მოლოტოვი გამოერიცხა. აი, ეს იყო მთავარი, რაც სტალინის სიტყვიდან ჩემს მეხსიერებას შემორჩაო, დასძენს მწერალი.

მოლოტოვისა და მიქოიანის სიცოცხლე რომ საფრთხის წინაშე იდგა, დადასტურებულ იქნა კომპარტიის XX ყრილობის დახურულ სხდომაზე, როდესაც ხრუშჩოვმა თავის ცნობილ მოხსენებაში გაიხსენა ზემოთ აღწერილი პლენუმის პერიპეტიებიც და განაცხადა: „არ არის გამორიცხული, სტალინი სახელმწიფო საჭესთან კიდევ რამდენიმე თვის მანძილზე რომ დარჩენილიყო, ამხანაგები მოლოტოვი და მიქოიანი დღეგანდელ ყრილობაზე სიტყვით გამოსვლას, ალბათ, ვერ შეძლებდნენ“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ სიმონოვი სტალინის მიერ წარმოთქმულ სიტყვას მოლოტოვის წინააღმდეგ არავითარ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს, როდესაც სტალინის სიკვდილის გარემოებათა ირგვლივ მსჯელობს, და დასაშვებ ვარაუდად თვლის, რომ სტალინის სიკვდილი ბერიამ დააჩქარა, მოჰყავს რა შემდეგი არგუმენტები: ჯერ ერთი, სტალინმა, თავისი სიცოცხლის ბოლო ნახევარწლეულში ბერია შესამჩნევად გაინაპირა (ე. წ. „მეგრელთა საქმესთან“ დაკავშირებით). ამგვარ ვითარებაში ბერია, რასაკვირველია, სტალინის საჩქარო აღსასრულს მოინდომებდა. მეორე: წლების მანძილზე სხვებზე მეტად სწორედ ბერიას ძალუძდა შეღწევა სტალინთან, არა მარტო მისი ნებართვით, არამედ ნებართვის გარეშეც. მესამე: ყოველივე ის, რაც გახდა ცნობილი ორმოცდაცამეტი წლის ივნისში ბერიას მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მცდელობაზე,

გვიკარნახებს იმ ვარაუდის დაშვებას, რომ ამ გზაზე პირველი ნაბიჯი სწორედ სტალინის თავიდან მოშორება უნდა ყოფილიყო.

სიმონოვი დასძენს, რომ ყველა ეს ვარაუდი მრავალი წლის მანძილზე ნაფიქრალის შედეგს წარმოადგენს.

ამგვარად, სიმონოვს, რომელმაც საკუთარი ყურით მოისმინა და საკუთარი თვალით იხილა, როგორ თათხავდა სტალინი მოლოტოვს, ფიქრადაც არ მოსვლია, რომ სტალინის სიკვდილი მოლოტოვთან დაეკავშირებინა, თუმცა მისივე შთაბეჭდილებით, ამ უკანასკნელს უკვე სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა.

აბდურაჰმან ავტორხანოვი ამტკიცებს, რომ სტალინმა ე. წ. „მეგრელთა საქმე“ სწორედ ბერიას მოსპობის მიზნით წამოიწყო. ამიტომაც ბერია დილემის წინაშე დადგა: ან თვითონ უნდა დაღუპულიყო, ან სტალინი უნდა გაეწირა. და ბუნებრივია, რომ არჩევანი მეორე ვარიანტზე შეაჩერა.

სიმონოვისა და ავტორხანოვის მოსაზრებას სტალინ-ბერიას შორის ფარული კონფლიქტის აღმოცენების შესახებ ერთგვარად ეჭქვეშ აყენებს მარშალ კონევის მონათხრობი. კონევი ამბობს, სტალინი ბერიას ყოველთვის ენდობოდა და სიბერეში ეს ნდობა განსაკუთრებით გაეზარდაო. კონევის აზრით, სიბერეში სტალინის ეროვნული ბუნება თავს უფრო მეტად იჩენდა და მისთვის ძვირფასი იყო გვერდით ყოფნა იმ ადამიანისა, ვისაც თავის დედაენაზე ესაუბრებოდა. კონევის სიტყვები, უთუოდ, ანგარიშგასაწევია სტალინისა და ბერიას დაპირისპირების შესახებ მსჯელობისას.

კრიმინალისტიკაში, არცთუ იშვიათად, მოიხმობენ ხოლმე ლათინურ გამოთქმას: „კვი პროდესტ?“ (ქართულად: „ვის აძლევს ხელს?“ ან „ვისთვის არის სახეირო?“), რომელიც ზემოთ დამოწმებული მასალების მიხედვით, შესაძლოა, უფრო მოლოტოვს მიესადაგებოდეს, ვიდრე ბერიას.

მაგრამ ყოველგვარი მსჯელობა აღძრული საკითხის ირგვლივ კვლავ ვარაუდების წრეში ტრიალებს და გადაჭრით იმის თქმაც კი ძნელია, ბუნებრივი სიკვდილი ეწია სტალინს თუ მისმა თანამებრძოლებმა მოუღეს ბოლო.

ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსი, შეერთებულ შტატებში ემიგრირებული ალექსანდრე ნეკრიჩი აღნიშნავს, რომ სტალინის სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ გავრცელდა ლეგენდები, განსაკუთრებით დასავლეთში, თითქოსდა სტალინს „დაეხმარნენ“ მომკვდარიყო. საგანგებოდ ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ სტალინის სიკვდილმა გარდუვალ დაღუპვას გადაარჩინა ბერია, ვისიც ეშინოდა სტალინს და თავიდან მოშორებას უპირებდა. ხრუშჩოვის მოწმობას იმაზე, რომ სტალინის სიკვდილისას ბერია თავის სიხარულს არ მალავდა, ხსნიდნენ, როგორც უტყუარ საბუთს, ბერიას პირდაპირი ან

არაპირდაპირი მონაწილეობისა სტალინის სიკვდილში.

ნეკრიჩის სიტყვით, ეს ვერსია ძალზე მიმზიდველია რომანისტისათვის, მაგრამ დაუმტკიცებელ ბრალდებას წარმოადგენს.

ნეკრიჩის მოსაზრებით, არც ბერიას და არც პოლიტბიუროს სხვა წევრებს, რომლებიც ერთგულად და თავგამოდებით ემსახურებოდნენ დიქტატორს, გამბედაობა არ ეყოფოდათ, რომ მისი მკვლელობა განეხორციელებინათ. ისინი, და მათ შორის ბერიაც, მხოლოდ თავის ტყავს უფრთხილდებოდნენ და მეტი არაფერი აინტერესებდათ. ბერია, რომელიც პოლიტბიუროს სხვა წევრებს სძულდათ, ალბათ, მეტ წინდახედულებას გამოიჩენდა.

ნეკრიჩი დაასკვნის: „სტალინი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავნი კვდებიან. სიბერეში".

პოლიტბიუროს წევრთა გამბედაობა-გაუბედაობის თაობაზე ნეკრიჩის მსჯელობისას უნებურად გაგახსენდება, დოსტოევსკის რომანი „ძმები კარამაზოვები", სადაც სახელგანთქმული ადვოკატი მახვილგონიერი შეგონებით მიმართავს აუდიტორიას: „ბატონებო, მართალია, ფსიქოლოგია ღრმააზროვანი რამ არის, მაგრამ მაინც წააგავს ორწვერა ჯოხს".

ფსიქოლოგიური ასპექტით თუ ვიმსჯელებთ, არც ის იქნება გამორიცხული, რომ თუკი პოლიტბიუროს რომელიმე წევრი მიხვდებოდა, განწირული ვარო, მონურ მორჩილებასაც გადალახავდა და სასოწარკვეთილი კაცის გამბედაობა დაეუფლებოდა.

რას იზამ, ფსიქოლოგია მართლაც ორწვერა ჯოხს წააგავს.

დასასრულ მინდა დავძინო: ამ პუბლიკაციის მოკრძალებული მიზანი ის გახლდათ, რომ მკითხველისათვის გაეცნო სტალინის მკვლელობის უცნობი ვერსია და, შეძლებისდაგვარად, გაერკვია, მოეპოვება თუ არა მას ჭეშმარიტების რაიმე მარცვალი. ხოლო ამა თუ იმ დასკვნის გამოტანა ასეთი იდუმალებით მოცული საკითხის თაობაზე, შეიძლება ითქვას, წარმოუდგენელია, როდესაც ხელი არ მიგიწვდება არც საარქივო მასალებსა და არც დასავლეთში გამოცემულ დიდძალ ლიტერატურაზე.

რაც შეეხება ბერნარდ ჰათონის წიგნიდან დამოწმებულ ინფორმაციას, დაე, თავად მკითხველმა განსაჯოს მისი ავკარგიანობა.

სარჩევი

წინათქმა — 2
დამჭკნარი კოკორი — 3
მკვდარი ლომი — 9
შეწყვეტილი დიალოგი — 23
თავდასხმა — 37
ეპიგრამიდან ოდამდე — 47
ულვაშიანი კაცის ასიათასობით პორტრეტი — 63
შეღებილი მგელი — 69
რატომ აშინებთ ჰიტლერს? — 81
დიდი მტერ-მოყვარე — 93
ახსოვდა თუ არა საქართველო... — 107
სტალინი და „სტალინგრადის სანგრებში“ — 123
უკანასკნელი შეხვედრა — 133
ენას გიწუნებთ, ფშაველო... — 145
სოლჟენიცინის მარცხი — 153
ვინ მოკლა სტალინი? — 167